

ს ი ს ო ს ს ლ ი ს  
უ ფ ლ ე ბ ა

თბილისი 2008

გამოცემა მომზადებულია ევროპის კავშირის მხარდაჭერით. სახელმძღვანელოზე პასუხისმგებელია საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და მისი შინაარსი არ გამოხატავს ევროპის კავშირის ოფიციალურ პოზიციას.



პროექტი დაფინანსებულია ევროპის კავშირის მიერ



სახელმძღვანელოსთვის მასალების მოძიება და დამუშავება: **ეკატერინე ლომთათიკა**

თარგმანი: **ნანა ჭყონიკა  
ვასტანგ ვასტანგიკა**

გამოცემაზე პასუხისმგებელი: **გიორგი ჩხეიკა  
ლალი ჩხეიტია**

რედაქტორი: **ხათუნა ყვირაღაშვილი**

ტექ. რედაქტორი: **ირაკლი სვანიკა**



აიწყო და დაკაბადონდა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში. კრილოვის ქ.15 თბილისი 0102 საქართველო (+995 32) 95 23 53, 93 61 01 ტირაჟი: 500 ცალი

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, ასოციაციის წერილობითი ნებართვის გარეშე

# სარჩევი

წინასიტყვაობა.....	5
I - ამონარიდები ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო აქტებიდან და ადამიანის უფლებათა კომიტეტის კომენტარები სიცოცხლის უფლებასთან დაკავშირებით:.....	6
1. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, 10 დეკემბერი, 1948, მუხლი 3.....	6
2. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია, მუხლი 2 და 15.....	6
3. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია, ოქმი №6, მუხლები 1 და 2.....	7
4. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია, ოქმი №13, მუხლი 1.....	7
5. საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, მუხლები 4 და 6.....	7
6. სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის სიკვდილით დასჯის გაუქმებისადმი მიმართული მეორე ფაკულტატიური ოქმი, მუხლი 1.....	8
7. მართლწესრიგის დამცველ თანამდებობის პირთა ქცევის კოდექსი. მიღებულია გენერალური ასამბლეის №34/169 რეზოლუციით, 1979 წლის 17 დეკემბერი, მუხლი 3.....	9
8. სამართალდამცავი მუშაკების მიერ მიერ ძალისა და იარაღის გამოყენების ძირითადი პრინციპები. მიღებულია გაეროს მერვე კონგრესზე, რომელიც დანაშაულის პრევენციასა და დამნაშავეთა მიმართ მოპყრობის საკითხებს მიეძღვნა, ჰავანა, კუბა, 27 აგვისტო - 7 სექტემბერი, 1990, პრინციპები 6, 9 და 10.....	9
9. ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენცია, მუხლი 4 და 27.....	10
10. ადამიანისა და ხალხთა უფლებების აფრიკული ქარტია, მუხლი 4.....	11
11. ევროპის კონსტიტუციის დამფუძნებელი ხელშეკრულება, მუხლი I-9.....	12
12. ევროპის კავშირის ძირითად უფლებათა ქარტია, 2000/C 364/01, მუხლი 2... 12	
13. სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების პაქტის ზოგადი კომენტარი №06: სიცოცხლის უფლება (მუხლი 6), 30/04/82.....	12
14. სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების პაქტის ზოგადი კომენტარი №14: ატომური იარაღი და სიცოცხლის უფლება (მუხლი 6); 09/11/84.....	14

II — ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს პრეცედენტული სამართალი და გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის ცნობა № 449/1991 ძალის გადაამტკებელი გამოყენების შესახებ:.....	16
1. მაკქანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, განაცხადი №18984/91.....	16
2. მაკკერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, განაცხადი №28883/95.....	35
3. მაკარაძის საბერძნეთის წინააღმდეგ, განაცხადი №50385/99.....	58
4. ნაჩოვა და სხვები ბულგარეთის წინააღმდეგ (განაცხადები №43577/98 და 43579/98).....	71
5. გული თურქეთის წინააღმდეგ (განაცხადი №22676/93).....	89
6. გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის ცნობა №449/1991; დომინიკის რესპუბლიკა, 10/08/94.....	100
III - ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებასთან დაკავშირებით, დაცვას სიცოცხლე, როცა ადამიანი იღუპება ოფიციალურ დანესჯულებაში და გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის ცნობა №888/1999.....	104
1. სალმანი თურქეთის წინააღმდეგ №21986/93.....	104
2. ანგელოვა ბულგარეთის წინააღმდეგ №38361/97.....	114
3. გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის ცნობა №888/1999; რუსეთის ფედერაცია 29/04/2004.....	129
IV - ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება პირის გაუჩინარების შემთხვევაში სიცოცხლის უფლებასთან დაკავშირებით:.....	135
ტიმურთაში თურქეთის წინააღმდეგ №23531/94.....	135
V - სიცოცხლის უფლება და ევთანაზია.....	146
ფრიტი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ №2346/02.....	146

---

---

## წინასიტყვაობა

თითქმის სამწლიანი პაუზის შემდეგ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია განაგრძობს სახელმძღვანელოების გამოცემას ადამიანის უფლებათა სამართალში. ამჯერად წარმოდგენილი სახელმძღვანელო გამოიცა ევროპის კავშირის ფინანსური მხარდაჭერით მიმდინარე პროექტის – „სამართლებრივი სახელმწიფოს ხელშეწყობა საქართველოში“ – ფარგლებში.

წინამდებარე გამოცემა მიეძღვნა სიცოცხლის უფლებას. რატომ შევაჩერეთ ჩვენი ყურადღება ამ უფლებაზე და რატომ დავგვთანხმდა დონორი, მხარი დაეჭირა აღნიშნული ინიციატივისთვის?

2005 წლის ბოლოდან 2006 წლის ჩათვლით სიცოცხლის უფლების დაცვა ერთ-ერთ მწვავე პრობლემად იქცა საქართველოში. ამაზე მეტყველებს, პირველ ყოვლისა, გახმაურებული, ე.წ. „ადგილზე ლიკვიდაციის“ ფაქტები, რომელთა შედეგადაც ათეულობით ადამიანი დაიღუპა (როგორც ეჭვმიტანილები, ისე სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები). ამ ფაქტებს მწვავედ აფასებდნენ ადამიანის უფლებათა დამცველი ადგილობრივი თუ საერთაშორისო ორგანიზაციები. რაც შეეხება ხელისუფლებას, იგი შეუვალი იყო თავის პოზიციაში და აღმასრულებელი დამართლმსაჯულების ორგანოების მეშვეობით ე.წ. ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკას „ატარებდა“.

სწორედ ხსენებული ვითარებიდან გამომდინარე, გადავწყვიტეთ, სპეციალური გამოცემა მიგვეძღვნა სიცოცხლის უფლებისათვის და კიდევ ერთხელ ამ საშუალებით გამოვხმაურებოდით სიცოცხლის უფლების დაცვის საკითხს.

წარმოდგენილ პუბლიკაციაში თავი მოვუყარეთ სიცოცხლის უფლებაზე საერთაშორისო ნორმატიულ მასალას – საერთაშორისო აქტებიდან ამონარიდებს და გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის კომენტარებს, პრეცედენტულ სამართალს: (1) ძალის გადამტებით გამოყენების შესახებ; (2) სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებასთან დაკავშირებით – დაიცვას სიცოცხლე, როცა პიროვნება იღუპება ოფიციალურ დანესებულებაში; (3) პირის გაუჩინარებასთან დაკავშირებით და (4) ევთანაზიის შესახებ.

გვჯერა, რომ სახელმძღვანელო სასარგებლო და პრაქტიკული საშუალება იქნება როგორც სასამართლო სისტემის წარმომადგენელთათვის, ისე სხვა სამართალდამცავი ორგანოების მუშაკთათვის; დაეხმარება მათ, იხელმძღვანელონ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის პრინციპებითა და პრეცედენტებით სიცოცხლის უფლებასთან დაკავშირებულ საქმეებზე მუშაობისას. ვიმედოვნებთ, სიცოცხლის უფლება ჩვენს ქვეყანაში ყოველთვის იქნება წარუვალი ღირებულება და განსაკუთრებული დაცვის საგანი.

ლალი ჩხეტია

სამართლებრივი სახელმწიფოს ხელშეწყობა საქართველოში

პროექტის დირექტორი

# **I** ამონარიდები ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო აქტებიდან და ადამიანის უფლებათა კომიტეტის კომენტარები სიცოცხლის უფლებასთან დაკავშირებით:

## **1. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია**

1948 წლის 10 დეკემბერი

### **მუხლი 3**

ყოველ ადამიანს აქვს სიცოცხლის, თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება.

## **2. ადამიანის უფლებებისა და ფუნდამენტური თავისუფლებების დაცვის ევროპის კონვენცია**

### **მუხლი 2**

#### **სიცოცხლის უფლება**

1. ადამიანის სიცოცხლის უფლება დაცულია კანონით. არავის შეიძლება წაერთვას სიცოცხლე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სრულდება სასამართლოს განაჩენი პიროვნების დამნაშავედ აღიარების შემდეგ და როცა ასეთ სასჯელს ითვალისწინებს კანონი.
2. სიცოცხლის წართმევა არ ჩაითვლება იძულებითად ამ მუხლის საწინააღმდეგოდ, როდესაც იგი წარმოადგენს ძალის გამოყენების შედეგს, რომელიც არ უნდა იყოს აუცილებელზე მეტი:
  - ნებისმიერი პიროვნების უკანონო ხელყოფისაგან დასაცავად;
  - რათა მოხდეს კანონიერი დაპატიმრება ან აღიკვეთოს კანონიერად დაკავებული პირის გაქცევა;
  - აქტის დროს, რომელიც კანონიერად განხორციელდა იმ მიზნით, რომ ჩაიხშოს ამბოხება ან ჯანყი.

### **მუხლი 15**

#### **გადახვევა საგანგებო სიტუაციის დროს**

1. ომის ან სხვა საზოგადოებრივი საგანგებო სიტუაციის დროს, რომელიც ემუქრება ერის სიცოცხლეს, ნებისმიერ მაღალ ხელშემკვრელ მხარეს უფლება აქვს, მიიღოს ზომები, რომლებიც უხვევს ამ კონვენციიდან გამომდინარე მის ვალდებულებებს, იმ დონემდე, რაც განპირობებულია სიტუაციის აუცილებლობით. ამასთან, ამგვარი ზომები არ უნდა იყოს შეუსაბამო საერთაშორისო სამართლით მის მიერ აღებულ სხვა ვალდებულებებთან.

2. არ დაიშვება გადახვევა მეორე მუხლიდან, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გარდაცვალება წარმოადგენს ომის უკანონო აქტების შედეგს, აგრეთვე, მე-3, მე-4 (პირველი პარაგრაფი) და მე-7 მუხლებიდან.

3. ნებისმიერი მაღალი ხელშემკვრელი მხარე, რომელიც გამოიყენებს გადახვევის ამ უფლებას, ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს აწვდის სრულ ინფორმაციას იმ ზომების თაობაზე, რომელიც მან განახორციელა, ასევე, მათი მიზეზების შესახებ. გარდა ამისა, იგი ატყობინებს ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს იმ ზომების მოქმედების შეწყვეტისა და კონვენციის დებულებათა ძალაში სრულად შესვლის შესახებ.

### **3. ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ევროპის კონვენციის ოქმი № 6**

#### **მუხლი 1**

##### **სიკვდილით დასჯის გაუქმება**

სიკვდილით დასჯა უქმდება. არავის შეიძლება შეეფარდოს სიკვდილით დასჯა ან დაისაჯოს სიკვდილით.

#### **მუხლი 2**

##### **სიკვდილით დასჯა ომის დროს**

სახელმწიფოს შეუძლია, თავის კანონმდებლობაში გაითვალისწინოს სიკვდილით დასჯა იმ ქმედებისათვის, რომელიც ჩადენილია ომის ან მისი გარდაუვალი საფრთხის არსებობის დროს.

ამგვარი სასჯელი გამოიყენება მხოლოდ კანონით დადგენილ შემთხვევაში და მისი დებულებების შესაბამისად. სახელმწიფო აცნობებს ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს ამ კანონის შესაბამის დებულებებს.

### **4. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-13 ოქმი**

#### **მუხლი 1**

##### **სიკვდილით დასჯის გაუქმება**

სიკვდილით დასჯა გაუქმდება. ასეთი სასჯელი არ შეიძლება მისჯილ ან აღსრულებულ იქნეს ვინმეს მიმართ.

### **5. საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ**

#### **მუხლი 4**

1. სახელმწიფოში საგანგებო წესების შემოღების დროს, როცა ერის სიცოცხლე საფრთხეშია და ეს ოფიციალურად გამოცხადდება, ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოებს შეუძლიათ, გადაუხვიონ პაქტით ნაკისრ ვალდებულებებს იმდენად, რამდენადაც ამას მოითხოვს მდგომარეობის სიმძაფრე და განახორციელონ ღონისძიებები იმ პირობით, რომ ისინი შეუთავსებელი არ იქნება საერთაშორისო სამართლით დაკისრებულ სხვა ვალდებულებებთან და მათ არ მოჰყვება დისკრიმინაცია მხოლოდ და მხოლოდ რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიისა თუ სოციალური წარმოშობის საფუძველზე.

2. ეს დებულება არ შეიძლება საფუძვლად დაედოს რაიმე გადახვევას მე-6, მე-7, მე-8 (1 და 2 პუნქტები), მე-11, მე-15, მე-16 და მე-18 მუხლებიდან.

3. ამ პაქტის მონაწილე ყველა სახელმწიფომ, რომელიც იყენებს გადახვევის უფლებას, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის საშუალებით, დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს ამ პაქტის მონაწილე სხვა სახელმწიფოებს, თუ რომელ დებულებებს გადაუხვია და რა მიზეზებმა მიაღებინა ასეთი გადაწყვეტილება. ამავე შუამავლის მეშვეობით, მან უნდა შეატყობინოს აგრეთვე თარიღი, როცა შეწყვეტს გადახვევის ღონისძიებას.

## მუხლი 6

1. სიცოცხლის უფლება თითოეული ადამიანის განუყოფელი უფლებაა. ამ უფლებას იცავს კანონი. არავის შეიძლება თვითნებურად წაართვან სიცოცხლე.

2. ქვეყნებში, რომლებსაც არ გაუუქმებიათ სიკვდილით დასჯა, სიკვდილის განაჩენი შეიძლება გამოიტანონ მხოლოდ ყველაზე მძიმე დანაშაულისათვის იმ კანონის შესაბამისად, რომელიც მოქმედებდა დანაშაულის ჩადენის დროს და არ ეწინააღმდეგება ამ პაქტისა და გენოციდის დანაშაულის თავიდან აცილებისა და მისთვის დასჯის შესახებ კონვენციის დებულებებს. ეს დასჯა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ კომპეტენტური სასამართლოს მიერ გამოტანილი საბოლოო განაჩენის აღსასრულებლად.

3. როცა სიცოცხლის წართმევა გენოციდის დანაშაულს შეადგენს, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ აღნიშნულ მუხლში ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოებს არაფერი აძლევს უფლებას, რომ რაიმე საშუალებით გადაუხვიონ რომელიმე ვალდებულებას, რომელიც იკისრეს გენოციდის დანაშაულის თავიდან აცილებისა და დასჯის შესახებ კონვენციის დებულებათა შესაბამისად.

4. თითოეულს, ვისაც სიკვდილი მიუსაჯეს, უფლება აქვს, ითხოვოს შეწყალება ან განაჩენის შერბილება, ამნისტია. შეწყალება ან სიკვდილის განაჩენის შეცვლა შეიძლება ნაბოძები იყოს ყველა შემთხვევაში.

5. სიკვდილის განაჩენის გამოტანა არ შეიძლება დანაშაულისათვის, რომელიც ჩაიდინეს თვრამეტ წლამდე ასაკის პირებმა. ასევე, მისი აღსრულება არ შეიძლება ფეხმძიმე ქალების მიმართ.

6. ამ მუხლში არაფერი შეიძლება იყოს იმის საფუძველი, რომ ამ პაქტის მონაწილე რომელიმე სახელმწიფომ გადადოს ან არ დაუშვას სიკვდილით დასჯის გაუქმება.

## 6. სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის სიკვდილით დასჯის გაუქმებისადმი მიმართული მეორე ვაკულტატური ოქმი

### მუხლი 1

1. მოცემული ოქმის მონაწილე სახელმწიფოს იურისდიქციის ქვეშ მყოფი არც ერთი პირი სიკვდილით არ დაისჯება.

2. თითოეული მონაწილე სახელმწიფო იღებს ყველა აუცილებელ ზომას თავისი იურისდიქციის ფარგლებში სიკვდილით დასჯის გაუქმების მიზნით.



## 7. მართლწესრიგის დამცველ თანამდებობის პირთა ქცევის კოდექსი

(მიღებულია გაეროს გენერალური ასამბლეის 34/169 რეზოლუციით, 17.12.1979)

### მუხლი 3

მართლწესრიგის დამცველ თანამდებობის პირებს ძალის გამოყენება შეუძლიათ მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში და მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ამას მოითხოვს მათი მოვალეობის შესრულება.

### კომენტარი

ა) ამ დებულებაში ხაზგასმულია, რომ მართლწესრიგის დამცველ თანამდებობის პირთამიერ ძალის გამოყენება მხოლოდ გამონაკლისი ხასიათის უნდა იყოს; თუმცა, იგულისხმება, რომ მათ შეიძლება ჰქონდეთ ძალის გამოყენების უფლებამოსილება იმ ზომით, რაც მიზანშეწონილია შესაბამის პირობებში დანაშაულის თავიდან აცილების ან სამართალდამრღვევთა ან სამართალდარღვევაში ეჭვმიტანილთა მართლწესრიგის დაკავებისას ან ამგვარი დაკავების დროს დანაშაულის აღმოჩენისას, მაგრამ, ასეთ შემთხვევებში, ძალის გამოყენება არ უნდა გასცდეს აუცილებლობის ფარგლებს.

ბ) ეროვნული კანონმდებლობა, როგორც წესი, ზღუდავს მართლწესრიგის დამცველ თანამდებობის პირთა მიერ ძალის გამოყენებას პროპორციულობის პრინციპის შესაბამისად. ეს იმგვარად უნდა გავიგოთ, რომ ამ დებულების განმარტების დროს პატივი უნდა ვცეთ პროპორციულობის ეროვნულ პრინციპებს. ეს დებულება არავითარ შემთხვევაში არ უნდა იქნეს განმარტებული ისე, თითქოს იგი იძლეოდეს ისეთი ძალის გამოყენების უფლებამოსილებას, რომელიც არ შეესაბამება მისაღწევ კანონიერ მიზანს.

გ) ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება უკიდურეს საშუალებად მიიჩნევა. ყველა ზომა უნდა გატარდეს ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების აღკვეთისათვის, განსაკუთრებით, ბავშვების წინააღმდეგ. როგორც წესი, ცეცხლსასროლი იარაღი არ უნდა გამოიყენებოდეს იმ შემთხვევების გარდა, როცა ეჭვმიტანილი პირი გასწევს შეიარაღებულ წინააღმდეგობას ან სხვაგვარად საფრთხეში აგდებს ადამიანების სიცოცხლეს, აგრეთვე, როდესაც ნაკლებად განსაკუთრებული ხასიათის სხვა ღონისძიებები არ არის საკმარისი ეჭვმიტანილის კანონსაწინააღმდეგო ქმედების ასალგმავად ან მის დასაკავებლად. ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების ყოველი შემთხვევა დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს კომპეტენტურ ხელისუფალთ.

## 8. სამართალდამცავი მუშაკების მიერ ძალისა და იარაღის გამოყენების ძირითადი პრინციპები

მიღებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მერვე კონგრესზე, რომელიც დანაშაულის პრევენციისა და დამნაშავეთა მიმართ მოპყრობის საკითხებს მიეძღვნა

(ჰავანა, კუბა, 1990 წლის 27 აგვისტო — 7 სექტემბერი)

6. როდესაც ძალის ან იარაღის უკანონო გამოყენება გარდაუვალია, სამართალდამცავმა მუშაკმა:

(ა) თავი უნდა შეიკავოს ასეთი გამოყენებისაგან და მისი მოქმედება უნდა იყოს სამართალდარღვევის სერიოზულობის და კანონიერი მიზნის მიღწევის პროპორციული;

(ბ) მინიმუმამდე უნდა დაიყვანოს დაზიანება და დასახიჩრება, პატივი სცეს და გაუფრთხილდეს ადამიანის სიცოცხლეს;

(გ) უნდა უზრუნველყოს, რომ უმოკლეს დროში დახმარება და სამედიცინო მომსახურება გაეწიოს ნებისმიერ დაჭრილ ან დაზარალებულ პიროვნებას;

(დ) უნდა უზრუნველყოს, რომ დაჭრილი ან დაზარალებული პირის ნათესავები და ახლო მეგობრები უმოკლეს დროში იქნენ ინფორმირებულნი.

9. სამართალდამცავმა მუშაკებმა არ უნდა გამოიყენონ იარაღი პირთა წინააღმდეგ, გარდა: თავდაცვის ან სხვათადაცვის მიზნით, როდესაც მათ სასიკვდილო საფრთხე ან სერიოზული ზიანი ემუქრებათ; განსაკუთრებით სერიოზული დანაშაულის პრევენციის მიზნით, როდესაც სიცოცხლეს მძიმე საფრთხე ემუქრება; პირის დასაკავებლად, რომელიც ასეთ საფრთხეს ქმნის და წინააღმდეგობას უწევს მათ; ან ასეთი პირის გაქცევის აღსაკვეთად და მხოლოდ მაშინ, როდესაც ნაკლებად ექსტრემალური საშუალებები არაეფექტურია ამ მიზნების მისაღწევად. ნებისმიერ შემთხვევაში, ცეცხლსასროლი იარაღი განზრახ სასიკვდილო მიზნით შეიძლება გამოყენებული იქნეს მხოლოდ მაშინ, როდესაც მისი გამოყენება გარდაუვალია სიცოცხლის დასაცავად.

10. მე-9 პრინციპით დადგენილ გარემოებებში სამართალდამცავმა მუშაკებმა უნდა მოახდინონ საკუთარი თავის იდენტიფიცირება და მკაფიო გაფრთხილება მისცენ ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების გადანყვეტილების შესახებ, რომლის დროსაც გათვალისწინებული იქნება გაფრთხილების გააზრებისათვის საჭირო დრო, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ასეთი ქმედებით გადაჭარბებული საფრთხე შეექმნება სამართალდამცავ მუშაკებს ან სასიკვდილო საფრთხის ან სერიოზული ზიანის რისკის ქვეშ დადგება სხვა პირთა სიცოცხლე, ანდა ამკარად შეუსაბამო ან არაგონივრული იქნება ინციდენტის გარემოებებისათვის.

## 9. ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენცია

**მიღებულია 1969 წლის 22 ნოემბერს, სან ხოსეში (კოსტა რიკა), ამერიკის ქვეყნების სპეციალურ კონფერენციაზე, რომელიც ადამიანის უფლებებს მიეძღვნა**

### მუხლი 4

#### სიცოცხლის უფლება

1. ყოველ ადამიანს აქვს უფლება, პატივი სცენ მის სიცოცხლეს. ეს უფლება, ზოგადად, დაცული უნდა იქნეს მისი ჩასახვის მომენტიდან. არავის შეიძლება თვითნებურად წაერთვას სიცოცხლე.

2. ქვეყნებში, სადაც სიკვდილით დასჯა გაუქმებული არ არის, სიკვდილის განაჩენი შეიძლება გამოყენებულ იქნეს განსაკუთრებით სერიოზული დანაშაულისათვის, ამასთან, კომპეტენტური სასამართლოს მიერ მიღებული საბოლოო განაჩენის თანახმად და ასეთი სასჯელის დამდგენი კანონის შესაბამისად, რომელიც დანაშაულის ჩადენამდე იქნა მიღებული.

3. სასჯელის უმაღლესი ზომა კვლავ არ უნდა იქნეს შემოღებული იმ სახელმწიფოებში, სადაც იგი უკვე გაუქმებულია.

4. არც ერთ შემთხვევაში არ შეიძლება სასჯელის უმაღლესი ზომა გამოყენებულ იქნეს პოლიტიკური სახის სამართალდარღვევებზე ან მასთან დაკავშირებულ ჩვეულებრივ დანაშაულებზე.
5. სიკვდილის განაჩენი არ გამოიტანება პირის მიმართ, რომელმაც დანაშაული ჩადინა 18 წლის ასაკამდე ან 70 წლის ასაკის შემოთ. არ შეიძლება მისი აღსრულება ორსული ქალების მიმართ.
6. ყოველ სიკვდილმისჯილ ადამიანს აქვს ამნისტიის, შეწყალების ან სასჯელის შემსუბუქების უფლება. სიკვდილის განაჩენის სისრულეში არ უნდა იქნეს მოყვანილი მანამ, სანამ ასეთ პეტიციას კომპეტენტური ორგანოები განიხილავენ.

## მუხლი 27

### გარანტიების შეჩერება

1. ომის, საზოგადოებრივი საფრთხის ან სხვა საგანგებო მდგომარეობის დროს, რომელიც საფრთხეს უქმნის მონაწილე სახელმწიფოს დამოუკიდებლობას ან უსაფრთხოებას, შეიძლება მიღებულ იქნეს ზომები, რომლებიც წინამდებარე კონვენციით აღებული ვალდებულებებიდან გადახვევას იწვევენ. ასეთი ზომები შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს მკაცრად მოითხოვება სიტუაციის სიმწვავედან გამომდინარე, იმპირობით, რომ აღნიშნული ღონისძიებები არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლის საფუძველზე აღებულ სხვა ვალდებულებებს და არ იწვევს დისკრიმინაციას რასის, კანის ფერის, სქესის, ენის ან სოციალური წარმოშობის ნიშნით.

2. ზემოაღნიშნული დებულება არ იძლევა შემდეგი მუხლების მოქმედების შეჩერების უფლებას: მუხლი 3 (სამართალ-სუბიექტობის უფლება), მუხლი 4 (სიცოცხლის უფლება), მუხლი 5 (ადამიანური მოპყრობის უფლება), მუხლი 6 (მონობისაგან თავისუფლების უფლება), მუხლი 9 (Ex Post Facto კანონებისგან თავისუფლება), მუხლი 12 (სინდისისა და რელიგიის თავისუფლება), მუხლი 17 (საოჯახო უფლებები), მუხლი 18 (სახელისა და გვარის ქონის უფლება), მუხლი 19 (ბავშვის უფლებები), მუხლი 20 (მოქალაქეობის უფლება) და მუხლი 23 (მმართველობაში მონაწილეობის უფლება), ასევე, სხვა გარანტიების შეჩერებას, რომლებიც მნიშვნელოვანია ასეთი უფლებების დასაცავად.

3. ნებისმიერი სახელმწიფო, რომელიც შეჩერების უფლებას ახორციელებს, ვალდებულია, სხვა მონაწილე სახელმწიფოებს გენერალური მდივნის მეშვეობით დაუყოვნებლივ აცნობოს იმ დებულებების შესახებ, რომელთა გამოყენებაც მან შეაჩერა, ასევე, შეჩერების წარმომშობი მიზეზების და მისი შეწყვეტის თარიღის თაობაზე.

## 10. ადამიანის და ხალხთა უფლებების აფრიკული ქარტი

### მუხლი 4

ადამიანი არის ხელშეუხებელი. ყოველ ადამიანს უფლება აქვს, პატივი სცენ მის სიცოცხლეს და მის პიროვნულ ხელშეუხებლობას. არავის შეიძლება თვითნებურად წაერთვას ეს უფლება.

## 11. ევროპის კონსტიტუციის დამფუძნებელი ხელშეკრულება

### მუხლი I-9

#### ძირითადი უფლებები

1. კავშირი აღიარებს ძირითად უფლებათა ქარტიით დაფუძნებულ უფლებებს, თავისუფლებებსა და პრინციპებს, რომელიც II ნაწილს წარმოადგენს.
2. კავშირი უერთდება ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციას. ასეთი მიერთებით ზიანი არ ადგება კავშირის კომპეტენციას, როგორც ეს კონსტიტუციაშია განსაზღვრული.
3. ძირითადი უფლებები – როგორც ეს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციითაა გარანტირებული და როგორც ნევრი სახელმწიფოებისათვის საერთო კონსტიტუციური ტრადიციებიდან გამომდინარეობს – კავშირის სამართლის ზოგად პრინციპებს წარმოადგენს.

## 12. ევროპის კავშირის ძირითად უფლებათა ქარტია

(2000/C 364/01)

### მუხლი 2

#### სიცოცხლის უფლება

1. ყოველ ადამიანს აქვს სიცოცხლის უფლება;
2. არავის შეიძლება მიესაჯოს სიკვდილით დასჯა, ან სიკვდილით დაისაჯოს.

## 13. სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების პაქტის ზოგადი კომენტარი №6 (მეთექვსმეტე სესია, 1982 წელი) სიცოცხლის უფლება (მუხლი 6); 30/04/82.

1. პაქტის მე-6 მუხლში გაცხადებული სიცოცხლის უფლება განხილულია ყველა სახელმწიფოს მოხსენებებში. ეს არის უზენაესი უფლება, რომლისგან გადახვევაც დაუშვებელია ისეთი საგანგებო მდგომარეობის დროსაც კი, რომელიც საფრთხეს უქმნის ერის არსებობას (მუხლი 4). თუმცა, კომიტეტი აღნიშნავს, რომ მე-6 მუხლთან დაკავშირებით წარმოდგენილი ინფორმაცია ხშირად შემოიფარგლება ამ უფლების მხოლოდ ამა თუ იმ ასპექტით. სიცოცხლის უფლება არის ის უფლება, რომელიც ვინც არ უნდა იქნეს განმარტებული.
2. კომიტეტი მიუთითებს, რომ ომი და მასობრივი ძალადობის სხვა ქმედებები კვლავ რჩება კაცობრიობის უბედურებად და ყოველწლიურად ათასობით უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე ეწირება. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების საფუძველზე, რომელიმე სახელმწიფოს მიერ სხვა სახელმწიფოს ძალით დაშინება ან მის მიმართ ძალის გამოყენება, თავდაცვის განუყოფელი უფლების განხორციელების გარდა, უკვე აკრძალულია. კომიტეტს მიაჩნია, რომ სახელმწიფოთა უზენაესი ვალია ომების, გენოციდის და მასობრივი ძალადობის სხვა ქმედებების პრევენცია, რომლებიც ადამიანის სიცოცხლის თვითნებურ მოსპობას იწვევს. ნებისმიერი ძალისხმევა, რომელსაც ისინი ომების (განსაკუთრებით, თერმობირთვული) საშინოოების თავიდან ასაცილებლად მიმართავენ საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოებისათვის, ყველაზე მნიშვნელოვანი პირობა და გარანტია იქნება სიცოცხლის უფლების დასაცავად.

ამ მიმართებით, კომიტეტი მიუთითებს მე-6 და მე-20 მუხლებს შორის კავშირზე, სადაც აღნიშნულია, რომ ომის ნებისმიერი პროპაგანდა (პუნქტი 1) ან ძალადობის ნაქეზება (პუნქტი 2) უნდა აიკრძალოს კანონით.

3. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის მესამე წინადადებას, რომელიც ცალსახად ადგენს სიცოცხლის თვითნებური წართმევისაგან დაცვის უფლებას. კომიტეტს მიაჩნია, რომ მონაწილე სახელმწიფოებმა ზომები უნდა მიიღონ არა მხოლოდ კრიმინალური ქმედებით გამონგვეული სიცოცხლის ხელყოფის პრევენციისა და დასჯისათვის, არამედ საკუთარი უშიშროების ძალების მიერ განხორციელებული თვითნებური მკვლევლობების პრევენციისათვის. სახელმწიფო ორგანოების მიერ სიცოცხლის ხელყოფა განსაკუთრებით მძიმე საკითხს წარმოადგენს. ამიტომ კანონი მკაცრად უნდა არეგულირებდეს და ზღუდავდეს იმ გარემოებებს, რომლებშიც ადამიანს შეიძლება წაერთვას სიცოცხლე.

4. მონაწილე სახელმწიფოებმა აგრეთვე კონკრეტული და ეფექტური ზომები უნდა განახორციელონ ინდივიდუალურ პირთა გაუჩინარების პრევენციის მიზნით, რაც, სამწუხაროდ, ძალიან გახშირდა და, უმრავლეს შემთხვევაში, სიცოცხლის თვითნებურ წართმევას იწვევს. გარდა ამისა, სახელმწიფოებმა უნდა შექმნან ეფექტური საშუალებები და პროცედურები ისეთ ვითარებაში დაკარგული და გაუჩინარებული პირების საქმეთა საფუძვლიანი გამოძიებისათვის, რომელიც შესაძლოა დაკავშირებული იყოს სიცოცხლის უფლების დარღვევასთან.

5. გარდა ამისა, კომიტეტი აღნიშნავს, რომ სიცოცხლის უფლებას ხშირად ვინრო განმარტება ეძლევა. „სიცოცხლის განუყოფელი უფლება“ — ვერ იქნება სწორად გაგებული, თუ მას მხოლოდ შეზღუდული განმარტება მიეცემა; ამ უფლების დაცვა სახელმწიფოსაგან კონსტრუქციული ღონისძიებების განხორციელებას მოითხოვს. ამასთან დაკავშირებით, კომიტეტს მიაჩნია, რომ სასურველი იქნებოდა, მონაწილე სახელმწიფოებს ყველა შესაძლო ზომა გაეტარებინათ ბავშვთა სიკვდილიანობის შესამცირებლად და სიცოცხლის ხანგრძლივობის ასამაღლებლად, განსაკუთრებით შიმშილსა და ეპიდემიებთან ბრძოლის ღონისძიებების შემუშავების გზით.

6. მიუხედავად იმისა, რომ მე-6 მუხლის 2-6 პუნქტებიდან გამომდინარე, მონაწილე სახელმწიფოები ვალდებული არ არიან, მთლიანად გააუქმონ სიკვდილით დასჯა, მათ აუცილებლად უნდა შეზღუდონ დასჯის ამ ზომის გამოყენება, კერძოდ, უნდა გააუქმონ იგი ყველა შემთხვევაში, გარდა „ყველაზე მძიმე დანაშაულებისა“. აქედან გამომდინარე, ისინი ვალდებული არიან, განიხილონ საკუთარი სისხლის სამართლის კანონმდებლობის გადასინჯვის საკითხი და, ნებისმიერ შემთხვევაში, შეზღუდონ სიკვდილით დასჯის განაჩენის გამოყენება „ყველაზე სერიოზული დანაშაულებით“. აღნიშნულ მუხლში აგრეთვე ზოგადად საუბარია გაუქმებაზე ისეთი ფორმულირებით, რომელიც მკაფიოდ გულისხმობს (პუნქტი 2(2) და (6)), რომ გაუქმება სასურველია. კომიტეტი ასკვნის, რომ გაუქმებისაკენ მიმართული ყველა ღონისძიება განხილული უნდა იქნეს, როგორც პროგრესი (მე-40 მუხლში გათვალისწინებული მნიშვნელობით) სიცოცხლის უფლების რეალიზების თვალსაზრისით და მის შესახებ მოხსენებები უნდა წარუდგინონ კომიტეტს. კომიტეტი აღნიშნავს, რომ მთელ რიგ სახელმწიფოებში სიკვდილით დასჯა უკვე გაუქმებულია ან შეჩერებულია სიკვდილით დასჯის განაჩენის გამოტანა. მიუხედავად ამისა, სახელმწიფოთა მიერ წარმოდგენილი მოხსენებები ადასტურებს, რომ სიკვდილით დასჯის გაუქმების ან სიკვდილით დასჯის განაჩენის გამოტანის შეზღუდვის გზაზე პროგრესი საკმაოდ უმნიშვნელოა.

7. კომიტეტს მიაჩნია, რომ გამოთქმა — „ყველაზე სერიოზული დანაშაულები“ — გაგებული უნდა იქნეს ვინრო მნიშვნელობით, როგორც აღმნიშვნელი იმისა,



რომ სიკვდილით დასჯის განაჩენი გამონაკლის ზომას წარმოადგენს. მე-6 მუხლის ზუსტი ფორმულირებიდან აგრეთვე გამომდინარეობს, რომ სიკვდილით დასჯის განაჩენი შეიძლება გამოტანილ იქნეს მხოლოდ მოცემული დანაშაულის დროს ძალაში მყოფი კანონის თანახმად, რომელიც პაქტის დებულებებს არ ეწინააღმდეგება. დაცული უნდა იქნეს მასში გათვალისწინებული პროცედურული გარანტიები – სამართლიანი სასამართლოს უფლების, უდანაშაულობის პრეზუმფციის, დაცვის მინიმალური გარანტიებისა და ზედა ინსტანციის სასამართლოში საქმის გადასინჯვის ჩათვლით. ეს უფლებები უნდა განხორციელდეს შეწყალების და სასჯელის შემსუბუქების კონკრეტულ უფლებასთან ერთად.

**14. სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების პაქტის ზოგადი კომენტარი №14 (ოცდამეცამეტე სესია, 1984 წელი), ბირთვული იარაღი და სიცოცხლის უფლება (მუხლი 6); 09/11/84.**

1. 1982 წლის 27 ივლისს, 378-ე სესიაზე მიღებულ ზოგად კომენტარში ადამიანის უფლებათა კომიტეტმა მიუთითა, რომ სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების პაქტის მე-6 მუხლის პირველ პუნქტში აღიარებული სიცოცხლის უფლება არის უზენაესი უფლება, რომლისგან გადახვევა თვით საგანგებო მდგომარეობის დროსაც დაუშვებელია. სიცოცხლის უფლება გაცხადებულია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-3 მუხლში, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ 1948 წლის 10 დეკემბერს მიიღო. ეს უფლება ადამიანის ყველა უფლების საფუძველს წარმოადგენს.

2. თავის წინა, ზოგად კომენტარში კომიტეტმა აგრეთვე მიუთითა, რომ სახელმწიფოს უზენაესი ვალაია ომების პრევენცია. ომი და მასობრივი ძალადობის სხვა ქმედებები კვლავ რჩება კაცობრიობის უბედურებად და ყოველწლიურად ათასობით უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე ეწირება.

3. კომიტეტი, არის რა კვლავ შემფოთებული შეიარაღებულ კონფლიქტებში ადამიანთა დიდი მსხვერპლის გამო, რაც თან სდევს ჩვეულებრივი იარაღის გამოყენებას, აღნიშნავს, რომ გენერალური ასამბლეის მთელ რიგ სესიებზე ყველა გეოგრაფიული რეგიონის წარმომადგენელი გამოთქვამდა დიდ შემფოთებას მასობრივი განადგურების კიდევ უფრო სასტიკი იარაღის განვითარებასა და გავრცელებასთან დაკავშირებით. აღნიშნული იარაღი საფრთხეს უქმნის არა მხოლოდ ადამიანის სიცოცხლეს, არამედ შთანთქავს რესურსს, რომელიც შეიძლება გამოყენებულიყო სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ეკონომიკური და სოციალური მიზნებისათვის, კერძოდ, განვითარებად ქვეყნებში, ან, ზოგადად, ადამიანის უფლებების ნასახალისებლად და უზრუნველსაყოფად.

4. კომიტეტი იზიარებს ამ შემფოთებას. ამჟამად, რომ ბირთვული იარაღის შექმნა, გამოცდა, წარმოება და განლაგება დღეს კაცობრიობის წინაშე მდგარი საფრთხეებიდან ყველაზე დიდ საფრთხეს წარმოადგენს სიცოცხლის უფლებისთვის. ამ საფრთხეს კიდევ უფრო აძლიერებს ის საშიშროება, რომ ასეთი იარაღი, ფაქტობრივად, შეიძლება გამოყენებულ იქნეს არა მხოლოდ ომის დროს, არამედ ადამიანის შეცდომის ან მექანიკური გაუმართაობის შედეგადაც.

5. გარდა ამისა, ამ საფრთხის არსებობა და სიმძიმე სახელმწიფოებს შორის უნდობლობისა და შიშის ატმოსფეროს ქმნის, რაც, თავის მხრივ, ეწინააღმდეგება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებისა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო პაქტების შესაბამისად ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა საყოველთაო პატივისცემისა და დაცვის ხელშეწყობის ამოცანას.

6. ბირთვული იარაღის წარმოება, გამოცდა, ფლობა, განლაგება და გამოყენება უნდა აიკრძალოს და კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულად იქნეს აღიარებული.

7. შესაბამისად, კომიტეტი, მთელი კაცობრიობის ინტერესებიდან გამომდინარე, მოუწოდებს ყველა სახელმწიფოს – პაქტის მონაწილეს თუ არამონაწილეს – ცალმხრივად და ხელშეკრულების საფუძველზე, სასწრაფო ზომები მიიღონ მსოფლიოს ამ საფრთხისაგან გასათავისუფლებლად.

# **II ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლო პრეციდენტული სამართალი და გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის ცნობა №. 449/1991 ქალის გადამეტავული გამოყენების შესახებ:**

## **1. საქმი მაქანი და სხვაბი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (1)**

### **საქმის ფაქტობრივი მხარე (არაოფიციალური ვერსია)**

განმცხადებლები, ირლანდიის მოქალაქეები და გაერთიანებული სამეფოს ქვეშევრდომები, მარგარეტ მაქანი, დანიელ ფარელი და ჯონ სევიჯი არიან, შესაბამისად, დანიელ მაქანის, მეირედ ფარელის და შონ სევიჯის მშობლები, რომლებიც 1988 წლის 6 მარტს იქნენ დაცხრილულნი გიბრალტარში, იმ სპეციალური საჰაერო-მედესანტეთა სამსახურის მოსამსახურეთა მიერ, რომელიც შედის ბრიტანეთის არმიაში.

გაერთიანებული სამეფოს, ესპანეთისა და გიბრალტარის ხელისუფლებას ჯერ კიდევ 1988 წლის 4 მარტამდე ჰქონდა ინფორმაცია, რომ ირლანდიის რესპუბლიკური არმია (IRA) გეგმავდა ტერორისტულ აქტს გიბრალტარში. მოპოვებული მონაცემების საფუძველზე, ბრიტანეთის და გიბრალტარის ხელისუფლება მივიდა დასკვნამდე, რომ IRA-ს წევრები, რომელთა ვინაობაც დადგენილი იყო, 5 მარტს განახორციელებდნენ ტერორისტულ აქტს მსუბუქ ავტომანქანაში დისტანციურად მართვადი ბომბის აფეთქების გზით. გადანყდა, რომ ჯგუფის წევრები დაეპატიმრებინათ მას შემდეგ, რაც ისინი ჩაიყვანდნენ მანქანას გიბრალტარში, რათა შემდგომი სასამართლო განხილვისთვის მტკიცებულებები მოეპოვებინათ. ხელისუფლება მიიჩნევდა, რომ ჯგუფის წევრები იყვნენ სამიში ტერორისტები, რომლებიც ალბათობის ძალიან მაღალი მაჩვენებლით იქნებოდნენ შეიარაღებულნი და, უსაფრთხოების სამსახურთან დაპირისპირების შემთხვევაში, გამოიყენებდნენ იარაღს და ააფეთქებდნენ ბომბს.

1988 წლის 6 მარტს, ნაშუადღევს, შონ სევიჯმა დააყენა ავტომობილი და შემდეგ დანიელ მაქანთან და მეირედ ფარელთან ერთად დაათვალიერა ის ადგილი, სადაც ავტომობილი გააჩერა. მას შემდეგ, რაც ისინი მოსცილდნენ ავტომანქანას, ბომბის გაუვნებელყოფის ექსპერტმა დაათვალიერა მანქანა და გადასცა, რომ სწრაფი ვიზუალური დათვალიერების მონაცემებით, მანქანა საეჭვო იყო და შეიძლებოდა მასში ბომბი ყოფილიყო დამონტაჟებული. მიღებულ იქნა გადანყვეტილება ზემოთ ხსენებული სამივე პირის დაკავების შესახებ. ოპერაციის ხელმძღვანელობა დაევალა საჰაერო მედესანტეთა სპეციალურ სამსახურს. ორი სამხედრო მოსამსახურე დაედგინა მაქანსა და ფარელს. როცა მაქანმა მოიხედა, ერთმა მათგანმა პისტოლეტი მოიმარჯვა და უბრძანა, გაჩერებულიყვნენ. მაქანმა ხელი გააცურა ჯიბისკენ, ფარელმა კი ჩანთისკენ. ჩათვალეს რა, რომ ორივეს დისტანციური მართვის მექანიზმის ამოქმედება სურდა ბომბის ასაფეთქებლად, მედესანტეთა ჯგუფის წევრებმა ორივეს გაუხსნეს ცეცხლი მცირე მანძილიდან, რის შედეგადაც ორივე დაიღუპა.



სევიჯს ორი სხვა სამხედრო მოსამსახურე მისდევდა. სროლის ხმის გაგონებისას ის მკვეთრად შემობრუნდა და მედესანტიებს შეეჯახა. ერთმა მათგანმა ხმამალლა უბრძანა მას გაჩერებულიყო და იარაღი ამოიღო. სევიჯმა მარჯვენა ხელი გვერდისკენ წაიღო. ჩათვალეს, რომ მას დისტანციური მართვის მექანიზმის ამოქმედება უნდოდა, მედესანტეთა ჯგუფის წევრებმა ახლო მანძილიდან გახსნეს ცეცხლი, რის შედეგადაც სევიჯი დაიღუპა.

პათოლოგანატომის დასკვნის თანახმად, ფარელს მოხვდა 8 ტყვია, მაკჰანს - 5 და სევიჯს - 16.

აღმოჩნდა, რომ დაღუპულთაგან არც ერთს არ გააჩნდა არც იარაღი და არც დისტანციური მართვის მოწყობილობა. არც სევიჯის მიერ სანაპიროზე გაჩერებულ მანქანაში აღმოჩნდა ბომბი. თუმცა, მოგვიანებით, ესპანეთის პოლიციამ მარბელში (ესპანეთი) აღმოაჩინა ფარელის მიერ სხვისი სახელით დაქირავებული მანქანა, რომელშიც აღმოჩნდა ასაფეთქებელი მოწყობილობა 6 კილოგრამი ფეთქებადი ნივთიერებით "სემტექსი".

1988 წლის 6 სექტემბერს დაიწყო აღნიშნულ პირთა დაღუპვის საქმის განხილვა გიბრალტარის კორონერის მიერ. კორონერი თავმჯდომარეობდა აგრეთვე ადგილობრივ მცხოვრებთაგან არჩეულ ნაფიც მსაჯულთა სხდომას. მოისმინეს 79 მონმის ჩვენება, მათ შორის, სამხედრო მოსამსახურეების, პოლიციის ოფიცრების, დაზვერვის სამსახურის იმ თანამშრომლების, რომლებიც ოპერაციაში მონაწილეობდნენ, აგრეთვე, პათოლოგანატომის, სასამართლოს ექსპერტების და ასაფეთქებელ მოწყობილობათა სპეციალისტების. 1988 წლის 13 სექტემბერს ნაფიცმა მსაჯულებმა გამოიტანეს ვერდიქტი, რომ, რაც მოხდა, მართლზომიერი იყო.

არ დაეთანხმნენ რა მიღებულ ვერდიქტს, განმცხადებლებმა 1990 წლის 1 მარტს წარადგინეს სარჩელი ჩრდილოეთ ირლანდიის ზედა სასამართლოში თავდაცვის სამინისტროს წინააღმდეგ. მაგრამ სასამართლომ უარი თქვა სამეფო ტახტის ხელისუფლების წინააღმდეგ ეწარმოებინა საქმე. 1991 წლის 4 ოქტომბერს საბოლოოდ ეთქვათ განმცხადებლებს უარი საქმისწარმოების დაწყებაზე.

### **სამართალწარმოება კომისიაში**

141. განმცხადებლებმა თავიანთი განცხადება (no. 18984/91) კომისიაში 1991 წლის 14 აგვისტოს შემოიტანეს. ისინი ჩიოდნენ, რომ დანიელ მაკჰანის, მეირედ ფარელისა და შონ სევიჯის სპეციალური საჰაერო ძალების წევრების მიერ მოკვლის ფაქტი კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევას წარმოადგენდა.

### **სასამართლოსთვის წარმოდგენილი არგუმენტაცია**

143. მთავრობამ წარმოადგინა არგუმენტი, რომ განცხადებასთან დაკავშირებული სიცოცხლის ხელყოფა გამართლებულია მე-2 მუხლის მე-2(ა) პუნქტით, როგორც გიბრალტარის მოსახლეობის არამართლზომიერი ძალადობისაგან დასაცავად აბსოლუტური აუცილებლობით გამოყენებული ძალის შედეგი და სასამართლოს სთხოვა, დაედგინა, რომ ფაქტები არ ავლენდნენ კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევას სამიდან რომელიმე დაღუპულ ადამიანთან მიმართებით.

144. განმცხადებლები ამტკიცებდნენ, რომ მთავრობამ გონივრული ეჭვის მიღმა სტანდარტის დაცვით ვერ უჩვენა, რომ ოპერაციის დაგეგმვა და განხორციელება მოხდა კონვენციის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად. აქედან გამომდინარე, სიცოცხლის ხელყოფა არ წარმოადგენდა აბსოლუტურ აუცილებლობას ამ დებულების მნიშვნელობით (მუხლი 2-2).

## სამართალი

### I. კონვენციის მე-2 მუხლის სავარაუდო დარღვევა

145. განმცხადებლები ამტკიცებდნენ, რომ უშიშროების ძალების ნევრების მიერ ბატონ მაკკანის, ქალბატონ ფარელისა და ბატონ სავაჯის მოკვლა კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევას წარმოადგენდა.

#### A. მე-2 მუხლის განმარტება

##### 1. ზოგადი მიდგომა

146. მე-2 მუხლის განმარტებისას, სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს იმ ფაქტით, რომ კონვენციის – როგორც ინდივიდუალურ პირთა უფლებების დაცვის მექანიზმის – ობიექტი და მიზანია, მოითხოვოს მისი დებულებების განმარტება და გამოყენება იმგვარად, რომ უზრუნველყოს მისი გარანტიების პრაქტიკული და ეფექტიანი მოქმედება (იხ. *სოერინგი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, 1989 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილება, Series A no. 161, გვ. 34, პუნქტი 87 და *ლოიზიდუ თურქეთის წინააღმდეგ* (წინასწარი პროტესტი), 1995 წლის 23 მარტის გადაწყვეტილება, Series A no. 310, გვ. 27, პუნქტი 72).

147. აგრეთვე, უნდა გვახსოვდეს, რომ მე-2 მუხლი, როგორც დებულება, რომელიც არა მხოლოდ სიცოცხლის უფლებას იცავს, არამედ აყალიბებს გარემოებებს, თუ როდის შეიძლება გამართლებულ იქნეს სიცოცხლის ხელყოფა, კონვენციის ყველაზე ძირითად დებულებად ითვლება, რომლიდანაც, მე-15 მუხლის საფუძველზე, მშვიდობიან დროს გადახვევა დაუშვებელია. კონვენციის მე-3 მუხლთან ერთად (მუხ. 15-3) იგი აგრეთვე იცავს ევროპის საბჭოში შემავალი დემოკრატიული საზოგადოებების ერთ-ერთ ძირითად ღირებულებას (იხ. ზემოხსენებული *სოერინგის საქმე*, გვ. 34, პუნქტი 88). ამგვარად, ეს დებულებები ზუსტად უნდა იქნეს განმარტებული.

148. სასამართლო მიიჩნევს, რომ მე-2 მუხლის მე-2 პუნქტში გათვალისწინებული გამონაკლისები უჩვენებენ, რომ ეს დებულება (მუხ. 2-2) ვრცელდება სიცოცხლის განზრახ ხელყოფაზე, თუმცა, მისი შინაარსი ამით არ ამოიწურება. როგორც კომისიამ მიუთითა, მთლიანობაში ნაკითხვით მე-2 მუხლის ტექსტი უჩვენებს, რომ მე-2 პუნქტი, უპირველეს ყოვლისა, ადგენს არა იმ შემთხვევებს, როდესაც პირის სიცოცხლის განზრახ ხელყოფა დასაშვებია, არამედ აღწერს სიტუაციებს, სადაც დასაშვებია „ძალის გამოყენება“, რომელსაც შესაძლოა გაუთვალისწინებელი შედეგის სახით ადამიანის სიცოცხლის ხელყოფა მოჰყვეს. თუმცა, ძალის გამოყენება გამონკვეული უნდა იყოს „აბსოლუტური აუცილებლობით“, რათა მიღწეული იქნეს „ა“, „ბ“ ან „გ“ ქვეპუნქტებში განსაზღვრული რომელიმე მიზანი (იხ. განცხადება no. 10044/82, *სტიუარტი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, 1984 წლის 10 ივლისი, გადაწყვეტილებები და მოხსენებები 39, გვ. 169-71).

149. ამ თვალსაზრისით, მე-2 მუხლის მე-2 პუნქტში ტერმინის – „აბსოლუტური აუცილებლობა“ – გამოყენება მიუთითებს, რომ „აუცილებლობის“ შეფასებისას გამოყენებული უნდა იქნეს უფრო მკაცრი და უფრო მომთხოვნი ტესტი, ვიდრე „დემოკრატიული საზოგადოებისათვის აუცილებელი“ სახელმწიფოს ქმედების განსაზღვრისას გამოიყენება კონვენციის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე (მუხლი 8-2, მუხლი 9-2, მუხლი 10-2, მუხლი 11-2). კერძოდ, გამოყენებული ძალა მე-2 პუნქტის ა, ბ, და გ ქვეპუნქტებით განსაზღვრული მისაღწევი მიზნების მკაცრად პროპორციული უნდა იყოს.

150. დემოკრატიული საზოგადოებისათვის ამ დებულების (მუხ. 2) მნიშვნელობიდან გამომდინარე, სასამართლომ, შეფასების გაკეთებისას, სიცოცხლის ხელყოფის შემთხვევები უფრო მეტი გულმოდგინებით უნდა გამოიკვლიოს, განსაკუთრებით იქ, სადაც ადგილი აქვს სასიკვდილო ძალის განზრახ გამოყენებას და უნდა გაითვალისწინოს არა მხოლოდ ძალის განმახორციელებელ სახელმწიფო მუშაკთა ქმედებები, არამედ აგრეთვე თანმდევი გარემოებები, მათ შორის, გამოსაკვლევი ქმედებების დაგეგმვისა და კონტროლის საკითხები.

## 2. სიცოცხლის დაცვის ვალდებულება მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტის საფუძველზე

(ა) ეროვნული კანონმდებლობის და პრაქტიკის შესაბამისობა მე-2 მუხლის ნორმებთან

151. განმცხადებლებმა ამ დასათაურებით წარმოადგინეს, რომ კონვენციის მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტი სახელმწიფოებს სიცოცხლის „დაცვის“ პოზიტიურ ვალდებულებას აკისრებს. კერძოდ, ეროვნული კანონმდებლობა მკაცრად უნდა აკონტროლებდეს და ზღუდავდეს გარემოებებს, როდესაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს პიროვნების სიცოცხლის ხელყოფას სახელმწიფო მუშაკის მიერ. სახელმწიფომ აგრეთვე სათანადო სწავლებით, ინსტრუქციებითა და კონსულტაციებით უნდა უზრუნველყოს ჯარისკაცები და სხვა სამართალდამცავი მუშაკები, რომლებმაც შესაძლოა ძალა გამოიყენონ და უნდა განახორციელოს მკაცრი კონტროლი ნებისმიერ ოპერაციაზე, სადაც შესაძლოა სასიკვდილო ძალა იქნეს გამოყენებული.

მათი აზრით, შიდასახელმწიფო კანონმდებლობა იყო ბუნდოვანი და ზოგადი და არ მოიცავდა მე-2 მუხლის აბსოლუტური აუცილებლობის ნორმას. ეს თავისთავად იყო აღნიშნული დებულების დარღვევა. ამ დებულების დარღვევას წარმოადგენდა ისიც, რომ კანონი არ მოითხოვდა სახელმწიფო მუშაკების განვრთნას მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტის მკაცრი ნორმების შესაბამისად.

152. კომისიის აზრით, რასაც მთავრობა დაეთანხმა, მე-2 მუხლი არ უნდა იქნეს იმგვარად განმარტებული, თითქოს ეს მუხლი მოითხოვს იდენტური ფორმულირების არსებობას შიდასახელმწიფო სამართალში. მისი მოთხოვნები დაკმაყოფილებულად ითვლება, თუ კონვენციით დაფუძნებული უფლების არსი დაცული იქნა შიდასახელმწიფო სამართალში.

153. სასამართლო მიუთითებს, რომ კონვენცია ხელშემკვრელ მხარეებს არ ავალდებულებს, ეროვნულ კანონმდებლობაში ჩართოს მისი დებულებები (იხ. *ჯეიმსი და სხვები ვაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, 1986 წლის 21 თებერვალი, Series A no. 98, გვ. 47, პუნქტი 84, და წმინდა მონასტრები საბერძნეთის წინააღმდეგ, 1994 წლის 9 დეკემბერი, Series A no. 301-A, გვ. 39, პუნქტი 90). გარდა ამისა, ეროვნული საკანონმდებლო ან კონსტიტუციური დებულებების *in abstracto* კონვენციის მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმება კონვენციის ინსტიტუტების როლს არ წარმოადგენს (იხ. მაგ. *კლასი და სხვები გერმანიის წინააღმდეგ*, 1978 წლის 6 სექტემბრის გადაწყვეტილება, Series A no. 28, გვ. 18, პუნქტი 33).

154. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, აღსანიშნავია, რომ გიბრალტარის კონსტიტუციის (იხ. ზემოთ პუნქტი 133) მე-2 მუხლი კონვენციის მე-2 მუხლის მსგავსია იმ განსხვავებით, რომ აქ სიცოცხლის ხელყოფის გამომწვევი ძალის გამოყენების გამამართლებელი არგუმენტაციის სტანდარტი არის „გონივრულად გამართლებული“ და არა „აბსოლუტურად აუცილებელი“, როგორც ეს კონვენციის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტშია დადგენილი. მიუხედავად იმისა, რომ კონვენციის

ნორმა ეროვნულ ნორმაზე უფრო მკაცრია, მთავრობამ განაცხადა, რომ ეროვნული სასამართლოების მიერ ამ ნორმის განმარტება და მისი გამოყენების მანერა ამ ორ კონცეფციას შორის მნიშვნელოვან განსხვავებას არ იწვევს.

155. სასამართლოს მიაჩნია, რომ რამდენად არგუმენტირებულიც არ უნდა იყოს ეს მტკიცება, ორ ნორმას შორის განსხვავება იმდენად მნიშვნელოვანი არ არის, რომ მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევა მხოლოდ ამ საფუძველზე დადგინდეს.

156. სახელმწიფო მუშაკთა ტრენინგისა და ინსტრუქტირების და ოპერატიული კონტროლის კუთხით განმცხადებელთა არგუმენტებთან მიმართებით სასამართლო მიიჩნევს, რომ ეს არის სფერო, რომელიც წინამდებარე საქმის კონტექსტში წარმოშობს საკითხებს მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, რომელიც ტერორისტული თავდასხმის სამიშროებაზე სახელმწიფოს რეაგირების პროპორციულობას ეხება. [...]

(ბ) მოკვლევის პროცესის, როგორც საგამოძიებო მექანიზმის ადეკვატურობა

157. ამავე დასათაურებით, გაეროს ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის პრინციპების ნორმებზე მითითებით (იხ. ზემოთპუნქტი 138-139), განმცხადებლებმა აგრეთვე წარმოადგინეს, რომ სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ეფექტიანი *ex post facto* პროცედურა, რომელმაც დამოუკიდებელი სასამართლო პროცესის მეშვეობით უნდა დაადგინოს სახელმწიფო მუშაკის მიერ განხორციელებული მკვლელობის გარემოებები, რაზედაც სრულად უნდა მიუწვდებოდეთ ხელი ნათესავებს.

ემნესტიინტერნემნელთან დაბრიტიმ-აირიმ ვოჩთან ერთად ისინი ამტკიცებდნენ, რომ ეს პროცედურული მოთხოვნა მოკვლევას არ დაუკმაყოფილებია მთელი რიგი ხარვეზების გამო. კერძოდ, ისინი ჩიოდნენ, რომ არ უწარმოებიათ სროლის გამომწვევი ოპერაციის ასპექტების დამოუკიდებელი გამოძიება; არ განხორციელებულა დანაშაულის ადგილის გამოკვლევასთან დაკავშირებული ჩვეულებრივი პროცედურები; პოლიციას არ მოუძიებია და არ გამოუკითხავს ყველა თვითმხილველი; კორონერი იჯდა მსაჯულებთან ერთად, რომლებიც „გარნიზონის“ დაბიდან იყვნენ და ახლო კავშირი ჰქონდათ სამხედროებთან; კორონერმა უარი თქვა, შეემონებინათ მსაჯულები, რათა გამოერიცხათ სამეფო სამსახურის წევრები; შესაბამისი სამთავრობო ორგანოს მიერ გამოცემული საზოგადოებრივი ინტერესის სერტიფიკატი ეფექტიანად ამცირებდა მთელი ოპერაციის შემონმებას.

გარდა ამისა, ისინი გამოთქვამდნენ პრეტენზიას, რომ მოკვლევის პროცესზე სამეფო ძალები თანაბარ მდგომარეობაში არ იმყოფებოდნენ და ამიტომ ჭეშმარიტების დადგენაში შეზღუდულები იყვნენ, რამეთუ, ინტერ ალია, მათ არ ჰყავდათ იურიდიული მრჩეველი და მხოლოდ ორი ადვოკატით იყვნენ წარმოდგენილი; მონმეთა ჩვენებები წინასწარ გააცნეს სამეფო ძალების წარმომადგენლებს და პოლიციისა და ჯარისკაცების ადვოკატებს, მაგრამ არა მათ ადვოკატებს - გარდა ბალისტიკური და პათოლოგიური ექსპერტიზის დასკვნებისა; მათ არ ჰქონდათ პროცესის ყოველდღიური ჩანაწერების ასლის გადაღების ფინანსური საშუალება, რომლის ფასიც 500-600 ფუნტ სტერლინგს შეადგენდა.

160. სასამართლოს მიაჩნია, რომ წინამდებარე საქმეში საჭირო არ არის, დადგინდეს, სიცოცხლის ხელყოფასთან დაკავშირებულ საქმეზე სამოქალაქო სარჩელის აღძვრის მიზნით, სასამართლოზე ხელმისაწვდომობის უფლება შეიძლება თუ არა გამომდინარეობდეს მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტიდან, რადგან ეს საკითხი უფრო სათანადოდ კონვენციის მე-6 და მე-13 მუხლებშია განხილული - ეს არის დებულებები (მუხ. მე-6 და მე-13), რომლებზეც განმცხადებლებს მითითება არ გაუკეთებიათ.

161. სასამართლო, კომისიის მსგავსად, შემოიფარგლება იმის აღნიშვნით, რომ სახელმწიფო მუშაკების მიერ თვითნებური მკვლელობის ზოგადი სამართლებრივი აკრძალვა პრაქტიკაში არაეფექტიანი იქნება, თუ არ იარსებებს სახელმწიფო ორგანოების მიერ სასიკვდილო ძალის გამოყენების კანონიერების გადასინჯვის პროცედურა. ამ დებულების (მუხ. 2) საფუძველზე, სიცოცხლის უფლების დაცვის ვალდებულება, კონვენციის 1-ლი მუხლის ვალდებულებასთან ერთად წაკითხვით („თავიანთი იურისდიქციის ფარგლებში ყველასათვის უზრუნველყოფენ ამ კონვენციით განსაზღვრულ უფლებებს“), მოითხოვს, რომ არსებობდეს ეფექტიანი ოფიციალური გამოძიების რაიმე ფორმა, როდესაც ინდივიდუალური პირის სიცოცხლის ხელყოფა გამოწვეულია ძალის გამოყენებით, *inter alia*, სახელმწიფო მუშაკის მიერ.

162. თუმცა, წინამდებარე საქმეში სასამართლო საჭიროდ არ მიიჩნევს, დაადგინოს, რა სახით და რა პირობებში უნდა განხორციელდეს ეს გამოძიება, რადგან ნამდვილად ჩატარდა საჯარო მოკვლევის პროცესი, სადაც განმცხადებლები კანონიერად იყვნენ წარმოდგენილი და, სადაც სამოცდაცხრამეტ მონმეს მოუსმინეს. გარდა ამისა, პროცესი ცხრამეტი დღე გაგრძელდა და, როგორც მოკვლევის სქელტანიანი ჩანაწერები უჩვენებს, მასზე დეტალურად განიხილეს მკვლელობასთან დაკავშირებული მოვლენები. ამასთან, როგორც ჩანაწერებიდან ჩანს, კორონერის მიერ მსაჯულებისათვის წარდგენილი შემაჯამებელი მოხსენების ჩათვლით, განმცხადებლების სახელით მოქმედ ადვოკატებს შეეძლოთ, გამოეკვლიათ და ჯვარედინი დაკითხვა ჩატარებინათ ძირითად მონმეებთან, სამხედრო და პოლიციის იმ მუშაკების ჩათვლით, რომლებიც ჩართული იყვნენ ანტიტერორისტული ოპერაციის დაგეგმვასა და განხორციელებაში, ასევე, სურვილის შემთხვევაში, საშუალება ჰქონდათ, განცხადებები გაეკეთებინათ პროცესის მსვლელობისას.

163. ზემოაღნიშნულის შუქზე სასამართლოს არ მიაჩნია, რომ მოკვლევის პროცესის სავარაუდო ხარვეზებმა – რომლებზედაც მიუთითებენ როგორც განმცხადებლები, ისე პროცესში ნებაყოფლობით ჩართული პირები – მნიშვნელოვნად შეაფერხეს მკვლელობასთან დაკავშირებული გარემოებების სრული, მიუკერძოებელი და გულმოდგინე გამოკვლევა.

164. ამრიგად, ამ საფუძველზე კონვენციის მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევას ადგილი არ ჰქონდა.

**B. მე-2 მუხლის გამოყენება საქმის ფაქტებთან მიმართებით**

**1. მტკიცებულების შეფასების ზოგადი მიდგომა**

165. მიუხედავად იმისა, რომ კონვენციის ინსტიტუტები მოკვლევის პროცესის მსაჯულთა გადანყვეტილებებთან რაიმე ფორმალური არსით დაკავშირებული არ არიან, მთავრობამ განაცხადა, რომ ვერდიქტებს ძირითადი მნიშვნელობა ენიჭება დალუპულთა სიკვდილის ნებისმიერ შემდგომ გამოკვლევაში. ამიტომ სასამართლომ საგულისხმო წონა უნდა მიანიჭოს მსაჯულთა ვერდიქტებს, როდესაც არ არის რაიმე მინიშნება, რომ ეს ვერდიქტები იყო შეუსაბამო. ამასთან დაკავშირებით, მსაჯულები ერთმნიშვნელოვნად ჯეროვნად იყვნენ შერჩეული, რათა შეეფასებინათ სროლასთან დაკავშირებული გარემოებები. მსაჯულებმა მოისმინეს და იხილეს სამოცდაცხრამეტივე მონმე, რომლებმაც ჩვენებები მისცეს, ასევე, განხორციელდა ჯვარედინი დაკითხვა. ამის მეშვეობით, მათ შეეძლოთ, შეეფასებინათ მონმეთა ჩვენებების საიმედოობა და მათი მტკიცებულებად გამოყენების ღირებულება. მთავრობამ მიუთითა, რომ მსაჯულებმა მოისმინეს სხვადასხვა მხარის განცხადებები, დალუპულთა ადვოკატების ჩათვლით.



166. მეორე მხრივ, განმცხადებლები ამტკიცებდნენ, რომ მოკვლევის პროცესები, მისი ბუნებიდან გამომდინარე, სადავო მკვლევლობების სრული და დეტალური მოკვლევისათვის არასათანადოდ არის აღჭურვილი. გარდა ამისა, მოკვლევას მკვლევლობები არ განუხილავს „პროპორციულობის“ ან „აბსოლუტური აუცილებლობის“ კუთხით, არამედ გამოიყენა „გონივრული ძალის“ ან „გონივრული აუცილებლობის“ ნაკლებად მკაცრი ტესტი. გარდა ამისა, მსაჯულები კონცენტრირებული იყვნენ ჯარისკაცთა ქმედებებზე, რომელთაც გახსნეს ცეცხლი, და არკვევდნენ მათი სისხლისსამართლებრივი ბრალეულობის საკითხს. მათ არ უმსჯელიათ ისეთ თემებზე, როგორიცაა გაუფრთხილებლობა და ოპერაციის არაგონიერი დაგეგმვა.

170. ... სასამართლო აღნიშნავს, რომ მსაჯულებს საშუალება ჰქონდათ, პირადად მოესმინათ მოწმეებისათვის, დაკვირვებოდნენ მათ ქცევას და შეეფასებინათ მათი ჩვენების მტკიცებულებად გამოყენების ღირებულება.

მიუხედავად ამისა, უნდა გვახსოვდეს, რომ მსაჯულთა გადანყვეტილება შემოიფარგლა სიცოცხლის კანონიერ ხელყოფასთან დაკავშირებული გადანყვეტილებით და, როგორც ჩვეულებრივ ხდება, არ წარმოდგენია მის მიერ გაკეთებული დასკვნის დასაბუთება. გარდა ამისა, მოკვლევის პროცესის აქცენტი და მსაჯულთა მიერ გამოყენებული ნორმა ითვალისწინებდა, გაერკვიათ, ჯარისკაცთა მიერ ჩადენილი მკვლევლობები იყო თუ არა „გონივრულად გამართლებული“ მოცემულ გარემოებებში, რაც განსხვავდება იმის შეფასებისგან, იყო თუ არა ეს ქმედებები „აბსოლუტური აუცილებლობით“ გამონეწეული მე-2 მუხლის ზემოთ ჩამოყალიბებული მნიშვნელობით (იხ. ზემოთ პუნქტები 120, 148-149).

171. ამ ფონზე, სასამართლომ საკუთარი შეფასება უნდა მისცეს, ავლენს თუ არა კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევას კომისიის მიერ დადგენილი ფაქტები.

172. განმცხადებლები აგრეთვე ამტკიცებდნენ, რომ, როდესაც ხდება სახელმწიფოს ქმედების შესწავლა ისეთ საქმეში, სადაც სასიკვდილო ძალის განზრახ გამოყენება თვალსაჩინოდ არის განხილული წერილობით, სასამართლომ მთავრობას უნდა დააკისროს მტკიცების ტვირთი, რომ ოპერაციის დაგეგმვა და განხორციელება „გონივრული ეჭვის მიღმა“ სტანდარტის შესაბამისად, აკმაყოფილებდა კონვენციის მე-2 მუხლს. ამასთანავე, იგი სახელმწიფო ორგანოებს არ უნდა უტოვებდეს ეჭვს იმასთან დაკავშირებით, რომ თითქოსდა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხი განიხილება.

173. წინამდებარე საქმეში მე-2 მუხლის დარღვევის ალბათობის განსაზღვრისას სასამართლო არ ახდენს მოვლენაში პირდაპირ თუ არაპირდაპირ ჩართულ პირთა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხის შეფასებას. ამიტომ, მისი ჩვეული პრაქტიკიდან გამომდინარე, იგი საკითხს შეაფასებს განმცხადებლებისა და მთავრობის მიერ მის წინაშე წარმოდგენილი ყველა მასალის შუქზე ან, საჭიროების შემთხვევაში, საკუთარი ძალისხმევით მოპოვებული მასალების საფუძველზე (იხ. *ირლანდია გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, 1978 წლის 18 იანვრის გადანყვეტილება, Series A no. 25, გვ. 64, პუნქტი 160, და *ზემოაღნიშნული საქმე კრუზ ვარასი და სხვები*, გვ. 29, პუნქტი 75).

## 2. განმცხადებელთა ვარაუდი, რომ ადგილი ჰქონდა განზრახ მკვლევობას

174. განმცხადებლები ამტკიცებდნენ, რომ ადგილი ჰქონდა დალუპულთა განზრახ მკვლევობას. მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს მტკიცებულება, თითქოს თავდაცვის სამინისტროს მაღალი რანგის მუშაკებისაგან გაიცა პირდაპირი

ბრძანება, ისინი აცხადებენ, რომ მათი ვარაუდის დასადასტურებლად მყარი არაპირდაპირი (გარემოებითი) მტკიცებულება არსებობს. სასიკვდილო სროლის გახსნა წინამდებარე საქმეში, სავარაუდოდ, გამოიწვია ჯარისკაცებისათვის მცდარი ინფორმაციის მიწოდებამ. სპეციალური საჭაერო ძალების გამოყენება თავისთავად უჩვენებს, რომ ადგილი ჰქონდა განზრახ მკვლელობას.

175. ისინი აგრეთვე აცხადებდნენ, რომ გიბრალტარის პოლიციას არ შეეძლებოდა სცოდნოდა ამგვარი უკანონო ჩანაფიქრის შესახებ. ისინი მიუთითებდნენ, რომ საჭაერო ძალების ოფიცერმა E-მ თავის ხელქვეითებს საიდუმლო მითითება მისცა, რის შესახებაც გიბრალტარის პოლიცია საქმის კურსში არ იყო. უფრო მეტიც, როდესაც სროლის შემდეგ ჯარისკაცები პოლიციის განყოფილებაში მივიდნენ, მათ არმიის ადვოკატი ახლდა, რომელმაც განმარტა, რომ ჯარისკაცები იქ მხოლოდ იარაღის გადაცემის მიზნით იყვნენ. გარდა ამისა, ჯარისკაცები დაუყოვნებლივ გაიყვანეს გიბრალტარიდან ისე, რომ ისინი პოლიციას არ დაუკითხავს.

176. განმცხადებლები მათი საჩივრის გასამყარებლად, სხვა ფაქტორებთან ერთად, შემდეგ ფაქტორებზეც მიუთითებდნენ:

- აფეთქების თავიდან აცილებისა და ეჭვმიტანილთა დასაკავებლად ყველაზე საუკეთესო და უსაფრთხო მეთოდი, მათი და მათი ბომბის გიბრალტარში შესვლამდე, დაკავება იქნებოდა. ხელისუფლებას ჰქონდა მათი ფოტოსურათები, პასპორტები, აგრეთვე, იცოდნენ მათი სახელები და ფლობდნენ ინფორმაციას მათი მოკავშირეების შესახებ;

- თუ ეჭვმიტანილებს მალაგიდან გიბრალტარამდინტენსიურად უთვალთვალედა ესპანეთის ხელისუფლება, როგორც ამას ჟურნალისტიბ-ნიდებელიუსი ამტკიცებს, შენიშნავდნენ თეთრი ფერის რენოს მარკის ავტომანქანის დაქირავებას და აღმოაჩენდნენ, რომ მასში ბომბი არ იყო (იხ. ზემოთ პუნქტი 128);

- ზემოაღნიშნულ განცხადებას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ ხელისუფლებამ, საზოგადოების დაცვის მიზნით, ვერ შეძლო ბომბის იზოლირება და ადგილის განმენდა. გიბრალტარში ჯარისკაცთა დიდი რაოდენობა იმყოფებოდა, რომლებსაც საეჭვო დანალმული ადგილის სწრაფი განმენდის გამოცდილება ჰქონდათ. უსაფრთხოების პროცედურის ეს შეცდომა მხოლოდ იმით აიხსნება, რომ უშიშროების სამსახურებმა იცოდნენ, მანქანაში ბომბი არ იყო;

- ჯარისკაცმა G-მ, რომელიც მანქანის შესამონმებლად გაუშვეს და, რომელმაც უპატაკა, რომ იქ იყო დანალმული მანქანა, მოკვლევის პროცესზე განაცხადა, რომ იგი არ იყო რადიო სიგნალების გადაცემის ექსპერტი (იხ. ზემოთ პუნქტი 53). ეს ძალზე საგულისხმოა, ვინაიდან მისი შეფასების ერთადერთ საფუძველს წარმოადგენდა ის ფაქტი, რომ, მისი აზრით, რადიოანტენა უფრო ძველის შთაბეჭდილებას ტოვებდა, ვიდრე მანქანა. პროფესიონალი ექსპერტი გადანყვეტდა ანტენის ამოღებას, რათა გამოერთო რადიო დეტონატორი, რაც ასაფეთქებელი მოწყობილობის დესტაბილიზაციის გარეშე განხორციელდებოდა, როგორც ამას დოქტორი სკოტი ადასტურებს. მას აგრეთვე ეცოდინებოდა, რომ, თუ ეჭვმიტანილები ბომბის აფეთქებას რადიოსიგნალის მეშვეობით აპირებდნენ, ისინი გამოიყენებდნენ არა დაჟანგებულ ანტენას – რაც მკაფიო სიგნალის მიღების შესაძლებლობას შეამცირებდა, არამედ სუფთას (იხ. ზემოთ პუნქტი 114). მისი ჩვენებიდან დადგინდა, რომ იგი არც ასაფეთქებელი მოწყობილობების ექსპერტი გახლდათ. ამრიგად, არსებობდა ვარაუდი, რომ ჯარისკაც G-ის ქეშმარიტი როლი იყო, მოეხსენებინა დანალმული მანქანის არსებობის შესახებ, რათა გიბრალტარის პოლიცია იძულებული გამხდარიყო, ხელი მოეწერა დოკუმენტზე, რომელიც სპეციალური საჭაერო ძალების წარმომადგენლებს სასიკვდილო ძალის გამოყენების უფლებამოსილებას მისცემდა.

177. მთავრობის მიერ წარმოდგენილ მასალაში მსაჯულთა მიერ მიღებული კანონიერი მკვლელობის ვერდიქტი უჩვენებს, რომ მათ ფაქტის სახით დაადგინეს, თითქოს არ არსებობდა სამი ტერორისტის მოკვლის გეგმა, რომ გიბრალტარის ოპერაცია ამგვარად არ იყო ჩაფიქრებული და არც ამ მიზნით ვითარდებოდა. ოპერაციის მიზანს წარმოადგენდა სამი ტერორისტის ეფექტიანი დაკავება და ამის გამო მოხდა სამხედროების მხარდაჭერის მოთხოვნა. გარდა ამისა, მსაჯულებმა უარყვეს განმცხადებლების არგუმენტი, რომ A, B, C და D ჯარისკაცებმა შეგნებულად გადაწყვიტეს ტერორისტების მოკვლა — ან იმიტომ, რომ მკაფიო ბრძანება ჰქონდათ მიღებული, ან იმის გამო, რომ მათ ამის შესახებ „მიანიშნეს“.

179. სასამართლოს მიაჩნია, რომ მას დამაჯერებელი მტკიცებულება სჭირდება, სანამ დაასკვნიდეს, თითქოს არსებობდა წინასწარი გეგმა განმცხადებელთა მიერ ჩამოყალიბებულ მოსაზრებებთან დაკავშირებით.

180. სასამართლოს, მის ხელთ არსებული მასალის გამოკვლევის შუქზე, დასაბუთებულად არ მიაჩნია, რომ თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობას ან მთავრობას მკვლელობა ჰქონდა განზრახული, ან რომ ზემდგომმა ოფიცრებმა A, B, C და D ჯარისკაცებს ხელი შეუწყვეს ან ოპერაციის წინ მითითება მისცეს, ან რომ მათ მართლაც საკუთარი ინიციატივით მოკლეს ეჭვმიტანილები მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობდა სასიკვდილო ძალის რაიმე გამამართლებელი საფუძველი, ან არ დაემორჩილნენ დაკავების ბრძანებას, რომელიც მათ მიიღეს. არც იმის მტკიცებულება არსებობს, რომ ხელისუფლების მხრიდან ადგილი ჰქონდა სამი ეჭვმიტანილის მოკვლის ხელშეწყობას რაიმე მინიშნების ან ინსინუაციის მეშვეობით.

181. ფაქტორები, რომლებსაც განმცხადებლები ეყრდნობიან, არის ვარაუდთა ერთობლიობა, რომ ხელისუფლების ორგანოებს უნდა სცოდნოდათ მანქანაში ბომბის არარსებობის შესახებ. თუმცა, თუ გავითვალისწინებთ მათთვის დაზვერვის მიერ მიწოდებულ ინფორმაციას, სამი ტერორისტის შესახებ მონაცემების ფლობას (სამივე მათგანს შეხება ჰქონდა აფეთქებებთან) და, აგრეთვე, იმ ფაქტს, რომ დაინახეს ბატონი სავაჯი როგორ „ათამაშებდა“ ხელში რალაცას მანქანიდან გადმოსვლამდე (იხ. ზემოთ პუნქტი 38), იმის დაჯერება, რომ მანქანაში ბომბი იყო, არ შეიძლება აბსოლუტურად შეუძლებლად ან სრულიად უსაფუძვლოდ ჩაითვალოს.

182. კერძოდ, გიბრალტარში მათ შემოსვლასთან დაკავშირებით მიღებულ განმცხადებლებას კრიტიკა მოჰყვა, რადგან, ამით გამონვეული რისკის გათვალისწინებით, არაფერი გაკეთებულა იმისათვის, რომ ემოქმედათ მრჩეველთა საბჭოს მიერ ჩამოყალიბებული დაკავების სტრატეგიის შესაბამისად და სამივე ეჭვმიტანილი გიბრალტარში შემოსვლამდე დაეკავებინათ. იგივე მრჩეველთა ჯგუფი აღნიშნავდა, რომ აფეთქების მისიის მიმართ მათი მსჯავრდებისათვის საკმარისი მტკიცებულება არსებობდა (იხ. ზემოთ პუნქტი 37).

183. სასამართლო ვერ გაიზიარებს განმცხადებელთა მტკიცებას, რომ სპეციალური საჰაერო ძალების გამოყენება, თავისთავად, წარმოადგენს ეჭვმიტანილთა მოკვლის განზრახვის მტკიცებულებას. ამ თვალსაზრისით, იგი მიუთითებს, რომ ეს არის საჰაერო ძალების სპეციალური დანაყოფი, სადაც ტერორისტთა წინააღმდეგ ბრძოლისთვის განვრთნილ სპეციალისტებს იღებენ. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ ხელისუფლება, რომელსაც ინფორმაცია ჰქონდა ტერორისტთა სავარაუდო შეტევის შესახებ, სპეციალური საჰაერო დანაყოფის უნარსა და გამოცდილებას გამოიყენებდა, რათა მაქსიმალურად უსაფრთხოდ და გააზრებულად გამკლავებოდა მოსალოდნელ საფრთხეს.



184. აქედან გამომდინარე, სასამართლო უარყოფს განმცხადებელთა ვარაუდებს, როგორც დაუსაბუთებელს, რომ სამი ექვმიტანილის მკვლელობა იყო განზრახვი ქმედება ან ოპერაციაში ჩართულ პირთა ჩუმი შეთანხმების შედეგი.

### 3. ოპერაციის ჩატარება და დაგეგმვა

#### (ა) სასამართლოში გამოცხადებულთა არგუმენტები

##### (1) განმცხადებლები

185. განმცხადებელთა თქმით, სასამართლო არასწორად მოიქცეოდა, როგორც ეს კომისიამ გააკეთა, თუ შეფასებისას იმ ჯარისკაცთა შესაძლო გამართლების საკითხით შემოიფარგლებოდა, რომლებმაც, ფაქტობრივად, მოკლეს ექვმიტანილები. მან უნდა გამოიკვლიოს მთავრობის პასუხისმგებლობა ოპერაციის ყველა ასპექტთან მიმართებით. ჯარისკაცები მართლაც შეიძლება გაემართლებინა სისხლის სამართლის სასამართლოს, თუ დაასაბუთებდნენ, რომ მათ პატიოსნად ირწმუნეს მათთვის მიცემული უსაფუძვლო და მცდარი ინფორმაცია.

186. E ოფიცერმა (შეტყვის მეთაური) ჯარისკაცებს უთხრა, რომ ექვმიტანილებმა გიბრალტარში დანაღმული მანქანა მოათავსეს, მაშინ, როცა G ჯარისკაცმა, ასაფეთქებელმონოცილობათა გაუზნებელყოფის ექსპერტმა, გააკეთა მოხსენება, რომ ეს იყო საექვო ბომბი, ამასთან, დისტანციური მართვის და რომ თითოეულ ექვმიტანილს მისი მოქმედებაში მოყვანა გიბრალტარის ნებისმიერი კუთხიდან შეეძლო ღილაკზე თითის უბრალო დაჭერით და ისინი უყოყმანოდ გააკეთებდნენ ამას პრობლემის აღმოჩენის მომენტში. რეალურად, ეს „ვარაუდები“ და „ფაქტები“ სხვა არაფერი იყო, თუ არა ეჭვები ან არაერთგვაროვანი შეფასებები. თუმცა, ეს ჯარისკაცებს მიაწოდეს როგორც ფაქტები, რომლებიც განვრთნილი იყვნენ სროლაში არა მხოლოდ საფრთხის უბრალო მინიშნების დროს, არამედ — როგორც ეს მოკვლევის დროს მინოდებულმა მტკიცებულებამ უჩვენა — სროლის გაგრძელებაშიც, სანამ თავიანთ სამიზნეს არ მოკლავდნენ.

დასკვნის სახით, მათ განაცხადეს, რომ ადამიანთა სიცოცხლის ხელყოფა შედეგად მოჰყვა სამი ექვმიტანილის დასაკავებლად არაკომპეტენტურად და გულგრილად დაგეგმილ და განხორციელებულ ანტიტერორისტულ ოპერაციას, აგრეთვე, მოსალოდნელი საფრთხის თავიდან აცილებასა და ექვმიტანილთა სიცოცხლის უფლებას შორის სათანადო ბალანსის დაუცველობას.

##### (2) მთავრობა

187. მთავრობამ განაცხადა, რომ ჯარისკაცთა ქმედება აბსოლუტურ აუცილებლობას წარმოადგენდა ადამიანთა უკანონო ძალადობისაგან დასაცავად, კონვენციის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის მინიშნელობით. თითოეულ მათგანს მხოლოდ ერთი ნაბი ჰქონდა გადაწყვეტილების მისაღებად, რასაც შესაძლოა მრავალი ადამიანის სიცოცხლე შეენირა. ისინი დარწმუნებული იყვნენ, რომ ექვმიტანილთა ქმედებები, რომლებიც მათ იმ მომენტისათვის დააფიქსირეს, ქმნიდა შთაბეჭდილებას, თითქოსდა ტერორისტები ბომბის აფეთქებას აპირებდნენ. ეს ჩვენება სხვა მოწმეებმაც დაადასტურეს, რომლებმაც დანახეს აღნიშნული მოძრაობა. თუ დავუშვებთ, რომ ჯარისკაცებს პატიოსნად და გონივრულად სჯეროდათ, რომ ცეცხლი გაუხსნეს ტერორისტებს, რომლებიც ღილაკზე თითის დაჭერით ბომბის ამოქმედებას აპირებდნენ, მაშინ მათ ცეცხლის გახსნის გარდა სხვა ალტერნატივა არ ჰქონდათ.

188. ისინი აგრეთვე მიუთითებდნენ, რომ ხელისუფლების ხელთ არსებული ინფორმაციის დიდი ნაწილი და მათ მიერ გაკეთებული შეფასებები ზუსტი იყო. სამი დალუპული გახლდათ ირლანდიის რესპუბლიკური არმიის მოქმედი ქვედანაყოფის წევრი, რომელიც ოპერაციას გეგმავდა გიბრალტარში; მათ კონტროლს ექვემდებარებოდა ასაფეთქებელ სამუშაებათა დიდი რაოდენობა, რომელიც შემდგომში ესპანეთში იპოვეს; ოპერაცია კი დანალმული მანქანის სახით იყო გათვალისწინებული. აქედან გამომდინარე, გიბრალტარში მყოფთა სიცოცხლეს ემუქრებოდა არა მხოლოდ რეალური საფრთხე, არამედ ეს საფრთხე იყო ასევე უკიდურესად სერიოზული.

189. მთავრობამ აგრეთვე განაცხადა, რომ ანტიტერორისტული ოპერაციების დაგეგმვის გამოკვლევისას გათვალისწინებული უნდა იქნეს ის ფაქტი, რომ დაზვერვის შეფასებები ეყრდნობა არასრულ ინფორმაციას, რის გამოც სრული სურათის მხოლოდ ფრაგმენტები ხდება ცნობილი. გარდა ამისა, როგორც პრაქტიკამ უჩვენა, ირლანდიის რესპუბლიკური არმია განსაკუთრებით მკაცრი და უნარიანი იყო კონტრდაზვერვის მეთოდების გამოყენებაში და ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ ხელისუფლებისათვის მისი ზრახვები დაემალა. ამასთან, ჩრდილოეთ ირლანდიის გამოცდილებამ უჩვენა, რომ ირლანდიის რესპუბლიკური არმია მუდმივად და სწრაფად ავითარებდა ახალ ტექნოლოგიებს. ამრიგად, მათ მხედველობაში უნდა მიეღოთ, რომ შესაძლებელი იყო ტერორისტებს უფრო დახვეწილი და ადვილად დასამალი რადიო-მაკონტროლებელი მოწყობილობები ჰქონდათ, ვიდრე მანამდე იყო ცნობილი ირლანდიის რესპუბლიკური არმიის აღჭურვილობაში. და ბოლოს, მოქმედი სამსახურის დანაყოფის მიერ შექმნილი საფრთხის არაფეროვან შეფასებას შეიძლება კატასტროფული შედეგი მოჰყოლოდა. თუ ისინი მოახერხებდნენ, აეფეთქებინათ იმ ტიპისა და ზომის ბომბი, როგორც ესპანეთში იპოვეს, მანქანის სადგომზე მყოფი ყველა ადამიანი დაიღუპებოდა ან მძიმედ დასახიჩრდებოდა, ხოლო მიმდებარე შენობებში, სადაც სხვა შენობებთან ერთად, სკოლა და მოხუცთა თავშესაფარიც იყო, სერიოზულად დაზარალდებოდნენ.

190. ხელისუფლებისათვის ცნობილი შეზღუდული ინფორმაციის შუქზე, ოპერაციასთან დაკავშირებით დაზვერვის მიერ გაკეთებული შეფასებები გონივრული იყო, რის საფუძველზეც შეიძლებოდა გაკეთებულიყო დასკვნა, რომ ტერორისტთა ძალებისა და რესურსების არაფეროვან შეფასებას შეიძლება დამანგრეველი შედეგი მოჰყოლოდა. ამასთან დაკავშირებით, მთავრობამ შემდეგი არგუმენტები წარმოადგინა:

- დარწმუნებული იყვნენ, რომ გამოყენებული იქნებოდა დისტანციური მართვის მოწყობილობა, რადგან ეს ტერორისტებს გაქცევის უკეთეს შანსს მისცემდა და გაზრდიდა მათ შესაძლებლობას, მეტი მსხვერპლი გამოენივიათ სამხედროებს და არა სამოქალაქო პირებს შორის. გარდა ამისა, ექვსი კვირის წინ ირლანდიის რესპუბლიკურმა არმიამ სწორედ ასეთი მოწყობილობა გამოიყენა ბრიუსელში.
- ვარაუდობდნენ, რომ სასამართლოს წინაშე წარმოდგენილი დისტანციური მართვის მოწყობილობის მსგავს მექანიზმს ადამიანი ადვილად დამალავდა სხეულზე. თვით ჯარისკაცებმა წარმატებით დამალეს იმავე ზომის რადიო.
- როგორც კაპიტანმა ედვარდსმა მოკვლევის პროცესზე თავის ჩვენებაში განაცხადა, ჩატარებულმა ტესტებმა უჩვენეს, რომ ავტოსადგომზე ბომბის აფეთქება იმ ადგილიდან უნდა მომხდარიყო, სადაც ტერორისტებს ესროლეს (იხ. ზემოთ პუნქტი 116).
- წარსულის გამოცდილება უჩვენებდა, რომ ტერორისტთა ასაფეთქებელი მოწყობილობის ამოქმედება მხოლოდ ღილაკზე თითის დაჭერით იქნებოდა შესაძლებელი.

- როგორც მონმე O-მ მოკვლევის პროცესზე განაცხადა, დამბლოკავი მანქანა არ იქნებოდა საჭირო, რადგან ტერორისტებმა იცოდნენ, რომ 8 მარტს თავისუფალი ადგილის პოვნა არ გაუჭირდებოდათ. ამასთან, ეს საშიში იყო, რადგან მაშინ მათ ორჯერ მოუწევდათ გიბრალტარში შემოსვლა, რაც მნიშვნელოვნად გაზრდიდა მათი აღმოჩენის რისკს (იხ. ზემოთ პუნქტი 23(ე)).

- G ფარისკაცის კეთილსინდისიერ შეფასებაში, რომ ეს დანაღმული მანქანა იყო, ეჭვის შეტანის საფუძველი არ არსებობდა. თავდაპირველად, მან მისცა ჩვენება, რომ იგი კარგად იცნობდა დანაღმულ მანქანებს. გარდა ამისა, მანქანა სადგომზე გააჩერა ბომბების დამზადების ცნობილმა ოსტატმა, რომელიც დაინახეს, თუ როგორ „ათამაშებდა“ რალაცას მანქანის სავარძლებს შორის, ხოლო მანქანის ანტენა თითქოს თავის ადგილას არ იყო. ირლანდიის რესპუბლიკური არმიის დანაღმული მანქანები ცნობილი იყო იმით, რომ მათ ჰქონდათ სპეციალურად მორგებული ანტენები და G-ს არ შეეძლო, მხოლოდ გარეგნული დათვალიერებით, დარწმუნებით ეთქვა, რომ მანქანაში ბომბი არ იყო (იხ. ზემოთ პუნქტი 48). გარდა ამისა, როგორც ჩანდა, სამივე ეჭვიმტანილი გიბრალტარის დატოვებას აპირებდა. და ბოლოს, მანქანის გარშემო სივრცისთვის კორდონის შემორტყმის ოპერაცია ამ შეფასების გაკეთებიდან მხოლოდ 20 წუთის შემდეგ დაიწყო, რადგან არ ჰყავდათ საჭირო რაოდენობის ცოცხალი ძალა, ხოლო ევაკუაციის გეგმის განხორციელება 7 ან 8 მარტამდე არ იყო გათვალისწინებული.

- არაგონივრული იქნებოდა, ხელისუფლებას ევარაუდა, რომ შესაძლოა, ტერორისტებს არ აემოქმედებინათ ბომბი, თუ ისინი პრობლემის წინაშე აღმოჩნდებოდნენ. ირლანდიის რესპუბლიკურ არმიას, რომელიც საომარ მოქმედებებს აწარმოებდა გაერთიანებულ სამეფოსთან, ჰყავდა ტერორისტები, რომლებმაც, მათი აზრით, უკვე უჩვენეს, რომ არად აგდებდნენ საკუთარ უსაფრთხოებას. კვლავ არსებობდა რისკი, რომ, თუ ისინი არჩევანის წინაშე დადგებოდნენ — აეფეთქებინათ ბომბი, რომელიც მშვიდობიანი სამოქალაქო პირების სიცოცხლეს შეინირადა, თუ საერთოდ არ მოეხდინათ აფეთქება — ტერორისტები ალბათ პირველ ვარიანტს ამჯობინებდნენ.

## **(ბ) სასამართლოს შეფასება**

### **(1) წინასწარი მოსაზრებები**

192. კონვენციის მე-2 მუხლის საფუძველზე ჩატარებული გამოკვლევისას სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს, რომ გაერთიანებული სამეფოს ხელისუფლებამ, მიიღო რა ინფორმაცია გიბრალტარში მოსალოდნელი ტერორისტული შეტევის შესახებ, იგი სერიოზული დილემის წინაშე აღმოჩნდა. ერთი მხრივ, მათ გიბრალტარის მოსახლეობის დაცვა მოეთხოვებოდათ — საკუთარი სამხედრო მოსამსახურეების ჩათვლით — ხოლო, მეორე მხრივ, მინიმალური სასიკვდილო ძალა უნდა გამოეყენებინათ საშიშროების შემქმნელი ეჭვიმტანილების წინააღმდეგ, იმ ვალდებულებათა შესაბამისად, რომელიც მათ მიდასახელმწიფო და საერთაშორისო სამართლით ჰქონდათ დაკისრებული.

193. აგრეთვე, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მრავალი სხვა ფაქტორი:

პირველ რიგში, ხელისუფლების წინაშე იდგა ირლანდიის რესპუბლიკური არმიის მოქმედი სამსახურის დანაყოფი, რომელშიც შედიოდნენ აფეთქებების გამო მსჯავრდებული ადამიანები და ასაფეთქებელ მონყობილობათა ცნობილი ექსპერტი. ირლანდიის რესპუბლიკური არმია, როგორც ამას მისი წარსული უჩვენებდა, არაფრად აგდებდა ადამიანის სიცოცხლეს, საკუთარი წევრების ჩათვლით.

მეორე – ხელისუფლებას წინასწარ ჰქონდა ინფორმაცია მოსალოდნელი ტერორისტული აქტის შესახებ და, ამდენად, მას ჰქონდა შესაძლებლობა, დაეგეგმა ოპერაცია და გიბრალტარის ადგილობრივ ხელისუფლებასთან ერთად შესაბამისი ზომები მიეღო შეტევის ჩასაშლელად და ეჭვმიტანილთა დასაკავებლად. თუმცა, უდავოა, რომ უშიშროების სამსახურებს ვერ ექნებოდა სრული ინფორმაცია აღნიშნულ ფაქტებთან დაკავშირებით და თავიანთი სტრატეგია არასრული ვარაუდების საფუძველზე უნდა აეგოთ.

194. ამ ფონზე, გამოყენებული ძალის მე-2 მუხლის შესაბამისობის გამოკვლევისას, სასამართლომ გულდასმით უნდა შეამოწმოს, როგორც ზემოთ იყო ხსენებული, არა მხოლოდ ის, იყო თუ არა ჯარისკაცების მიერ გამოყენებული ძალა ადამიანთა დაცვის მიზნის ზუსტად პროპორციული, არამედ ისიც, იყო თუ არა ხელისუფლების მიერ ოპერაცია იმგვარად დაგეგმილი და გაკონტროლებული, რომ მაქსიმალურად შეემცილებინა სასიკვდილო ძალის გამოყენება. სასამართლო ამ ორ საკითხს ერთმანეთის მიმდევრობით განიხილავს.

## (2) ჯარისკაცთა ქმედებები

195. მითითებულ იქნა, რომ ჯარისკაცებმა, რომლებმაც სროლა განახორციელეს (A, B, G და D), მათი ზემდგომისაგან მიიღეს ინფორმაცია, რომ ადგილზე იყო დანალმული მანქანა, რომელიც შეიძლებოდა სამი ეჭვმიტანილიდან ნებისმიერს აეფეთქებინა რადიო-დისტანციური მოწყობილობის მეშვეობით. ეს მოწყობილობა შესაძლოა ადამიანს სხეულზე ჰქონოდა დამალული და მისი ამოქმედება ღილაკზე ერთი თითის დაჭერით იყო შესაძლებელი; ამასთან, დიდი იყო ალბათობა, რომ პრობლემატური სიტუაციის შემთხვევაში, ისინი ბომბს მოქმედებაში მოიყვანდნენ, რაც დიდ მსხვერპლს და ადამიანთა დასახიჩრებას გამოიწვევდა და რომ ისინი, სავარაუდოდ, შეიარაღებული იყვნენ და წინააღმდეგობას გაუწევდნენ (იხ. ზემოთ პუნქტი 23, 24-27 და 28-31).

196. ბ-ნი მაკკანისა და ქ-ნი ფარელის დალუპვასთან დაკავშირებით, სასამართლო მიუთითებს კომისიის დასკვნაზე, რომ ისინი დახოცეს ახლო მიჯრით მას შემდეგ, რაც A და B ჯარისკაცებს მოეჩვენათ, თითქოს მათ საშიში მოძრაობა გააკეთეს, რაც ბომბის დეტონაციაში მოყვანის მოძრაობას ნააგავდა (იხ. ზემოთ პუნქტი 132). მტკიცებულებამ უჩვენა, რომ ისინი დაილუპნენ მინაზე დანარცხებისას და არა მაშინ, როდესაც მინაზე იწვნენ (იხ. ზემოთ პუნქტი 59-67). ოთხმა მოწმემ გაიგო გამაფრთხილებელი ყვირილი (იხ. ზემოთ პუნქტი 75). ოფიცერმა P-მ დაადანტურა ოთხი ჯარისკაცის ჩვენება ეჭვმიტანილთა ხელების მოძრაობის შესახებ (იხ. ზემოთ პუნქტი 76). ოფიცერმა Q-მ და პოლიციის კონსტებლმა პაროდიმ აგრეთვე დაადასტურეს, რომ ქ-ნმა ფარელიმ მოულოდნელი, საეჭვო მოძრაობა გააკეთა მისი ხელჩანთის მიმართულებით (იქვე).

197. ბ-ნი სავაჯის მოკვლასთან დაკავშირებით, ჩვენებების შედეგად გამოვლინდა, რომ შელის გარაჟთან (მაკკანი და ფარელი) სროლასა და ლენდჰორტის გვირაბთან (სავაჯი) სროლას შორის მხოლოდ რამდენიმე წამი იყო განსხვავება. კომისიამ დაადგინა, რომ C და D ჯარისკაცები ვერ შეესწრებოდნენ პირველ გასროლას, სანამ სავაჯს გაეკიდებოდნენ, რომელიც მას შემდეგ შემობრუნდა, რაც პოლიციის სირენის ან სროლის ხმა გაიგო (იხ. ზემოთ პუნქტი 132).

ჯარისკაცმა C-მ ცეცხლი იმიტომ გახსნა, რომ ბ-ნმა სავაჯმა ხელი პიჯაკის ჯიბისკენ წაიღო, რითაც ბომბის აფეთქების საშიშროების ვარაუდი წარმოქმნა. გარდა ამისა, C ჯარისკაცმა მის ჯიბეში რალაც მოზრდილი საგანი შეამჩნია, რაც მას დეტონაციის გასააქტიურებელი ეგონა. ცეცხლი აგრეთვე გახსნა D ჯარისკაცმა, რადგან მანაც მიიჩნია, რომ ეჭვმიტანილი სავარაუდო ბომბის მოქმედებაში

მოყვანას ცდილობდა. მოვლენის შესახებ ჯარისკაცთა ვერსია გარკვეულწილად დაადასტურეს მოწმეებმა H-მა და J-მ, რომლებმაც დაინახეს, როგორ შემობრუნდა ბ-ნი სავაჯი, რათა ჯარისკაცების სახე დაენახა, რაც, სავარაუდოდ, პოლიციის სირენის ან პირველი სროლის ხმის გაგონებაზე მისი რეაქცია იყო (იხ. ზემოთ პუნქტი 83 და 85).

კომისიამ დაადგინა, რომ ბ-ნ სავაჯს ახლო ჯერით ესროლეს, სანამ იგი მიწას არ დაენარცხა და, შესაძლოა, სროლისთანავე ან მის შემდეგ დავარდა მიწაზე (იხ. ზემოთ პუნქტი 132). ამ დასკვნას მოკვლევის პროცესზე მხარი დაუჭირა პათოლოგ-ექსპერტის ჩვენებამ (იხ. ზემოთ პუნქტი 110).

198. შემდგომში აღმოჩნდა, რომ ეჭვმიტანილები შეიარაღებული არ იყვნენ, სხეულზე არ ჰქონდათ დეტონატორი და მანქანაში არ იყო ბომბი (იხ. ზემოთ პუნქტი 93 და 96).

199. ოთხივე ჯარისკაცის დასტურებს, რომ სროლა ეჭვმიტანილთა მოკვლის მიზნით განახორციელეს. ისინი მიიჩნევენ, რომ საჭირო იყო სროლის გაგრძელება, სანამ ეჭვმიტანილები ფიზიკურად ვეღარ შეძლებდნენ ასაფეთქებელი მონყობილობის დეტონაციას (იხ. ზემოთ პუნქტები 61, 63, 80 და 120). პათოლოგ-ექსპერტის დასკვნის შესაბამისად, ქ-ნი ფარული რვა ტყვიით იყო მკვდარი, ბ-ნი მაკჰანი – ხუთით, ხოლო ბ-ნი სავაჯი — თექვსმეტით (იხ. ზემოთ პუნქტი 108-110).

200. სასამართლო დასაშვებად მიიჩნევს, რომ ჯარისკაცებს, მიღებული ინფორმაციის შუქზე, გულწრფელად სწამდათ – ბომბის დეტონაციის აღკვეთისა და სერიოზული მსხვერპლის თავიდან აცილების მიზნით, აუცილებელი იყო ეჭვმიტანილთა მოკვლა (იხ. ზემოთ პუნქტი 195). ამასთან, მათ მიერ შემდგომის ბრძანებების შესრულების მიზნით განხორციელებული მოქმედებები იყო აბსოლუტურად აუცილებელი უდანაშაულო ადამიანთა სიცოცხლის გადასარჩენად.

სასამართლოს მიაჩნია, რომ კონვენციის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის ერთ-ერთი მიზნის მისაღწევად სახელმწიფო მუშაკთა მიერ ძალის გამოყენება შეიძლება გამართლებული იქნეს ამ დებულებით (მუხ. 2-2), როდესაც იგი დამყარებულია იმ მომენტისათვის გაცნობიერებულ პატიოსან რწმენაზე, რომელიც შემდეგ შეცდომა აღმოჩნდა. სხვაგვარი მსჯელობით სახელმწიფოს და მის სამართალდაცვის მუშაკებს მათი მოვალეობების შესრულებისას არარეალისტური ტვირთი დაწვებოდათ, ალბათ მათი და სხვათა სიცოცხლის ხარჯზე.

აქედან გამომდინარე, წინამდებარე საქმეში, ხელისუფლების წინაშე არსებული დილემის გათვალისწინებით, თავად ჯარისკაცთა ქმედებები ამ დებულების დარღვევას (მუხ. 2-2) არ წარმოშობს.

201. თუმცა, დგება საკითხი, იყო თუ არა ანტიტერორისტული ოპერაცია მთლიანობაში გაკონტროლებული და ორგანიზებული იმგვარად, რომ დაცული ყოფილიყო მე-2 მუხლის მოთხოვნები და სათანადოდ ითვალისწინებდა თუ არა სამი ეჭვმიტანილის სიცოცხლის უფლებას ჯარისკაცებისათვის მიცემული ინფორმაცია და ინსტრუქციები, რამაც სასიკვდილო ძალის გარდაუვალი გამოყენება გამოიწვია.

### **(3) ოპერაციის კონტროლი და ორგანიზება**

202. სასამართლო, უპირველეს ყოვლისა, აღნიშნავს, რომ, როგორც კომისრის ოპერატიული ბრძანება ადასტურებს, ხელისუფლებას განზრახული ჰქონდა ეჭვმიტანილების დაკავება შესაფერის მომენტში. მოკვლევაზე მისცეს ჩვენება, რომ ჯარისკაცებს დაკავების პროცედურები განხორციელებული ჰქონდათ 6



მარტამდე და ცდილობდნენ შესაფერისი ადგილი მოეძებნათ გიბრალტარში, რათა ეჭვმიტანილები დაკავების შემდეგ დაეპატიმრებინათ (იხ. ზემოთ პუნქტი 18 და 55).

203. საკითხავია, რატომ არ დააკავეს სამი ეჭვმიტანილი საზღვარზე, გიბრალტარში შესვლისას და, როგორც ინსპექტორ ულგერის ჩვენებიდან გამოჩნდა, რატომ მიიღეს გადაწყვეტილება, არ შეეშალათ მათთვის ხელი გიბრალტარში შესასვლელად, თუ სჯეროდათ, რომ ისინი აფეთქების მისიით მიდიოდნენ. ჰქონდათ რა წინასწარი ინფორმაცია ტერორისტთა ზრახვების შესახებ, ხელისუფლებას უდავოდ შეეძლო დაკავების ოპერაციის განხორციელება. მიუხედავად იმისა, რომ ისინი გააკვირვა სამი ეჭვმიტანილის ადრე ჩამოსვლამ, მათ საზღვარზე ჰყავდათ მოთვალთვალეთა და, ასევე დამკავებელთა ჯგუფები (იხ. ზემოთ პუნქტი 34). გარდა ამისა, უშიშროების სამსახურებს და ესპანეთის ხელისუფლებას ჰქონდა სამი ეჭვმიტანილის ფოტოსურათები, იცოდნენ მათი და, აგრეთვე, მათი მეკავშირეების სახელები, ამასთან, იცოდნენ, თუ რა სახის პასპორტები უნდა მოეძებნათ (იხ. ზემოთ პუნქტი 33).

204. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, მთავრობამ განაცხადა, რომ იმ დროისათვის ეჭვმიტანილთა დაკავების შემდეგ მათი გასამართლებისათვის საკმარისი მტკიცებულება შეიძლება არ ჰქონოდათ. უფრო მეტიც, მათი გათავისუფლება უდავოდ შეაშფოთებდა მათ და მიანიშნებდა ხელისუფლების ინფორმირებულობაზე, რაც მათ და სხვებს კიდევ ერთხელ მცდელობის საშუალებას მისცემდა. ეს კი, უეჭველია, გაზრდიდა რისკს. ხელისუფლება ვერც იმაში იქნებოდა დარწმუნებული, რომ მხოლოდ ეს სამი ტერორისტი იქნებოდა დაკავშირებული სავარაუდო აფეთქების ოპერაციასთან.

205. ამ თვალსაზრისით, სასამართლო იფარგლება იმის აღნიშვნით, რომ გიბრალტარის მოსახლეობის წინაშე მდგარ საფრთხეს — რაც წინამდებარე საქმეში მთავრობის არგუმენტების ქვაკუთხედს წარმოადგენს — უფრო მეტი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს გიბრალტარში ეჭვმიტანილთა შემოსვლაზე ხელშეუშლელი გადაწყვეტილების მიღებასთან კონტექსტში, ვიდრე იმ შედეგებს, რაც მათი დაკავების და გასამართლებისათვის არასაკმარისი სამხილის უქონლობას შეიძლებოდა მოჰყოლოდა. მისი აზრით, ან ხელისუფლებამ იცოდა რომ მანქანაში ბომბი არ იყო — რაც სასამართლომ უკვე არ მიიღო მხედველობაში (იხ. ზემოთ პუნქტი 181) — ან ოპერაციის მაკონტროლებლებმა გათვლებში სერიოზული შეცდომა დაუშვეს. ამრიგად, დაზვერვის შეფასებების გათვალისწინებით, მოქმედება, რომელმაც სასიკვდილო სროლა გამოიწვია, იყო განჭვრეტადი შესაძლებლობა.

ამრიგად, სამი ტერორისტისათვის გიბრალტარში შემოსვლის ხელშეუშლელი გადაწყვეტილება ამ სათაურის ქვეშ გასათვალისწინებელ რელევანტურ ფაქტორს წარმოადგენს.

206. სასამართლო აღნიშნავს, რომ 5 მარტს ჩატარებულ ბრიფინგზე, რომელსაც A, B, C და D ჯარისკაცები ესწრებოდნენ, სავარაუდოდ განიხილეს, რომ შეტევა დიდი დანაღმული მანქანით განხორციელდებოდა. გააკეთეს შეფასებათა მნიშვნელოვანი წყება. კერძოდ, მიიჩნიეს, რომ ტერორისტები დამბლოკავ მანქანას არ გამოიყენებდნენ; ბომბის ამოქმედება რადიო-დისტანციური მონყობილობით მოხდებოდა; დეტონაცია ლილაკზე თითის დაჭერით მოხდებოდა; მოსალოდნელი იყო, რომ, პრობლემის შექმნის შემთხვევაში, ეჭვმიტანილები ბომბს ააფეთქებდნენ; ისინი შეიარაღებული იქნებოდნენ და, წინააღმდეგობის შემთხვევაში, გამოიყენებდნენ იარაღს (იხ. ზემოთ პუნქტები 23-31).

207. მოვლენის განვითარებისას, ყველა ეს საგულისხმო ვარაუდი, ტერორისტების მიერ შეტევის განხორციელების განზრახვის გარდა, მცდარი აღმოჩნდა. თუმცა, როგორც ეს მთავრობამ უჩვენა, ირლანდიის რესპუბლიკურ არმიასთან ურთიერთობის მათი გამოცდილების საფუძველზე, აღნიშნულ სიტუაციაში, როცა ჭეშმარიტი ფაქტები უცნობი იყო და ხელისუფლება მხოლოდ დაზვერვის შეზღუდული ინფორმაციის საფუძველზე მოქმედებდა, ყველა ზემოთჩამოთვლილი წარმოადგენდა შესაძლო ჰიპოთეზას.

208. ფაქტობრივად, როგორც ჩანს, არასრული ვარაუდები სხვა ვარაუდებისაგან ჩამოყალიბდა. მაგალითად, რადგან აფეთქება 8 მარტამდე არ იყო მოსალოდნელი, როდესაც ყარაულის ცვლის ცერემონია ჩატარდებოდა, ასევე, თანაბრად მოსალოდნელი იყო, რომ სამი ტერორისტი დაზვერვის მისიით იყო ჩამოსული. მიუხედავად იმისა, რომ ეს ფაქტორი მოკლედ იქნა განხილული, იგი სერიოზულ შესაძლებლობად არ მიიჩნეის (იხ. ზემოთ პუნქტი 45).

გარდა ამისა, ბრიფინგების დროს ან მას შემდეგ, რაც ეჭვმიტანილები მიზანში ამოიღეს, სავარაუდოდ, ვერ იფიქრებდნენ, რომ ისინი ბომბის ასაფეთქებლად იქნებოდნენ მომზადებულნი და, ამდენად, მრავალი სამოქალაქო პირის დაღუპვას გამოიწვევდნენ, რადგან ბ-ნი მაკკანი და ქ-ნი ფარელი, იმის გამო, რომ ამით მათი გამოვლენისა და შეპყრობის რისკი გაიზრდებოდა (იხ. ზემოთ პუნქტი 57), სასაზღვრო ზონისაკენ გაიქცეოდნენ. ასევე, ალბათ არ არსებობს საფუძველი, ვიფიქროთ, რომ იმ მომენტში ისინი დაამონტაჟებდნენ გადამცემს იმ მოლოდინით, რომ მათთვის საშუალება მიეცათ, წინააღმდეგობის წარმოქმნის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ აეფეთქებინათ სავარაუდო ბომბი (იხ. ზემოთ პუნქტი 115).

გარდა ამისა, თუნდაც ყოფილიყო არგუმენტები ირლანდიის რესპუბლიკური არმიის ტექნოლოგიურ შესაძლებლობებთან დაკავშირებით, როგორც ექსპერტებმა უჩვენეს (იხ. ზემოთ პუნქტი 115 და 131), მათ ხელთ არსებული ასაფეთქებელი მოწყობილობა “ლილაკზე თითის ერთი დაჭერის” პრინციპით არ მოდიოდა მოქმედებაში, რაც კარგად უნდა სცოდნოდათ შესაბამის კომპეტენტურ ორგანოებს და ზედმეტად არ გაემარტივებინათ ამ მოწყობილობის ჭეშმარიტი მახასიათებლები.

209. ამ კონტექსტში, აგრეთვე, შეშფოთებას იწვევს ის, რომ G ჯარისკაცის მიერ მანქანის ზედაპირული დათვალიერების შემდეგ გაკეთებული შეფასება, თითქოს ეს „საეჭვო დანალმული მანქანა“ იყო, რომლის შესახებაც მან ჯარისკაცებს აცნობა, როგორც თვით ჯარისკაცებმა საკუთარ ჩვენებებში აღნიშნეს, მათ დადასტურებულად ჩათვალეს, რომ იდენტიფიცირებულ მანქანაში ნაღმი იდო (იხ. ზემოთ პუნქტები 48 და 51-52). ითქვა, რომ G ჯარისკაცს დანალმული მანქანების გამოცდილება ჰქონდა, თუმცა, როგორც ცნობილი გახდა, იგი არ იყო რადიო კომუნიკაციის ან ასაფეთქებელ მოწყობილობათა ექსპერტი; და რომ მისი შეფასება, თითქოს შეუსაბამო ანტენის გამო ეს იყო საეჭვო დანალმული მანქანა, რაც მის საკუთარ დაკვირვებაზე იყო დაფუძნებული, უფრო ნააგავდა მოხსენებას, რომ ბომბის არსებობის გამორიცხვა არ შეიძლებოდა (იხ. ზემოთ პუნქტი 53).

210. ალტერნატიული შესაძლებლობების შესახებ საკმარისი არგუმენტების უქონლობის და დანალმული მანქანის შესახებ დამაჯერებელი ინფორმაციის პირობებში, აგრეთვე, იმ შეფასებების საფუძველზე, რომ ბომბის აფეთქება ლილაკზე თითის დაჭერით იყო შესაძლებელი, A, B, C და D ჯარისკაცებს სამუშაო ვარაუდები უდავო ფაქტების სახით გადაეცათ, რამაც პრაქტიკულად გარდაუვალი გახადა სასიკვდილო ძალის გამოყენება.

211. თუმცა, ჯარისკაცების წვრთნისას, რომელიც ითვალისწინებს ცეცხლის გახსნის შემდეგ სროლის გაგრძელებას, სანამ ეჭვმიტანილი არ მოკვდება,

აგრეთვე, აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული შეცდომის ზღვრის უზრუნველყოფა. როგორც კორონერის მიერ მოკვლევის პროცესზე მსაჯულთა წინაშე წარმოთქმული შემაჯამებელი სიტყვა უჩვენებს, ოთხივე ჯარისკაცმა ეჭვიმტანილთა მოკვლის მიზნით ისროლა (იხ. ზემოთ პუნქტები 61, 63 80 და 120). როგორც E ჯარისკაცმა თავის ჩვენებაშიც დაადასტურა, ჯარისკაცებთან ერთად განიხილეს, რომ სავსებით მოსალოდნელი იყო, დამდგარიყო საჭიროება, ესროლათ ეჭვიმტანილთა მოკვლის მიზნით, რადგან „ლილაკიანი“ მონყობილობის დროს მათ ნაკლები დრო ექნებოდათ (იხ. ზემოთ პუნქტი 26). ამ ფონზე ხელისუფლებას ეკისრებოდა ეჭვიმტანილთა სიცოცხლის პატივისცემის ვალდებულება და მათ დიდი გულისყურით უნდა შეეფასებინათ ინფორმაცია, სანამ მას გადასცემდნენ ჯარისკაცებს, რომელთა მიერ ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებამ ავტომატურად გამოიწვია სასიკვდილო გასროლა.

212. მიუხედავად იმისა, რომ მოკვლევის პროცესზე ჯარისკაცთაწვრთნის საკითხის გამოძიებას საზოგადოების ინტერესის სერტიფიკატის გამოცემამ შეუშალა ხელი (იხ. ზემოთ პუნქტი 104, საკითხი I(iii)), ნათელი არ არის, ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებისას, ასწავლეს თუ არა მათ კონკრეტულ გარემოებებში სამიზნის დაჭრა/მწყობრიდან გამოყვანა, კერძოდ, პირის დაკავების დროს.

ამ არსებითი თვალსაზრისით, მათი რეფლექსური მოქმედება მოკვლეულია ცეცხლსასროლი იარაღის ფრთხილად გამოყენების ხარისხს, რაც დამახასიათებელი უნდა იყოს დემოკრატიული საზოგადოების სამართალდამცავი მუშაკებისათვის მაშინაც კი, როცა საქმე აქვთ ტერორიზმში ეჭვიმტანილ საშიშ დამნაშავეებთან და მნიშვნელოვნად განსხვავდება პოლიციის მიერ ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების ინსტრუქციებში ჩამოყალიბებული სტანდარტისაგან, რომელიც მათთვის ცნობილი იყო და რომელიც ხაზგასმით მიუთითებდა მოსამსახურის სამართლებრივ პასუხისმგებლობაზე (იხ. ზემოთ პუნქტი 136 და 137). ხელისუფლების ეს ხარვეზიც აგრეთვე მიუთითებს, რომ სათანადო გულმოდგინებით არ ხდება დაკავების ოპერაციის კონტროლი და ორგანიზება.

213. და ბოლოს, ითვალისწინებს რა ეჭვიმტანილებისათვის გიბრალტარში შესვლისათვის ხელის არშეშლის გადაწყვეტილებას, ხელისუფლების მიერ დაზვერვის შეფასებების განხილვისას იმის გაუთვალისწინებლობას, რომ გარკვეულწილად ინფორმაცია შეიძლება მცდარი ყოფილიყო და ცეცხლის გახსნის შემდეგ ჯარისკაცების მიერ სასიკვდილო ძალის ავტომატურ გამოყენებას, სასამართლო დარწმუნებული არ არის, რომ სამი ტერორისტის მოკვლა წარმოადგენს ძალის გამოყენებას, რომელიც გამონეუული იყო აბსოლუტური აუცილებლობით პირთა დასაცავად არამართლზომიერი ძალადობისაგან კონვენციის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის მნიშვნელობით.

214. შესაბამისად, სასამართლო ადგენს, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევას.

## II. კონვენციის 50-ე მუხლის გამოყენება

215. კონვენციის 50-ე მუხლი ადგენს:

„თუ სასამართლო დაადგენს, რომ მაღალი ხელშემკვრელი მხარის სამართლებრივი ორგანოს ან სხვა ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება ან ღონისძიება მთლიანად ან ნაწილობრივ ეწინააღმდეგება კონვენციით წარმოშობილ ვალდებულებებს, ხოლო შესაბამისი მხარის შიდასახელმწიფო სამართალი გადაწყვეტილების ან ღონისძიების მხოლოდ ნაწილობრივი გამოსწორების



შესაძლებლობას იძლევა, საჭიროების შემთხვევაში, სასამართლო დაზარალებულ მხარეს სამართლიან დაკმაყოფილებას მიაკუთვნებს.“

216. განმცხადებლები მოითხოვდნენ ზიანის ანაზღაურებას იმავე დონეზე, როგორც ამას ინგლისის კანონმდებლობა სახელმწიფო მუშაკის მიერ უკანონოდ მოკლულ პირს მიანიჭებდა. მათ აგრეთვე იკითხეს – იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო დაადგენდა, რომ მათი მკვლელობა იყო როგორც უკანონო, ისე წინასწარ განზრახული, ან იყო დანაშაულებრივი უპასუხისმგებლობის შედეგი, მიიღებდნენ თუ არა დალუპული ადამიანების ახლო ნათესავები ანალოგიური დონის კომპენსაციას, როგორც ეს ინგლისის კანონმდებლობით მსგავსი შემთხვევებისთვისაა გათვალისწინებული.

217. ხარჯებთან დაკავშირებით, ისინი ითხოვდნენ დალუპვის შედეგად პირდაპირი თუ არაპირდაპირი გზით წარმოშობილი ხარჯების ანაზღაურებას, გიბრალტარის მოკვლევის პროცესსა და სტრასბურგის პროცესზე ნათესავებისა და ადვოკატების დასწრების ხარჯების ჩათვლით. ადვოკატის ხარჯები გიბრალტარში ჩატარებული მოკვლევის პროცესისათვის შეადგენს 56 200 გირვანქა სტერლინგს, ხოლო სტრასბურგის პროცესისათვის – 28 800 გირვანქა სტერლინგს. იურისკონსულტმა, სტრასბურგის ხარჯებთან დაკავშირებით, 16 700 გირვანქა სტერლინგი მოითხოვა.

218. მთავრობა ამტკიცებდა, რომ დარღვევის დადგენის შემთხვევაში, მატერიალური და არამატერიალური ზიანის ფინანსური სახით კომპენსაცია არასაჭირო და შეუსაბამო იქნებოდა.

სტრასბურგის ინსტიტუტებიდან გამომდინარე ხარჯებთან დაკავშირებით ისინი ამტკიცებდნენ, რომ განმცხადებლებს უნდა მიაკუთვნონ მხოლოდ ის ხარჯი, რომელიც ფაქტობრივად და საჭიროებისათვის უშუალოდ მათ გაიღეს და რომელიც გონივრულ ფარგლებში იქნებოდა. თუმცა, გიბრალტარში მოკვლევის პროცესისათვის განუღებულ ხარჯებთან დაკავშირებით ისინი აცხადებდნენ, რომ (1) პრინციპული თვალსაზრისით, მიდასახელმწიფო პროცედურების ხარჯები, მოკვლევის ხარჯების ჩათვლით, არ უნდა ანაზღაურდეს 50-ე მუხლის საფუძველზე; (2) ვინაიდან განმცხადებელთა იურიდიული წარმომადგენლები ანაზღაურების გარეშე მოქმედებდნენ, არ არსებობს განმცხადებლებისათვის კომპენსაციის მიკუთვნების საფუძველი; (3) ნებისმიერ შემთხვევაში, მოთხოვნილი თანხა არ იყო გამოანგარიშებული მოცემული ადვოკატის ჩვეულებრივი ტარიფის საფუძველზე.

#### **A. მატერიალური და არამატერიალური ზიანი**

219. სასამართლოს მიაჩნია, რომ განმცხადებლების მიერ წარმოდგენილი მასალიდან ნათელი არ არის, მათ მიერ ფინანსური კომპენსაციის მოთხოვნა ითვალისწინებს მატერიალურ, არამატერიალურ ზიანს, თუ ორივეს ერთად. ნებისმიერ შემთხვევაში, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ სამი ეჭვიმტანილი მოკლული ტერორისტი გიბრალტარში ბომბის დადებას აპირებდა, სასამართლოს საჭიროდ არ მიაჩნია კომპენსაციის გადახდა. აქედან გამომდინარე, იგი უარყოფს განმცხადებელთა მოთხოვნას ზიანთან მიმართებით.

#### **აღნიშნულის საფუძველზე, სასამართლო:**

1. ათი ხმით ცხრის წინააღმდეგ ადგენს, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევას;

2. ერთხმად ადგენს, რომ გაერთიანებულმა სამეფომ განმცხადებლებს სამი თვის ვადაში უნდა გადაუხადოს 38 700 (ოცდათვრამეტი ათას შვიდასი) გირვანქა სტერლინგი სტრასბურგის პროცესზე განეული ხარჯებისათვის, გამოკლებული 37 731 (ოცდაჩვიდმეტი ათას შვიდას ოცდათერთმეტი) ფრანგული ფრანკი, რაც კონვერტირებული უნდა იქნეს გირვანქა სტერლინგებში წინამდებარე გადანყვეტილების მიღების დღეს არსებული კურსით.

3. ერთხმად უარყოფს განმცხადებელთა საჩივარს ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით;

4. ერთხმად უარყოფს განმცხადებელთა საჩივარს გიბრალტარში ჩატარებული მოკვლევის პროცესის ხარჯებთან მიმართებით;

5. ერთხმად უარყოფს დანარჩენ მოთხოვნებს სამართლიან დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით.

შესრულებულია ინგლისურ და ფრანგულ ენებზე და საჯაროდ გაცხადებულია ადამიანის უფლებათა შენობაში, სტრასბურგში, 1995 წლის 27 სექტემბერს.

ხელმოწერილია: როლვ რისდალი

პრეზიდენტი

ხელმოწერილია: ერბერტ პეტზოლდი

რეგისტრატორი

კონვენციის 51-ე მუხლის მე-2 პუნქტის და სასამართლოს რეგლამენტის 53-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, წინამდებარე გადანყვეტილებას თან ერთვის მოსამართლეების — რისდალის, ბერჰარდტის, თორ ვილჟამსონის, გოლკუკლუს, პალმის, პეკანენის, სირ ჯონ ფრელანდის, ბაკას და ჯამბერკის ერთობლივი განსხვავებული მოსაზრება.

## 2. მაკკერი ბაერთიანეპული სამეფოს წინააღმდეგ

(განცხადება no. 28883/95)

### პროცედურა

1. საქმე მომდინარეობს დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ ადამიანის უფლებათა ევროპულ კომისიაში („კომისია“) შეტანილი განცხადებიდან (no. 28883/95) ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის („კონვენცია“) 25-ე მუხლის საფუძველზე, რომელიც შეიტანა ირლანდიის მოქალაქე ქალბატონმა ელენორ კრეანიმ 1993 წლის 7 მარტს. 1996 წლის ნოემბერში ქ-ნი კრეანი გარდაიცვალა. განაცხადთან დაკავშირებულ წარმოებაში, მის ნაცვლად, ჩაერთო მისი ვაჟი ჯონათან მაკკერი („განმცხადებელი“).

### საქმის ფაქტობრივი მხარე (არაოფიციალური ვერსია)

1982 წლის 11 ნოემბერს გერვაიზე მაკკერი მართავდა მწვანე ფორდ ესკორტს, რომელშიც იჯდა ორი მგზავრი: იუჯინ თომანი და შონ ბერნსი. არც ერთი მათგანი არ იყო შეიარაღებული. თულიგალის გზაზე, ისტ ლურგანთან, საგანგებოდ განწვრილმა მობილური დახმარების სამმართველოს ოლსტერის სამეფო პოლიციის ოფიცრებმა გახსნეს ცეცხლი და ტყვიამფრქვევის, სულ მცირე, 109 ჯერი მიმართეს მანქანისკენ. მანქანაში მყოფი სამივე პირი დაიღუპა.

საქმის გამომძიებელმა დაკითხა ოლსტერის სამეფო პოლიციის სამივე ოფიცერი. მათ ჩამოართვეს წერილობითი ჩვენებები. ამ ჩვენებებში არ იყოს ნახსენები, რომ დაღუპული პირები იმყოფებოდნენ სპეციალური განყოფილების ოფიცრების თვალთვალის ქვეშ. არც ის იყო აღნიშნული, რომ დაკითხული პირები თავად იყვნენ ამ განყოფილების წარმომადგენლები და რომ მათ ჰქონდათ დაზვერვის მონაცემები, სანამ ინციდენტი მოხდებოდა. მოგვიანებით ეს აიხსნა იმით, რომ უნდა აეცილებინათ დაზვერვის მონაცემების გასაჯაროება, რაც ხელს შეუშლიდა ტერორიზმთან ბრძოლას. სახელმწიფო დევნის დირექტორმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ სამივე ოფიცრის წინააღმდეგ დაწყებულიყო სისხლისსამართლებრივი დევნა. საქმის განმხილველი მოსამართლის აზრით, მის წინაშე წარდგენილი მტკიცებულებანი არ ადასტურებდა ბრალდებულთა ბრალეულობას და ისინი გაათავისუფლა.

1991 წლის 19 აგვისტოს ქალბატონმა კრეანიმ სარჩელი შეიტანა ოლსტერის სამეფო პოლიციის უფროსის, კონსტაბლის წინააღმდეგ და მოითხოვა ზარალის ანაზღაურება მისი მეუღლისთვის პოლიციის ოფიცრების მიერ მიყენებული ფიზიკური ზიანის გამო 1982 წლის 11 ნოემბერს ჩატარებული ოპერაციის დროს.

### სამართალი

#### I. კონვენციის მე-2 მუხლის სავარაუდო დარღვევა

#### A. სასამართლოსთვის წარდგენილი მოსაზრებები

##### 1. განმცხადებელი

100. განმცხადებლის თქმით, მამამისის სიკვდილი გამოიწვია ოლსტერის სამეფო პოლიციის (RUC) ოფიცრის მიერ ძალის არასაჭირო და არაპროპორციულმა გამოყენებამ და იგი გახდა სასიკვდილო გასროლის მსხვერპლი პოლიციის

მხრიდან, რომელიც ჩრდილოეთ ირლანდიაში გაერთიანებული სამეფოს სახელით მოქმედებდა. მან მიუთითა ამნესტი ინტერნემენტლის და ჰუმან რაიტს ვოჩის მოხსენებებზე, აგრეთვე, უფროსი პოლიციელის, ჯონ სტალკერის ჩვენებებზე, რომელიც ასეთ პოლიტიკასთან დაკავშირებულ განცხადებებზე აწარმოებდა გამოძიებას. იგი ამტკიცებდა, რომ წინამდებარე საქმე არ უნდა განხილულიყო სხვა საქმეებისაგან იზოლირებულად, რომლებიც ჩრდილოეთ ირლანდიაში სახელმწიფოს სამართალდამცავი მუშაკების მიერ ძალის სასიკვდილო გამოყენებასთან იყო დაკავშირებული. ამ კონტექსტში შეიძლება განხილულ იქნეს სასიკვდილო ძალის გამოყენების შედეგად ადამიანთა გარდაცვალების ფაქტების ანალიზი 1969 — 1994 წლებში, როდესაც, იქ გავრცელებული პრაქტიკის შესაბამისად, დაკავების ნაცვლად ადგილი ჰქონდა ექვმიტანილთა თვითნებურ მკვლელობას. იგი მიუთითებდა ინფორმაციისაგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე შემუშავებული წინასწარი დაგეგმვის საერთო მახასიათებლებზე, სამხედრო სპეციალისტთა ან პოლიციის დანაყოფების განლაგებასა და ძალის მაქსიმალურ გამოყენებაზე. წინამდებარე საქმეში ოლსტერის სამეფო პოლიციის საგანგებოდ განვრთნილმა ოფიცრებმა 109 ჯერით მანქანაში მოკლეს სამი შეუიარაღებელი ადამიანი ისე, რომ, სასიკვდილო ძალის გამოყენების ნაცვლად, მათი დაკავება არც უცდიათ. ეს არ შეიძლება განხილულ იქნეს როგორც ძალის მინიმალური ან პროპორციული გამოყენება.

101. ამ და სხვა საქმეთა არასათანადო გამოძიება მოწმობს, რომ სახელმწიფოს მხრიდან სასიკვდილო ძალის უკანონო გამოყენებისადმი შემგუებლობას აქვს ადგილი. სროლაში ჩართულ პოლიციელებს უფლება ჰქონდათ, დაეტოვებინათ ინციდენტის ადგილი თავიანთ იარაღთან ერთად; სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო დეპარტამენტს (CID) დიდი დაგვიანებით ეძლეოდა პოლიციელთა დაკითხვის საშუალება; დეპარტამენტის ოფიცრებს არასწორ ინფორმაციას აწვდიდნენ სროლის ადგილის შესახებ; ხშირ შემთხვევაში, ვერ აღმოაჩინეს გასროლილი მასრები; შემთხვევიდან ოცდაერთი თვის შემდეგ ნაპოვნი იქნა ტყვიის ფრაგმენტი, რომლითაც მძლოლი მოკლეს, იგი კვლავ მანქანაში იყო ჩარჩენილი, არ მიუღიათ ზომები თვითმხილველების მოსაძიებლად. განმცხადებელი მიუთითებდა ბ-ნი სტალკერის წიგნში აღწერილ საპოლიციო გამოძიებაზე, რომელიც აღნიშნავდა, რომ გამოძიების მეთოდოლოგია იყო განსაცვიფრებლად დაბალი დონის, რომ პოლიციის ოფიცრები აზიანებდნენ შემთხვევის ადგილს და მნიშვნელოვნად აბრკოლებდნენ გამოძიებას.

102. განმცხადებელი აგრეთვე ეყრდნობოდა ბ-ნი სტალკერის მოხსენებას, რომელშიც იგი აღნიშნავდა, რომ ადამიანთა დალუპვის მის მიერ გამოძიებული შემთხვევები იყო უკანონო და სასიკვდილო გასროლის ფარული პოლიტიკის ნაწილს წარმოადგენდა. ამასთან, მიუთითებდა მაიკლ ტიფეს დალუპვის საქმის გამოძიების შემდგომ შეფერხებაზე, სადაც თვალთვალის ჩანანერის კასეტას უშიშროების სამსახურის ბიურო (MI5) მაღავედა. წარმოდგენილი დასაბუთების შესაბამისად, სასიკვდილო გასროლის პოლიტიკის ნაწილს წარმოადგენდა ბ-ნი სტალკერის მიერ გამოძიებული სამი შემთხვევა. მან განაცხადა, რომ არსებული მასალის დეტალური შესწავლით ნათელი გახდა, რომ სიცოცხლის მოსპობა არ ყოფილა აბსოლუტური აუცილებლობით გამოწვეული ძალის გამოყენების შედეგი. სასამართლომ მიიჩნია, რომ თუ იყო რაიმე გადასაჭრელი საკითხი, მას საკუთარი მოქმედებით უნდა მოეპოვებინა საჭირო მასალა კონვენციის 38-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად წარმოებული გამოძიების მეშვეობით.

103. განმცხადებელმა, ეყრდნობოდა რა მინესოტას ოქმით დაფუძნებულ საერთაშორისო სტანდარტებს, განაცხადა, რომ დალუპვის ფაქტზე არ განხორციელებულა ეფექტიანი ოფიციალური გამოძიება. იგი ამტკიცებდა, რომ ოლსტერის სამეფო პოლიციის მიერ წარმოებული გამოძიება იყო არაადეკვატური

და განიცდიდა დამოუკიდებლობისა და საჯაროების სიმწირეს. სახელმწიფო ბრალდების დირექტორის (DPP) როლი ოლსტერის სამეფო პოლიციის მიერ წარმოებული გამოძიებით იყო შეზღუდული, ხოლო ასეთი გამოძიების საფუძველზე განხორციელებული ნებისმიერი დევნა ვერ აღმოფხვრიდა არსებულ ხარვეზებს. გარდა ამისა, სასამართლო პროცესზე მოსამართლემ საქმე წარმოებიდან მოხსნა პოლიციის მუშაკების მოსმენის გარეშე და ამასთან დაკავშირებით გააკეთა წინააღმდეგობრივი კომენტარები, რომლითაც არაპირდაპირ უკანონო მკვლევარებისადმი სასამართლო მხარდაჭერა გამოხატა. ძალადობრივ სიკვდილზე გამოძიება დაგვიანებით დაიწყო, მოკვლევა შეზღუდულ ფარგლებში ჩატარდა, ნათესავებს ხელი არ მიუწვდებოდათ სამართლებრივ დახმარებაზე, შეზღუდული იყო ხელმისაწვდომობა დოკუმენტებსა და მონმეთა ჩვენებებზე, უშიშროების ძალების ან პოლიციის მონმეების მიმართ არ იყენებდნენ ჩვენების იძულებით მიცემის იურიდიულ შესაძლებლობას. მთავრობა ვერც სამოქალაქო საქმისწარმოებას დაეყრდნობოდა, რადგან მისი წარმოება დამოკიდებული იყო გარდაცვლილის ოჯახის ინიციატივაზე.

## 2. მთავრობა

104. მთავრობა, ერთი მხრივ, არ დაეთანხმა განმცხადებლის საჩივრებს მე-2 მუხლის საფუძველზე — რომ მამამისი ძალის გადამეტებული თუ გაუმართლებელი გამოყენების შედეგად დაიღუპა. მათ მიიჩნიეს, რომ სასამართლოსთვის სრულიად შეუსაბამო იქნებოდა, თავად დაედგინა მე-2 მუხლის არსებით საკითხებთან დაკავშირებული ფაქტები. ამას, შესაძლოა, მოჰყოლოდა ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს მცდელობა, გადაეჭრა საკითხები, დაეკითხა მონმეები ან განეხორციელებინა საქმის მოსმენა, იმავდროულად, როცა ამას ჩრდილოეთ ირლანდიის უმაღლესი სასამართლო აწარმოებდა, რაც ურთიერთშეუსაბამო დასკვნების გაკეთების რეალურ საფრთხეს წარმოქმნიდა. ეს განმცხადებელს ხელსაყრელი სასამართლო ორგანოს არჩევის საშუალებას მისცემდა და ამით ზიანს მიაყენებდა შიდასახელმწიფო საშუალებების ამონურვის პრინციპს. ისინი ამტკიცებდნენ, რომ, ნებისმიერ შემთხვევაში, მნიშვნელოვანი პრაქტიკული სირთულეების წინაშე იდგა სასამართლო, რომელიც მე-2 მუხლის არსებით ასპექტებს იკვლევდა, რადგან ფაქტობრივი საკითხები იქნებოდა მრავალი და რთული, ცოცხალი მტკიცებულებებით და მონმეთა სოლიდური რაოდენობით. პირველადი ფაქტების მოკვლევის პროცესი არ უნდა განხორციელდეს ორჯერ, პარალელურად, ასეთი საქმე იწვევს სასამართლოს დროისა და სახსრების ხარჯვას და საფრთხის ქვეშ აყენებს საქმეს, როცა მასზე ორი პროცესი ერთდროულად მიმდინარეობს.

105. ვინაიდან განმცხადებელმა სასამართლოს მიმართა ადამიანთა სიცოცხლის ხელყოფის პრაქტიკის და არა ტერორიზმში ეჭვმიტანილთა დაკავების საკითხის ადგენის მიზნით, ეს განცხადება კატეგორიულად იქნა უარყოფილი. მთავრობა ამტკიცებდა, რომ ამგვარი ფართო ხასიათის განცხადება, რომელიც კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებდა ბოლო ოცდაათი წლის განმავლობაში განხორციელებულ ყველა ანტიტერორისტულ ოპერაციას, მნიშვნელოვნად სცილდება წარმოდგენილი განცხადების ფარგლებს და მიუთითებდა საკითხებზე, რომლებიც ამ სასამართლოს წინაშე არ უნდა დამდგარიყო. ისინი უარყოფდნენ პოლიციის მხრიდან გამოძიების ხელშეშლის ფაქტს და აღნიშნავდნენ, რომ ოლსტერის სამეფო პოლიცია ბ-ნი სტალკერის განცხადებებს არაზუსტად მიიჩნევს, რამეთუ მათში ფაქტები დამახინჯებულად არის წარმოდგენილი (იხ. ზემოთ, 33-ე პუნქტი). შემთხვევის ადგილის დატოვება აუცილებელი იყო ოფიცერთა უსაფრთხოებისათვის, ხოლო შემთხვევის ადგილზე ყველა საჭირო პროცედურა



ჩატარდა. სტალკერ/სემპსონის მოკვლევა ერთმნიშვნელოვნად ამტკიცებს, რომ მთავრობა მონადინებულია, დაისაჯოს დამნაშავე, ვინც არ უნდა იყოს იგი. მოკვლევის შედეგებმა უჩვენა, რომ ადგილი ჰქონდა ხელშეშლის გარკვეულ ფაქტებს და იმის გამო, რომ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება საჯარო ინტერესებში არ შედიოდა, რვა ოფიცრის მიმართ განხორციელდა დისციპლინური სამართალწარმოება (იხ. ზემოთ, პუნქტი 30).

107. მთავრობამ აგრეთვე უარყო განცხადება იმის შესახებ, რომ შიდასახელმწიფო დაცვის საშუალებები არ შეესაბამებოდა მე-2 მუხლის მოთხოვნებს. ისინი ამტკიცებდნენ, რომ ჩრდილოეთ ირლანდიაში ხელმისაწვდომი პროცედურების ერთობლიობა ამ დებულების პროცედურულ ასპექტებს აკმაყოფილებდა, კერძოდ, დაუყოვნებელი და დეტალური საპოლიციო გამოძიება სახელმწიფო დევნის დეპარტამენტის ზედამხედველობით, სასამართლო პროცესი, საგამოძიებო პროცედურები და სამოქალაქო საქმისწარმოება. ისინი უზრუნველყოფდნენ პროცედურული ვალდებულების ფუნდამენტურ მიზანს, რადგან ეფექტიან ანგარიშვალდებულებას აწესებდნენ სამართალდამცავი მუშაკების მიერ სასიკვდილო ძალის გამოყენებაზე. ეს არ მოითხოვდა, რომ მსჯავრისთვის მიეღწიათ, არამედ გამოძიებას უნდა ჰქონოდა უნარი, საფუძველი შეექმნა დევნისათვის, რაც წინამდებარე განცხადების საკითხს წარმოადგენდა. ისინი აგრეთვე მიუთითებდნენ, რომ ყველა ცალკეული საქმე განხილული უნდა იქნეს ფაქტების შესაბამისად, რადგან განხილვის მიერ პროცედურული კომპონენტები შეიძლება გარემოებების მიხედვით იცვლებოდეს. წინამდებარე საქმესთან დაკავშირებით მათ განაცხადეს, რომ არსებული პროცედურები მთლიანობაში უზრუნველყოფდა დარღვევისაგან დაცვისათვის საჭირო ეფექტიანობას, დამოუკიდებლობასა და გამჭვირვალობას.

## B. სასამართლოს შეფასება

### 1. ზოგადი პრინციპები

109. მე-2 მუხლით უზრუნველყოფილი დაცვის მნიშვნელობის გათვალისწინებით, სასამართლომ სიცოცხლის ხელყოფა განსაკუთრებული ყურადღებით უნდა განიხილოს და, სახელმწიფო მუშაკთა ქმედებებთან ერთად, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული არსებული გარემოებები. როდესაც მოვლენასთან დაკავშირებულ ინფორმაციას მთლიანად ან მის უმეტეს ნაწილს ხელისუფლება ფლობს, ფაქტებთან მიმართებით ძლიერი ვარაუდი წარმოიშობა, მაგალითად, ისეთ შემთხვევებში, როდესაც ადგილი აქვს მათ მიერ დატუსაღებული პირების დასახიჩრებას ან გარდაცვალებას. უდავოა, რომ მტკიცების ტვირთი მოდის ხელისუფლებაზე, რომელმაც სათანადო დამაჯერებელი ახსნა-განმარტება უნდა წარმოადგინოს (იხ. *სალმანი თურქეთის წინააღმდეგ*, no. 21986/93, § 100, *ECHR 2000-VII*; და *აგრეთვე ჩაკიჯი თურქეთის წინააღმდეგ*, no. 23531/94, § 82, *ECHR 2000-VI*).

110. მთლიანობაში ნაკითხვით მე-2 მუხლის ტექსტი უჩვენებს, რომ იგი მოიცავს არა მხოლოდ განზრახ მკვლელობებს, არამედ იმ სიტუაციებსაც, როდესაც დასაშვებია „ძალის გამოყენება“, რამაც შეიძლება გამოიწვიოს სიცოცხლის ხელყოფა, როგორც არაწინასწარ განზრახული შედეგი. თუმცა, სასიკვდილო ძალის განზრახ ან მიზანმიმართულად გამოყენება მხოლოდ ერთი ფაქტორია, რომელიც გათვალისწინებული უნდა იქნეს მისი აუცილებლობის შეფასებისას. ძალის ნებისმიერი გამოყენება არ უნდა აღემატებოდეს „აბსოლუტურ აუცილებლობას“, რომელიც საჭიროა „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებში ჩამოთვლილი ერთიან მეტი მიზნის მისაღწევად. ეს ტერმინი მიუთითებს, რომ ჩვეულებრივისაგან განსხვავებული

აუცილებლობის უფრო მკაცრი ტესტი უნდა იქნეს გამოყენებული, როდესაც დგინდება, არის თუ არა სახელმწიფოს ქმედება „აუცილებელი დემოკრატიული საზოგადოებისათვის“ კონვენციის მე-8 — მე-11 მუხლების მე-2 პუნქტების საფუძველზე. შესაბამისად, გამოყენებული ძალა მკაცრად პროპორციული უნდა იყოს დასაშვები მიზნების მისაღწევად (იხ. ზემოთ მაკაპანი და სხვები, გვ. 46, § 148-49).

111. კონვენციის მე-2 მუხლით დაცული სიცოცხლის უფლება, კონვენციის 1-ლი მუხლის საფუძველზე წარმოშობილი სახელმწიფოს ზოგად ვალდებულებასთან ერთად წაკითხვით – რაც მდგომარეობს იმაში, რომ სახელმწიფოები თავიანთი იურისდიქციის ფარგლებში ყველასათვის უზრუნველყოფენ კონვენციით განსაზღვრულ უფლებებსა და თავისუფლებებს – აგრეთვე მოითხოვს, რომ ძალის გამოყენების შედეგად ინდივიდუალურ პირთა სიცოცხლის ხელყოფის შემთხვევებისთვის უნდა არსებობდეს ეფექტიანი ოფიციალური გამოძიების გარკვეული ფორმა (იხ. ზემოთ, *mutatis mutandis*, მაკაპანი და სხვები, გვ. 49, § 161 და კაია თურქეთის წინააღმდეგ, 1998 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილება, განაჩენები და გადაწყვეტილებები 1998-I, გვ. 329, § 105). ასეთი გამოძიება მიზნად ისახავს ეფექტიან იმპლემენტაციას იმ შიდასახელმწიფო კანონებისა, რომლებიც სიცოცხლეს იცავს ისეთ სიტუაციებში, სადაც ჩარეულნი არიან სახელმწიფოს მუშაკები ან ორგანოები, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მათი ანგარიშვალდებულება სიცოცხლის ხელყოფის იმ შემთხვევებზე, რომლებიც მათი პასუხისმგებლობით მოხდა. ამ მიზნების მისაღწევად გამოყენებული გამოძიების სახე შეიძლება გარემოებების მიხედვით იცვლებოდეს. თუმცა, გამოყენებული ფორმის მიუხედავად, ხელისუფლებამ თავად უნდა იმოქმედოს, როგორც კი საკითხი მათი ყურადღების ქვეშ მოექცევა. მანიგარ უნდა დატოვოს ნათესავებისა და ახლობლების ოფიციალური საჩივრის ან მათ მიერ განხორციელებული რაიმე საგამოძიებო პროცედურების იმედზე (იხ. მაგ. *mutatis mutandis*, ილჰანი თურქეთის წინააღმდეგ, no. 22277/93, § 63, ECHR 2000-VII).

112. სახელმწიფოს მუშაკთა მიერ სიცოცხლის სავარაუდო უკანონო ხელყოფის გამოძიების ქმედითობისათვის, ზოგადად, მიჩნეულია, რომ აუცილებელია მისი განხორციელება მასზე პასუხისმგებელი პირების მიმართ, ხოლო წარმოებული გამოძიება უნდა იყოს დამოუკიდებელი მოვლენაში ჩართული პირებისაგან (იხ. მაგ. გულერი თურქეთის წინააღმდეგ, 1998 წლის 27 ივლისის გადაწყვეტილება, მოხსენებები 1998-IV, გვ. 1733, § 81-82 და ოჯური თურქეთის წინააღმდეგ, no. 21594/93, § 91-92, ECHR 1999-III). ეს ნიშნავს, რომ, იერარქიული ან ინსტიტუციური კავშირის არარსებობასთან ერთად, უზრუნველყოფილი უნდა იქნეს მკაფიო დამოუკიდებლობა (იხ. მაგ. ერგი თურქეთის წინააღმდეგ, 1998 წლის 28 ივლისის გადაწყვეტილება, მოხსენებები 1998-IV, გვ. 1778-79, § 83-84, სადაც, სავარაუდოდ, შეტაკების დროს დაღუპული გოგონას საქმის გამოძიებისას, პროკურორმა დამოუკიდებლობა ვერ უზრუნველყო, ვინაიდან იგი ძირითადად დაეყრდნო ინციდენტში მონაწილე ჟანდარმების მიერ მინოდეულ ინფორმაციას).

113. გამოძიება ეფექტიანი უნდა იყოს იმ თვალსაზრისითაც, რომ უჩვენოს, თუ რამდენად უნარიანად შეუწყო მან ხელი იმის დადგენას, ასეთ შემთხვევებში გამოყენებული ძალა იყო თუ არა გამართლებული არსებული გარემოებებით (იხ. მაგ. ზემოთ, კაიას საქმე, გვ. 324, § 87) და მოხდა თუ არა პასუხისმგებელთა იდენტიფიცირება და დასჯა. ეს არის არა შედეგის, არამედ საშუალებების ვალდებულება. ხელისუფლებამ ყველა გონივრული ნაბიჯი უნდა გადადგას ინციდენტთან დაკავშირებული მტკიცებულებების უზრუნველსაყოფად, მათ შორის არის, *inter alia*, თვითმხილველთა ჩვენებები, სამედიცინო ექსპერტიზის მასალები და, საჭიროების შემთხვევაში, გვამის გაკვეთის შედეგები, სადაც მოცემული იქნება დაზიანების სრული და ზუსტი ანგარიში და ობიექტური

კლინიკური დასკვნები, სიკვდილის გამომწვევი მიზეზის ჩათვლით (გვამის გაკვეთასთან დაკავშირებით, მაგ. იხ. ზემოთ, *სალმანის საქმე*, § 106; მოწმებთან დაკავშირებით, მაგ. *ტანრიკულუ თურქეთის წინააღმდეგ*, no. 23763/94, § 109, *ECHR 1999-IV*; და სასამართლო ექსპერტიზასთან დაკავშირებით, მაგ. *გული თურქეთის წინააღმდეგ*, no. 22676/93, § 89, 2000 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილება /გადაწყვეტილებების კრებულში გამოქვეყნებული არ არის/). გამოძიების ნებისმიერი ხარვეზი, რომელიც აკნინებს მის უნარს, დაადგინოს სიკვდილის გამომწვევი მიზეზი ან გამოავლინოს პასუხისმგებელი პირი, ქმნის რისკს, რომ განხორციელებული გამოძიება სტანდარტის შეუსაბამო იქნება.

114. დაუყოვნებლობისა და გონივრული სისწრაფის მოთხოვნა თავისთავად იგულისხმება ამ კონტექსტში (იხ. *იაშა თურქეთის წინააღმდეგ*, 1998 წლის 2 სექტემბრის გადაწყვეტილება, მოხსენებები 1998-VI, გვ. 2439-40, §§ 102-04; *ჩაკიჯის საქმე*, ციტ. ზემოთ, §§ 80, 87 და 106; *ტანრიკულუს საქმე*, ციტატა ზემოთ, § 109; და *მაჰმუდ კაია თურქეთის წინააღმდეგ*, no. 22535/93, §§ 106-07, *ECHR 2000-III*). დასაშვებია უნდა იყოს, რომ ნებისმიერ კონკრეტულ სიტუაციაში შეიძლება არსებობდეს გამოძიების მიმდინარეობის დამაბრკოლებელი და ხელშემშლელი ფაქტორები. თუმცა, ხელისუფლების მიერ სასიკვდილო ძალის გამოყენების შემთხვევების გამოძიებაზე დაუყოვნებლივი რეაგირება, ზოგადად, შეიძლება აღქმული იქნეს, როგორც საზოგადოების ნდობის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი, რამაც საზოგადოება უნდა დაარწმუნოს, რომ ხელისუფლება კანონის უზენაესობის ერთგულია და იბრძვის უკანონო ქმედებებისადმი შემგუებლობის წინააღმდეგ.

115. ამავე მიზნით, უნდა არსებობდეს გამოძიებასა ან მის შედეგებზე საზოგადოებრივი კონტროლის ქმედითი ელემენტი, რათა უზრუნველყოფილი იქნეს ანგარიშვალდებულება როგორც პრაქტიკული, ისე თეორიული თვალსაზრისით. საზოგადოებრივი კონტროლის ხარისხი შეიძლება თითოეულ საქმეზე განსხვავებული იყოს. თუმცა, ყველა შემთხვევაში, პროცესში ჩართული უნდა იყოს მსხვერპლის ახლონათესავი, იმ ფარგლებში, რომელიც უზრუნველყოფს მისი კანონიერი ინტერესების დაცვას (იხ. *გულერის საქმე*, ციტატა ზემოთ, გვ. 1733, § 82, სადაც მსხვერპლის მამას არ შეატყობინეს, რომ მიღებული იქნა გადაწყვეტილება დევნის არდაწყების შესახებ; *ოგურის საქმე*, ციტატა ზემოთ, § 92, სადაც მსხვერპლის ოჯახს ხელმისაწვდომობა არ ჰქონდა გამოძიებისა და სასამართლოს დოკუმენტებთან; და *გულის საქმე*, ციტატა ზემოთ, § 93).

## 2. განცხადება წინამდებარე საქმეში

(ა) გერვასიე მაკკერის დალუპვაზე სახელმწიფოს სავარაუდო პასუხისმგებლობის შესახებ

116. დავას არ იწვევს ის ფაქტი, რომ გერვასიე მაკკერი შეიარაღებული არ იყო, როცა იგი პოლიციის ოფიცრებმა მოკლეს. სასიკვდილო ძალის ამგვარი გამოყენება პირდაპირ ჯდება მე-2 მუხლის ფარგლებში, რომელიც მოითხოვს, რომ ნებისმიერი ასეთი ქმედება შეესაბამებოდეს მუხლის მეორე პუნქტით დადგენილ რომელიმე მიზანს და იყოს აბსოლუტურად აუცილებელი ამ მიზნისთვის. წინამდებარე საქმეში ფაქტებთან დაკავშირებით მთელი რიგი საკითხები წარმოიშობა, კერძოდ, მოქმედებდნენ თუ არა ოფიცრები პატიოსანი რწმენით, რომელიც სათანადო საფუძვლებს ემყარებოდა, მაგრამ შემდგომში შეცდომა აღმოჩნდა, კერძოდ ის, რომ მათ საფრთხეს უქმნიდა გერვასიე მაკკერი ან სხვა ადამიანი, რომელიც მანქანაში იჯდა. ამ საკითხის დასადგენად საჭირო იქნებოდა, განხილულიყო: 1) შესაძლებლობა იმისა, რომ, რიკოშეტის შედეგად შექმნილი შთაბეჭდილებით,



მანქანაში იარაღმა გაიღვრა, რის საფუძველზეც, ოფიცრებმა დაასკვნეს, რომ მანქანაში მსხდომ მამაკაცებს იარაღი ჰქონდათ და ამიტომ ისინი რისკის ქვეშ იმყოფებოდნენ; და 2) იყო თუ არა დაკავების მცდელობის რაიმე შესაძლებლობა. მთელ რიგ მონშეთა სანდოობა და საიმედოობა, სახელდობრ, იმ ოფიცრის, რომელმაც ცეცხლი გახსნა, გადამწყვეტ როლს შეასრულებს.

117. ყველა ეს საკითხი ამჟამად მოკვლევის პროცესშია ქალბატონ ელენორა კრენანის მიერ შეტანილი სამოქალაქო სარჩელის საფუძველზე და გრძელდება განმცხადებლის მიერ უკანონო ქმედებით გამოწვეული სიცოცხლის ხელყოფის გამო. სასამართლოს მიაჩნია, რომ წინამდებარე საქმის გარემოებების ფონზე, სასურველი არ იქნებოდა, და კონვენციით მისდამი მინიჭებული სუბსიდიური როლის საწინააღმდეგოდ იმოქმედებდა, მისი ნებისმიერი მცდელობა ფაქტების დასადგენად, მის მიერ მოკვლევის ჩატარების მიზნით მონშეთა გამოძახების მეშვეობით. ამგვარი მოქმედება გამოინვევდა სამოქალაქო სასამართლოში მიმდინარე საქმისწარმოების დუბლირებას, რომელიც უკეთ არის აღჭურვილი, როგორც ფაქტების დამდგენი ტრიბუნალი. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულ კომისიას ფაქტების მომკვლევით მისიები ადრე გაგზავნილი ჰყავდა თურქეთში, სადაც მიმდინარეობდა პროცესი უშიშროების ძალების მიერ სავარაუდო უკანონო მკვლელობის საქმეებზე, სასამართლომ შეიძლება მიუთითოს, რომ ეს იყო სისხლის სამართლის პროცესები და იმ დროისათვის, როდესაც სასამართლო განცხადებას იხილავდა, ისინი შეწყდა, მინიმუმ, პირველ ინსტანციაში. იმ საქმეებში განმცხადებლის საჩივრის ძირითად ასპექტს წარმოადგენდა ის, რომ მიმდინარე გამოძიება სისხლის სამართლის პროცესის ეფექტიანობაზე იმოქმედებდა (იხ. მაგ. *სალმანის საქმე*, ციტატა ზემოთ, § 107, სადაც პოლიციის ოფიცრები გაამართლეს წამების საქმეზე, რადგან არ იყო მტკიცებულება უშუალოდ გვამის გაკვეთის არასწორი პროცედურის გამო; და *გულის საქმე*, ციტატა ზემოთ, § 89, სადაც შემთხვევის ადგილისა და გვამის სასამართლო ექსპერტიზის პროცედურებით ხელი შეეშალა მოვლენათა ჯეროვან დადგენას).

118. წინამდებარე საქმეში სასამართლოს მიაჩნია, რომ არ არის რაიმე კონკრეტული ფაქტორი, რომელიც სამოქალაქო სასამართლოებს ფაქტების და გერვასზე მაკაპრის სიკვდილის უკანონობის/კანონიერების დადგენის შესაძლებლობას შეუზღუდავდა (იხ. ქვემოთ პუნქტები 124-126, რომელიც ეხება განმცხადებლის საჩივარს საპოლიციო გამოძიების ხარვეზების შესახებ). მიუხედავად იმისა, რომ, როგორც ჩანს, განმცხადებელი ამ პროცესებს განსაკუთრებული მონდომებით არ მისდევს, ისინი გაუქმებული არ არის. თუნდაც საეჭვო იყოს, რომ მოვლენებიდან ოცი წლის გასვლის შემდეგ სამოქალაქო სასამართლო მოახერხებს, ერთმანეთთან დააკავშიროს მტკიცებულებები, ყველა ასეთი მცდელობა უნდა განხორციელდეს შიდასახელმწიფო ორგანოში და არა საერთაშორისო მართლმსაჯულების დონეზე.

119. განმცხადებლის მამის სიკვდილზე პასუხისმგებლის დადგენისას, სასამართლოს ჯეროვნად არ მიაჩნია, დაეყრდნოს მხარეების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტურ მასალას. მრავალი წერილობითი ანგარიში და დოკუმენტებში წარმოდგენილი განცხადებები შემონშემებული არარის გამოკვლევების ან ჯვარედინი დაკითხვების მეშვეობით და შეიძლება ნებისმიერ ასეთ მცდელობას არასრული და მცდარი საფუძველი შეუქმნას. ეს სიტუაცია არ შეიძლება, გაუთანაბრდეს ტუსალობაში დამდგარი სიკვდილის შემთხვევებს, სადაც სახელმწიფოზე მოდის მტკიცებულების ტვირთი, წარმოადგინოს დამაკმაყოფილებელი და დამაჯერებელი ახსნა-განმარტება.

120. სასამართლო აგრეთვე მზად არ არის, ძირითადად სტატისტიკური ინფორმაციისა და შერჩევითი მტკიცებულების საფუძველზე მოახდინოს ბოლო ოცდაათი წლის განმავლობაში მომხდარი ინციდენტების ანალიზი, რათა დაადგინოს, ავლენენ თუ არა ისინი უშიშროების ძალების მიერ ძალის არაპროპორციული გამოყენების პრაქტიკას. ეს მნიშვნელოვნად გასცდებოდა წინამდებარე განცხადების ფარგლებს.

121. პირიქით, მთავრობის არგუმენტთან დაკავშირებით – რომ სამოქალაქო პროცესის შესაძლებლობა განმცხადებელს უზრუნველყოფს საშუალებით, რომელიც ჯერ არ ამონურულა, როგორც ეს კონვენციის 35-ე მუხლის 1-ლი პუნქტითაა გათვალისწინებული და რომ, აქედან გამომდინარე, მე-2 მუხლის საფუძველზე საქმის შემდგომი შესწავლა არ მოითხოვება – სასამართლო მიუთითებს, რომ მე-2 მუხლის საფუძველზე სახელმწიფოს ვალდებულებები ვერ დაკმაყოფილდება მხოლოდ ზიანის ანაზღაურებით (იხ. მაგ. კაიას საქმე, ციტატა ზემოთ, გვ. 329, § 105, და იაშას საქმე, ციტატა ზემოთ, გვ. 2431, § 74). კონვენციის მე-2 და მე-13 მუხლებით მოთხოვნილი გამოძიებით უნდა მოხდეს პასუხისმგებელთა იდენტიფიცირება და დასჯა. აქედან გამომდინარე, სასამართლო ქვემოთ განიხილავს, არის თუ არა შესაბამისობა კონვენციის მე-2 მუხლის ამ პროცედურულ ასპექტთან.

(ბ) კონვენციის მე-2 მუხლის საფუძველზე წარმოშობილი პროცედურული ვალდებულების შესახებ

122. გერვასიე მაკკერისა და მანქანაში მსხდომი ორი სხვა მამაკაცის სიკვდილის ფაქტზე გამოძიება ოლსტერის სამეფო პოლიციამ დაიწყო. ამ გამოძიების საფუძველზე სახელმწიფო დევნის დეპარტამენტმა მიიღო გადაწყვეტილება, დევნა დაეწყო სამი ოფიცრის მიმართ. ისინი გამართლებული იქნენ სისხლის სამართლის სასამართლოს მიერ. საპოლიციო გამოძიებისათვის ხელშემშლაზე არსებული ეჭვის გამო, დამოუკიდებელი საპოლიციო მოკვლევა დაიწყო ამ და კიდევ ორ სხვა ინციდენტზე. ეს გამოძიება დაიწყო 1984 წლის 4 ივნისს და 1994 წლის 8 სექტემბერს დასრულდა რაიმე კონკრეტული დასკვნის მიღების გარეშე.

123. განმცხადებელმა მრავალი საჩივარი შეიტანა ამ პროცედურებთან დაკავშირებით, ხოლო მთავრობა ამტკიცებდა, რომ, თუ რომელიმე პროცედურით ვერ მოხერხდა კონკრეტული დაცვის უზრუნველყოფა, მთლიანობაში სისტემა უზრუნველყოფდა პოლიციის ყველა სახის ანგარიშვალდებულებას უკანონო ქმედებებისათვის.

(ი) პოლიციური გამოძიება

124. პირველი – პოლიციურ გამოძიებასთან დაკავშირებით, სასამართლოს მიაჩნია, რომ პროცედურებთან დაკავშირებით განმცხადებლის კრიტიკა ძირითადად დაფუძნებულია ბ-ნი სტალკერის წიგნზე. თუმცა, ოლსტერის სამეფო პოლიციამ 1990 წლის მოხსენებაში სადავოდ მიიჩნია დასკვნები, რომლებიც მან 1984-1985 წლებში მის მიერ ჩატარებული მოკვლევის შედეგად გააკეთა. ამით გასაგები ხდება გარკვეული საკითხები, რომლებიც განმცხადებელმა წამოჭრა. მაგალითად, ის, რომ დაკარგული მასრები ვერ იპოვეს, შეიძლება გამოწვეული იყო თქეში წვიმით, რომელმაც ისინი დრენაჟის არხში ჩარეცხა, ხოლო ინციდენტის ადგილის მცდარი იდენტიფიცირება სწრაფად გამოსწორდა. მეორე მხრივ, ოლსტერის სამეფო პოლიცია ამტკიცებდა, რომ ბ-ნი სტალკერი, უბრალოდ, შეუსაბამოდ იქცეოდა ან შეცდომას უშვებდა.

125. სასამართლოს არ შეუძლია, გადაწყვეტილება მიიღოს ურთიერთსანინააღმდეგო განცხადებებზე, სადაც ზოგი მათგანი სხვებზე შედარებით უფრო სერიოზულია. მაგალითად, ვერ დადასტურდა, რომ ოლსტერის სამეფო პოლიციას არ უძებნია, ან ვერ იპოვა სათანადო მონიშვნები. მიმართეს საზოგადოებას და გამოკითხული იქნა ადგილობრივი მოსახლეობა. გადაჭარბებული მნიშვნელობა არ უნდა მიენიჭოს იმ ფაქტს, რომ ბატონმა სტალკერმა ერთი პოტენციური მონიშვნა იპოვა, რომელსაც ოლსტერის პოლიცია არ დაკავშირებია.

126. მიუხედავად ამისა, დავას არ ინვესტის ფაქტი, რომ პოლიციის ოფიცრების იარაღი შემთხვევის ადგილის შემსწავლელი ოფიცრისათვის მომდევნო დღემდე არ გადაუციათ და ოფიცრები 1982 წლის 15 ნოემბრამდე, ანუ ინციდენტიდან სამი-ოთხი დღის განმავლობაში, არ დაუკითხავთ. თუმცა, არაფერი მიანიშნებს, იარაღთან დაკავშირებული დროის ინტერვალი რამდენიმე საათს შეადგენდა თუ უფრო ხანგრძლივ პერიოდს. შეიძლება გასაკვირი იყოს, რომ იარაღის ჩაბარება უმოკლეს დროში არ მოუთხოვიათ და არც ოფიცრები დაუკითხავთ უფრო ადრეულ სტადიაზე. მთავრობამ განაცხადა, რომ ეს გამომძიებელი ოფიცრის გააზრებული გადაწყვეტილება გახლდათ, რომელსაც სურდა, ოფიცრების გამოკითხვამდე სხვა მტკიცებულებები შეეგროვებინა. შეიძლება აღინიშნოს, რომ სხვა გამოკითხვებიც, რომლებსაც სიცხადე უნდა შეეტანა სასამართლო ექსპერტიზის დასკვნებში, გვიან ჩატარდა. ამიტომ მთლიანობაში ნათელი არ არის, რატომ იყო საჭირო ოფიცრების გამოკითხვის რამდენიმე დღით დაგვიანება. თუმცა, არ არის რაიმე მინიშნება, რომ იარაღის გამოყენების ან გასროლის რაოდენობასთან დაკავშირებით ჩატარებული სასამართლო ექსპერტიზის შედეგად რაიმე სირთულე წამოიჭრა. გამომძიებლისათვის მთლიანობაში სერიოზული ზიანი არ მიუყენებია პოტენციური ძირითადი ეჭვმიტანილების გამოკითხვის რამდენიმე დღით დაგვიანებასაც. თუმცა, იგი გარკვეულ წონას ანიჭებს მტკიცებას, რომ პოლიციის ოფიცრების მიერ სასიკვდილო ძალის გამოყენების საქმის გამოძიება ხარისხობრივად განსხვავდება სამოქალაქო ეჭვმიტანილების მიმართ წარმოებული გამოძიებისაგან.

127. ასევე ცხადია, რომ სამმა პოლიციელმა მიიღო ინსტრუქცია, გამოძიებაში ჩართული ოლსტერის სამეფო პოლიციის ოფიცრებისათვის არ გაემჟღავნებინა გარკვეული ინფორმაცია, კერძოდ ის, რომ ისინი განსაკუთრებული ქვედანაყოფის ოფიცრები იყვნენ და სადაზვერვო ოპერაციების შედეგად მოპოვებულ ინფორმაციაზე მუშაობდნენ. როგორც მთავრობა ცხადებს, ოლსტერის პოლიციის გამომძიებლებმა ეს აღმოაჩინეს. ამას მოჰყვა შემდგომი მოკვლევა, რომელმაც გამოავლინა გამოძიებისთვის ხელის შეშლის მტკიცებულება, რაც თავისთავად სისხლის სამართლის დანაშაულს წარმოადგენს და შემდგომი დისციპლინური წარმოება. ცნობილი არ არის, შემდგომი მოკვლევებით გამოვლინდა თუ არა პოლიციის ოფიცრების მხრიდან გამოძიებისაგან ინფორმაციის დამალვის ან გამომძიებლისათვის ხელშეშლის მცდელობის დამატებითი შემთხვევები, რადგან სტალკერის და სემპსონის მოხსენებები საჯაროდ არ გამოქვეყნებულა. თუმცა, სერიოზულ შემფოთებას ინვესტის ფაქტი, რომ, მაღალი ჩინის ოფიცრების ინსტრუქციით, ადგილი ჰქონდა გამოძიებისაგან ინფორმაციის დამალვის მცდელობას. იგი წარმოშობს კანონიერ ეჭვს გამოძიების პროცესის მიუკერძოებლობასთან მიმართებით.

128. ამგვარ კონტექსტში წინა პლანზე იწვევს გაუმართლებელი ზემოქმედებისა და მიუკერძოებლობის სიმწირისაგან დაცვის საჭიროების საკითხი. უნდა აღინიშნოს, რომ ოლსტერის პოლიციელთა მიერ სიცოცხლის ხელყოფის შემთხვევის გამოძიებას ხელმძღვანელობდნენ და აწარმოებდნენ ოლსტერის პოლიციის სხვა ოფიცრები. შეიძლება ვივარაუდოთ, თუმცა, ამ საკითხზე რაიმე პირდაპირი განცხადებები არ გაკეთებულა, რომ ამ გამოძიებას, როგორც ამას კანონი

მოითხოვს, ზედამხედველობას უწევდა ICPC - დამოუკიდებელი პოლიციის მონიტორინგის ორგანო. მათი თანხმობა აუცილებელი იქნებოდა გამოძიების ხელმძღვანელი ოფიცრისათვის და, როგორც ჩანს, მათ გამოძიების წარმოება დამაკმაყოფილებლად შეაფასეს. თუმცა, არსებობდა იერარქიული კავშირი გამომძიებელ ოფიცრებსა და იმ ოფიცრებს შორის, რომელთა მიმართაც გამოძიება წარმოებდა – ყველა მათგანი ოლსტერის სამეფო პოლიციის უფროს კონსტებლს ექვემდებარებოდა, რომელიც მონაწილეობდა ნებისმიერი დისციპლინური თუ სისხლის სამართლის პროცესის ორგანიზებაში (იხ. ზემოთ პუნქტი 82-84). თუმცა, ICPC-ის უფლებამოსილება – ოლსტერის პოლიციის უფროსი კონსტებლისათვის მოეთხოვა გამოძიების ანგარიშის დევნის დეპარტამენტში გადაგზავნა, რათა სისხლის სამართლებრივ დევნაზე გადაწყვეტილება მიეღოთ ან დისციპლინური სამართალწარმოება დაეწყოთ – არ არის ჯეროვანი დაცვის მექანიზმი. ეს განსაკუთრებით ეხება იმ შემთხვევებს, როცა თვით გამოძიება, ყველა პრაქტიკული მიზნიდან გამომდინარე, განხორციელდა პოლიციის ოფიცრების მიერ, რომლებიც დაკავშირებული იყვნენ იმ პოლიციის ოფიცრებთან, რომელთა მიმართაც გამოძიება წარმოებდა. სასამართლო მიუთითებს CPT-ის რეკომენდაციაზე, სადაც ნათქვამია, რომ სრულიად დამოუკიდებელი საგამომძიებო დაწესებულება დაეხმარებოდა ნდობის განმტკიცებას სისტემაში, რომელიც არსებობს ინგლისსა და უელსში და მრავალ ასპექტში ერთმანეთის მსგავსია (იხ. ზემოთ პუნქტი 98).

129. რაც შეეხება საზოგადოების კონტროლის დეფიციტს პოლიციის გამოძიებებზე, სასამართლოს მიაჩნია, რომ მგრძობიარე ინფორმაციის შეძენის პოლიციის მოხსენებებისა და გამოძიების მასალების გამოქვეყნებამ შეიძლება ზიანი მიაყენოს კერძო პირებს ან სხვა საქმეთა გამოძიებას. ამიტომ არ შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც ავტომატური მოთხოვნა მე-2 მუხლის საფუძველზე. საზოგადოების ან დაზარალებულის ნათესავებისთვის საჭირო ჩართულობა ამ პროცესში შეიძლება უზრუნველყოფილ იქნეს არსებული პროცედურების სხვა სტადიებზე.

**(ii) სახელმწიფო დევნის დირექტორის (DPP) როლი**

130. სასამართლო მიუთითებს, რომ DPP არის დამოუკიდებელი იურისტი, რომელსაც ევალება, გადაწყვიტოს, აღიძრას თუ არა დევნა პოლიციის ოფიცრის მიერ განხორციელებულ ნებისმიერ სისხლის სამართლის სავარაუდო დარღვევაზე. მას არ მოეთხოვება, დაასაბუთოს დევნის არაღძვრის გადაწყვეტილება და ამ საქმეში მას ეს ასე არ გაუკეთებია. ჩრდილოეთ ირლანდიაში არ არსებობს გაპროტესტების პროცედურა, რომ სასამართლო ზედამხედველობის მეშვეობით მას მოეთხოვოს დასაბუთების წარმოდგენა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ინგლისსა და უელსში, სადაც გამოძიების მსაჯულებს შეუძლიათ, გამოიტანონ უკანონო მკვლელობის ვერდიქტი, სასამართლოებს მოუთხოვიათ სახელმწიფო ბრალდების დირექტორისათვის, გადაეხედა დევნის არაღძვრის გადაწყვეტილებისათვის ასეთი ვერდიქტის გათვალისწინებით. მსგავსი შესაძლებლობა ჩრდილოეთ ირლანდიაში არ არსებობს. გამოძიების მსაჯულებს აქ აღარ აქვთ უფლება, გამოიტანონ ვერდიქტი სიცოცხლის ხელყოფის კანონიერებაზე ან – პირქით.

131. სასამართლოს ეჭვი არ ეპარება სახელმწიფო ბრალდების დირექტორის დამოუკიდებლობაში. წინამდებარე საქმეში მან გამოსცა ბრძანება სამი ოფიცრის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნის განხორციელების შესახებ. აქედან გამომდინარე, არ წარმოიშობა რაიმე კითხვა დევნის არაღძვრის გადაწყვეტილების გამჭვირვალობასთან მიმართებით. მიუხედავად ამისა, განმცხადებელი ამტკიცებს, რომ სახელმწიფო დევნის დირექტორის გადაწყვეტილება არ შეიძლებოდა განხილულიყო, როგორც საპოლიციო გამოძიების ხარვეზების



გამოსწორების საშუალება. თუმცა, მის ხელთ არსებული მასალების საფუძველზე, სასამართლო ვერ დაასკვნის, რომ გამოძიებას ჰქონდა რაიმე მნიშვნელოვანი ხარვეზი, რომელმაც თავიდანვე შეუშალა ხელი დევნას (*ab initio*) ან ზიანი მიაყენა მის ეფექტიანობას.

132. სასამართლო ქვემოთ განიხილავს, სისხლის სამართლის საქმისწარმოებით უზრუნველყოფილ იქნა თუ არა კონვენციის მე-2 მუხლით გათვალისწინებული გამოძიება.

**(iii) სისხლის სამართლის საქმისწარმოება პოლიციის სამი ოფიცრის მიმართ**

133. როგორც ზემოთიყო აღნიშნული (იხ. პუნქტი 113), სახელმწიფო მუშაკების მიერ სიცოცხლის ხელყოფის შემთხვევის გამოძიების გადაწყვეტას პექტის წარმოადგენს ის, რომ მის საფუძველზე უნდა განხორციელდეს სისხლის სამართლებრივი დევნა და დაისაჯონ მკვლელობაზე პასუხისმგებელი პირები. წინამდებარე საქმეში პოლიციის სამ ოფიცერს დაედო ბრალი ინციდენტში მონაწილე მამაკაცებიდან ერთ-ერთის მკვლელობისთვის, სავარაუდოდ, ტაქტიკური მიზეზების გამო. ცხადია, რომ მთლიანობაში პროკურორის მიერ ინციდენტთან დაკავშირებით წარმოდგენილი მტკიცებულებები დამოსამართლის გადაწყვეტილება მიუთითებდა სამივე მამაკაცის მკვლელობაზე. სასამართლო პროცესი მსჯავრის დადებით რომ დასრულებულიყო, მასში, არაპირდაპირ მაინც, გათვალისწინებული იქნებოდა განმცხადებლის მამის დალუპვაც და, სავარაუდოდ, დაკმაყოფილდებოდა მე-2 მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნები – სისხლის სამართლებრივი დევნა და დასჯა.

134. მოვლენათა ჩვეულებრივი მსვლელობისას, სისხლის სამართლის საქმისწარმოება, შეჯიბრებითობის პრინციპზე დაფუძნებული დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი მოსამართლის წინაშე, განხილული უნდა იქნეს, როგორც ფაქტების დადგენისა და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის მინიჭების ეფექტიანი პროცედურების მტკიცე დამცავი მექანიზმი. განმცხადებლის თქმით, მოსამართლემ ოფიცრები გაამართლა იმ საფუძველით, რომ „საქმე არ ითვალისწინებდა პასუხისმგებლობას“, ამასთან, იგი არ დაელოდა დაცვის მხარის მოსმენას, კერძოდ, ოფიცერთა ზეპირ ჩვენებებს. გარდა ამისა, მან სასამართლოს ყურადღება მიაპყრო მოსამართლის კომენტარებზე, რომლებმაც მნიშვნელოვანი წინააღმდეგობა წარმოშვა, რაც გამოიხატებოდა იმაში, რომ იგი ქებას უძღვნიდა სამ ოფიცერს, რომლებმაც ირლანდიის რესპუბლიკური არმიის წევრობაში ეჭვიმტანილი სამი შეუიარაღებელი ადამიანი იმ ქვეყნად გაამგზავრეს.

135. სიმართლეს შეესაბამება ის ფაქტი, რომ სამი ოფიცრის ანგარიშებში მკვლელობებთან დაკავშირებით გაკეთებული განცხადებების გამოკვლევა ან ჯვარედინი დაკითხვა არ ჩატარებულა. თუმცა, ამ სასამართლოს კომპეტენციაში არ შედის, საკუთარი მოსაზრებით ჩაანაცვლოს სისხლის სამართლის სასამართლოს გადაწყვეტილება იმასთან დაკავშირებით, წარმოადგინა თუ არა ბრალმდებელმა საკმარისი მტკიცებულება, რომელზეც დაცვის მხარეს უნდა გაეცა პასუხი. სისხლის სამართლის სასამართლომ მოისმინა ჩვენებები და მას ჰქონდა მტკიცებულებათა საერთო სურათის შეფასების უფრო კარგი შესაძლებლობა, ვიდრე ამ სასამართლოს შეიძლება ჰქონდეს გვიან ეტაპზე. მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება გასაგები იყოს, თუ რატომ აღიქვეს მტკიცებულებად მოსამართლის კომენტარები, იგი არ შეიძლება მიუთითებდეს მიუკერძოებლობის ნაკლებობაზე. მოსამართლის დასკვნა, რომ ძალის გამოყენება იყო გონივრული, არ წარმოშობს უკანონო მკვლელობებისადმი შემგუებლობას.

136. თუმცა, სისხლის სამართლის საქმისწარმოება სამი ოფიცრის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობით შემოიფარგლა. განმცხადებელი, ეყრდნობოდა რა მინესოტას ოქმს (იხ. ზემოთ, პუნქტი 97), ამტკიცებდა, რომ სასამართლო პროცესს არ ჰქონდა უნარი, განეხილა მკვლელობებში ოფიციალური ჩარევის სხვა ასპექტებთან დაკავშირებული პრობლემები. ერთ-ერთ ასეთ ასპექტს წარმოადგენდა მაღალჩინოსანი ოფიცრის წინასწარგანსაზღვრული ინსტრუქცია, რომელიც მან ეჭვმიტანილებს მისცა, კერძოდ, დაემაღათ ინფორმაცია გამომძიებელი ოფიცრებისათვის, რამაც დაბადა ეჭვი – ხომ არ ჰქონდა ადგილი სხვა ინფორმაციის დამალვას ან ხელშეშლას. კიდევ ერთ ასპექტს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ერთი თვის განმავლობაში არმაფში ორი სხვა ინციდენტიც მოხდა – სპეციალური მობილური ქვედანაყოფის ოფიცრებმა სასიკვდილო ძალა გამოიყენეს, რის შედეგადაც 1982 წლის 24 ნოემბერს დაიღუპა მაილ ტაიფე, ხოლო 1982 წლის 12 დეკემბერს სეამუს კრიუ და როდი კაროლი; ყველა მათგანი შეუიარაღებელი იყო. სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო უკანასკნელ შემთხვევაზე და ისიც გამამართლებელი განაჩენით დასრულდა. ამტკიცებდნენ, რომ ამ ინციდენტებში მონაწილე პოლიციის ოფიცრებმაც მიიღეს ინსტრუქცია, დაემაღათ მტკიცებულებები.

137. სასამართლოს მიაჩნია, რომ შეიძლება არსებობდეს გარემოებები, როდესაც წამოჭრილი საკითხები ვერ ან არ განიხილება სისხლის სამართლის პროცესზე; და რომ მე-2 მუხლი შესაძლოა უფრო ფართო შესწავლას საჭიროებდეს. ამ სამი ინციდენტის შედეგად სერიოზული კითხვები წარმოიშვა, კერძოდ, ანტიტერორისტული საპოლიციო პროცედურები ხომ არ ინვეგდნენ ძალის გადამეტებულ გამოყენებას – წინასწარი განზრახვით ან, როგორც გამოყენებული ტაქტიკის გარდაუვალი თანმდევი შედეგი. მტკიცებულების განზრახ დამალვა აგრეთვე ეჭვქვეშ აყენებს გამოძიების ეფექტიანობას მომხდარი ფაქტის დადგენის თვალსაზრისით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სასამართლო პროცესმა სათანადოდ ვერ შეასრულა მიზანი, დაერწმუნებინა საზოგადოება და ოჯახი, რომ მკვლელობა მართლზომიერი იყო. აქედან გამომდინარე, წინამდებარე საქმეში სასამართლო ადგენს, რომ მე-2 მუხლი მოითხოვდა პროცედურას, რომლის მეშვეობითაც გამოკვლეული იქნებოდა ეს ელემენტები და დადასტურდებოდა ან მოისპობოდა ეჭვები. ქვემოთ იგი განიხილავს, რამდენად ადეკვატურად განიხილა ეს პრობლემები ხელისუფლებამ.

(iv) დამოუკიდებელი საპოლიციო მოკვლევა

138. ადრეულ ეტაპზე სახელმწიფო დევნის დირექტორი დარწმუნებული იყო, რომ წინამდებარე საქმიდან წამოჭრილი პრობლემები მტკიცებულებების დამალვიდან მომდინარეობდა. სასამართლო პროცესის დაწყებამდე, დაახლოებით 1983 წლის ივლისში, მან დამატებითი მოკვლევის ჩატარება მოითხოვა (იხ. ზემოთ, პუნქტი 16). 1984 წლის 11 აპრილს მან მიიღო ზომები, განეხორციელებინა თავისი საწესდებო უფლებამოსილება სამართალდარღვევათა დევნის (ჩრდილოეთი ირლანდია) 1972 წლის ბრძანების 6(3) მუხლის საფუძველზე, რათა ოლსტერის სამეფო პოლიციის უფროსი კონსტებლისათვის აღნიშნული სამი საქმის დამატებითი გამოძიების ჩატარება მოეთხოვა. მისი მიზანი არ იყო ინციდენტების ხელახალი გამოძიება, არამედ იმის დადგენა, ხომ არ არსებობდა მტკიცებულება, რომ ადგილი ჰქონდა მართლმსაჯულების მიმდინარეობის დამახინჯებას. უფროსმა კონსტებლმა გამოძიება ბატონ სტალკერს დაავალა, რომელიც პოლიციის უფროს ოფიცრად მუშაობდა პოლიციის სხვა ძალებში, კერძოდ, ინგლისში.

139. შემდგომ მოკვლევას საგულისხმო წინააღმდეგობები მოჰყვა, რაც დღემდე გრძელდება. ბატონი სტალკერი გამოძიებას ჩამოაშორეს 1986 წლის 29 მაისს



და იგი ბატონმა სამსონმა შეცვალა, რომელიც აგრეთვე პოლიციის უფროს ოფიცრად მუშაობდა ჩრდილოეთ ირლანდიის ფარგლებს გარეთ. არც ერთი მოხსენება საჯაროდ არ გამოქვეყნებულა. ეს სამსახურებრივი გადაცდომა არ დამალულა და იგი გამოამზეურა გენერალურმა პროკურორმა თავის 1988 წლის 25 იანვრის მოკლე განცხადებაში, რომელმაც იმავდროულად აღნიშნა, რომ სახელმწიფო დევნის დირექტორის მიერ ხელშეშლის საფუძველზე პოლიციის ოფიცრების მიმართ დევნის არდანყების გადანყვეტილება გამართლებული იყო საზოგადოებრივი ინტერესებით.

140. სასამართლოს მიაჩნია, რომ მოკვლევა შეიძლება ჩაითვალოს საკმარისად დამოუკიდებლად, თუმცა, როგორც ჩანს, მოკვლევის შედეგად შემუშავებული მოხსენებების განკარგვასთან დაკავშირებით ოლსტერის სამეფო პოლიციის უფროსმა თავისი როლი ითამაშა. უდავოა, რომ მოხსენება და გამოძიების მასალები უნდა განხილულიყო, როგორც ოლსტერის სამეფო პოლიციის საკუთრება. თუმცა, ვერ ვიტყვით, რომ მათი განხილვა გონივრულ დროში განხორციელდა. სამი წელი და ცხრა თვე დასჭირდა, სანამ პარლამენტი მის შესახებ განცხადებას გააკეთებდა. ბატონმა სტალკერმა შუალედური მოხსენება უფროს კონსტებლს 1985 წლის 18 სექტემბერს გადასცა, ხოლო ამ უკანასკნელმა იგი სახელმწიფო ბრალდების დირექტორს მხოლოდ 1986 წლის 15 თებერვალს გადაუგზავნა, ანუ თითქმის 5 თვის დაგვიანებით. 1986 წლის 29 მაისს, ბატონი სტალკერის გამოძიებიდან ჩამოცილების შემდეგ, ბატონ სამსონს კიდევ ათი თვე დასჭირდა მისი მოხსენების საბოლოო ნაწილის დასასრულებლად, რომელიც მან 1997 წლის 10 აპრილს წარადგინა. გენერალურმა პროკურორმა ამის შემდეგ კიდევ 9 თვე მოანდომა, სანამ საკითხს პარლამენტს მოახსენებდა.

141. გარდა ამისა, იმის გამო რომ მოხსენებები და მათი დასკვნები არც სრულად და არც ნაწილობრივ არ გამოქვეყნებულა, არ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ გამოძიებაზე ხორციელდებოდა რაიმე საზოგადოებრივი კონტროლი. გამჭვირვალობის ეს დეფიციტი შეიძლება განხილული იქნეს, უფრო როგორც არსებული პრობლემების დამადასტურებელი, ვიდრე უარმყოფელი ფაქტორი. არ აუხსნიათ მიზეზები, თუ რატომ არ შედიოდა სისხლისსამართლებრივი დევნა საზოგადოების ინტერესებში და არ არსებობდა საშუალება, გაესაჩივრებინათ ამ მიზეზების აუხსნელობის ფაქტი.

(v) მოკვლევა

142. ჩრდილოეთ ირლანდიაში, ისევე როგორც ინგლისსა და უელსში, სიცოცხლის ხელყოფის შემთხვევები შეიძლება გამოძიებულ იქნეს მოკვლევით. მოკვლევა არის საჯარო განხილვა, რომელსაც ატარებენ კორონერები (ძალადობრივი სიკვდილის გამომძიებლები) – დამოუკიდებელი სასამართლო მუშაკები – რომლებიც, ჩვეულებრივ, განხილვას მსაჯულებთან ერთად ატარებენ. ასეთი განხილვის მიზანია ადამიანის საეჭვო დაღუპვასთან დაკავშირებული ფაქტების დადგენა. საქმეში *მაკკანი და სხვები* (ციტატა ზემოთ, გვ. 49, § 162) სასამართლომ დაადგინა, რომ გიბრალტარში ირლანდიის რესპუბლიკური არმიის სამი ეჭვმიტანილის SAS-ის მიერ მკვლელობის საქმეზე განხორციელებული მოკვლევა აკმაყოფილებდა მე-2 მუხლის პროცედურულ ვალდებულებას, რადგან მასში იყო მკვლელობასთან დაკავშირებული მოვლენების დეტალური განხილვა და გარდაცვლილთა ნათესავებს ოპერაციაში ჩართული მონემების გამოკვლევის და ჯვარედინი დაკითხვის საშუალება ჰქონდათ.

წინამდებარე საქმეში ფაქტების დადგენის ფუნქცია უკვე განხორციელებული ჰქონდა სისხლის სამართლის სასამართლოს. თუმცა, იგი ეხებოდა მანქანაში

მყოფი ერთ-ერთი მამაკაცის დაღუპვას. მას არ განუხილავს მიჩქმალვის და სასიკვდილო გასროლის პოლიტიკის საკითხები, რომელიც დამოუკიდებელმა საპოლიციო მოკვლევამ შეისწავლა. სასამართლომ განიხილა, ჩატარებული მოკვლევა უზრუნველყოფდა თუ არა საკითხთა საჯარო და ეფექტიან შესწავლას.

თუმცა, მან დაასკვნა: მიუხედავად იმისა, რომ მოკვლევა უდავოდ საჯაროდ ჩატარდა, იგი არ იყო ეფექტიანი. მის ეფექტიანობას სხვადასხვა ფაქტორმა შეუშალა ხელი.

143. მოკვლევა შემოიფარგლა მხოლოდ იმ ფაქტებით, რომლებიც უშუალოდ იყო დაკავშირებული განსახილველ მკვლელობებთან. ეროვნული სასამართლოების პრეცედენტული სამართლის შესაბამისად, კორონერს მოეთხოვება, მისი გამოძიება შეზღუდოს იმ საკითხებით, რომლებმაც უშუალოდ სიკვდილი გამოიწვია და მოკვლევა უფრო ფართო გარემოებებზე არ უნდა გავრცელდეს. მართალია, ადგილობრივი სასამართლოები ეთანხმებიან, რომ მოკვლევის ძირითადი მიზანი სიკვდილის დადგომის გარშემო ჭორებისა და ეჭვების გაფანტვაა, ამის მიუხედავად, მათ მნიშვნელოვნად მიიჩნიეს, რომ ასეთი მოკვლევა „არ უნდა დაემსგავსოს ჭორებისა და ვარაუდების უკიდვანო ოკეანეში ცურვას“ (იხ. ზემოთ პუნქტი 75-76). სასამართლო ეთანხმება, რომ პოლიტიკის საკითხებისა ან სავარაუდო კონსპირაციის დეტალური გამოძიება შეიძლება არ იყოს გამართლებული ან სავალდებულო. თუმცა, წინამდებარე საქმეში წარმოიშვა კანონიერი და სერიოზული შეშფოთება. კორონერმა ეს აღნიშნა 1992 წლის 5 მაისს მის მიერ მსაჯულებისადმი გაკეთებულ მიმართვაში, როდესაც მან მიუთითა, რომ უკვე ჩატარდა სისხლის სამართლის სასამართლო პროცესი და რომ იგი მხოლოდ მოკვლევას ახორციელებდა, ვინაიდან შეიძლება აღმოჩენილიყო რაიმე დამატებითი მტკიცებულებები. თუმცა, მან ვერ შეძლო, მოეპოვებინა სტალკერის ან სამპსონის მოხსენებების ასლები ან მათთან სავარაუდოდ დაკავშირებული სხვა მასალა, რადგან უმაღლესმა სასამართლომ, დაუჭირა რა მხარი ოლსტერის სამეფო პოლიციის უფროსი კონსტებლის პროტესტს, განაცხადა, რომ ამ დოკუმენტების გაცნობა მოკვლევის მიზნებისათვის აუცილებელი არ იყო. უმაღლესი სასამართლოს მოსამართლემ მიუთითა, რომ მოკვლევა არ იყო ის ადგილი, სადაც სათანადოდ შეიძლებოდა სასიკვდილო გასროლის სავარაუდო პოლიტიკის განხილვა.

144. ჩრდილოეთ ირლანდიაში ადამიანის სიცოცხლის ხელყოფაში ეჭვმიტანილი პირი შეიძლება არ აიძულონ, მისცეს ჩვენება (კორონერთა წესების წესი 9(2) — იხ. ზემოთ, პუნქტი 73). პრაქტიკაში, მოკვლევებს, რომლებიც ჩრდილოეთ ირლანდიაში უშიშროების ძალების მიერ სასიკვდილო ძალის გამოყენების შემთხვევებზე ტარდება, ამ შემთხვევებთან დაკავშირებული პოლიციის ოფიცრები ან ჯარისკაცები არ ესწრებიან. ამის ნაცვლად, მტკიცებულებად იღებენ ნერილობით ჩვენებებს ან გამოკითხვის ჩანაწერებს. წინამდებარე საქმეზე ჩატარებული მოკვლევისას, სროლაში მონაწილე პოლიციელებისათვის მოკვლევაზე დასწრება არ მოუთხოვიათ. აქედან გამომდინარე, არ გამოუკვლევიათ სერჟანტ „მ“-ს და ოფიცრების — „ბ“-ს და „რ“-ს ხედვა მოკვლენასთან დაკავშირებით. ამის ნაცვლად, კორონერს მიაწოდეს მათი ჩვენებები. ეს მოკვლევას ვერ მისცემდა საშუალებას, რაიმე დამაკმაყოფილებელი შეფასება გაეკეთებინა უმნიშვნელოვანეს ფაქტობრივ საკითხებზე მათი საიმედოობის ან სანდოობის თვალსაზრისით. ამით მოკვლევამ დაკარგა საშუალება, დაედგინა მოკვდინებასთან დაკავშირებული ფაქტები და ამით მიეღწია კონვენციის მე-2 მუხლით მოთხოვნილი რომელიმე მიზნისთვის (იხ. აგრეთვე გაეროს უკანონო მკვლელობების შესახებ პრინციპების მე-10 პუნქტი, ციტატა ზემოთ, პუნქტი 96).

145. მსაჯულთა ვერდიქტით, წინამდებარე საქმეში მხოლოდ დაღუპულთა იდენტიფიცირება და სიკვდილის დადგომის თარიღის, ადგილისა და მიზეზის მოყვანა გახდა შესაძლებელი. ინგლისსა და უელსში, აგრეთვე გიბრალტარში, მსაჯულებს რამდენიმე ვერდიქტის გამოტანა შეუძლიათ, მათ შორის, „სიცოცხლის უკანონო ხელყოფასთან“ დაკავშირებით. როგორც უკვე აღინიშნა, როდესაც ინგლისსა და უელსში მსაჯულებს ასეთი ვერდიქტი გამოაქვთ, სახელმწიფო დევნის დირექტორს მოეთხოვება, გადასინჯოს დევნის არაღძვრასთან დაკავშირებით მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება და წარმოადგინოს მიზეზები, რომლებსაც სასამართლომ შეიძლება აცილება მისცეს. წინამდებარე საქმეზე უკვე განხორციელდა სისხლისსამართლებრივი დევნა. რაიმე დამატებითი სისხლისსამართლებრივი დევნა, რომელიც შეიძლებოდა მოკვლევას განეხორციელებინა, რელევანტური იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ კორნორერი წერილობით მოხსენებას გაუგზავნიდა სახელმწიფო დევნის დირექტორს და ის ჩათვლიდა, რომ შესაძლოა ადგილი ჰქონოდა სისხლისსამართლებრივ დანაშაულს. თუმცა, ნათელი არ არის, რომ სახელმწიფო დევნის დირექტორი ვალდებული იყო, რაიმე გადაწყვეტილება მიეღო ამ შეტყობინების პასუხად, ან დეტალურად დაესაბუთებინა, თუ რატომ არ ახდენდა რეაგირებას. აქედან გამომდინარე, მოკვლევამ ვერ შეძლო, ეფექტიანი როლი შეესრულებინა სისხლის სამართლის დანაშაულების იდენტიფიცირებასა თუ დევნაში, რომლებსაც შესაძლოა ადგილი ჰქონდა და, ამ თვალსაზრისით, არასაკმარისია მე-2 მუხლის მოთხოვნებისათვის.

146. მიუხედავად იმისა, რომ მოკვლევის პროცესის საჯაროობა ეჭვს არ იწვევს, განმცხადებელი ჩიოდა, რომ მნიშვნელოვნად შეიზღუდა მისი ოჯახის, როგორც დაღუპულის ახლობლის, პროცესში მონაწილეობა. მოკვლევის პროცესზე მათ ვერ მიიღეს სამართლებრივი დახმარება და პროცესამდე არ გააცნეს დოკუმენტები.

თუმცა, სასამართლო აღნიშნავს, რომ საქმეში *მაკკენი* და *სხვები* მოკვლევის პროცესზე ოჯახი წარმოდგენილი იყო დაცვის ადვოკატით და უზრუნველყოფილი იყო იურიდიული დახმარებით საქმესთან დაკავშირებული განცხადებების სასამართლო გადასინჯვისათვის. ამრიგად, არ შეიძლება ითქვას, რომ განმცხადებლის ოჯახს, იურიდიული დახმარების არქონის გამო, საშუალება არ ჰქონდა, რაიმე სამართლებრივი დახმარება მიეღო მოკვლევის პროცესზე.

147. რაც შეეხება დოკუმენტებზე ხელმისაწვდომობას, იმ დროისათვის დაღუპულის ოჯახს არ შეეძლო, მიეღო მონმის ჩვენების ასლები, სანამ მოცემული მონმე ჩვენებას აძლევდა. ასეთივე პოზიცია იყო საქმეში *მაკკანი* და *სხვები*, სადაც სასამართლომ მიიჩნია, რომ ამით მნიშვნელოვნად არ შეფერხებულა ოჯახის ადვოკატთა საშუალება, დაეკითხათ მონმეები (იხ. ზემოთ მოყვანილი გადაწყვეტილება, გვ. 49, § 162). თუმცა, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ *მაკკანისა* და *სხვების* საქმე გარკვეულწილად გამონაკლისს წარმოადგენდა, თუ მას შევადარებთ ჩრდილოეთ ირლანდიაში წარმოებულ რამდენიმე საქმესთან (იხ. აგრეთვე *ჰუფ ჯორდანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, no. 24746/94, 2001 წლის 4 მაისის გადაწყვეტილება; *კელი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, no. 30054/96, 2001 წლის 4 მაისის გადაწყვეტილება; და *შანაჰანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, no. 37715/97, 2001 წლის 4 მაისის გადაწყვეტილება). *მაკკანისა* და *სხვათა* საქმეზე ჩატარებული მოკვლევის პროცესის სისწრაფე და დეტალურობა სასამართლოს საშუალებას აძლევს, ყოველგვარი ეჭვის გარეშე დაასკვნას, რომ გამოკვლეული იქნა მოვლენასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი ფაქტი, სადაც აქტიურად მონაწილეობდნენ განმცხადებლების გამომცდილი ადვოკატები. იმ ფაქტს, რომ ნათესავებს დოკუმენტებზე ხელმისაწვდომობა არ ჰქონდათ, ამ კონტექსტში რაიმე ხელშეშლა არ გამოუწვევია. თუმცა, აღნიშნული საქმის შემდეგ სასამართლო უფრო მეტ აქცენტს აკეთებდა დაღუპულთა ნათესავების პროცედურაში მონაწილეობის და

მათთვის ინფორმაციის მიწოდების მნიშვნელობაზე (იხ. *ოგურის საქმე*, ციტატა ზემოთ, § 92).

გარდა ამისა, სასამართლო აღნიშნავს, რომ სტეფან ლოურენსის საქმის მოკვლევის შუქზე გაერთიანებულ სამეფოში შეიცვალა საქმის მასალების გაცნობის პრაქტიკა და ამჟამად რეკომენდირებულია, პოლიციამ მოწმეთა ჩვენებები გააცნოს 28 დღით ადრე (იხ. ზემოთ პუნქტი 78).

148. წინამდებარე საქმეში შეიძლება დადგინდეს, რომ მოწმეთა ჩვენებებზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვა მოკვლევის რამდენჯერმე გადადებამ გამოიწვია. ამას შედეგად მოჰყვა პროცესის გაჭინაურება. სასამართლო ამას დაგვიანების კონტექსტში განიხილავს (იხ. ქვემოთ პუნქტი 152). მოწმის მოსვლამდე განმცხადებლის ოჯახის მოწმის ჩვენებებზე ხელმიუწვდომლობა შეიძლება აგრეთვე განხილულ იქნეს, როგორც მათი არახელსაყრელ მდგომარეობაში ჩაყენება პროცესისათვის მომზადებისა და დაკითხვაში მონაწილეობის თვალსაზრისით. ეს განსაკუთრებით კონტრასტულ პოზიციაში აყენებდა მათ ოლსტერის სამეფო პოლიციასთან შედარებით, რომელსაც ჰქონდა რესურსები იურიდიული დახმარების მისაღებად და სრული ხელმისაწვდომობა სათანადო დოკუმენტებზე. სასამართლოს მიაჩნია, რომ დაღუპულის ოჯახის პროცესში მონაწილეობის უფლება მოითხოვს, რომ დადგენილი პროცედურები უზრუნველყოფდნენ მათი ინტერესების დასაცავად საჭირო ყველა საშუალებას, რომლებიც შესაძლოა პირდაპირ ეწინააღმდეგებოდნენ მოვლენაში ჩართული პოლიციის ან უშიშროების ძალების ინტერესებს. სასამართლო ვერ დარწმუნდა, რომ განმცხადებლის, როგორც მსხვერპლის ახლო ნათესავის ინტერესები, ამ თვალსაზრისით სამართლიანად და ადეკვატურად იყო დაცული.

149. მითითება აგრეთვე გაკეთდა მოკვლევის პროცესებში საჯარო ინტერესების დაცვის სერტიფიკატის სავარაუდო ხშირ გამოყენებაზე, რითაც იკრძალება გარკვეული საკითხების ან დოკუმენტების გამჟღავნება. წინამდებარე საქმეში ჩრდილოეთ ირლანდიის სახელმწიფო მდივანმა 1988 წლის 9 ნოემბერს გამოსცა სერტიფიკატი, რომელიც ეხებოდა ოლსტერის სამეფო პოლიციის ანტიტერორისტულ შესაძლებლობებს და ინფორმაციას ან დოკუმენტებს, რომლებიც სადაზვერვო ოპერაციების დეტალებს ამჟღავნებდა. მეორე სერტიფიკატი გამოიცა 1994 წლის 5 მაისს, რომლითაც აიკრძალა სტალკერისა და სამპსონის მოხსენებების გამჟღავნება იმ საფუძველით, რომ დაცულიყო სპეციალური დახაყოფების ეფექტიანობა და დაზვერვის ოპერაციების ხელშეუხებლობა.

150. ნათელი არ არის, რომ პირველმა სერტიფიკატმა ხელი შეუშალა მოწმეთა რაიმე შესაბამის დაკითხვას. რაც შეეხება მეორე სერტიფიკატს, სასამართლო მიუთითებს, რომ უფროსმა კონსტებლმა, დაობდა რა სტალკერისა და სამპსონის ანგარიშების მოკვლევისათვის ნარდგენის რელევანტურობაზე, განაცხადა, რომ კორონერს მოკვლევისათვის გადაეცა ყველა მოწმის ჩვენება და მტკიცებულებები (იხ. ზემოთ პუნქტი 58). უმაღლეს სასამართლოში მოსამართლე ნიკოლსონმა მიიჩნია, რომ ის, რაც გაუმჟღავნებელი დარჩა, იყო მხოლოდ განცხადებები მოსაზრებათა შესახებ, კრიტიკა, რეკომენდაციები და ა.შ. ნათელი არ არის, მოსამართლე ნიკოლსონს თავად თუ ჰქონდა მოხსენებების შესწავლის საშუალება, რათა დაედასტურებინა, შეიცავდნენ თუ არა ისინი მოკვლევისათვის რელევანტურ რაიმე მასალას. მოსამართლე ნიკოლსონმა აგრეთვე აღნიშნა, რომ ბატონი თორნბურნისათვის არაფერს შეუშლია ხელი, მტკიცებულებები მიენოდებინა მოკვლევისათვის სიცოცხლის ხელყოფასთან დაკავშირებულ საკითხებზე, მაგრამ იგი ვერ დაეყრდნობოდა მოხსენებებს, რათა რაიმე „მთაბეჭდილება“ შეექმნა მსაჯულებისათვის. სასამართლოს მიაჩნია, რომ ბატონ თორნბურნს მოხსენების



შინაარსთან დაკავშირებით, მათი შემუშავებიდან შვიდი თუ რვა წლით დაგვიანების შემდეგ, მტკიცებულებების წარდგენა რომ ეცადა, ნაკლებ სავარაუდოა, რომ მისი მეხსიერება დეტალების ზუსტად გახსენებას შეძლებდა. აგრეთვე, სავარაუდოა, რომ მთავრობა ამას გააპროტესტებდა, დაეყრდნობოდა რა PII სერტიფიკატს.

151. ეს სასამართლო არ არის ისეთ პოზიციაში, რომ დაბეჯითებით განაცხადოს, შეიცავდა თუ არა სტალკერისა და სამპსონის მოხსენებები სასიკვდილო გასროლის პოლიტიკის არსებობასთან დაკავშირებულ რაიმე რელევანტურ მასალას. არის ძლიერი მინიშნებები, რომ სტალკერის შუალედურ მოხსენებაში ასეთი მასალა იყო – ოლსტერის სამეფო პოლიციამ გააკრიტიკა სტალკერის მცდელობა, ხელახლა გამოეძიებინათ სროლის ინციდენტი და, აგრეთვე, მის მიერ მართლმსაჯულების აღსრულებისათვის ხელშეშლასთან დაკავშირებით გაკეთებული დასკვნები. გენერალურმა პროკურორმა პარლამენტისადმი მის მიერ გაკეთებულ განცხადებაში მიუთითა, რომ სახელმწიფო დევნის დირექტორი იკვლევდა მოხსენებებს და ასევე სროლის ინციდენტთან დაკავშირებულ მტკიცებულებებს. მოხსენებებში უდავოდ იყო მტკიცებულება მართლმსაჯულების ხელშეშლასთან დაკავშირებით, რომელიც სროლის ინციდენტით გამოწვეულ უფრო ფართო საკითხებს შეესაბამებოდა. სასამართლო ადგენს, რომ მოკვლევას საშუალება არ მიეცა, შეესწავლა პოტენციურად რელევანტური მასალა და, ამრიგად, შესაძლებლობა არ ჰქონდა, რაიმე სასარგებლო ფუნქცია შეესრულებინა სისხლის სამართლის საქმისწარმოების შემდეგ წამოჭრილი საკითხების ეფექტიანი გამოძიების თვალსაზრისით.

152. ბოლოს, სასამართლომ ყურადღება მიაქცია პროცესის დაგვიანებას. მოკვლევის სხდომა გაიხსნა 1984 წლის 4 ივნისს, სისხლის სამართლის სასამართლო პროცესის შემდეგ. ამის შემდგომ იგი გადაიდო საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდებით:

- 1984 წლის სექტემბრიდან 1988 წლის ნოემბრამდე – ბ-ნი სტალკერისა და ბ-ნი სიმპსონის მიერ განხორციელებული დამოუკიდებელი საპოლიციო მოკვლევის მიმდინარეობის პერიოდში;
- 1988 წლის 17 ნოემბრიდან 1990 წლის 8 მარტამდე – დაახლოებით თხუთმეტი თვით, სანამ ოჯახი ასაჩივრებდა პოლიციის ოფიცრების მიერ მიცემულ წერილობით ჩვენებებს;
- 1990 წლის 20 ივლისიდან 1992 წლის 6 თებერვლამდე – კიდევ თვრამეტი თვით, სხვა საქმეში ასეთი ჩვენებების გასაჩივრების გამო;
- 1992 წლის 29 მაისიდან 1993 წლის 28 მაისამდე – ერთი წლით, მონმის ჩვენებაზე მიუწვდომლობასთან დაკავშირებით ოჯახის საჩივრის გამო;
- მოკვლევის პროცესი 1994 წლის 31 იანვარს განახლდა, თუმცა, იგი თითქმის მაშინვე დაყოვნდა, სანამ კორონერსა და უფროს კონსტებლს შორის დავა მიდიოდა დოკუმენტების გამჟღავნებასთან დაკავშირებით. სასამართლო გადასინჯვის პროცესი 1994 წლის 11 ივლისს დასრულდა და რამდენიმე თვის შემდეგ მოკვლევა შეწყდა.

153. სასამართლომ დაადგინა, რომ გადადების რამდენიმე შემთხვევა განმცხადებლის ოჯახის მოთხოვნით მოხდა. ძირითადად ისინი დაკავშირებული იყო მოკვლევის პროცედურული ასპექტების გასაჩივრებასთან, რასაც ისინი მნიშვნელოვნად მიიჩნევდნენ მათი მონაწილეობისათვის — კერძოდ, დოკუმენტებზე ხელმისაწვდომობას. აქედან გამომდინარე, ამ საქმეში დაგვიანებას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი განმცხადებლის ოჯახმა, მაგრამ ეს გარკვეულწილად გამოიწვია იმ სირთულეებმა, რომელსაც ოჯახი მოკვლევის

პროცესში მონაწილეობის თვალსაზრისით ნაანყდა (იხ. ზემოთ პუნქტი 148, მონმეთა ჩვენებების გაუმჟღავნებლობის შესახებ). არ შეიძლება არაგონივრულად იქნეს მიჩნეული, რომ განმცხადებელმა მოკვლევის პროცედურის ამ ასპექტების გასაჩივრებისათვის არსებული სასამართლო დაცვის საშუალებები გამოიყენა.

154. საგულისხმო დაგვიანება გამონვეული იყო კორონერის გადაწყვეტილებით, დალოდებოდნენ დამოუკიდებელი საპოლიციო მოკვლევის შედეგებს. ეს შეიძლება გონივრული ნაბიჯი ყოფილიყო იქ, სადაც მოკვლევა სისხლის სამართლის პროცესის შემდეგ დარჩენილი საკითხების ეფექტიან გამოძიებას უზრუნველყოფდა. სასამართლომ ზემოთ უკვე დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა პროცესის ოპერატიულობისა და გამჭვირვალობის ხარვეზს. მიუხედავად იმისა, რომ მოკვლევა 1988 წლის იანვარში პარლამენტში გაკეთებული განცხადებით დასრულდა, მოკვლევის დაწყება არ დაგეგმილა 1988 წლის 14 ნოემბრამდე, მოვლენებიდან თითქმის ექვსი წლის შემდეგ. კორონერის წარუმატებელი მცდელობა დოკუმენტების მოსაპოვებლად, რომლებსაც იგი მოკვლევისათვის რეგულაციურად მიიჩნევდა, 1993 წლის სექტემბრიდან 1994 წლის მაისამდე გრძელდებოდა. როდესაც 1994 წლის 8 სექტემბერს კორონერმა მოკვლევა შეწყვიტა, მტკიცებულებების მხოლოდ მცირე ნაწილი იყო განხილული.

155. ამ გარემოებებში ვერ ვივარაუდებთ, რომ მოკვლევა სწრაფად ჩატარდა ან გონივრული ტემპით ვითარდებოდა (იხ. *mutatis mutandis*, რომელიც ეხება სისწრაფის მოთხოვნას კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის საფუძველზე, სკოპელიტი იტალიის წინააღმდეგ, 1993 წლის 23 ნოემბრის გადაწყვეტილება, Series A no. 278, გვ. 9, § 25). ხშირმა და ხანგრძლივმა გადადებამ კითხვის ქვეშ დააყენა საკითხი — სათანადო დროისათვის იყო თუ არა მოკვლევის სისტემა სტრუქტურულადუნარიანი, რათა უზრუნველყო როგორც სწრაფი, ისე ეფექტიანი ხელმისაწვდომობა დალუპულის ოჯახისათვის და საჭირო დოკუმენტების მიწოდება კორონერისათვის, რათა მას საკითხთა შესწავლა განეხორციელებინა.

(vi) სამოქალაქო პროცესი

156. როგორც ზემოთ აღინიშნა (იხ. პუნქტი 118), სამოქალაქო პროცესმა უნდა უზრუნველყოს ფაქტების მომკვლევითი სასამართლო, რომელსაც უნდა ჰქონდეს დამცავი მექანიზმები და უკანონობის დადგენის საშუალება. თუმცა, ეს არის განმცხადებლის და არა ხელისუფლების ინიციატივით განხორციელებული პროცედურა დიგარითვალისწინებს სავარაუდოდ ამრღვევის იდენტიფიცირებას ან დასჯას. იგი, როგორც ასეთი, არ შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს სახელმწიფოს მიერ კონვენციის მე-2 მუხლის საფუძველზე ნაკისრი პროცედურული ვალდებულებების შესრულების შეფასებისას.

(vii) დასკვნა

157. სასამართლო ადგენს, რომ წინამდებარე საქმეში პოლიციის ოფიცრების მიერ ძალის გამოყენების გამოძიების პროცესმა შემდეგი ხარვეზები გამოავლინა:

- ინციდენტის გამომძიებელი პოლიციის ოფიცრები არ იყვნენ საკმარისად დამოუკიდებელი ინციდენტში მონაწილე ოფიცრებისაგან;
- უზრუნველყოფილი არ იყო საზოგადოებრივი კონტროლი და მსხვერპლის ოჯახს არ მიუღია ინფორმაცია ინციდენტის დამოუკიდებელი საპოლიციო გამოძიების მასალების შესახებ – მართლმსაჯულების დამახინჯების ან დამახინჯების მცდელობისათვის რომელიმე პოლიციის ოფიცრის მიმართ დევნის არაღძვრის



შესახებ სახელმწიფო დევნის დირექტორის დადგენილების დასაბუთების ჩათვლით;

- მოკვლევის პროცესი არ იძლეოდა რაიმე ვერდიქტის ან დასკვნის გაკეთების საშუალებას, რომელსაც შეეძლო, ეფექტური როლი შეესრულებინა სისხლის სამართლის დანაშაულის გამოვლენასა და მასთან დაკავშირებით სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებაში.

- მოკვლევის პროცესზე მონმეთა გამოცხადებამდე მათი ჩვენებების გაუმჟღავნებლობამ ხელი შეუშალა განმცხადებლის ოჯახს, მონაწილეობა მიეღო მოკვლევის პროცესში. ამან პროცესის ხანგრძლივი გადადების რამდენიმე შემთხვევა გამოიწვია;

- PII სერტიფიკატამოკვლევის პროცესს ხელი შეუშალა საქმესთან დაკავშირებული ძალზე საგულისხმო საკითხების გამოკვლევაში;

- გერვაისე მაკკერის მკვლევლობაში ჩართული ოფიცრებისთვის მონმის სტატუსით მოკვლევის პროცესზე დასწრება არ მოუთხოვიათ;

- დამოუკიდებელი საპოლიციო გამოძიება გონივრული სისწრაფით არ განხორციელებულა;

- მოკვლევის პროცესი დროულად არ დაწყებულა და იგი გონივრული სისწრაფით არ მიმდინარეობდა.

158. ოლსტერის სამეფო პოლიციის გამოძიების დამოუკიდებლობის ხარვეზი და პოლიციის მხრიდან ამ გამოძიების სავარაუდო ხელშეშლის საქმეზე წარმოებული შემდგომი მოკვლევის გამჭვირვალობის ხარვეზი შეიძლება მომდევნო პროცედურების პრობლემების ძირითად მიზეზად ჩაითვალოს. ადგილობრივმა სასამართლოებმა აღნიშნეს, რომ მოკვლევის პროცესი სათანადო საშუალებას არ წარმოადგენდა წინამდებარე საქმესთან დაკავშირებული უფრო ფართო საკითხების განსახილველად. თუმცა, რაიმე სხვა საჯაროდ ხელმისაწვდომი პროცედურა ხარვეზების გამოსასწორებლად არ არსებობდა.

159. ამ სასამართლოს ფუნქციაში არ შედის, დეტალურად განსაზღვროს, თუ რა პროცედურები უნდა შეიმუშაოს ხელისუფლებამ სახელმწიფო მუშაკების მიერ ჩადენილი მკვლევობების გარემოებების სათანადო გამოკვლევის უზრუნველსაყოფად. თუმცა, მითითება გაკეთდა, მაგალითად, მოკვლევის შოტლანდიურ მოდელზე, რომელსაც სისხლის სამართლის სასამართლოს მოსამართლე ატარებს, მაგრამ ეს არ იძლევა საშუალებას, ვივარაუდოთ, რომ იგი შეიძლება ერთადერთი ხელმისაწვდომი მეთოდი იყოს. თუ ფაქტების დადგენის, სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის მიზნები ერთი ორგანოს მიერ ხორციელდება ან რამდენიმე უწყება ერთობლივად ახორციელებს, როგორც ეს ჩრდილოეთ ირლანდიაშია, სასამართლოს მიაჩნია, რომ მე-2 მუხლის მოთხოვნები შეიძლება მაინც დაკმაყოფილდეს. ეს იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ სხვა კანონიერ მიზნებთან ერთად – როგორცაა ეროვნული უსაფრთხოება ან სხვა საგამოძიებო პროცესებთან დაკავშირებული მასალების დაცვა – გათვალისწინებული იქნება სხვადასხვა პროცედურა, რომელიც ხელმისაწვდომი და ეფექტიანი ფორმით უზრუნველყოფს საჭირო გარანტიებს. არსებულმა პროცედურებმა წინამდებარე საქმეში სათანადო ბალანსის უზრუნველყოფა ვერ მოახერხეს.

160. სასამართლომ შეიძლება მიუთითოს, რომ გამჭვირვალობისა და ეფექტიანობის ზემოაღნიშნული ხარვეზები ეწინააღმდეგება შიდასახელმწიფო სასამართლოების მიერ განსაზღვრული ეჭვებისა და ჭორების გაფანტვის მიზნებს. აუცილებელია, არსებობდეს სახელმწიფო მუშაკთა ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფის

სათანადო პროცედურები საზოგადოების ნდობის შენარჩუნებისა და კანონიერი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, რომლებიც შესაძლოა სასიკვდილო ძალის გამოყენებისას წარმოიშვას. ასეთი პროცედურების არარსებობა მხოლოდ გააღვივებს ბოროტი მოტივაციების შიშს, როგორც ეს, *inter alia*, განმცხადებლის მიერ სასიკვდილო გასროლის სავარაუდო პოლიტიკასთან დაკავშირებულმა განცხადებებმა უჩვენა.

161. სასამართლო ადგენს, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-2 მუხლით დადგენილი პროცედურული ვალდებულების შეუსრულებლობას და, ამ თვალსაზრისით, აღნიშნული დებულების დარღვევას.

## II. კონვენციის მე-14 მუხლის სავარაუდო დარღვევა

162. განმცხადებელი დაეყრდნო კონვენციის მე-14 მუხლს, რომელიც ადგენს:

„ამ კონვენციით გათვალისწინებული უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობა უზრუნველყოფილია ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, განურჩევლად სქესის, რასის, კანის ფერის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებების, ეროვნული თუ სოციალური წარმოშობის, ეროვნული უმცირესობებისადმი კუთვნილების, ქონებრივი მდგომარეობის, დაბადებისა თუ სხვა ნიშნისა.“

163. განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ მამამისის მკვლელობის გარემოებები დისკრიმინაციის ნიშნებს ავლენდა. იგი აცხადებდა, რომ 1969 წლიდან 1994 წლის მარტამდე უშიშროების ძალების მიერ 357 ადამიანი იქნა მოკლული, რომელთა უმრავლესობა კათოლიკე ახალგაზრდები ან ნაციონალისტური საზოგადოების წევრები იყვნენ. თუ ამას შევადარებთ პროტესტანტული საზოგადოებიდან დაღუპულთა რაოდენობას და გავითვალისწინებთ იმას, რომ სიხლისსამართლებრივი დევნა შედარებით მცირე ოდენობის შემთხვევებზე განხორციელდა (ოცდათერთმეტი) და მხოლოდ რამდენიმე მათგანი დამთავრდა მსჯავრით (ამ განცხადების დროისათვის, ოთხი შემთხვევა), ნათელი ხდება, რომ ადგილი ჰქონდა ეროვნული წარმოშობის ან ეროვნულ უმცირესობებისადმი კუთვნილების ნიშნით სასიკვდილო ძალის დისკრიმინაციულ გამოყენებას და სამართლებრივი დაცვის დეფიციტს საზოგადოების სეგმენტის მიმართ.

164. მთავრობამ საპასუხოდ განაცხადა, რომ ჩრდილოეთ ირლანდიაში სიცოცხლის ხელყოფის მსგავსი ფაქტების მტკიცებულება არ არსებობს და რაიმე დიფერენცირებული მოპყრობის შემთხვევები არ გამოჩვენებულა. სტატისტიკა (რომლის სიზუსტე გაზიარებული არ იქნა) საკმარისი არ აღმოჩნდა, გაზიარებულიყო განცხადებები კათოლიკეების თუ ნაციონალისტების მიმართ დისკრიმინაციის შესახებ.

165. როდესაც ზოგადი პოლიტიკა ან ღონისძიება არაპროპორციულ დამღუპველ ზემოქმედებას ახდენს კონკრეტულ ჯგუფზე, გამორიცხული არ არის, იგი დისკრიმინაციულად ჩაითვალოს მიუხედავად იმისა, რომ იგი ამ კონკრეტული ჯგუფისთვის გამიზნული ან მისდამი მიმართული არ ყოფილა. თუმცა, თუნდაც სტატისტიკა უჩვენებდეს, რომ უშიშროების ძალების მიერ მოკლული ადამიანები კათოლიკეები ან ნაციონალისტური საზოგადოების წევრები იყვნენ, სასამართლო არ მიიჩნევს, რომ მხოლოდ სტატისტიკა ავლენს პრაქტიკას, რომელსაც შეიძლება დისკრიმინაციულის კლასიფიკაცია მიენიჭოს მე-14 მუხლის მნიშვნელობით. სასამართლოს ხელთ არა აქვს რაიმე მტკიცებულება, რაც მას საშუალებას მისცემს, დაასკვნას, რომ მოცემული მკვლელობები, მსჯავრით დამთავრებული

ოთხი საქმის გარდა, გამონვეული იყო უშიშროების ძალების მიერ ძალის უკანონო ან გადაჭარბებული გამოყენებით.

166. სასამართლო ადგენს, რომ ადგილი არ ჰქონია კონვენციის მე-14 მუხლის დარღვევას.

### III. კონვენციის მე-13 მუხლის სავარაუდო დარღვევა

167. განმცხადებელი ჩიოდა, რომ არ არსებობდა სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალება მისი საჩივრების თვალსაზრისით და იგი ეყრდნობოდა კონვენციის მე-13 მუხლს, რომელიც ადგენს:

„ყველას, ვისაც დაერღვა ამ კონვენციით გათვალისწინებული უფლებები და თავისუფლებები, უნდა ჰქონდეს სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალება ეროვნული ხელისუფლებისაგან, მიუხედავად იმისა, ეს დარღვევა ჩადენილი იქნა თუ არა იმ პირების მიერ, რომლებიც მოქმედებენ ოფიციალური უფლებამოსილებით.“

168. განმცხადებელი მიუთითებდა მის მიერ წარმოდგენილ განცხადებებზე კონვენციის მე-2 მუხლის პროცედურულ ასპექტებთან დაკავშირებით, ამტკიცებდა რა, რომ მე-13 მუხლი, შესაბამის შემთხვევებში კომპენსაციის გადახდასთან ერთად, ეფექტიან გამოძიებას მოითხოვდა, რომელიც უზრუნველყოფდა პასუხისმგებელთა გამოვლენას და დასჯას, აგრეთვე, საგამოძიებო პროცედურაზე მომჩივნის ეფექტიან ხელმისაწვდომობას.

169. მთავრობამ განაცხადა, რომ მე-13 მუხლის საფუძველზე აღძრული საჩივრები არასათანადოდ გააზრებული, ან არასაკმარისად დასაბუთებულია. ისინი აცხადებდნენ, რომ ხელმისაწვდომ პროცედურათა ერთობლიობა, რომელიც მოიცავდა სამოქალაქო სამართალწარმოებას და მოკვლევის პროცესს, ეფექტიან საშუალებებს უზრუნველყოფდა.

170. სასამართლოს პრეცედენტული სამართალი უჩვენებს, რომ კონვენციის მე-13 მუხლი უზრუნველყოფს დაცვის საშუალებას ეროვნულ დონეზე, რათა კანონიერი ძალა მიეცეს კონვენციის უფლებებისა და თავისუფლებების არსს. მისი განხორციელების ფორმის მიუხედავად, იგი უზრუნველყოფილი უნდა იყოს შიდასახელმწიფო სამართლებრივ სისტემაში. ამრიგად, მე-13 მუხლის მოქმედება ნიშნავს, რომ მოითხოვება მიდასახელმწიფო დაცვის საშუალების უზრუნველყოფა, რათა განხილული იქნეს „სადავო საჩივრის“ არსი კონვენციის საფუძველზე და განუვლ იქნეს სათანადო დახმარება. თუმცა, ხელშემკვრელ სახელმწიფოებს აქვთ გარკვეული დისკრეციული უფლება იმ ფორმებთან მიმართებით, რომლებსაც ისინი კონვენციის ამ დებულებიდან წარმოშობილი ვალდებულების შესასრულებლად იყენებენ. მე-13 მუხლის საფუძველზე დაკისრებული ვალდებულების ფარგლები განმცხადებლის საჩივრის ბუნებიდან გამომდინარე მერყეობს. მიუხედავად ამისა, მე-13 მუხლით მოთხოვნილი დაცვის საშუალება უნდა იყოს „ეფექტიანი“ პრაქტიკასა და, აგრეთვე, სამართალში (იხ. *აქსოი თურქეთის წინააღმდეგ*, 1996 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილება, მოხსენებები 1996-VI, გვ. 2286, § 95; აიღინი თურქეთის წინააღმდეგ, 1997 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილება, მოხსენებები 1997-VI, გვ. 1895-96, § 103; და *კაიას საქმე*, ციტატა ზემოთ, გვ. 329-30, § 106).

171. სასამართლომ სასიკვდილო ძალის ან ადამიანთა საეჭვო დალუპვასთან დაკავშირებულ საქმეებზე აგრეთვე განაცხადა, რომ სიცოცხლის უფლების ფუნდამენტური მნიშვნელობის გათვალისწინებით, მე-13 მუხლი, შესაბამის შემთხვევებში კომპენსაციების გადახდასთან ერთად, სრულ და ეფექტიან

გამოძიებას ითვალისწინებს, რომელსაც სიცოცხლის ხელყოფაზე პასუხისმგებელთა გამოვლენისა და დასჯის უნარი ექნება, მომჩივნის საგამოძიებო პროცედურაზე ეფექტიანი ხელმისაწვდომობის ჩათვლით (იხ. კაიას საქმე, ციტატა ზემოთ, გვ. 330-31, § 107). მთელ რიგ საქმეებში სასამართლომ დაადგინა, რომ როდესაც სიცოცხლის ხელყოფის საეჭვო შემთხვევებზე ეფექტიანი გამოძიება არ განხორციელებულა, ადგილი ჰქონდა მე-13 მუხლის დარღვევას, იმის მინიშნებით, რომ მე-13 მუხლის მოთხოვნები უფრო ფართოა, ვიდრე კონვენციის მე-2 მუხლით დადგენილი გამოძიების ვალდებულება (იხ. აგრეთვე ერგის საქმე, ციტატა ზემოთ, გვ. 1782, § 98, და სალმანის საქმე, ციტატა ზემოთ, § 123).

172. უნდა აღინიშნოს, რომ ეს საქმეები გამოიწვია სამხრეთ-აღმოსავლეთ თურქეთში არსებულმა სიტუაციამ, სადაც თურქეთის უშიშროების ძალებსა და ქურთისტანის მუშათა პარტიას (PKK) შორის მიმდინარე კონფლიქტის გამო განმცხადებლები დაუცველ პოზიციაში იყვნენ და მათთვის სამართლებრივი დაცვის ყველაზე ხელმისაწვდომ საშუალებას სახელმწიფო პროკურორისათვის საჩივრით მიმართვა წარმოადგენდა, რომელსაც სავარაუდო დანაშაულების გამოძიება ევალბოდა. თურქეთში მომჩივანს შეეძლო, მონაწილეობა მიეღო ნებისმიერ სისხლის სამართლის პროცესში, როგორც სარჩელის განხილვაში ნებაყოფლობით ჩართულ პირს და, პროცესის წარმატებით დასრულების შემთხვევაში, ზიანის ანაზღაურება მოეთხოვა. პროკურორის მიერ ფაქტების დადგენის ფუნქციის განხორციელება აგრეთვე მნიშვნელოვანი იყო სამოქალაქო საქმისწარმოების დასაწყებად. აქედან გამომდინარე, აღნიშნულ საქმეებში კონვენციის ყოფილი 26-ე მუხლის (ამჟამად 35-ე მუხლის 1-ლი პუნქტი) მიზნებისათვის საკმარისი იყო, რომ განმცხადებელს, რომელიც ადამიანის სიცოცხლის უკანონო ხელყოფის შემთხვევასთან დაკავშირებით ჩიოდა, საკითხი სახელმწიფო პროკურორის წინაშე დაეყენებინა. შესაბამისად, მთლიანობაში, სამართლებრივ სისტემაში არსებობდა მჭიდრო პროცედურული და პრაქტიკული კავშირი სისხლის სამართლის გამოძიებასა და განმცხადებლისათვის ხელმისაწვდომ დაცვის საშუალებებს შორის.

173. ჩრდილოეთირლანდიაში არსებული სამართლებრივის სისტემა განსხვავებულია და მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მე-13 მუხლის ამ იურიდიულობის ნებისმიერი საქმის ფაქტობრივ გარემოებებზე გამოყენებისას. განმცხადებელმა, რომელიც გაერთიანებულ სამეფოში ჯარისკაცების ან პოლიციის ოფიცრების მიერ სიცოცხლის ხელყოფის შემთხვევის გამო ჩივის, როგორც ზოგადი წესი, მისთვის ხელმისაწვდომი დაცვის საშუალებები უნდა ამოწუროს სამოქალაქო საქმისწარმოების მეშვეობით. სასამართლოები გამოიკვლევენ ფაქტებს, დაადგენენ პასუხისმგებლობას და, საჭიროების შემთხვევაში, მიიღებენ კომპენსაციის გადახდის დადგენილებას. ეს სამოქალაქო სამართალწარმოება მთლიანად დამოუკიდებელია ნებისმიერი სისხლის სამართლის გამოძიებისაგან და მათი ქმედითობა არ იქნა წარმოჩენილი, რათა შესაძლებელი ყოფილიყო სისხლის სამართლის გამოძიებას ან დევნაზე დაყრდნობა (იხ. მაგ. კარაჰქერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, no. 24520/94, ECHR 2000-I).

174. წინამდებარე საქმეში განმცხადებელმა სამოქალაქო სარჩელი შეიტანა, რომელიც მიმდინარეობის პროცესშია. სასამართლომ ვერ აღმოაჩინა რაიმე ელემენტი, რომელიც ამ პროცესებს ხელს შეუშლიდა ზემოაღნიშნული ძალის სავარაუდო გადაჭარბებული გამოყენების გამოსწორების უზრუნველყოფაში (იხ. ზემოთ პუნქტი 118).

175. რაც შეეხება განმცხადებლის საჩივრებს სახელმწიფო ორგანოების მიერ ადამიანის დაღუპვის საქმის გამოძიებასთან დაკავშირებით, ისინი გამოკვლეული იქნა ზემოთ, მე-2 მუხლის პროცედურული ასპექტის საფუძველზე (იხ. პუნქტები

122-161). სასამართლო ადგენს, რომ წინამდებარე საქმეში არ წარმოიშობა რაიმე ცალკე საკითხი.

176. სასამართლო ასკვნის, რომ ადგილი არ ჰქონდა კონვენციის მე-13 მუხლის დარღვევას.

#### IV. კონვენციის 41-ე მუხლის გამოყენება

177. კონვენციის 41-ე მუხლი ადგენს:

„თუ სასამართლო დაადგენს, რომ დაირღვა კონვენცია და მისი ოქმები, ხოლო შესაბამისი მაღალი ხელშემკვრელი მხარის შიდასახელმწიფოებრივი სამართალი დარღვევის მხოლოდ ნაწილობრივი გამოსწორების შესაძლებლობას იძლევა, საჭიროების შემთხვევაში, სასამართლო დაზარალებულ მხარეს სამართლიან დაკმაყოფილებას მიაკუთვნებს“.

##### A. ზიანი

178. განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ მას ეკუთვნოდა ზიანის ანაზღაურება მისი მამის, გერვანისე მაკკერის სიცოცხლის უკანონო ხელყოფის გამო.

179. მთავრობას მიზანშეწონილად არ მიაჩნდა რაიმე კომპენსაციის გადახდა წინამდებარე საქმეში.

181. მაკკანისა და სხვათა საქმისაგან განსხვავებით, წინამდებარე საქმეში სასამართლოს არ მიუღია რაიმე დადგენილება სასიკვდილო ძალის გამოყენების კანონიერების ან პროპორციულობის საკითხზე, რომელმაც გერვანისე მაკკერის დაღუპვა გამოიწვია, არც საქმის ფაქტობრივ გარემოებებზე, დაღუპულის მოქმედებების ჩათვლით, რაც წინ უძღოდა მის დაღუპვას — ეს საკითხები ამჟამად სამოქალაქო წარმოებაშია. შესაბამისად, ამ თვალსაზრისით რაიმე კომპენსაციის გადახდა არ მოითხოვება. მეორე მხრივ, სასამართლომ დაადგინა, რომ ეროვნულმა ორგანოებმა ვერ შეასრულეს თავიანთი ვალდებულება ადამიანის დაღუპვის გარემოებების სწრაფი და ეფექტიანი გამოძიების ჩატარების თვალსაზრისით. ამის გამო განმცხადებელს უდავოდ ჰქონდა იმედგაცრუების, სულიერი ტკივილისა და შეშფოთების განცდა. სასამართლოს მიაჩნია, რომ განმცხადებელმა განიცადა გარკვეული არამატერიალური ზიანი, რაც საკმარისად დაბალანსებული არ არის იმის დადგენით, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის დარღვევას.

182. სამართლიანობის საფუძველზე გაკეთებული შეფასების შესაბამისად, სასამართლო ანიჭებს 10,000 გირვანქა სტერლინგს (GBP).



### 3. მაკარაძის საბერძნეთის წინააღმდეგ

(განაცხადი no. 50385/99)

#### პროცედურა

საქმისწარმოება დაიწყო განაცხადით (no. 50385/99), რომელიც 1998 წლის 2 ივნისს საბერძნეთის მოქალაქემ ქრისტოს მაკარაძისმა („გამცხადებელი“) შეიტანა ადამიანის უფლებათა ევროპულ კომისიაში („კომისია“) ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ ევროპული კონვენციის („კონვენცია“) ძველი რედაქციის 25-ე მუხლის საფუძველზე.

#### ფაქტობრივი მხარე

##### (მოკლე, არაოფიციალური ვერსია)

1995 წლის 13 სექტემბერს პოლიცია ცდილობდა, გაეჩერებინა განმცხადებელი, შეუიარაღებელი მოქალაქე, მას შემდეგ, რაც მან შუქნიშნის წითელი ნათურის უგულბელყოფით გააგრძელა მოძრაობა ათენის ცენტრში. განმცხადებელმა პოლიციის მცდელობას სიჩქარის მომატებით უპასუხა. მას დაედევნენ პოლიციის ოფიცრები რამდენიმე მანქანით და მოტოციკლით. სწორედ ამ დროს მისი მანქანა დაეჯახა რამდენიმე სატრანსპორტო საშუალებას. ორი მძღოლი დაზიანდა. მას შემდეგ, რაც განმცხადებელმა თავი დააღწია პოლიციის ხუთ საკონტროლო პუნქტს, პოლიციის ოფიცრებმა მის მანქანას ცეცხლი გაუხსნეს. განმცხადებელმა ბენზინგასამართ სადგურთან მანქანა გააჩერა, კარი შეგნიდან ჩაკეტა და უარს აცხადებდა მანქანიდან გადმოსვლაზე. პოლიციის ოფიცრებმა გააგრძელეს სროლა: განმცხადებლის მტკიცებით – მისი მანქანის მიმართულებით, ხოლო მთავრობის მტკიცებით – ჰაერში. საბოლოოდ, განმცხადებელი დააკავა პოლიციის ოფიცერმა, რომელმაც მოახერხა საქარე მინის ჩამტვრევა და მანქანაში შეღწევა. განმცხადებელი გადაიყვანეს საავადმყოფოში, სადაც მან დაჰყო 9 დღე. მას დაზიანებული ჰქონდა მარჯვენა მკლავი, მარცხენა ფეხი, მარცხენა საჯდომი და მკერდის მარჯვენა მხარე. მისი მტკიცებით, მანქანიდან გადმოთრევის პროცესში იგი ფეხის ტერფში დაჭრეს, თუმცა, მთავრობა ამას არ ეთანხმებოდა. ინციდენტის შემდეგ განმცხადებლის მენტალური მდგომარეობა საგრძნობლად გაუარესდა.

რამდენიმე პოლიციის ოფიცერმა ისე დატოვა შემთხვევის ადგილი, რომ მათი ვინაობა არ გარკვეულა და ინფორმაცია მათ მიერ გამოყენებული იარაღის შესახებ არდაფიქსირებულა. საჯარო ბრალმდებელმა დაიწყო სისხლის სამართალწარმოება პოლიციის 7 ოფიცრის წინააღმდეგ, რაც მათი გათავისუფლებით დასრულდა. იმის გათვალისწინებით, რომ ინციდენტში მონაწილე ყველა ოფიცრის იდენტიფიცირება ვერ მოხერხდა, „გონივრული ეჭვის მიღმა“ სტანდარტის შესაბამისად, სისხლის სამართლის სასამართლომ ვერ დაადგინა, რომ სწორედ ამ შვიდმა ბრალდებულმა პირმა გაუხსნა ცეცხლი განმცხადებელს.

#### სამართლებრივი მხარე

##### I. კონვენციის მე-2 მუხლის სავარაუდო დარღვევის შესახებ

##### 1. განმცხადებელი

34. განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ კონვენციის 2 § 1 აკისრებს სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას, დაიცვას ადამიანის სიცოცხლე. კერძოდ, ეროვნულმა



კანონმდებლობამ ზედმინევით ზუსტად უნდა გააკონტროლოს და შეზღუდოს ყველა გარემოება, რომლითაც პირს შეიძლება შეეზღუდოს სიცოცხლის უფლება სახელმწიფოს წარმომადგენელთა მხრიდან. სახელმწიფო ასევე ვალდებულია, შესაბამისად მოამზადოს და მოახდინოს იმ მოხელეების ინსტრუქტაჟი, რომელთაც აქვთ იარაღის ტარებისა და მისი გამოყენების უფლება. თუმცა, განსახილველ დროში არ არსებობდა აუცილებელი მარეგულირებელი ბაზა. კანონი, რომელიც პოლიციის თანამშრომლებს აძლევდა იარაღის გამოყენების უფლებას, ძალაში შევიდა 1943 წელს. ზოგადად, მიიჩნეოდა, რომ აღნიშნული კანონი ანაქრონისტული და არასრული იყო და სათანადოდ არ უზრუნველყოფდა საზოგადოების დაცვას პოლიციის მხრიდან იარაღის გადაჭარბებული გამოყენებისაგან. შესაბამისად, საბერძნეთის სახელმწიფოს არ მიუღია მე-2 მუხლით გარანტირებული სიცოცხლის უფლების ხელყოფისაგან დასაცავად ყველა საჭირო პრევენციული ზომა.

35. განმცხადებლის თქმით, პოლიციის მიერ იარაღის გადამეტებით გამოყენების შედეგად მან სერიოზული ჭრილობები მიიღო. აგრეთვე, აღნიშნავს, რომ არ ჰქონდა იარაღი და, თანაც, არც დამნაშავე იყო და არც ტერორისტი, იგი უბრალოდ შეშინდა და სცადა გაქცევა. პოლიციამ მის მიმართ ცეცხლი გახსნა ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე და მის დაკავებას ორი მსუბუქი ავტომანქანის მეშვეობით შეეცადა. ამის შედეგად, უდანაშაულო მოქალაქე დაზიანდა. პოლიციას არ გამოუყენებია საკუთარი ავტომანქანები გზის ბლოკირებისათვის, არც ბორბლის ჩასაჩუქტი საშუალებები და არც საკვამური ან ცრემლსადენი გაზი მისი დაშინებისა და კერძო მსუბუქი მანქანის გაჩერების მიზნით. მათ, უბრალოდ, ძალის გადამეტებითა და სრულიად უკონტროლოდ ისროლეს მისი მიმართულებით, რითაც სერიოზული საფრთხე შეუქმნეს უდანაშაულო მოქალაქის სიცოცხლეს.

36. უფრო მეტიც, განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ ხელისუფლების წარმომადგენლებმა არ შეასრულეს კონვენციის მე-2 მუხლით დადგენილი ვალდებულებები სასიკვდილო ძალის გამოყენების ფაქტის გამოძიებასთან დაკავშირებით. მან ხაზი გაუსვა არაერთ ხარვეზს, როგორიც იყო, მაგალითად, *inter alia*, იმ პოლიციელთა ვინაობის დაუდგენლობა, რომლებიც მონაწილეობდნენ დაკავების ოპერაციაში, აგრეთვე, დაკავებისას გამოყენებული ვაზნების და იარაღის დაუდგენლობა.

37. საერთაშორისო ამნისტიისა და ადამიანის უფლებათა ჰელსინკის საერთაშორისო კომიტეტის მიერ 2002 წელს გამოცემულ ერთიან ანგარიშზე („საბერძნეთი უკანონობის ჩრდილში - არაადამიანური მოპყრობა და იარაღის გადამეტებით გამოყენება“) დაყრდნობით, განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ იარაღის გადამეტებით გამოყენების ინციდენტის არაეფექტური გამოძიება იყო კიდევ ერთი ილუსტრაცია საბერძნეთის ხელისუფლების ტოლერანტული დამოკიდებულებისა იალარის უკანონო სასიკვდილო გამოყენებასთან დაკავშირებით.

## 2. მთავრობა

38. მთავრობა არ დაეთანხმა მოსაზრებას, რომ საქმე უნდა განხილულიყო კონვენციის მე-2 მუხლის ჭრილში, ვინაიდან დაზარალებული ცოცხალი იყო. დამატებით, მართალია, დაკავების ოპერაციისას პოლიციელებმა გამოიყენეს იარაღი, თუმცა, მათი მიზანი არ ყოფილა განმცხადებლის მოკვლა, არამედ მათ სურდათ მხოლოდ მისი იძულება, გაჩერებულიყო და, შემდგომ, დაეპატიმრებინათ. სასამართლოს ადრინდელ გადაწყვეტილებებზე დაყრდნობით, მთავრობა ამტკიცებდა, რომ განმცხადებლის საჩივარი უნდა განხილულიყო კონვენციის მე-3 მუხლის კონტექსტში.

39. ყოველი შემთხვევისთვის, მთავრობამ აღნიშნა, რომ საშიშ ვითარებაში პოლიციას უნდა მიეცეს მნიშვნელოვანი დისკრეცია იარაღის გამოყენებასთან დაკავშირებით. წინამდებარე საქმეში, განმცხადებელმა გააგრძელა მანქანით სვლა ნითელ შუქზე ათენის ცენტრალურ ნაწილში, ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოსთან სიახლოვეს, სადაც უსაფრთხოების ღონისძიებები ყოველთვის განსაკუთრებით გაძლიერებულია, ვინაიდან საელჩო მიიჩნეოდა ტერორისტული თავდასხმის შესაძლო ობიექტად. პოლიციის მოთხოვნისამებრ მანქანის გაჩერების ნაცვლად, განმცხადებელმა მოუმატა სიჩქარეს და განაგრძო მეტად სახიფათო სვლა, რითაც აშკარა საფრთხე შეუქმნა მრავალი უდანაშაულო პირის სიცოცხლეს. შესაბამისად, ამ პირობებში პოლიციას ჰქონდა საკმარისი საფუძველი, ევარაუდა, რომ გაქცეული იყო დამნაშავე ან, თუნდაც, ტერორისტი. ასევე, ცეცხლის გახსნამდე პოლიციის თანამშრომლებმა სცადეს მისი დაკავება ალტერნატიული მეთოდების მეშვეობით, როგორცაა, მოძრაობის ხელოვნური შეფერხება, გზის ბლოკირება და სხვა. იარაღი იყო მათ ხელთ არსებული უკანასკნელი საშუალება, რომელიც გამოიყენეს მხოლოდ მაშინ, როდესაც მიხვდნენ, რომ სხვა მეთოდებმა არ გაამართლა. ამავე დროს, მათ სცადეს ზიანის მაქსიმალური შემცირება და განმცხადებლის სიცოცხლის შენარჩუნება. ეს ნათელია იმის გათვალისწინებით, რომ მათ გამოსცადეს სხვა საშუალებები და, ასევე, მოახდინეს გამაფრთხილებელი გასროლა ჰაერში. ოპერაციის განხორციელებისას არ შეიმჩნეოდა რაიმე გადამეტება ან გადაცდომა. დაპატიმრების შემდეგ განმცხადებელს არ მიუღია რაიმე დაზიანება პოლიციელთა მხრიდან, არამედ იგი დაუყოვნებლივ გადაიყვანეს საავადმყოფოში.

40. მთავრობა შემდგომაც არ დაეთანხმა განმცხადებლის მოსაზრებას და აღნიშნა, რომ ადგილი არ ჰქონია შეუსაბამობას საქმის გამოძიების პროცესში, რომელიც, თავის მხრივ, იყო დროული და სრული. მათ აღნიშნეს, რომ შემთხვევიდან მეორე დღესვე დაიწყო ადმინისტრაციული გამოძიება. საერთო ჯამში, 35 თვითმხილველის ჩვენება მოიპოვეს. უფრო მეტიც, ჩატარდა პოლიციის 33 ავტომატის, 3 ტყვიის და რკინის 4 ფრაგმენტის სრული ლაბორატორიული გამოკვლევა. ასევე, დამატებით დაათვალიერეს განმცხადებლის მანქანა. სისხლისსამართლებრივი გამოძიება ჩატარდა და 7 პოლიციელს წარედგინა ბრაღი სხეულის დაზიანებისა და იარაღის გადამეტებით გამოყენების გამო. რამდენიმე მონემს და თავად განმცხადებელს მოუსმინეს სასამართლო სხდომაზე.

41. მთავრობამ დაასკვნა, რომ ხელისუფლების წარმომადგენლებმა გამოავლინეს თავიანთი მორჩილება კანონის უზენაესობისადმი და გადადგეს გონივრული ნაბიჯები მოვლენათა სრული სურათისა და ოპერაციაში მონაწილეთა ვინაობის დასადგენად. სხვა დანარჩენის განხორციელება კი, უბრალოდ, შეუძლებელი იყო. შესაბამისად, წინამდებარე საქმეში რაიმე დარღვევას ადგილი არ ჰქონია.

### 3. მესამე მხარის ჩარევა

42. *Institut de Formation en Droits de l'Homme du Barreau de Paris*, ადამიანის უფლებათა ინსტიტუტმა (შემდგომში „ინსტიტუტი“), რომელიც დაარსდა 1979 წელს, წარმოადგინა წერილობითი კომენტარები მე-2 მუხლის გამოყენებასთან დაკავშირებით და, ამ მუხლიდან გამომდინარე, სახელმწიფოთა ვალდებულებებზე, რასაც მოჰყვა სასამართლოს პრეზიდენტის მხრიდან ინსტიტუტისათვის მესამე მხარედ ჩართვის უფლების მინიჭება (იხ. ზემოთ პუნქტი 8).

43. რაც შეეხება მე-2 მუხლს, ინსტიტუტმა მიიჩნია, რომ ამ ნორმის გამოყენება შესაძლებელია იმ შემთხვევაში, როდესაც პოლიციამ ფაქტობრივად სასიკვდილო ძალას მიმართა, მაშინაც კი, თუ ამ ძალამ არ გამოიწვია იმ ადამიანის სიკვდილი,

რომელიც პოლიციის სამიზნე აღმოჩნდა. აუცილებელი არ არის გამოუსწორებელი შედეგის დადგომა იმისათვის, რომ განხილულ იქნეს გარემოებები, რომლებშიც გამოიყენეს სასიკვდილო ძალა. სასამართლომ თავად აღიარა, რომ გარკვეულ გარემოებებში, დარღვევის მხოლოდ „პოტენციურ“ ან „ვირტუალურ“ მსხვერპლს ჰქონდა უფლება, მიეღო კონვენციით დადგენილი ზომები (იხ. სიორინგი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, 1989 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილება, სერია A no. 161). ამ შემთხვევაში, სასამართლომ ხაზი გაუსვა „სერიოზული და გამოუსწორებელი სავარაუდო დარღვევის დადგომის რისკს.“ ეს მოსაზრება შეიძლება გადმოტანილი იყოს მე-2 მუხლის ვირტუალურ დარღვევასთან მიმართებით, ვინაიდან პოლიციელთა მიერ სასიკვდილო ძალის გამოყენებას გარკვეულ გარემოებებში შეეძლო, სიცოცხლის უფლება სერიოზული რისკის ქვეშ დაეყენებინა.

44. სასამართლომ აღიარა, რომ მან უკვე გაავრცელა მე-2 მუხლის გამოყენების შესაძლებლობა ისეთ საქმეებზე, სადაც განმცხადებლები არ იყვნენ მოკლულნი, თუმცა, მსგავსი მიდგომა შესაძლებლად მიიჩნია მხოლოდ მაქსიმალურად შეზღუდულ გამონაკლის შემთხვევებში (იხ. ბერკტაი თურქეთის წინააღმდეგ, no. 22493/93, 2001 წლის პირველი მარტი). როდესაც სახელმწიფო წარმომადგენლების მიერ ძალის ბოროტად გამოყენება არ იწვევს სიკვდილს და, ამავე დროს, არ ხვდება მე-3 მუხლის მოქმედების სფეროში, არ უნდა ჩაითვალოს, რომ ეს შემთხვევა კონვენციასთან შემხებლობაში არ მოდის. მე-2 მუხლის გავრცელებას ისეთ შემთხვევებზე, სადაც სიკვდილი არ დადგა, მაგრამ გამოყენებული იყო სასიკვდილო ძალა, ამ ნაკლოვანების შევსება შეუძლია.

45. რაც შეეხება სახელმწიფოს ვალდებულებას კონვენციის მე-2 მუხლიდან გამომდინარე, ინსტიტუტი ხაზს უსვამს, რომ სახელმწიფოს, „ნეგატიური ვალდებულების“ გარდა, არ ჩაიდინოს სიცოცხლის უფლების განზრახი ხელყოფა, ეკისრება აგრეთვე ამ უფლებასთან დაკავშირებული „პოზიტიური ვალდებულებები“. კერძოდ, სახელმწიფოს წარმომადგენლები ვალდებული იყვნენ, დაედგინათ კონკრეტული პროცედურები სამართალდამცავი ორგანოებისათვის იარაღის გამოყენებასთან დაკავშირებით. ამ უკანასკნელთ ასევე უნდა გაეცლოთ შესაბამისი მომზადება და მისცემოდათ ინსტრუქტაჟი. გარდა ამისა, ინსტიტუტი ასევე დიდ მნიშვნელობას ანიჭებს პროპორციულობის წესს სასიკვდილო ძალის გამოყენებისას. ბოლოს, ინსტიტუტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ადგილობრივი ორგანოები ვალდებული იყვნენ, ჩაეტარებინათ ოფიციალური, ეფექტური, სწრაფი და დამოუკიდებელი გამოძიება იმ შემთხვევებში, როდესაც ხდებოდა პირთა მკვლელობა იარაღის გამოყენების შედეგად. ეს მიდგომა უნდა გავრცელებულიყო იმ შემთხვევებზეც, როდესაც სასიკვდილო შედეგი არ დადგა. ეს იყო აუცილებელი პირობა ნებისმიერი სისტემის დასანგრევად, რომელიც უშვებდა ისეთი ფუნდამენტური უფლების დამრღვევ პირთა დაუსჯელობას, როგორცაა სიცოცხლის უფლება.

## სასამართლოს შეფასება

### 1. ფაქტების დადგენა

46. სასამართლო ვალდებულია, დაადგინოს, აქვს თუ არა ადგილი, საქმის კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე, სიცოცხლის უფლების დარღვევას და სახელმწიფოს მიერ კონვენციის მე-2 მუხლით დადგენილი პროცედურული ვალდებულებების შეუსრულებლობას ადეკვატური და ეფექტური გამოძიების ჩაუტარებლობით.

47. სასამართლო შენიშნავს, რომ იგი განიხილავს მეტად ურთიერთსაწინააღმდეგო ფაქტთა ერთობლიობას, რომლებიც უკავშირდება განმცხადებლის დაკავების ოპერაციასა და დაპატიმრებას. უფრო მეტიც, ის აცხადებს, რომ არ იყო გამოვლენილი ის პირი თუ პირები, რომლებმაც ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით დაჭრეს განმცხადებელი. სასამართლო აუცილებლად არ მიიჩნევს, გადაამოწმოს ყველა ფაქტი საქმის საერთო სურათის წარმოსახვისათვის. იგი აღნიშნავს, რომ ამ საქმის ფაქტები უკვე განიხილა ადგილობრივმა სასამართლომ (იხ. ზემოთ პუნქტი 19). შესაბამისად, სტრასბურგში არ წარმოუდგენიათ რაიმე დოკუმენტი, რომელიც კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებდა ათენის სისხლის სამართლის პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტებს და აიძულებდა სასამართლოს (აქ იგულისხმება ევროსასამართლო), უარი ეთქვა ამ ფაქტებზე (იხ. კლასი გერმანიის წინააღმდეგ, 1993 წლის 22 სექტემბრის გადაწყვეტილება, სერია A no. 269, გვ. 17-18, § 30).

48. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული ფაქტები არ არის მკვეთრად წარმოსახული, სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმეში მოიპოვება საკმარისი ფაქტობრივი დამტკიცებულებითი მარაგი, რომლის საფუძველზეც სასამართლოს შეეძლება, შეაფასოს საქმე, რომლის საყრდენად, როგორც ზემოთ აღინიშნა, გამოიყენებს ეროვნული სასამართლოს მიერ დადგენილ გარემოებებს.

## 2. კონვენციის მე-2 მუხლის გამოყენება

49. წინამდებარე საქმეში განმცხადებლის წინააღმდეგ გამოყენებული ძალა არ აღმოჩნდა სასიკვდილო. თუმცა, ეს არ გამორიცხავს განმცხადებლის საჩივრის განხილვას კონვენციის მე-2 მუხლთან მიმართებით, რომლის ტექსტი იძლევა მისი გამოყენების შესაძლებლობას არა მხოლოდ განზრახი მკვლელობისას, არამედ ისეთი ძალის გამოყენებისას, რომელსაც შეეძლო გამოეწვია სიკვდილი, როგორც სიცოცხლის უფლების შელახვის არაპირდაპირი შედეგი (იხ. ილჰანი თურქეთის წინააღმდეგ [GC], no. 22277/93, § 75, ECHR 2000-VII). სასამართლოს ადრეც განუხილავს საქმეები, სადაც დარღვევის სავარაუდო მსხვერპლი არ დალუპულა სადაო ქმედების შედეგად.

50. ამასთან დაკავშირებით, სასამართლომ უკვე აღნიშნა, რომ კონვენციის მე-2 § 1 მუხლის პირველი წინადადების თანახმად, სახელმწიფოს ეკისრება პოზიტიური ვალდებულება, დაიცვას სიცოცხლის უფლება მესამე პირთა ჩარევის ან სიცოცხლისათვის საშიში ზიანის მიყენებისაგან (იხ. ოსმანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, 1998 წლის 28 ოქტომბრის გადაწყვეტილება, გადაწყვეტილებათა ანგარიშები 1998-VIII, გვ. 3159-63, §§ 115-22; *იასა თურქეთის წინააღმდეგ*, 1998 წლის 2 სექტემბრის გადაწყვეტილება, ანგარიშები 1998-VI, გვ. 2436-41, §§ 92-108; და ელ.სი.ბი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, 1998 წლის 8 ივნისის გადაწყვეტილება, ანგარიშები 1998-III, გვ. 1403-04, §§ 36-41).

51. მეორე მხრივ, სასამართლო პრეცედენტი ადგენს, რომ მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში შეიძლება, სახელმწიფოს წარმომადგენელთა მხრიდან ცუდმა მოპყრობამ, რომელიც არ სრულდება სასიკვდილო შედეგით, გამოიწვიოს დარღვევის განხილვა კონვენციის მე-2 მუხლის ქრილში. ცნობილია, რომ იმ პირთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, რომლებიც ჩართულნი იყვნენ ძალის გამოყენების სადავო ქმედებაში, სასამართლოს წინაშე განხილვის საგანს არ წარმოადგენს. მიუხედავად ამისა, ძალის გამოყენების ხარისხი და ფორმა, აგრეთვე, ძალის გამოყენების განზრახვა და მიზანი სხვა დაკავშირებულ გარემოებებთან ერთად შეიძლება აღმოჩნდეს მნიშვნელოვანი იმის შეფასებისას, იყო თუ არა სახელმწიფოს წარმომადგენელთა ქმედება იმდენად საშიში და

რეალური სასიკვდილო შედეგის დადგომისათვის, რომ ის განხილულ იქნეს კონვენციის მე-2 მუხლით უზრუნველყოფილი გარანტიების ფარგლებში, ამ მუხლის მიზნებიდან გამომდინარე. თითქმის ყველა შემთხვევაში, როდესაც პირი ხდება ძალადობრივი თავდასხმის ან არაადამიანური მოპყრობის მსხვერპლი პოლიციელთა ან ჯარისკაცთა მხრიდან, საჩივარი, სავარაუდოდ, განიხილება კონვენციის მე-3 მუხლის კონტექსტში (იხ. ზემოთ ციტირებული ილჰანი, § 76).

52. სასამართლომ წინამდებარე საქმეში უნდა დაადგინოს, იყო თუ არა განმცხადებლის მიმართ ძალის გამოყენება პოტენციურად სასიკვდილო და მიიღეს თუ არა სახელმწიფოს წარმომადგენლებმა ყველა ზომა იმისათვის, რათა დაეცვათ არა მარტო ფიზიკური ხელშეუხებლობა, არამედ სიცოცხლის უფლებით გარანტირებული ინტერესები.

53. ცნობილია, რომ განმცხადებელს მოსდევდა ძალიან ბევრი პოლიციის თანამშრომელი, რომლებმაც მის მიმართ არაერთხელ გამოიყენეს რევოლვერები, პისტოლეტები და ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი.

სასამართლოში წარდგენილი მასალებიდან ირკვევა, რომ პოლიციამ იარაღი გამოიყენა განმცხადებლის მანქანის გაჩერებისა და მისი დაპატიმრების მიზნით, რასაც განსაზღვრავს კიდევ კონვენციის მე-2 პუნქტი, როგორც შეზღუდვის ერთ-ერთ შესაძლებელ სამართლებრივ საფუძველს. ვინაიდან მე-3 მუხლიც განხილვის საგანია, უნდა აღინიშნოს, რომ დაკავების ოპერაციის არცერთ ეტაპზე პოლიციელთა მიზანი არ ყოფილა მისთვის ტკივილის მიყენება ან დამამცირებელი და ღირსების შემლახველი დამოკიდებულება (იხ. ილაშკუ და სხვები მოლდავეთისა და რუსეთის წინააღმდეგ [GC], no. 48787/99, §§ 425-28, ECHR 2004-VII). კერძოდ, სასამართლო სარწმუნოდ ვერ მიიჩნევს განმცხადებლის მტკიცებას, რომ მას ფეხში ესროლეს მანქანიდან გადმოყვანის შემდეგ (იხ. ზემოთ პუნქტი 12).

54. სასამართლო ითვალისწინებს მთავრობის არგუმენტს, რომ პოლიციას არ ჰქონდა განმცხადებლის მოკვლის მიზანი. თუმცა, შენიშნავს, რომ განმცხადებლის გადარჩენამხოლოდ ბენიერიშემთხვევის შედეგი იყო. ბალისტიკური ექსპერტიზის შედეგების თანახმად, მანქანაზე – მძღოლის დონეზე და ჰორიზონტალურ სიბრტყეზე – აღინიშნა 16 ნახვრეტი, წარმოშობილი ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების შედეგად, სამი ხვრელი და, ასევე, დაზიანება საქარე მინაზე, რომელიც აღნიშნული ზემოქმედების შედეგად ჩაიმსხვრა. და ბოლოს, განმცხადებელი დაიჭრა მარჯვენა ხელში, მარცხენა ფეხში, მარცხენა საჯდომსა და გულმკერდის მარჯვენა მხარეს, რის შემდეგ 9 დღის განმავლობაში ჰოსპიტალიზირებული იყო (იხ. ზემოთ მე-12 და მე-14 პუნქტები). დაზიანებების სერიოზულობა არ გამხდარა კამათის საგანი.

55. ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, კერძოდ კი, გამოყენებული ძალისა და ფორმის გათვალისწინებით, სასამართლო ადგენს, რომ, იმისდა მიუხედავად, ჰქონდა თუ არა პოლიციას განმცხადებლის მოკვლის განზრახვა, ეს უკანასკნელი გახდა ისეთი ღონისძიების მსხვერპლი, რომელმაც ამკარა რისკის ქვეშ დააყენა მისი სიცოცხლე. შესაბამისად, წინამდებარე საქმეში კონვენციის მე-2 მუხლის გამოყენება მისაღებია. უფრო მეტიც, განმცხადებლის მიმართ გამოყენებული ძალის ფორმისა და ხარისხის, ასევე, სახელმწიფოს წარმომადგენლების მიერ განხორციელებული სადავო ქმედების გათვალისწინებით, სასამართლო მიიჩნევს, რომ აღნიშნული ფაქტები უნდა განიხილოს კონვენციის მე-2 მუხლის ჭრილში.



### 3. სახელმწიფოს მიერ პოზიტიური ვალდებულების სავარაუდო შეუსრულებლობა – კანონით დაეცვა სიცოცხლის უფლება

56. კონვენციის მე-2 მუხლი, რომელიც იცავს სიცოცხლის უფლებას და ადგენს გარემოებებს, რომლის დროსაც მისი შელახვა შეიძლება გამართლებულად ჩაითვალოს, კონვენციის ერთ-ერთი ყველაზე ფუნდამენტური ნორმაა, რომლისგან გადახვევა ყოველად დაუშვებელია (იხ. ველიკოვა ბულგარეთის წინააღმდეგ, no. 41488/98, § 68, ECHR 2000-VI). მე-3 მუხლთან ერთად ის ნარმოადგენს დემოკრატიული საზოგადოებების ერთ-ერთ უძირითადეს ღირებულებას. გარემოებები, რომელთა დროსაც სიცოცხლის უფლების შელახვა შეიძლება გამართლებულად ჩაითვალოს, უნდა განიმარტოს ძალიან შეზღუდულად (იხ. სალმანი თურქეთის წინააღმდეგ [GC], no. 21986/93, § 97, ECHR 2000-VII). კონვენციის ამოცანა და მიზანია ინდივიდთა დაცვა, ამიტომაც ის ითხოვს, მე-2 მუხლი გამოყენებულ და განმარტებულ იქნეს იმგვარად, რომ მის მიერ დადგენილი დაცვის გარანტიები იყოს ეფექტური და პრაქტიკული (იხ. მაკქენი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, 1995 წლის 27 სექტემბრის გადაწყვეტილება, სერიები A no. 324, გვ. 45-46, § 146-47).

57. მე-2 § 1 მუხლის პირველი წინადადება სახელმწიფოს ავალდებულებს, არა მარტო თავი შეიკავოს სიცოცხლის განზრახი და უკანონო ხელყოფისაგან, არამედ დაადგინოს დაცვის ისეთი შიდასახელმწიფოებრივი გარანტიები, რომლებიც მისი იურისდიქციის ფარგლებში დაიცავენ ადამიანთა სიცოცხლეს (იხ. კელიჯი თურქეთის წინააღმდეგ, no. 22492/93, § 62, ECHR 2000-III). აღნიშნული მოიცავს სახელმწიფოს უპირველეს ვალდებულებას, დაიცვას სიცოცხლის უფლება სათანადო ადმინისტრაციული და სამართლებრივი ბაზის ამოქმედებით, რათა აღკვეთოს პიროვნების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის ფაქტები. აღნიშნული საკანონმდებლო ბაზა აღსრულდება სამართალდამცავი ორგანოების მიერ წარმოდგენილი მექანიზმით დანაშაულის თავიდან აცილების, გამოაშკარავებისა და მსგავსი დარღვევის გამო დასჯის უზრუნველსაყოფად.

58. როგორც მე-2 მუხლის ტექსტი აჩვენებს, სასიკვდილო ძალის გამოყენება პოლიციელთა მიერ შეიძლება გამართლდეს მხოლოდ გარკვეულ გარემოებებში. მიუხედავად ამისა, მე-2 მუხლი არ იძლევა *carte blanche* შესაძლებლობას. სახელმწიფოს წარმომადგენელთა მიერ ჩადენილი დაურეგულირებელი და თვითნებური ქმედებები შეუთავსებელია ადამიანის უფლებათა ეფექტურ დაცვასთან. აღნიშნული გულისხმობს, რომ პოლიციის ოპერაციები და პირის ქმედებები, რომელსაც, კანონის მიხედვით, აქვს იარაღის გამოყენების უფლება, კანონით საკმარისად უნდა იყოს დარეგულირებული ისე, რომ არ სებობდეს ძალის თვითნებური გამოყენებისაგან ადეკვატური და ეფექტური დაცვა (იხ. *mutatis mutandis*, ჰილდა ჰალფშტაინსდოტირი ისლანდიის წინააღმდეგ, 2004 წლის 8 ივნისის გადაწყვეტილება; ასევე, იხ. ადამიანის უფლებათა კომიტეტი, ძირითადი კომენტარი, n.6, მუხლი 6, მე-16 სესია (1982) § 3).

59. ზემოთქმულის და დემოკრატიულ საზოგადოებაში მე-2 მუხლით დაცული უფლების მნიშვნელობის გათვალისწინებით, სასამართლომ აღნიშნული საკითხი უნდა დაუქვემდებაროს ძალიან დეტალურ განხილვას და მხედველობაში მიიღოს არა მარტო სახელმწიფოს წარმომადგენელთა ქმედება, რომლებმაც მოახდინეს იარაღის გამოყენების ადმინისტრირება, არამედ საქმესთან დაკავშირებული ყველა გარემოება, მათ შორის, დაკავების ოპერაციის დაგეგმვისა და კონტროლირების საკითხები (იხ. ზემოთ ციტირებული მაკქანი და სხვები, გვ. 46, § 150). ამასთან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს, რომ პოლიციის თანამშრომლები თავიანთი მოვალეობის შესრულებისას არ უნდა მოქმედებდნენ სარეგულაციო ვაკუუმის პირობებში ოპერაციის დაგეგმვის, განხორციელების ან სპონტანურად წამოწყებული ოპერაციის დროს წარმოქმნილი საშიშროების

ალკვეთის მიზნით: ადმინისტრაციული და საკანონმდებლო ბაზა ძალიან ზუსტად უნდა განსაზღვრავდეს, თუ როდის შეუძლიათ სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებს ძალის ან ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (იხ. მაგ. „გაეროს ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის პრინციპები“ – პუნქტები 30-32).

60. ამ მიმართებით სასამართლომ უნდა განიხილოს არა მარტო საკითხი, იყო თუ არა განმცხადებლის მიმართ პოტენციურად სასიკვდილო ძალის გამოყენება ლეგიტიმური, არამედ ისიც, დაიგეგმა და რეგულირდებოდა თუ არა ოპერაცია ისე, რომ მომხდარიყო სასიკვდილო შედეგის მაქსიმალური მინიმალიზაცია.

61. საბერძნეთის მთავრობამ, უთითებდა რა კანონს 3169/2003, რომელიც ბოლო პერიოდში მიიღეს საბერძნეთში, წარმოადგინა პოლიციელთა მიერ იარაღის გამოყენებისა და მათი მომზადების სამართლებრივი ბაზის მიმოხილვა და აღნიშნა, რომ ის შეესაბამებოდა საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებს (იხ. პარაგრაფები 25 და 27).

62. თუმცა, იმ დროს, როდესაც აღნიშნული მოვლენები განიხილებოდა, მოქმედებდა კანონი no. 29/1943, რომელიც მეორე მსოფლიოს ომის პერიოდში გერმანიის ჯარების მიერ საბერძნეთის ოკუპაციისას მიიღეს (იხ. ზემოთ პუნქტი 25). ხსენებული კანონი აყალიბებდა ძალიან ვრცელ ჩამონათვალს გარემოებებისა, რომელთა დროსაც პოლიციელებს ჰქონდათ იარაღის გამოყენების უფლება. პრეზიდენტის 1991 წლის ბრძანებულებით, პოლიციელებს მიეცათ 1943 წლის კანონით განსაზღვრულ პირობებში იარაღის გამოყენების უფლება, თუმცა, მხოლოდ „მაშინ, როდესაც ეს აბსოლუტურ აუცილებლობას წარმოადგენს და როდესაც სხვა ნაკლებად ექსტრემალურმა მეთოდებმა შედეგი ვერ გამოიღო“ (იხ. ზემოთ პუნქტი 25). საბერძნეთის კანონმდებლობა არ შეიცავდა რაიმე სხვა დებულებას, რომელიც კონკრეტულად განსაზღვრავდა იარაღის გამოყენების საკითხებსა და პროცედურას პოლიციელთათვის. ამის გათვალისწინებით, საბერძნეთში არსებული დაცვის სამართლებრივი ბაზა ვერ ჩაითვლება ევროპის დემოკრატიულ საზოგადოებებში არსებულ სიცოცხლის უფლების „კანონით“ დაცვის მოთხოვნებთან შესაბამისად.

63. აღნიშნული დასკვნა საბერძნეთის კანონმდებლობასთან დაკავშირებით დადასტურდა საქმის მოსმენის დროს წარმოდგენილი მტკიცებულებებით და დადგინდა, რომ განსახილველი პერიოდისთვის, კერძოდ კი, სასიკვდილო ძალის გამოყენების დროს, საბერძნეთის სამართლებრივი და ადმინისტრაციული ბაზა იყო სწორედ ასეთი.

64. უბრუნდება რა საქმის გარემოებებს, სასამართლო ეხმიანება საბერძნეთის ადგილობრივი სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტებს, რომ განმცხადებელი ათენის ცენტრში მანქანას განსაკუთრებით გადაჭარბებული სისწრაფით მართავდა, რაც საფრთხეს უქმნიდა გარშემომყოფი მშვიდობიანი მოქალაქეებისა და პოლიციის თანამშრომლების სიცოცხლეს. შესაბამისად, პოლიცია უფლებამოსილი და ვალდებული იყო, ემოქმედა სახიფათო ობიექტის ქმედების აღსაკვეთად. მისი გაჩერების მიზნით, უშედეგოდ იქნა გამოყენებული ალტერნატიული საშუალებები. უფრო მეტიც, პოლიციელები, რომლებიც განმცხადებელს მისდევდნენ, საკონტროლო ცენტრიდან ინფორმირებულნი იყვნენ იმის შესახებ, რომ შესაძლებელია განმცხადებელი ყოფილიყო შეიარაღებული და საშიში. მათ ასევე სჯეროდათ, რომ მოქმედებები, რომლებიც განმცხადებელმა მანქანის გაჩერების შემდეგ განახორციელა, მიუთითებდა იმაზე, რომ ის შეიარაღებული იყო (იხ. ზემოთ ბრალდებული პოლიციელების მონმის ჩვენებანი, პუნქტი 17; და ბ-ნ ვენტოურისა და ბ-ნ დავარიას განცხადებები, პუნქტი 18).

65. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, არის ის, რომ საბერძნეთში იმ პერიოდში არსებული კლიმატი გამოირჩეოდა ტერორისტული ქმედებებით, რომლებიც მიმართული იყო საგარეო ინტერესების წინააღმდეგ. მაგალითად, ჯგუფმა, რომელიც ცნობილი იყო როგორც „17 ნოემბრის რევოლუციური ორგანიზაცია“ და დაარსდა 1975 წელს, ჩაიდინა არაერთი დანაშაული 2002 წელს მის დარბევამდე, მათ შორის, ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს თანამშრომელთა მკვლელობები (იხ. ზემოთ პუნქტი 26). ამ ფაქტორმა და იმან, რომ განმცხადებელი ლამის საათებში მოძრაობდა აშშ-ის საელჩოს სიახლოვეს, პოლიციელებს საბაბი მისცა, ეფექტათ, რომ ის ძალიან დიდ საფრთხეს ქმნიდა.

66. შესაბამისად, სასამართლო ადგენს, რომ შექმნილი ვითარებიდან და საფრთხიდან გამომდინარე, პოლიციას შეექმნა საფუძველი, ეფიქრა, რომ არსებობდა იარაღის გამოყენების საჭიროება მანქანის გაჩერებისა და განმცხადებლის მხრიდან შესაძლო საფრთხის ნეიტრალიზებისათვის და არა, უბრალოდ, იმ მძღოლის გასაჩერებლად, რომელმაც წითელ შუქზე გაიარა. აქედან გამომდინარე, მიუხედავად იმისა, რომ, როგორც მოგვიანებით აღმოჩნდა, განმცხადებელი არ იყო შეიარაღებული და არც ტერორისტი, პოლიციელები მოქმედებდნენ კეთილსინდისიერი მიზნებით, როდესაც მიმართეს ძალის გამოყენებას მისი დაკავებისა და განეიტრალირების მიზნით. სხვაგვარად საქმის გადანყვება ალბათ შეუძლებელი იქნებოდა სახელმწიფოსა და სამართალდამცავ ორგანოებს არარეალური ვალდებულებით საკუთარი მოვალეობების შესრულებისას, რაც გამოიწვევდა მათი და სხვათა სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდებას (იხ. ზემოთ ციტირებული მაკქენი და სხვები, გვ. 58-59, § 200).

67. მიუხედავად იმისა, რომ წინამდებარე საქმეში სასიკვდილო ძალის გამოყენება არსებულ გარემოებებში შეიძლება კონვენციის მე-2 მუხლით დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისად ჩაითვალოს, სასამართლო შემოფოთებულია ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების ქაოტური ხასიათით. გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ განმცხადებლის მიმართ გასროლა განახორციელა განუსაზღვრელი რაოდენობის პოლიციელმა რევოლვერებიდან, პისტოლეტებიდან და ცეცხლსასროლი ავტომატური იარაღიდან. მანქანაზე – მძღოლის დონეზე და ჰორიზონტალურ სიბრტყეზე – აღინიშნა ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების შედეგად წარმოშობილი 16 ნახვრეტი. სამი ხვრელი და რაღაც ნიშანი აღინიშნებოდა საქარე მინაზე, ჩაიმსხვრა უკანა ფანჯარაც (იხ. ზემოთ პუნქტი 14). ამის შედეგად, ნათელი ხდება, რომ დიდი რაოდენობით პოლიციელმა მონაწილეობა მიიღო განმცხადებლის სრულიად უკონტროლო დაკავების ოპერაციაში.

68. სერიოზული კითხვა დაისმის ოპერაციის ორგანიზებისა და განხორციელების საკითხებთან დაკავშირებით. პოლიციელთა ნაწილს ინსტრუქცია მიეცა საკონტროლო ცენტრიდან, დანარჩენები კი, უბრალოდ, საკუთარი გუმანით მოქმედებდნენ კოლეგების დახმარების მიზნით, თანაც ყოველგვარი ინსტრუქციის გარეშე. მკვეთრი ინსტრუქციის არარსებობამ გაზარდა იარაღის უკონტროლო გამოყენების რისკი.

69. სასამართლო ვერ დატოვებს ყურადღების გარეშე იმ ფაქტს, რომ განმცხადებელი დაიჭრა და უგეგმავი ოპერაციის შედეგად, როდესაც პოლიციელები მოქმედებდნენ ყოველგვარი წინასწარი მომზადების გარეშე. იმ სირთულის გათვალისწინებით, რაც ახლავს თანამედროვე საზოგადოებაში პოლიციის ფუნქციების შესრულებას, ადამიანის ქცევის არაპროგნოზირებადობას და ოპერაციის დროს პრიორიტეტებისა და რესურსების შესაბამისად არჩევანის გაკეთებას, პოზიტიური ვალდებულება ისე უნდა განიმარტოს, რომ ხელისუფლებისგან შეუძლებელი არ

იქნეს მოთხოვნილი (იხ. *a contrario*, რეჰოკი სლოვენის წინააღმდეგ, no. 29462/95, §§ 71-72, ECHR 2000-XII). (იხ. *mutatis mutandis*, მაჰმუტ კაია თურქეთის წინააღმდეგ, no. 22535/93, § 86, ECHR 2000-III).

70. მიუხედავად იმისა, რომ ოპერაციაში ჩაბმულ პოლიციელებს არ ჰქონდათ საკმარისი დრო მდგომარეობის სრული შეფასებისა და ოპერაციის ფრთხილი დაგეგმვისათვის, სასამართლო მიიჩნევს, რომ ვითარების ასეთი დეგენერაცია, რასაც თავად ზოგიერთი პოლიციის ოფიცერი უწოდებდა ქაოტურს (იხ. მაგალითად, ბ-ნ მანოლიადისის ჩვენება – ზემოთ, პუნქტი 17), მეტწილად იმის გამო მოხდა, რომ ოპერაციაში ჩაბმული ცალკეული პირები და მდევართა გუნდი კოლექტიურად ვერ ფლობდნენ სტრუქტურირებული ოპერაციის წარმოების უნარს. არადა, ადგილობრივი სამართლით და პრაქტიკით, ამგვარი რამ წინასწარ უნდა ყოფილიყო განსაზღვრული. სინამდვილეში, სასამართლო შენიშნავს, რომ 1995 წელს, როდესაც აღნიშნულ მოვლენას ჰქონდა ადგილი, კანონი, რომელიც დემოკრატიული საზოგადოებისათვის შეუფერებელი და დრომოჭმული იყო, ჯერ კიდევ არეგულირებდა სახელმწიფო წარმომადგენელთა მხრიდან იარაღის გამოყენებას. აღნიშნული სისტემა არ აძლევდა სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებს მშვიდობიან დროს იარაღის გამოყენების შემთხვევების ზუსტ კრიტერიუმებს და ინსტრუქციას. აღნიშნულ პირობებში გარდაუვალი იყო, რომ პოლიციას ჰქონოდა უფრო მეტი ავტონომია – თავად განესაზღვრა იარაღის გამოყენების აუცილებლობა, ვიდრე შესაბამისი და ადეკვატური მომზადებისა თუ ინსტრუქტაჟის შემთხვევაში. ნათელი მითითებების არარსებობის გამოხატულებაა სწორედ ის ფაქტი, რომ ოპერაციაში მონაწილეობას იღებდა განუსაზღვრელი რაოდენობის პოლიციელი ყოველგვარი კომანდირების გარეშე.

71. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლო ადგენს, რომ, ვინაიდან საქმე ეხებოდა კონვენციის 2 § 1 მუხლის პირველ წინადადებაში გამოხატულ პოზიტიურ ვალდებულებას შესაბამისი სამართლებრივი ბაზის ამოქმედებასთან დაკავშირებით საბერძნეთის მთავრობა ვერ უზრუნველყოფდა, პოტენციურად სასიკვდილო ძალის გამოყენებისაგან დაეცვა თავისი მოქალაქეები და, განსაკუთრებით, განმცხადებლის მსგავსი პირები (იხ. *mutatis mutandis*, ოსმანი, ზემოთ ციტირებული გვ. 3160, § 116 *in fine*).

72. შესაბამისად, განმცხადებელი იყო კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევის მსხვერპლი ამ საფუძვლით. ამ დასკვნის გათვალისწინებით, აუცილებელი არ არის, განხორციელებული სიცოცხლისათვის საშიში მოქმედებები განხილულ იქნეს კონვენციის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის ქრილში.

#### 4. სავარაუდო არაადეკვატური გამოძიების შესახებ

73. კონვენციის მე-2 მუხლით განსაზღვრული ვალდებულება იკითხება ამავე კონვენციის პირველი მუხლით სახელმწიფოზე დაკისრებულ ძირითად ვალდებულებასთან: „დაიცვას კონვენციით დადგენილი ყველა უფლება და თავისუფლება საკუთარი იურისდიქციის ფარგლებში.“ აღნიშნული მიუთითებს, რომ ქვეყანაში უნდა არსებობდეს რაიმე ფორმის ეფექტური გამოძიება, რომელსაც შეეძლება, ნათელი მოჰფინოს პირის სიკვდილის ფაქტს, რომელიც დადგა ძალის გამოყენების შედეგად (იხ. ჯაკიცი თურქეთის წინააღმდეგ [GC], no. 23657/94, § 86, ECHR 1999-IV). აღნიშნული გამოძიების ძირითადი მიზანია, დაიცვას კანონმდებლობით სიცოცხლის უფლების უზრუნველყოფისათვის დადგენილი გარანტიები და იმ შემთხვევაში, თუ სიკვდილის დადგომაში მონაწილეობა მიიღეს სახელმწიფოს წარმომადგენლებმა ან ხელისუფლების ორგანოებმა, უზრუნველყოს პასუხისმგებლობა დამდგარი შედეგის გამო (იხ. ანგელოვა ბულგარეთის



ნინალმდეგ, no. 38361/97, § 137, ECHR 2002-IV). მსგავს შემთხვევებში, ხშირად ძირითადი ინფორმაცია მომხდარის შესახებ სახელმწიფო თანამდებობის პირთა ან ორგანოთა ექსკლუზიური ცოდნის ფარგლებშია. სათანადო შიდასამართლებრივი სამართალწარმოების დანყება, როგორცაა სისხლისსამართლებრივი დევნა, დისციპლინური სამართალწარმოება, მსხვერპლისა და მისი ოჯახის წევრებისთვის ხელმისაწვდომი სამართლებრივი საშუალებების გამოყენება, დამოკიდებულია ადეკვატურ, ოფიციალურ გამოძიებაზე, რომელიც უნდა იყოს დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი. მსგავსი მიდგომა გამოიყენება წინამდებარე საქმეშიც, სადაც სასამართლომ დაადგინა, რომ პოლიციის მიერ ძალის გამოყენებამ საფრთხის წინაშე დააყენა განმცხადებლის სიცოცხლე (იხ. ზემოთ პუნქტები 53 და 55).

74. უპირველესად, გამოძიებას უნდა შეეძლოს, დაადგინოს გარემოებები, რომლებშიც ადგილი ჰქონდა კონკრეტულ ინციდენტს და მეორე, მას უნდა შეეძლოს პასუხისმგებელი პირების გამოვლენა და მათი დასჯა. ეს არ არის შედეგზე დამყარებული ვალდებულება, არამედ ფოკუსირებულია განხორციელების ფორმაზე. სახელმწიფო ორგანოებმა უნდა მიიღონ მათთვის ხელმისაწვდომი ყველა ზომა საქმესთან დაკავშირებულ მტკიცებულებათა შესანარჩუნებლად, როგორცაა, *inter alia*, თვითმხილველთა ჩვენება და სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებანი. რაც შეეხება დროულობასა და გონივრულობის მოთხოვნას, ის ზემოაღნიშნული ვალდებულების განუზრეველი ნაწილია. ნებისმიერი დარღვევა გამოძიების პროცესში, რომელიც შეუძლებელს გახდის საქმის გარემოებების ან დამნაშავე პირების დადგენის შესაძლებლობას, ვერ ჩაითვლება ეფექტურ გამოძიებად დადგენილი სტანდარტების შესაბამისად (იხ. კელი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, no. 30054/96, §§ 96-97, 2001 წლის 4 მაისი; და ზემოთ ციტირებული ანგელოვა, § 139).

75. წინამდებარე საქმეში ინციდენტს მოჰყვა ადმინისტრაციული გამოძიების დანყება. გარკვეული რაოდენობის პოლიციელი და თვითმხილველი დაიკითხა და გარკვეული ლაბორატორიული გამოკვლევებიც ჩატარდა. გამოძიების შემდეგ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო შვიდი პოლიციელის წინააღმდეგ, რომლებიც შემდგომში გაამართლეს (იხ. ზემოთ პუნქტები 13 და 15).

76. შესაბამისად, სასამართლო შენიშნავს, რომ ადგილი ჰქონდა გარკვეულ გადაცდომებს გამოძიების ჩატარების პროცესში. კერძოდ, სასამართლო მნიშვნელოვნად მიიჩნევს, რომ ადგილობრივი გამოძიების შედეგად ვერ დადგინდა ყველა იმ პირის ვინაობა, ვინც მონაწილეობა მიიღო განმცხადებლის დაკავების ოპერაციაში. უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთმა პოლიციელმა ისე დატოვა შემთხვევის ადგილი, რომ არ მოუხდენია საკუთარი თავის იდენტიფიკაცია და იარაღის ჩაბარება. შესაბამისად, ზოგიერთი იარაღი, რომელიც გამოიყენეს, არც კი იყო დაფიქსირებული. ეს დადასტურდა ადგილობრივი სასამართლოს მიერაც. ასევე, შესაბამისმა ორგანოებმა არ მოითხოვეს იმ პოლიციელთა სია, რომლებიც ინციდენტის დროს მორიგეობაზე იმყოფებოდნენ. ამ კუთხით არც სხვა რაიმე ნაბიჯი გადადგმულა. უფრო მეტიც, ხაზგასასმელია, რომ შემთხვევის ადგილიდან ამოიღეს მხოლოდ 3 ვაზნა, განმცხადებლის სხეულიდან, კერძოდ, ფეხიდან – ერთი გულა, ხოლო ერთი კვლავ რჩება მის საჯდომზე. სხვა ამოღებული გულების წარმოდგენა არ მომხდარა.

77. ზემოაღნიშნულმა გადაცდომებმა ადგილობრივ სასამართლოებს საშუალება არ მისცა, სრულად დაედგინათ შემთხვევის ფაქტები, როგორც ამას წინააღმდეგ შემთხვევაში გააკეთებდნენ. უნდა აღინიშნოს, რომ შვიდივე პოლიციელი, რომლებსაც ბრალი ედებოდათ სხეულის მძიმე დაზიანებაში, გაამართლეს, ვინაიდან ვერ იქნა დამტკიცებული გონივრული ეჭვის მიღმა, რომ სწორედ ამ პოლიციელებმა მიაყენეს განმცხადებელს ჭრილობები, რადგანაც არაერთი



სროლა განხორციელდა დაუდგენელი იარაღიდანაც (იხ. ზემოთ პუნქტი 19). სასამართლო ვერ დარწმუნდა იმაში, რომ სახელმწიფო ორგანოებს არ შეეძლოთ უფრო ქმედითი ღონისძიებების გატარება ინციდენტთან დაკავშირებით მეტი მტკიცებულების მიღების მიზნით.

78. ზემოაღნიშნული დადგენილების გათვალისწინებით, სასამართლო აცხადებს, რომ სახელმწიფო ორგანოებმა ვერ განახორციელეს ინციდენტის ეფექტური გამოძიება. გამოძიების არასრული და არაადეკვატური ხასიათი ვლინდება ფაქტით, რომ გამოძიებამ ვერ დაადგინა იმ პირთა ვინაობა, რომლებიც მონაწილეობდნენ ოპერაციაში და რომლებმაც უშუალოდ დაჭრეს განმცხადებელი.

79. შესაბამისად, ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევას ამ მიმართებით.

#### **5. სახელმწიფო ორგანოთა მიერ მე-2 მუხლით დადგენილ პროცესულ ვალდებულებებთან სავარაუდო შეუსაბამობის შესახებ**

80. ზემოაღნიშნული სასამართლო დასკვნების გათვალისწინებით (იხ. პუნქტები 72 და 79), სასამართლოს აუცილებლად არ მიაჩნია, იმსჯელოს აღნიშნულ გადაცდომებზე, როგორც სახელმწიფოს მიერ ჩამოყალიბებული პრაქტიკის ნაწილზე, როგორც ამას განმცხადებელი მოითხოვდა. (იხ. ზემოთ პუნქტი 37).

### **IV. კონვენციის 41-ე მუხლის გამოყენება**

87. კონვენციის 41-ე მუხლის თანახმად:

„თუ სასამართლო დაასკვნის, რომ დაირღვა კონვენციით ან მისი ოქმებით გათვალისწინებული უფლება, ხოლო შესაბამისი მალალი ხელშემკვრელი მხარის შიდა სამართალი, საჭიროების შემთხვევაში, დარღვევის მხოლოდ ნაწილობრივ გამოსწორების შესაძლებლობას იძლევა, სასამართლო დაზარალებულ მხარეს სამართლიან დაკმაყოფილებას მიაკუთვნებს.“

#### **A. ზიანი**

##### **1. მატერიალური ზიანი**

88. განმცხადებელმა მოითხოვა 60,000 ევრო იმ მატერიალური ზარალის გამო, რომელიც მან მიიღო ინციდენტიდან 20 თვის განმავლობაში და, ასევე, მომავალი 15 წლის განმავლობაში შემცირებული შემოსავლის გამო.

89. მთავრობამ განაცხადა, რომ ეს მოთხოვნა იყო გადაჭარბებული და გაუმართლებელი. ისინი აღნიშნავდნენ, რომ ინციდენტამდეც განმცხადებელს ჰქონდა ფსიქოლოგიური პრობლემები, რის გამოც მას არ ჰქონდა მუშაობის შესაძლებლობა.

90. სასამართლო შენიშნავს, რომ მოთხოვნა ეხება მიუღებელ შემოსავალს ინციდენტიდან 20 თვის განმავლობაში და, ასევე, შემცირებულ შემოსავალს მომავალი 15 წლის განმავლობაში. სასამართლოს თქმით, განმცხადებლის მიერ არანაირი მარწმუნებელი მტკიცებულება არ წარმოდგენილა ამის თაობაზე, რაც უნდა შეფასდეს, როგორც მეტად სპეკულაციური. ამ მიზეზით, სასამართლო არ ადგენს რაიმე დაკმაყოფილებას მოსარჩელის სასარგებლოდ.

## 2. არამატერიალური ზიანი

91. განმცხადებელმა მოითხოვა 75,000 ევრო არამატერიალური ზიანისათვის – გამოწვეული შიშის, ტკივილისა და მიყენებული ჭრილობებისათვის. ის ამტკიცებდა, რომ ამით მისი სიცოცხლე დაინგრა.

92. მთავრობამ გაიმეორა, რომ განმცხადებელმა საკუთარი ქმედებით საფრთხე შეუქმნა სხვა უდანაშაულო პირთა სიცოცხლესაც. ის ამტკიცებდა, რომ კონვენციის მუხლის დარღვევის დადგენა უკვე უნდა ჩათვლილიყო სამართლიან დაკმაყოფილებად.

93. ითვალისწინებს რა წინამდებარე საქმის გარემოებებს, სასამართლო შენიშნავს, რომ განმცხადებელმა მართლაც განიცადა არამატერიალური ზიანი. შესაბამისად, სამართლიან დაკმაყოფილებად ვერ ჩაითვლებოდა მხოლოდ კონვენციის მუხლის დარღვევულად ცნობა მის მიმართ. აფასებს რა საქმის ვითარებას, სასამართლო გასამრჯელოს სახით მოსარჩელეს აკუთვნებს 15,000 ევროს.

კონვენციის 45 § 2 მუხლისა და სასამართლოს წესების 74 § 2 წესის თანახმად, შემდეგი განსხვავებული მოსაზრებები თან ერთვის გადაწყვეტილებას:

(ა) ერთობლივი მოსაზრება: ბ-ნი კოსტა, სერ ნიკოლას ბრატცა, ბ-ნი ლორენცენი და ქ-ნი ვაიჩი.

(ბ) განსხვავებული მოსაზრება: ბ-ნი ვილდჰაბერი, რომელსაც შეუერთდნენ ბ-ნი კოვლერი და ქ-ნი მულარონი.

(გ) ნაწილობრივ განსხვავებული მოსაზრება: ქ-ნი ტსატსა-ნიკოლოვსკა, რომელსაც შეუერთდა ქ-ნი სტრაჟიცკა.

## 4. საქმე ნაჩოვა და სსკვაპი გულგარეთის წინააღმდეგ

(განაცხადი no. 43577/98 და 43579/98)

გადაწყვეტილება

სტრასბურგი

2005 წლის 6 ივლისი

### პროცედურა

საქმისწარმოება დაიწყო ორი განაცხადით (43577/98 და 43579/98), რომლებიც 1998 წლის 15 მაისს ადამიანის უფლებათა კომისიაში („კომისია“), ადამიანის უფლებათა და ფუნდამენტურ თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის („კონვენცია“) 25-ე მუხლის საფუძველზე, ბულგარეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ შემოიტანა ბულგარეთის ოთხმა მოქალაქემ – ქალბატონებმა: ანელია კუნჩოვა-ნაჩოვამ, აქსინია ჰრისტოვამ, თოდორკა პეტროვა-რანგელოვამ და ბატონმა რანგელ პეტკოვ-რანგელოვამ („განმცხადებლები“).

### საქმის ფაქტობრივი მხარე (მოკლე, არაოფიციალური ვერსია)

1996 წლის 15 ივლისს ბატონები ანგელოვი და პეტკოვი, 21 წლის ახალწვეულების არმიის სამშენებლო ძალებში, გაიქცნენ მშენებლობიდან და თავი შეაფარეს ბატონი ანგელოვის ბებიას ქალბატონ ტონკოვას, რომელიც ცხოვრობდა სოფელ ლესურაში. ცოტა ხნით ადრე, იმავე წელს ისინი დაკავებულნი იქნენ იმ მიზეზით, რომ ხშირად ტოვებდნენ მშენებლობის ადგილს ნებართვის გარეშე. ამის გამო, 22 მაისს ბატონ ანგელოვს მიესაჯა 9 თვიანი პატიმრობა, ხოლო პეტკოვს — 5 თვიანი. მანამდე ორივე ნასამართლეთი იყო ქურდობისთვის. გაქცევის მომენტისთვის ისინი გაყვანილები იყვნენ ციხიდან მშენებლობაზე.

მაიორ გ-ს მეთაურობით მათ დასაკავებლად გაგზავნილ იქნა ოთხი ოფიცერი. ოფიცრები გააფრთხილეს, რომ დასაკავებელ პირებს ჰქონდათ ნასამართლობა და რომ შეეძლოთ მათ დასაკავებლად გამოეყენებინათ ნებისმიერი საჭირო საშუალება. სერჟანტმა ნ-მა იცნო სახლი, რადგან აქ ერთხელ უკვე დააკავა ბ-ნი ანგელოვი სამუშაო ადგილის უნებართვოდ მიტოვების გამო. გაქცეულებმა შეამჩნიეს მანქანა და სცადეს გაქცევა. ერთ-ერთმა ოფიცერმა ამოიღო იარაღი და მოითხოვა გაჩერებულიყვნენ, მაგრამ მათ სირბილი გააგრძელეს. მაიორმა გ-მ გააფრთხილა ისინი, რომ თუ არ გაჩერდებოდნენ, ცეცხლს გახსნიდა და ასეც მოიქცა. სროლის შედეგად ორივე გაქცეული დაიჭრა. ოფიცრებმა ისინი წაიყვანეს ვრაცას საავადმყოფოში, მაგრამ ორივე გზაში დაიღუპა. ეზო, სადაც გაქცეულები დაჭრეს, ეკუთვნოდა ბატონ მ.მ-ს. სროლის დროს მან შეამჩნია, რომ მისი პატარა შვილიშვილი შემთხვევის ადგილთან ახლოს იდგა. მან ოფიცრებს სთხოვა ნებართვა, რომ მისულიყო და ბავშვი გამოეყვანა. მაიორმა გ-მ მას იარაღი მოუღერა და შეურაცხყო ფრაზით „თქვე წყეულო ბოშებო!“

### სამართლებრივი მხარე

#### I. საქმის ფარგლები

83. დიდი პალატისათვის საქმის გადაცემის თაობაზე შუამდგომლობასა და მთავრობის მიერ გაკეთებულ წერილობით მიმოხილვაში დიდ პალატას ეთხოვა, გადაესინჯა საქმის ის საკითხები, რომლებიც ხვდება კონვენციის მე-14

მუხლის მოქმედების სფეროში. სასამართლო განხილვის დროს მთავრობის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ისინი ეთანხმებოდნენ პალატის გადაწყვეტილებას კონვენციის მე-2 და მე-13 მუხლებთან მიმართებით.

84. განმცხადებლებმა სასამართლოს სთხოვეს, ემსჯელა მხოლოდ კონვენციის მე-14 მუხლთან დაკავშირებულ საკითხებზე, ვინაიდან პალატის გადაწყვეტილება კონვენციის მე-2 და მე-13 მუხლებთან მიმართებით სადაო არ გამხდარა.

85. სასამართლო იმეორებს, რომ დიდი პალატის მიერ შუამდგომლობის დაკმაყოფილება ნიშნავს, რომ „მთელი საქმე“ უნდა გადაეცეს დიდ პალატას არსებითი განხილვისა და ხელახალი გადაწყვეტილების მისაღებად. დიდი პალატისათვის საქმის გადაცემა აპრიორი გულისხმობს პალატის წინარე გადაწყვეტილების ყველა ასპექტის გადასინჯვას და არა მხოლოდ საჩინარში მითითებულ საკითხებზე მსჯელობას (იხ. ქეი და თი ფინეთის წინააღმდეგ [GC], no. 25702/94, ECHR 2001—VI, §§ 139-141).

86. მიუხედავად მხარეთა სურვილისა, დიდმა პალატამ იმსჯელოს მხოლოდ კონვენციის მე-14 მუხლთან დაკავშირებულ საკითხებზე, ის ვალდებულია, ასევე გადასინჯოს კონვენციის მე-2 და მე-13 მუხლები.

#### I. კონვენციის მე-2 მუხლის სავარაუდო დარღვევის შესახებ

87. განმცხადებლები აღნიშნავენ, რომ ბატონები ანგელოვი და პეტკოვი მოკლეს კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევით. მათი მტკიცებით, სიკვდილი წარმოადგენდა შიდა სამართლისა და პრაქტიკის უუნარობის შედეგს, კონვენციის შესაბამისად დაერეგულირებინათ სახელმწიფო წარმომადგენელთა მიერ ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება. სინამდვილეში, სახელმწიფო წარმომადგენლები აღჭურვილნი იყვნენ უფლებამოსილებით, გამოეყენებინათ სასიკვდილო ძალა ისეთ გარემოებებში, როდესაც მისი გამოყენება არ იყო აბსოლუტურად აუცილებელი. აღნიშნული ფაქტი თავად წარმოადგენს მე-2 მუხლის დარღვევას. განმცხადებლები ასევე ჩიოდნენ, რომ ხელისუფლების წარმომადგენლებმა არ ჩაატარეს სიკვდილის ფაქტების ეფექტური გამოძიება.

#### A. პალატის გადაწყვეტილება

89. პალატამ დაადგინა, რომ კონვენციის მე-2 მუხლი კრძალავს ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებას ისეთ პირთა დაკავების მიზნით, რომლებიც, ისევე როგორც ანგელოვი და პეტკოვი, ეჭვმიტანილნი იყვნენ არაძალადობრივი დანაშაულის ჩადენაში, არ იყვნენ შეიარაღებულნი და, შესაბამისად, არ უქმნიდნენ რაიმე საფრთხეს მათ დამკავებელ ოფიცრებს ან სხვა პირებს. გამომდინარე აქედან, მოპასუხე მთავრობა, მოცემული საქმის გარემოებების გათვალისწინებით, პასუხისმგებელი იყო კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევით სიცოცხლის წართმევის გამო ბატონების ანგელოვისა და პეტკოვისთვის. მე-2 მუხლის დარღვევა კიდევ უფრო დაამძიმა იმ ფაქტმა, რომ ხელისუფლების წარმომადგენლებმა ცეცხლსასროლი იარაღი გადაჭარბებით გამოიყენეს და დაკავების ოპერაცია დაგეგმეს და წარმართეს მე-2 მუხლით გათვალისწინებული წესის საწინააღმდეგოდ.

90. პალატამ შემდგომ დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა მოპასუხე მთავრობის მიერ კონვენციის მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევას, რომლის მიხედვითაც, ეს უკანასკნელი ვალდებული იყო, ეფექტურად გამოეძია ბატონების ანგელოვისა და პეტკოვის სიკვდილის ფაქტები. კერძოდ, გამოძიება ხასიათდებოდა სერიოზული

აუხსნელი უმოქმედობით და წინააღმდეგობებით; საერთო მიდგომის ხარვეზს წარმოადგენდა ისიც, რომ ამ პროცესში გამოიყენებოდა შიდა სამართლით დადგენილი სტანდარტი, რომელიც, თავის მხრივ, არ შეესაბამებოდა კონვენციის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ სტანდარტს („არ უნდა იყოს აბსოლუტურად აუცილებელზე მეტი“).

91. რაც შეეხება განმცხადებელთა საჩივარს იმის თაობაზე, რომ მოპასუხე მთავრობამ ასევე დაარღვია ვალდებულება, კანონით დაეცვა სიცოცხლე, ამასთან დაკავშირებით პალატამ გადაწყვიტა, რომ მან განიხილა საქმის ყველა რელევანტური საკითხი და არ თვლიდა აუცილებლად ამ თემაზე ცალკე მსჯელობას.

## **B. მხარეთა დასაბუთება**

92. დიდი პალატის წინაშე მთავრობის წარმომადგენლებმა და განმცხადებლებმა აღნიშნეს, რომ ისინი აღიარებდნენ პალატის დადგენილებას კონვენციის მე-2 მუხლთან მიმართებით.

## **C. სასამართლოს შეფასება**

### **1. წაერთვათ თუ არა ბატონებს ანგელოვსა და პეტკოვს სიცოცხლე კონვენციის მე-2 მუხლის საწინააღმდეგოდ**

#### **(a) ზოგადი პრინციპები**

93. კონვენციის მე-2 მუხლი, რომელიც იცავს სიცოცხლის უფლებას, აღიარებულია კონვენციის ერთ-ერთ ყველაზე ფუნდამენტურ დებულებად და წარმოადგენს ევროპის საბჭოში შემავალი დემოკრატიული საზოგადოებების ერთ-ერთ ყველაზე არსებით ღირებულებას. სასამართლომ ამ დებულების დარღვევასთან დაკავშირებული განცხადებები უნდა დაუქვემდებაროს განსაკუთრებულ, ფრთხილ შემოწმებას. სახელმწიფოს წარმომადგენელთა მიერ ძალის გამოყენების შემთხვევებში, გასათვალისწინებელია არა მხოლოდ სახელმწიფოს იმ წარმომადგენელთა ქმედებები, რომელთაც უშუალოდ მოახდინეს ძალის გამოყენება, არამედ უნდა გამოიკვლიოს ყველა გარემოება, დაკავშირებული ისეთ საკითხებთან, როგორიცაა შესაბამისი მოქმედი საკანონმდებლო და მარეგულირებელი ბაზა და განსახილველი ქმედებების დაგეგმვა და წარმართვა (იხ. მაკქენი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, 1995 წლის 27 სექტემბრის გადაწყვეტილება, სერიები A no. 324, გვ. 46, § 150; და მაკარაგზისის საბერძნეთის წინააღმდეგ [GC], no. 50385/99, §§ 57-59, 2004 წლის დეკემბერი).

94. როგორც თავად მე-2 პარაგრაფის მე-2 მუხლის ტექსტი მიგვითითებს, პოლიციელთა მიერ სასიკვდილო იარაღის გამოყენება შეიძლება გამართლდეს გარკვეულ გარემოებებში. თუმცა, ძალის გამოყენების ნებისმიერი შემთხვევა არ უნდა იყოს „აბსოლუტურად აუცილებელზე“ მეტი ე.ი. მკაცრად პროპორციული შექმნილ გარემოებებთან მიმართებით. სიცოცხლის უფლების ფუნდამენტური ბუნების გათვალისწინებით, გარემოებები, რომლებიც სიცოცხლის წართმევის გამართლებას წარმოადგენს, ვინაობა უნდა განიმარტოს (იხ. ანდრონიკუ და კონსტანტინუ კვიპროსის წინააღმდეგ, 1997 წლის 9 ოქტომბრის გადაწყვეტილება. გადაწყვეტილებათა ანგარიშები 1997-VI, გვ. 2097-98, § 171, გვ. 2102, § 181, გვ. 2104, § 186, გვ. 2107, § 192 და გვ. 2108, § 193; და მაკკერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, no. 28883/95, § 108, სექ. ECHR 2001-III).



95. შესაბამისად და კონვენციის მე-2 § 2 (ბ) მუხლის თანახმად, კანონიერად დაკავების ლეგიტიმური მიზნისათვის ადამიანის სიცოცხლის საფრთხეში ჩადგება გამართლებული იქნებოდა მხოლოდ აბსოლუტური აუცილებლობის პირობებში. სასამართლო შენიშნავს, რომ ამგვარი აუცილებლობა პრინციპულად არ არის სახეზე იმ შემთხვევაში, როცა აშკარაა, რომ დასაკავებელი პირი არქმენის საფრთხეს სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის და არ არის ეჭვმიტანილი ძალმომრეობითი დანაშაულის ჩადენაში, თუნდაც სასიკვდილო ძალის გამოუყენებლობამ განაპირობოს გაქცეული დამნაშავის შეპყრობის შესაძლებლობის დაკარგვა (იხ. სასამართლოს მიდგომა საქმეში მაკენი და სხვები, ზემოთ ციტირებული გვ. 45-46, §§ 146-50 და გვ. 56-62, §§ 192-214 და, უფრო მოგვიანებით, მაკარატზისის საქმე, ზემოთ ციტირებული §§ 64-66; ასევე იხ. სასამართლოს პოზიცია იარალის გამოყენების საკითხებთან დაკავშირებით შეუიარაღებელი და არამოძალადე პირების წინააღმდეგ, რომლებიც ცდილობდნენ, დაეტოვებინათ ყოფილი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, გამოსატყუი საქმეში სტრელეცი, კესლერი და კრენცი გერმანიის წინააღმდეგ [GC], no. 34044/96, 35532/97 და 44801/98, §§ 87, 96 და 97, ECHR 2001-II).

96. გარდა იმ გარემოებების განსაზღვრისა, რომელთა დროსაც შესაძლებელია, მოხდეს სიცოცხლის უფლების ხელყოფა, კონვენციის მე-2 მუხლი ადგენს სახელმწიფოს უმთავრეს ვალდებულებას, დაიცვას სიცოცხლის უფლება შესაბამისი სამართლებრივი და ადმინისტრაციული საკანონმდებლო ბაზის ამოქმედებით, რომლებიც, რელევანტური საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ვინ როდ განსაზღვრავენ იმ გარემოებებს, რომლებშიც სამართალდამცავმა ორგანოებმა შეიძლება გამოიყენონ ძალა ან ცეცხლსასროლი იარაღი (იხ. მაკარაძისი, ზემოთ ციტი. §§ 57-59 და შესაბამისი ნაწილი „გაეროს ძირითადი პრინციპები ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის სამართალდამცავი ორგანოების მიერ გამოყენების შესახებ“, 71-74 პუნქტები. ზემოაღნიშნული პრინციპების მე-2 მუხლთან მკაცრი შესაბამისობის საკითხებზე იხ. მაკენი და სხვები, ზემოთ ციტი. გვ. 46, § 149). ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის პრინციპის შესაბამისად (რომელიც იგულისხმება მე-2 მუხლში), შიდასამართლებრივი ბაზა, რომელიც არეგულირებს დაკავების ოპერაციას, უნდა უკავშირებდეს ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებას საქმის გარემოებების ფრთხილ შეფასებას და, განსაკუთრებით, გაქცეული დამნაშავის მიერ ჩადენილი დანაშაულის ხასიათისა და იმ საფრთხის შეფასებას, რასაც იგი ქმნის.

97. უფრო მეტიც, ეროვნული კანონმდებლობა, რომელიც განსაზღვრავს საპოლიციო ოპერაციებთან დაკავშირებულ საკითხებს, უნდა ქმნიდეს დაცვის ადეკვატურ და ეფექტურ გარანტიებს იარაღის თვითნებურად და ბოროტად გამოყენების თავიდან აცილების მიზნით და, აგრეთვე, თავიდან აცილებადი უბედური შემთხვევის წინააღმდეგ (იხ. მაკარაძისი, ზემოთ ციტი. § 58). კერძოდ, სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებმა უნდა გაიარონ შესაბამისი მომზადება იმის შესაფასებლად, თუ რამდენად აუცილებელია იარაღის გამოყენება არა მარტო მარეგულირებელი ნორმის მოთხოვნათა, არამედ ადამიანის სიცოცხლის ფუნდამენტური ღირებულების გათვალისწინებით (იხ. სასამართლოს კრიტიკა „სასიკვდილო გასროლის“ ინსტრუქციებთან დაკავშირებით საქმეზე მაკენი და სხვები, ზემოთ ციტი. გვ. 61-62, §§ 211-214).

**(b) ზემოაღნიშნული პრინციპების გამოყენება წინამდებარე საქმეში**

98. ბატონები ანგელოვი და პეტკოვი მოკლეს ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით სამხედრო პოლიციის თანამშრომლებმა, რომლებიც ცდილობდნენ მათ დაპატიმრებას, მას შემდეგ, რაც ისინი გამოიქცნენ თავისუფლების აღკვეთის

ადგილიდან. აქედან გამომდინარე, საქმე ხვდება კონვენციის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის მოქმედების სფეროში.

**(i) შესაბამისი სასამართლო ფარგლები**

99. სასამართლო განსაკუთრებული შეფოთებით შენიშნავს, რომ სამხედრო პოლიციის თანამშრომლებს ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების შესახებ შიდასამართლებრივი რეგულაციები აძლევდა უფლებას, გამოეყენებინათ სასიკვდილო ძალა სამხედრო ძალების წევრის დაპატიმრებისას, თუნდაც ძალიან მცირე დარღვევის გამო. აღნიშნული რეგულაციები არ გამოქვეყნებულა და ისინი არ შეიცავდნენ ნათელ მითითებებს იმასთან დაკავშირებით, როგორ უნდა ყოფილიყო თავიდან აცილებული სიცოცხლის წართმევა. აღნიშნული ნორმების თანახმად, კანონიერი იყო სასიკვდილო გასროლა იმ პირის მიმართ, რომელიც დაუყოვნებლივ არ დაემორჩილებოდა ზეპირ გაფრთხილებას და ჰაერში გამაფრთხილებელ გასროლას (იხ. პუნქტი 60). ნორმების არასრული ხასიათის ნათელი ილუსტრაციაა დამკავებლების მიერ იარაღის უწყყმანო გამოყენების ფაქტი და მოვლენათა განვითარება, რომლებმაც შედეგად გამოიღეს ბატონების ანგელოვისა და პეტკოვის სიკვდილი; ასევე, გამომძიებელი ორგანოების პასუხი ამ მოვლენებზე. სასამართლო დაუბრუნდება აღნიშნულ საკითხებს მოგვიანებით.

100. ამგვარი მარეგულირებელი ბაზა ფუნდამენტურად შეუსაბამოა ევროპის თანამედროვე საზოგადოებისთვის კონვენციით განსაზღვრული სიცოცხლის უფლების „კანონით“ დადგენილ სტანდარტთან (იხ. პუნქტები 94-97, რომლებშიც საუბარია რეგულირების სამართლებრივ ფარგლებზე).

101. მართალია, ბულგარეთის უზენაესი სასამართლოს მიერ დადგინდა, რომ პროპორციულობა სისხლის სამართლის კანონმდებლობის ორგანული ნაწილია, მაგრამ აღნიშნული განმარტება არ გავრცელდა წინამდებარე საქმეზე (იხ. პუნქტები 50-54).

102. ამრიგად, სასამართლო ადგენს, რომ მოპასუხე მთავრობამ დაარღვია კონვენციის მე-2 მუხლით ნაკისრი ვალდებულება, ეფექტურად დაეცვა სიცოცხლის უფლება, რამდენადაც ვერ უზრუნველყო, ამოქმედებინა სათანადო საკანონმდებლო და ადმინისტრაციული ბაზა სამხედრო პოლიციის მიერ იარაღის გამოყენებასთან დაკავშირებით.

**ოპერაციის დაგეგმვა და კონტროლი**

103. პალატამ ცალკე იმსჯელა ოპერაციის დაგეგმვის საკითხებზე. დიდი პალატა ეთანხმება პალატის დადგენილებას იმის თაობაზე, რომ ხელისუფლების წარმომადგენლებმა დაარღვიეს მათი ვალდებულება სასიკვდილო რისკის მინიმალიზაციის თაობაზე, ვინაიდან თავიდანვე მისცეს ინსტრუქცია დამკავებელ ოფიცრებს, ყველა შესაძლებლობა გამოეყენებინათ ბატონების ანგელოვისა და პეტკოვის დასაპატიმრებლად. ამასთან, აბსოლუტურად უგულებელყოფილ იქნა ფაქტი, რომ გაქცეულები იყვნენ შეუიარაღებელნი და საფრთხეს არ უქმნიდნენ სხვათა სიცოცხლეს. როგორც პალატამ აღნიშნა (§ 110):

„[A] გადამწყვეტი ელემენტი დაკავების ოპერაციის დაგეგმვისას . . . უნდა იყოს ხელმისაწვდომი ინფორმაციის სრული ანალიზი, მათ შორის, როგორც აბსოლუტური მინიმუმი, ანალიზი დასაკავებელი პირის მიერ ჩადენილი დანაშაულის ბუნებისა და ამ პირისგან მომავალი საფრთხის ხარისხის შესახებ. საკითხი, თუ როგორ და რა გარემოებებში შეიძლება გამოიყენონ გაქცეული

პირის დაკავებისას ცეცხლსასროლი იარაღი, უნდა დგინდებოდეს წინასწარი მომზადებისას მიღებული ცოდნის, შესაბამისი ინფორმაციის და მკაფიოდ განსაზღვრული სამართლებრივი ნორმების საფუძველზე.“

104. დიდი პალატა, თავის მხრივ, კიდევ ერთხელ მიუთითებს მკაფიო საკანონმდებლო და რეგულაციური ბაზის არარსებობის შესახებ, რაც მისცემდა სამხედრო პოლიციის თანამშრომლებს შესაძლებლობას, განესაზღვრათ, თუ რა გარემოებებში შეეძლოთ, პოტენციურად, სასიკვდილო ძალის გამოყენება (იხ. პუნქტები 99-102). ის ეთანხმება პალატის დადგენილებას (პუნქტი 112), რომლის მიხედვითაც, შესაბამისი რეგულაციების თანახმად: „ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება არ იყო დამოკიდებული საქმესთან დაკავშირებული გარემოებების შეფასებაზე.“

105. მოქმედი რეგულაციები საშუალებას იძლეოდა, მძიმედ შეიარაღებული ოფიცრები გაეშვათ ორი კაცის დასაკავებლად იმ საფრთხის ყოველგვარი განხილვის გარეშე, რომელიც მათ შეიძლებოდა შეექმნათ ან გასაგები გაფრთხილების გარეშე სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდების რისკის მინიმალური ზაციის აუცილებლობის შესახებ. მოკლედ, ოპერაციის დაგეგმვისა და წარმართვის მანერა ააშკარავებდა სიცოცხლის უფლების უზენაესობის მიმართ გამოვლენილ სამწუხარო უპატივცემლობას.

## (ii) დამპატიმრებელი ოფიცრების ქმედებები

106. დადგენილი იყო, რომ ბატონები ანგელოვი და პეტკოვი მსახურობდნენ სამხედრო ძალების სამშენებლო ნაწილში (სპეციალური სამხედრო დანესებულება), სადაც ახალწვეულები ასრულებდნენ მშენებლობის მუშათა მოვალეობებს არასამხედრო ნაწილებში. ისინი დაისაჯნენ მოკლევადიანი პატიმრობით არაძალადობრივი დანაშაულისათვის. ისინი გაიქცნენ ყოველგვარი ძალადობის გამოყენების გარეშე, მიატოვეს რა სამუშაო ადგილი, რომელიც იყო თავისუფლების აღკვეთის დანესებულების გარეთ. მიუხედავად იმისა, რომ ისინი ადრე იყვნენ მსჯავრდებულნი ქურდობისათვის და სამსახური რამდენჯერმე დატოვეს ნებართვის მიუღებლად, მათ არ გააჩნდათ ძალადობრივი წარსული (იხ. პუნქტები 13-15). არც ერთი მათგანი არ იყო შეიარაღებული და არ ქმნიდა რაიმე საფრთხეს დამკავებელი ან მესამე პირისათვის. მათ ხელთ არსებული ინფორმაციიდან გამომდინარე, დამკავებელ ოფიცრებს ეს უნდა სცოდნოდათ, ყოველ შემთხვევაში, მას შემდეგ, რაც გაქცეულები იპოვეს სოფელ ლესურასთან, როდესაც ცხადი გახდა, რომ ისინი იყვნენ შეუიარაღებლები და მათი ქმედება არ ამჟღავნებდა ძალადობის ნიშნებს (იხ. პუნქტები 15-26).

107. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო ადგენს, რომ, წინამდებარე საქმის გარემოებათა გათვალისწინებით, ნებისმიერი სასიკვდილო ძალის გამოყენება ეწინააღმდეგებოდა კონვენციის მე-2 მუხლს, ბატონების ანგელოვისა და პეტკოვის წარმატებული გაქცევის შესაძლებლობის გათვალისწინებითაც. როგორც ზემოთ აღინიშნა, სასიკვდილო ძალის გამოყენება არ შეიძლება განიხილოს, როგორც „აბსოლუტურად აუცილებელი“ იქ, სადაც ცნობილია, რომ დასაკავებელი პირი არ აგდებს საფრთხეში სხვათა სიცოცხლეს და ჯანმრთელობას და არ არის ეჭმიტანილი ძალადობრივი დანაშაულის ჩადენაში.

108. დამატებით, მაიორ „გ“-ს საქციელი (სამხედრო პოლიციის თანამშრომელი), რომელმაც ესროლა გაქცეულებს, სერიოზულ კრიტიკას იწვევს იმის გამო, რომ მან გამოიყენა მეტისმეტად გადაჭარბებული ძალა:

- (i) ცხადია, რომ შესაძლებელი იყო, აღნიშნულ პირთა დასაკავებლად სხვა გზის გამოყენება: ოფიცრებს გააჩნდათ ჯიპის ტიპის მანქანა, ოპერაცია მიმდინარეობდა პატარა სოფელში დღისით და ბატონების ანგელოვისა და პეტკოვის ქმედება ცხადად განჭვრეტადი იყო იმის გათვალისწინებით, რომ წინა გაქცევისას ანგელოვი იპოვეს იმავე მისამართზე (იხ. პუნქტები 17, 18, 23 და 24);
- (ii) მაიორმა „გ“-მ გამოიყენა ავტომატური იარაღი ავტომატური სროლის რეჟიმში, მიუხედავად იმისა, რომ მას, ასევე, ჰქონდა ხელით მართვადი იარაღი. ავტომატური იარაღის გამოყენებისას, მას არ ჰქონდა შესაძლებლობა, რაიმე გონივრული სიზუსტით მოეხდინა დამიზნება (იხ. პუნქტი. 26);
- (iii) ბატონი პეტკოვი დაიჭრა გულ-მკერდის არეში, რასთან დაკავშირებითაც, არანაირი გონივრული განმარტება არ წარმოდგენილა (იხ. პუნქტები 41 და 50-54). ამგვარი განმარტების არქონის პირობებში ვერ გამოირიცხება შესაძლებლობა, რომ ბატონი პეტკოვი ბოლო მომენტში მოტრიალდა დამკავებლისკენ ჩაბარების მიზნით, მაგრამ მას მაინც ესროლეს.

### III. სასამართლოს დასკვნა

109. სასამართლო ადგენს, რომ მოპასუხე მთავრობამ ვერ შეასრულა მე-2 მუხლით ნაკისრი ვალდებულება, რამდენადაც რელევანტური სამართლებრივი ბაზა ძალის გამოყენებასთან დაკავშირებით იყო არსებითად ნაკლოვანი და ბატონები ანგელოვი და პეტკოვი დაიღუპნენ იმგვარ გარემოებაში, სადაც დაკავების მიზნით ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება სრულიად ეწინააღმდეგებოდა კონვენციის მე-2 მუხლს. უფრო მეტიც, გამოყენებული ძალა მეტისმეტად გადაჭარბებული იყო. შესაბამისად, ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევას ბატონების ანგელოვისა და პეტკოვის მკვლელობის შემთხვევაში.

## 2. იყო თუ არა ბატონების ანგელოვისა და პეტკოვის მკვლელობის გამოძიება ეფექტური კონვენციის მე-2 მუხლის მიზნებისათვის

### (ა) ზოგადი პრინციპები

110. კონვენციის მე-2 მუხლიდან გამომდინარე, სახელმწიფოს ვალდებულება, დაიცვას სიცოცხლის უფლება, იკითხება ამავე კონვენციის პირველ მუხლთან ერთიანობაში „[საკუთარი] იურისდიქციის ფარგლებში ყველასთვის უზრუნველყოფენ ამ კონვენციის პირველ ნაწილში განსაზღვრულ უფლებებსა და თავისუფლებებს“ (იხ. ჯაკიჩი თურქეთის წინააღმდეგ [GC], no. 23657/94, § 86, ECHR 1999-IV). აღნიშნულიდან გამომდინარე, სახელმწიფოში უნდა არსებობდეს რაიმე ფორმის ეფექტური, ოფიციალური გამოძიება იმ შემთხვევებისათვის, როდესაც ვიღაცა კვდება ძალის გამოყენების შედეგად. ამგვარი გამოძიების მთავარ მიზანს წარმოადგენს სიცოცხლის უფლების შიდასამართლებრივი გარანტიების ეფექტური რეალიზება და იმ საქმეებში, სადაც სახელმწიფოს წარმომადგენლები ან ორგანოები მონაწილეობენ, მათი ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფა მათივე პასუხისმგებლობით მომხდარი მკვლელობების გამო (იხ. ანგელოვა ბულგარეთის წინააღმდეგ, no. 38361/97, § 137, ECHR 2002-IV).

111. ხელისუფლების წარმომადგენლებმა უნდა იმოქმედონ საკუთარი ინიციატივით იმ მომენტიდან, როცა შემთხვევის შესახებ გაიგებენ. მათ არ უნდა დატოვონ საქმე ახლო ნათესავების ინიციატივის იმედად, რომ ისინი აღძრავენ ოფიციალურად საქმეს ან მოითხოვენ გარკვეული საგამოძიებო პროცედურების

ჩატარებას (იხ. მაგალითად, *mutatis mutandis*, ილჰანი თურქეთის წინააღმდეგ [GC], no. 22277/93, § 63, ECHR 2000-VI).

112. იმისათვის, რომ სახელმწიფოს წარმომადგენლების მიერ ჩადენილი უკანონო მკვლელობის გამოძიება იყოს ეფექტური, ის პირები, რომლებიც უძღვებიან გამოძიებას ან არიან მასზე პასუხისმგებლები, უნდა იყვნენ დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი როგორც სამართლებრივად, ისე პრაქტიკულადაც (იხ. მაგალითად, გიულეჯი თურქეთის წინააღმდეგ, 1998 წლის 27 ივლისის გადაწყვეტილება, ანგარიშები 1998-IV, პ. 1733, §§ 81-82; და ოგური თურქეთის წინააღმდეგ [GC], no. 21594/93, §§ 91-92, ECHR 1999-III).

113. გამოძიება უნდა იყოს ეფექტური იმ თვალსაზრისითაც, რომ შეეძლოს იმის გარკვევა, იყო თუ არა ძალის გამოყენება გამართლებული განსახილველ გარემოებებში და შეეძლოს, დაადგინოს და დასაჯოს დამნაშავეები (იხ. ზემოთ ციტი. ოგური თურქეთის წინააღმდეგ, § 88). ხელისუფლების წარმომადგენლებმა უნდა გადადგან გონივრული ნაბიჯები, რომლებიც უზრუნველყოფენ ინციდენტთან დაკავშირებული მტკიცებულებების, მათ შორის, *inter alia*, თვითმხილველ მოწმეთა ჩვენებებისა და სასამართლო-სამედიცინო დასკვნის მოპოვებას. გამოძიების დასკვნები უნდა ემყარებოდეს ყველა შესაბამისი ელემენტის ყოველმხრივ, ობიექტურ და მიუკერძოებელ ანალიზს და უნდა ემყარებოდეს კონვენციის 2 § მე-2 მუხლით დადგენილ სტანდარტს – „არ უნდა იყოს მეტი, ვიდრე აბსოლუტურად აუცილებელი.“ გამოძიების ნებისმიერი ხარვეზი, რომელიც ხელს უშლის საქმის გარემოებათა დადგენას ან პასუხისმგებელი პირის გამოვლენას, შეიძლება გახდეს ეფექტურობის სტანდარტის დარღვევის საფუძველი (იხ. კელი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, no. 30054/96, §§ 96-97, 2001 წლის 4 მაისი; და ზემოთ ციტი. ანგელოვა ბულგარეთის წინააღმდეგ, §§ 139 და 144).

**(ბ) ამ პრინციპების წინამდებარე საქმეში გამოყენების შესახებ**

114. დიდი პალატა ვერ ხედავს რაიმე საფუძველს, არ დაეთანხმოს პალატის გადაწყვეტილებას. ის, როგორც ეს პალატამ გააკეთა, აღნიშნავს, რომ გამოძიებამ ბატონების ანგელოვისა და პეტკოვის სიკვდილთან დაკავშირებით შეაფასა ოფიცერთა ქმედების კანონიერება შესაბამისი რეგულაციების საფუძველზე. ის ფაქტი, რომ გამოძიებამ კანონიერად ცნო ძალის გამოყენება ამ გარემოებებში, ადასტურებს ამ დადგენილებათა ფუნდამენტურ ნაკლოვანებასა და სიცოცხლის უფლების უგულვებელყოფას. დაეყრდნენ რა ამ დადგენილებათა სიტყვასიტყვით მნიშვნელობას, გამოძიების წარმომადგენლებმა არ გამოიკვლიეს ისეთი რელევანტური გარემოებები, როგორცაა: ინფორმაციის ქონა იმის თაობაზე, რომ გაქცეულები შეუიარაღებელი იყვნენ და რომ საფრთხეს არ უქმნიდნენ არავის. არც იმის შესახებ უმსჯელიათ, რამდენად საჭირო იყო მძიმედ შეიარაღებული ოფიცრების გაგზავნა ორი პირის დასაკავებლად, რომელთა მიერ ჩადენილი დანაშაული იყო მხოლოდ ნაწილის მიტოვება ნებართვის გარეშე. ამგვარად, ყველა მნიშვნელობის მქონე გარემოებების მკაცრი გადასინჯვა არ მომხდარა (იხ. პუნქტები 50-54).

115. თავი რომ გავანებოთ იმ ვინრო საკანონმდებლო ბაზას, რომელზე დაყრდნობითაც გამოძიება მიმდინარეობდა, უნდა აღინიშნოს, რომ რიგი აუცილებელი და აშკარად საგამოძიებო ხასიათის ნაბიჯები არ გადადგმულა. კერძოდ, ადგილმდებარეობის მარტივი რუქა, რომელსაც ეყრდნობოდნენ ხელისუფლების წარმომადგენლები ზუსტად არ ასახავდა ტერიტორიის მახასიათებლებს. მას აკლდა შესაბამისი მასშტაბი. საგამოძიებო ექსპერიმენტი არ ჩატარებულა. ინფორმაციის გარეშე, რომელიც ამ საგამოძიებო მოქმედებების



საშუალებით შეიძლება მოეპოვებინათ, შეუძლებელი იყო დამკავებელ ოფიცერთა მიერ წარმოდგენილი ვერსიის გადამონმება (იხ. პუნქტები 34-54).

116. უფრო მეტიც, გამოძიებელმა და პროკურორებმა იგნორირება გაუკეთეს ძალზედ მნიშვნელოვან ფაქტებს: რომ ბ-ნ პეტკოვს ესროლეს გულმკერდის არემი; რომ გამოყენებული ვაზნები იპოვეს მ.მ.-ის ეზოში რამდენიმე მეტრის დაშორებით იმ ადგილიდან, სადაც ბატონი ანგელოვი და პეტროვი დაეცნენ; და რომ მაიორმა „გ“-მ გამოიყენა მეტისმეტად გადაჭარბებული ძალა, რამდენადაც გასროლას ახორციელებდა ავტომატური სროლის რეჟიმში. ხელისუფლების წარმომადგენლებმა იგნორირება გაუკეთეს ამ მეტად მნიშვნელოვან ფაქტებს, შესაბამისი განმარტების ძიების გარეშე, უყოყმანოდ გაითვალისწინეს მაიორ „გ“-ს ჩვენება და შეწყვიტეს გამოძიება. ამრიგად, გამოძიებელმა და პროკურორებმა ეფექტურად გაათავისუფლეს მაიორი „გ“ პასუხისმგებლობისაგან.

117. დიდი პალატა იზიარებს პალატის მოსაზრებას, რომ ამგვარი ქმედება ხელისუფლების მხრიდან, რაც უკვე აღინიშნა სასამართლოს მიერ ბულგარეთის მიმართ განხილულ სხვა საქმეებში (იხ. ველიკოვა ბულგარეთის წინააღმდეგ, no. 41488/98, ECHR 2000-VI და ზემოთ ციტ. ანგელოვა) წარმოადგენს ძალიან დიდი შემფოთების საგანს, ვინაიდან სადაოს ხდის საქმეში მონაწილე გამოძიებელთა და პროკურორთა ობიექტურობასა და მიუკერძოებლობას.

118. ამასთან დაკავშირებით, სასამართლო განმეორებით აღნიშნავს, რომ ხელისუფლების სწრაფი და ეფექტური პასუხი სასიკვდილო ძალის გამოყენების გამოძიების პროცესში არსებითია საზოგადოებრივი ნდობის მიღწევისათვის, კანონის უზენაესობისა და უკანონობის წინააღმდეგ შეურიგებლობის შეგრძნების დამკვიდრებისათვის (იხ. მაქკერი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, ზემოთ ციტ. § 111-15).

119. წინამდებარე საქმეში მოპასუხე მთავრობის მიერ დაირღვა კონვენციის 2 § 1 მუხლით დადგენილი ვალდებულება მკვლელობის ფაქტის ეფექტურ გამოძიებასთან დაკავშირებით.

#### **IV. კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა ამავე კონვენციის მე-14 მუხლითა და მიმართებით**

124. განმცხადებლები ამტკიცებდნენ, რომ მათ მიმართ დაირღვა კონვენციის მე-14 მუხლი, რამდენადაც ბოშათა მიმართ მტრულმა დამოკიდებულებამ და წინასწარ ჩამოყალიბებულმა უარყოფითმა აზრმა, მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ბატონების ანგელოვისა და პეტკოვის მკვლელობის მოვლენებში. ისინი ასევე ამტკიცებდნენ, რომ ხელისუფლების წარმომადგენლებმა არ შეასრულეს მკვლელობის შესაძლო რასისტული მოტივის გამოძიების ვალდებულება. მთავრობამ სადავოდ გახადა განმცხადებელთა მტკიცება.

125. კონვენციის მე-14 მუხლის თანახმად:

„ამ კონვენციაში მოცემული უფლებებისა და თავისუფლებების გამოყენება უზრუნველყოფილი იქნება ყველასთვის, ნებისმიერ საფუძველზე დისკრიმინაციის გარეშე, როგორცაა სქესი, რასა, კანის ფერი, ენა, რელიგია ან განსხვავებული აზრი, ეროვნული თუ სოციალური წარმოშობა, გაერთიანება ეროვნულ უმცირესობათა ორგანიზაციაში, ქონება, დაბადება და სხვა სტატუსი.“

## პალატის გადაწყვეტილება

126. პალატამ აღნიშნა, რომ სიცოცხლის უფლების წართმევის საქმეებზე კონვენციის მე-2 და მე-14 მუხლები ერთობლივად ავალდებულებს სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლებს, განახორციელონ ეფექტური გამოძიება, მიუხედავად მსხვერპლის რასობრივი თუ ეთნიკური წარმომავლობისა. მან ასევე აღნიშნა, რომ ხელისუფლების წარმომადგენლებს ეკისრებოდათ დამატებითი ვალდებულება, გადაედგათ ყველა გონივრული ნაბიჯი, რათა გამოევილინათ ამ ინციდენტში რასისტული მოტივის არსებობა, რაც უკავშირდებოდა სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა მიერ ძალის გამოყენებას.

127. წინამდებარე საქმეში ბატონ მ.მ.-ის ჩვენება რასობრივი სიტყვიერი შეურაცხყოფის შესახებ და სხვა მტკიცებულებანი უნდა ყოფილიყო ხელისუფლების წარმომადგენელთათვის შემოფოთების საფუძველი შესაძლო რასისტული მოტივის გამოძიების დაწყების თვალსაზრისით, რაც არ მომხდარა. ამ მხრივ, ხელისუფლების წარმომადგენლებმა დაარღვიეს კონვენციის მე-14 მუხლით ნაკისრი ვალდებულება ამავე კონვენციის მე-2 მუხლთან მიმართებით.

128. იმის გათვალისწინებით, რომ დისკრიმინაციის მტკიცებასთან დაკავშირებული იყო განსაკუთრებული მტკიცებულებითი სირთულეები, რაც მოითხოვდა მტკიცებულებისადმი სპეციფიკურ დამოკიდებულებას, პალატამ დაადგინა, რომ იმ საქმეებში, სადაც არ გამოიძიეს ხელისუფლების წარმომადგენელთა მხრიდან ძალადობის აქტები და იგნორირება გაუკეთეს შესაძლო დისკრიმინაციის მტკიცებულებას, სასამართლოს შეუძლია, კონვენციის მე-14 მუხლის საფუძველზე შემოსული განაცხადის განხილვისას, გააკეთოს უარყოფითი დასკვნები და მტკიცების ტვირთი გადაიტანოს მოპასუხე სახელმწიფოზე.

129. საქმის ფაქტებთან დაკავშირებით, პალატამ დაადგინა, რომ საგამოძიებო ორგანოების ქმედებები, რომელთაც გამოტოვეს მთელი რიგი შემაშფოთებელი ფაქტები, როგორიცაა მაიორ „გ“-ს მიერ გადაჭარბებული ძალის გამოყენება და მტკიცებულება, რომ მან გამოხატა რასისტული ბილნსიტყვაობა, განაპირობებდა მტკიცების ტვირთის გადანაცვლებას მოპასუხე მთავრობაზე. ასე რომ, მოპასუხე მთავრობას უნდა დაეკმაყოფილებინა სასამართლო დამატებითი მტკიცებულებით ან ფაქტების დამაჯერებელი განმარტებით იმის თაობაზე, რომ გასაჩივრებული მოვლენები არ იყო გამოწვეული სახელმწიფო წარმომადგენელთა მხრიდან დისკრიმინაციით.

130. ვინაიდან მთავრობამ არ წარმოადგინა სარწმუნო განმარტება, ადრე განხილული საქმეების გათვალისწინებით, სადაც სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა აგრესია ბოშათა მიმართ სრულდებოდა მათი სიკვდილით, სასამართლომ დაადგინა, რომ წინამდებარე საქმეშიც ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-14 მუხლის არსებითი ასპექტის დარღვევას ამავე კონვენციის მე-2 მუხლთან ერთად.

## მხართა დასაბუთება

### 1. მთავრობა

131. მთავრობამ გაასაჩივრა პალატის დადგენილება მე-14 მუხლის დარღვეულად ცნობის თაობაზე და აღნიშნა, რომ პალატა დაეყრდნო მხოლოდ ზოგად მასალებს, რომლებიც სცილდებოდა ინციდენტის ფარგლებს, 2 შემთხვევით ფაქტს – ბატონ მ.მ.-ის ჩვენებას მაიორ „გ“-ს შეურაცხმყოფელი გამოთქმების შესახებ, რომელიც მიმართული იყო მის და არა მსხვერპლთა წინააღმდეგ და ფაქტს, რომ მოვლენებს ადგილი ჰქონდა ბოშებით დასახლებულ სოფელში. მთავრობის

მტკიცებით, ამ მოსაზრებებს, მტკიცების არც ერთი მისაღები სტანდარტით, არ შეეძლო გაემართლებინა დასკვნა, რომ ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება მოტივირებული იყო რასისტული მოსაზრებებით.

132. მთავრობამ ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ სასამართლო ყოველთვის ითხოვდა მტკიცებას „გონივრული ეჭვის გარეშე“. მტკიცების ტვირთი შეიძლება გადავიდეს იმ შემთხვევაში, თუ მოვლენასთან დაკავშირებული ინფორმაცია მთლიანად ან მეტწილად ხელისუფლების ექსკლუზიური ცოდნის ფარგლებშია, როგორც ეს ხდება თავისუფლების აღკვეთის ადგილებში სიკვდილის საქმეებზე. თუმცა, ამგვარი გარემოებები ამ საქმეში არ ყოფილა წარმოდგენილი.

133. ვინაიდან სადაო ინციდენტში ადგილი არ ჰქონია რაიმე რასობრივ ელემენტს, ამ მიმართებით ადგილობრივ დონეზე წარმოებული გამოძიებაც ვერანაირ შედეგს გამოიღებდა. მთავრობა იზიარებს მიდგომას, რომ რასობრივი მოტივაციით ძალადობა უნდა დაისაჯოს უფრო მკაცრად, ვიდრე სხვა ძალადობრივი აქტები, სადაც ამგვარი მოტივი არ არის სახეზე. თუმცა, სახელმწიფოს არ უნდა დაეკისროს ვალდებულება, გამოიძიოს შესაძლო რასისტული გამოვლინების ბრალდებანი შესაბამისი მტკიცებულებების არარსებობის პირობებში. მთავრობა ამტკიცებდა, რომ პალატის მიდგომა ხელშემკვრელ სახელმწიფოებს დააკისრებდა ვალდებულებას, გამოეძია ყველა საქმე, სადაც დისკრიმინაციის ბრალდება თუნდაც უსაფუძვლოდ იყო წარმოდგენილი.

134. უფრო მეტიც, პალატის მიდგომას აკლდა სიცხადე და განჭვრეტადობა. სასამართლოს მსჯელობა წინააღმდეგობრივი იყო, როდესაც, ერთი მხრივ, აცხადებდა, რომ სასამართლოს არ შეეძლო განზრახვისა და დამოკიდებულების საკითხების განხილვა კონვენციის მე-2 მუხლის კონტექსტში და, მეორე მხრივ, ასკენიდა, რომ ადგილი ჰქონდა მე-14 მუხლის არსებით დარღვევას მე-2 მუხლთან მიმართებით, ვინაიდან ბატონების ანგელოვისა და პეტკოვის სიკვდილი იყო რასობრივი დისკრიმინაციის აქტის შედეგი.

135. მთავრობა თავის წერილობით და ზეპირ დასაბუთებაში იძლეოდა კანონმდებლობის სოციალური პროგრამებისა და სხვა ღონისძიებების დეტალურ მიმოხილვას, რომლებიც მიიღეს ბოლო წლებში ბულგარეთში დისკრიმინაციის და არატოლერანტული დამოკიდებულების აღმოსაფხვრელად და საზოგადოებაში ბოშათა ინტეგრაციის ხელშესაწყობად.

## 2. განმცხადებლები

136. თავიანთ წერილობით დასაბუთებაში განმცხადებლები ამტკიცებდნენ, რომ კონვენცია აქამდევე უზრუნველყოფდა რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ ეფექტურ დაცვას და სთხოვდნენ დიდ პალატას, მიეღო მე-14 მუხლის ახლებური განმარტება. განმცხადებლები მიესალმებოდნენ პალატის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ ხელშემკვრელ სახელმწიფოებს გააჩნიათ ვალდებულება, გამოიძიონ ძალადობის აქტების შესაძლო რასისტული მოტივები და რომ მტკიცების ტვირთი, ამის გამო, გადადის მოპასუხე მთავრობაზე. თავიანთ წერილობით დასაბუთებაში ისინი ამტკიცებდნენ, რომ მტკიცების სტანდარტი დისკრიმინაციის საქმეებზე არ უნდა იყოს „მტკიცება გონივრული ეჭვის მიღმა“ და რომ საქმეებში, სადაც prima facie დისკრიმინაციის საქმე დადგინდება, მტკიცების ტვირთი ყოველთვის უნდა ეკისრებოდეს მთავრობას. თავიანთ ზეპირ გამოსვლაში სასამართლო პროცესზე განმცხადებელთა წარმომადგენლებმა სთხოვეს სასამართლოს, გაეზიარებინა პალატის მიდგომა.

137. რაც შეეხება საქმესთან დაკავშირებულ ფაქტებს, განმცხადებლებმა აღნიშნეს, რომ ადგილი ჰქონდა მე-14 მუხლის არსებით დარღვევას, ვინაიდან სახეზე იყო *prima facie* დისკრიმინაციის შემთხვევა და მთავრობამ ვერ წარმოადგინა ამის საწინააღმდეგო რაიმე მტკიცებულება. კერძოდ, ბატონების ანგელოვისა და პეტკოვის წარმომობა ცნობილი იყო დამკავებელი პირებისათვის; მაიორმა „გ“-მ გამოთქვა რასობრივად შეურაცხმყოფელი ფრაზები იქვე მდგომის მისამართით მისი წარმომავლობის მითითებით. ასევე მკაცრი დასკვნები უნდა ყოფილიყო გამოტანილი იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ მაიორმა „გ“-მ გამოიყენა ცეცხლსასროლი იარაღი მეტისმეტად არაპროპორციულად ბოშებით დასახლებულ სოფელში. ეს ფაქტები უნდა შეფასდეს ბულგარეთში სამართალდამცავთა მხრიდან მომდინარე ბოშათა სისტემატური დისკრიმინაციის ფონზე. უფრო მეტიც, ხელისუფლების წარმომადგენლებს უნდა გამოეძიათ, ბატონების ანგელოვისა და პეტკოვის სიკვდილი იყო თუ არა მოტივირებული რასობრივი განწყობით, მაგრამ მათ ეს არ გააკეთეს.

### C. სასამართლოს შეფასება

#### 1. პასუხისმგებელია თუ არა მოპასუხე მთავრობა სიცოცხლის უფლების ხელყოფისათვის, მსხვერპლთა რასობრივი ან ეთნიკური წარმომავლობის გათვალისწინებით

144. სასამართლომ უკვე დაადგინა, რომ მოპასუხე მთავრობის წარმომადგენლებმა უკანონოდ მოკლეს ბატონი ანგელოვი და პეტკოვი კონვენციის მე-2 მუხლის საწინააღმდეგოდ. განმცხადებლები შემდგომ ამტკიცებდნენ, რომ ადგილი ჰქონდა, ასევე, კონვენციის მე-14 მუხლის დარღვევას, ვინაიდან რასობრივმა მოტივმა ითამაშა გარკვეული როლი მათ მკვლელობაში.

145. დისკრიმინაცია არის განსხვავებულად მოპყრობა მსგავს პირობებში მყოფი პირების მიმართ, ყოველგვარი ობიექტური და გონივრული გამართლების გარეშე (იხ. უილისი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, no. 36042/97, § 48, ECHR 2002-IV). რასობრივი ძალადობა განსაკუთრებულად შეურაცხმყოფელია ადამიანური ღირსებისათვის და, მისი გამოუსწორებელი შედეგების გათვალისწინებით, მოითხოვს ხელისუფლებისგან განსაკუთრებულ სიმტკიცეს და მკვეთრ რეაქციას. ამის გამო, ხელისუფლების წარმომადგენლებმა უნდა გამოიყენონ ყველა შესაძლებლობა, რომ დაამარცხოთ რასიზმი და რასისტული ძალადობა, რითაც დაამკვიდრებენ საზოგადოების ისეთ დემოკრატიულ ხედვას, სადაც განსხვავებანი განიხილება არა როგორც საფრთხე, არამედ როგორც მისი კეთილდღეობის წყარო. სასამართლო მიუბრუნდება ამ საკითხს ქვემოთ.

146. განმცხადებელთა მხრიდან მე-14 მუხლის დარღვევის საჩივრის გამო, სასამართლოს ამოცანა იყო, დაედგინა, იყო თუ არა რასიზმი სროლის განმაპირობებელი მიზეზი, რასაც მოჰყვა ბატონების ანგელოვისა და პეტკოვის სიკვდილი იმგვარად, რომ აღძრულიყო კონვენციის მე-14 მუხლის დარღვევის საკითხი მე-2 მუხლთან მიმართებით.

147. ამასთან დაკავშირებით, ის შენიშნავს, რომ მტკიცებულებათა შეფასებისას, მან მიმართა მტკიცების სტანდარტს „გონივრული ეჭვის მიღმა“. სასამართლოს მიზანი არ ყოფილა, ისე გამოეყენებინა ეს სტანდარტი, როგორც ეს შიდასამართლებრივ სისტემებში ხდება. მის ფუნქციაში შედის არა გადაწყვეტილების გამოტანა სისხლისსამართლებრივ ბრალზე ან სამოქალაქო პასუხისმგებლობაზე, არამედ ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოს პასუხისმგებლობის განსაზღვრა კონვენციის შესაბამისად. მისი ამოცანის განსაკუთრებულობა, კონვენციის მე-19 მუხლის მიხედვით უზრუნველყოს ნევრი სახელმწიფოების მიერ

ნაკისრი ვალდებულების შესრულება, დაიცვან ფუნდამენტური უფლებები, განსაზღვრავს მის დამოკიდებულებას მტკიცებულებებისა და მტკიცების საკითხისადმი. სასამართლო პროცესზე არ არსებობს მტკიცებულებათა დასაშვებობის პროცედურული ბარიერი ანდა მტკიცებულებათა შეფასების წინასწარ დადგენილი ფორმულა. ის იღებს დასკვნებს, რომლებიც, მისი აზრით, განმტკიცებულია ყველა მტკიცებულების თავისუფალი შეფასებით, რაც მოიცავს ისეთ მოსაზრებებს, რომლებიც შეიძლება გამომდინარეობდეს ფაქტებიდან და მხარეთა დასაბუთებიდან. მისი კარგად ჩამოყალიბებული პრეცედენტული სამართლის მიხედვით, მტკიცება შეიძლება გამომდინარეობდეს საკმარისად მძლავრი, ცხადი და თანმიმდევრული დასკვნებიდან ან მსგავსად შეუქცევადი პრეზუმფციებისგან, რომელიც ეყრდნობა ფაქტებს. მეტიც, ის, თუ ცალკეული დასკვნის მისაღწევად რამდენად დამარწმუნებელი უნდა იყოს მსჯელობა და, ამასთან დაკავშირებით, როგორ უნდა გადანაწილდეს მტკიცების ტვირთი, ორგანულად არის დამოკიდებული ფაქტების სპეციფიკურობაზე, ბრალდების ხასიათსა და კონვენციის შესაბამის უფლებაზე. სასამართლო ითვალისწინებს იმ გადაწყვეტილების სერიოზულობას, რომელიც სახელმწიფოს მიერ ფუნდამენტური უფლების დარღვევას ადასტურებს (სხვებთან ერთად, იხ. შემდეგი გადაწყვეტილებები: ირლანდია გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, 1978 წლის 18 იანვრის გადაწყვეტილება, სერიები A no. 25, §161; 1995 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილება რიბიჩი ავსტრიის წინააღმდეგ, სერიები A no. 336, პ. 24, § 32; 1996 წლის 16 სექტემბრის გადაწყვეტილება აკვიდარი თურქეთის წინააღმდეგ, ანგარიშები 1996-IV, პ. 1211, § 68; ტანლი თურქეთის წინააღმდეგ, no. 26129/95, § 111, ECHR 2001-III; და 2004 წლის 8 ივლისის გადაწყვეტილება ილაშკუ და სხვები მოლდავეთისა და რუსეთის წინააღმდეგ [GC], no. 48787/99, § 26).

148. განმცხადებლები ცალკეულ ფაქტორებზე მითითებით ამტკიცებდნენ, რომ ადგილი ჰქონდა არსებით დარღვევას რასობრივ ნიადაგზე.

149. უპირველეს ყოვლისა, განმცხადებლები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ იმ ფაქტს, რომ მაიორმა „გ“-მ ავტომატური რეჟიმით გახსნა ცეცხლი დასახლებულ რეგიონში საზოგადოებრივი უსაფრთხოების სრული უგულებელყოფით. იმის გათვალისწინებით, რომ არ არსებობდა მსგავსი ქმედების რაციონალური ახსნა, განმცხადებლები მიიჩნევდნენ, რომ ეს იყო რასობრივი სიძულვილის გამოვლენა მაიორ „გ“-ს მხრიდან და რომ იგი ასე არ მოიქცეოდა, ეს ბოშებით დასახლებული რეგიონი რომ არ ყოფილიყო.

150. სასამართლო შენიშნავს, რომ, სამწუხაროდ, იარაღის ამგვარ გარემოებებში გამოყენება არ იკრძალებოდა რელევანტური შიდასამართლებრივი რეგულაციებით, რაც წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს, ზემოთ უკვე დაგმოხილ, ხარვეზს (იხ. პარ. 99). სამხედრო პოლიციის თანამშრომლები ატარებდნენ ავტომატურ იარაღს „კანონის დაცვით“ და მათ ჰქონდათ მიცემული ინსტრუქცია, მიეღოთ ყველა აუცილებელი ზომა აღნიშნულ პირთა დაპატიმრების მიზნით (იხ. პარ. 19 და 60). შესაძლებლობა, რომ მაიორი „გ“ უბრალოდ მოქმედებდა რეგულაციებთან შესაბამისობაში და ის ასევე იმოქმედებდა ნებისმიერ მსგავს გარემოებაში, გაქცეულთა ეთნიკური წარმომავლობის მიუხედავად, ვერ იქნება გამორიცხული. მიუხედავად იმისა, რომ იარაღის გამოყენების შესახებ მარეგულირებელი ნორმები ეწინააღმდეგებოდა კონვენციით დადგენილ სტანდარტებს, არაფერი იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ მაიორი „გ“ იარაღს არ გამოიყენებდა არაბოშურ დასახლებაში.

151. მართალია, როგორც სასამართლომ ზემოთ დაადგინა, მაიორ „გ“-ს ქმედება დაკავების ოპერაციის დროს იმსახურებს უმაღლესს კრიტიკას იარაღის მეტისმეტი გადაჭარბებით გამოყენების გამო (იხ. პარ. 180), თუმცა,



მიუხედავად ამისა, არ შეიძლება იმის გამორიცხვა, რომ მისი რეაქცია განაპირობა ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზის არაადეკვატურობამ და იმ ფაქტმა, რომ იგი მომზადებული იყო, ემოქმედა აღნიშნული ბაზის საფუძველზე (იხ. პუნქტები 60 და 99-105).

152. განმცხადებლებმა აღნიშნეს, რომ სამხედრო პოლიციელთა დამოკიდებულება დიდწილად განსაზღვრა იმის ცოდნამ, რომ გაქცეულები ბოშური წარმომავლობის იყვნენ. თუმცა, შეუძლებელია იმის გარკვევა, იყო თუ არა ბატონების ანგელოვისა და პეტკოვის ეთნიკური წარმომავლობა პოლიციის თანამშრომელთა ქმედებების განმაპირობებელი. უფრო მეტიც, არსებობს მტკიცებულება, რომ ზოგიერთი ოფიცერი და თანამშრომელთა ნაწილი პირადად იცნობდა ერთ ან ორივე მსხვერპლს (იხ. პუნქტი 18).

153. განმცხადებლები ეყრდნობოდნენ მოწმე მ.მ.-ის ჩვენებას, რომელიც გახლდათ ერთ-ერთი მსხვერპლის მეზობელი. მისი განცხადებით, მაიორმა „გ“-მ გასროლის შემდეგ მას მიაძახა „თქვე წყეულო ბოშებო“.

მიუხედავად იმისა, რომ ძალადობრივ აქტთან დაკავშირებული რასობრივი შეურაცხყოფის ამგვარი მტკიცებულება უნდა გადამოწმებულიყო ხელისუფლების მიერ, თავისთავად, ეს განცხადება არასაკმარისი საფუძველია დასკვნისთვის, რომ მოპასუხე სახელმწიფო პასუხისმგებელია რასობრივი მკვლელობისთვის.

154. და ბოლოს, განმცხადებლები დაეყრდნენ ინფორმაციას არაერთი შემთხვევის შესახებ, როდესაც ბულგარეთში ბოშათა მიმართ იარაღის გამოყენება სამართალდამცავების მიერ სრულდებოდა ამ უკანასკნელთა სიკვდილით და აძას არ მოჰყვებოდა პასუხისმგებელ პირთა ბრალდება.

155. მართალია, არაერთმა ორგანიზაციამ, მათ შორის სახელმწიფოთაშორისმა, გამოხატა თავისი შეშფოთება მსგავს შემთხვევებთან დაკავშირებით (იხ. პუნქტები 55-59), თუმცა, სასამართლო ვერ გადაუხვევს მის მიზანს, იმსჯელოს კონკრეტული საქმის გარემოებებზე და დაადგინოს, განაპირობა თუ არა რასიზმმა ბატონების ანგელოვისა და პეტკოვის სიკვდილი.

156. თავის გადაწყვეტილებაში პალატამ დაადგინა, რომ მტკიცების ტვირთი უნდა გადაენაცვლებინათ მოპასუხე სახელმწიფოზე იმის გამო, რომ სახელმწიფომ ვერ მოახერხა, ჩაეტარებინა მკვლელობის შესაძლო რასისტული მოტივის ეფექტური გამოძიება. სახელმწიფოს უუნარობას, დაემტკიცებინა პალატისთვის, რომ განაცხადში აღწერილი მოვლენები არ იყო რასიზმით განპირობებული, პასუხად მოჰყვა კონვენციის მე-14 მუხლის დარღვეულად ცნობა მე-2 მუხლთან მიმართებით.

157. დიდი პალატა განმეორებით აღნიშნავს, რომ გარკვეულ გარემოებებში, სადაც მოვლენები სრულად ან ნაწილობრივ მთავრობის ექსკლუზიური ცოდნის ფარგლებშია, როგორც ეს ხდება თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში პირის გარდაცვალების დროს, მტკიცების ტვირთი შეიძლება გადავიდეს სახელმწიფოზე, რათა ამ უკანასკნელმა წარმოადგინოს დამაკმაყოფილებელი და სარწმუნო განმარტება სიკვდილის გამომწვევ მიზეზებთან დაკავშირებით (იხ. სალმანი თურქეთის წინააღმდეგ, no. 21986/93, § 100, ECHR 2000-VI). დიდი პალატა ვერ გამორიცხავს შესაძლებლობა, რომ გარკვეულ პირობებში დისკრიმინაციის საქმეებზე მოპასუხე მთავრობას დაეკისროს ვალდებულება, გააბათილოს დისკრიმინაციის შესახებ დასაბუთებული საჩივარი და თუ ის ამას არ გააკეთებს, დაადგინოს კონვენციის მე-14 მუხლის დარღვევა. თუმცა, იქ, სადაც, როგორც ამ შემთხვევაში ამტკიცებენ, ადგილი ჰქონდა რასისტული მოტივით ჩადენილ ძალადობრივ აქტს, ასეთი მიდგომა ტოლფასი იქნებოდა, მოპასუხე სახელმწიფოსთვის მოგვეთხოვა, დაემტკიცებინა, რომ შესაბამის

პირებს არ გააჩნდათ გარკვეული სუბიექტური მოსაზრებები. მრავალი ქვეყნის სამართლებრივ სისტემაში პოლიტიკის ან გადაწყვეტილების დისკრიმინაციული ეფექტის მტკიცებულება გააუქმებდა ცალკეულ, მომსახურების განევის ან დასაქმების სფეროში არსებულ, დისკრიმინაციასთან მიმართებით განზრახვის მტკიცების საჭიროებას. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ძნელი იქნება, ეს მიდგომა გადმოიტანო საქმეში, სადაც ადგილი აქვს მტკიცებას, რომ ძალადობრივი აქტი რასობრივად იყო მოტივირებული. დიდი პალატა ემიჯნება პალატის მიდგომას და არ მიიჩნევს, რომ, თუ ხელისუფლება ვერ მოახერხებს ეფექტური გამოძიების ჩატარებას მკვლელობის რასისტულ მოტივთან დაკავშირებით, ამან უნდა გადაიტანოს მტკიცების ტვირთი მოპასუხე მთავრობაზე მე-14 მუხლის დარღვევასთან დაკავშირებით, მე-2 მუხლის არსებით ნაწილთან მიმართებით. რამდენად შეესაბამებოდა ხელისუფლების მოქმედებები მის პროცედურულ მოვალეობებს, ცალკე საკითხია და მასზე სასამართლო ქვემოთ იმსჯელებს.

158. ამრიგად, ყველა შესაბამისი ელემენტის შეფასების შედეგად, სასამართლო არ ადგენს, რომ ადგილი აქვს რასისტულ მოტივს ბატონების ანგელოვისა და პეტკოვის სიკვდილში.

159. შესაბამისად, ის ადგენს, რომ არ ჰქონია ადგილი კონვენციის მე-14 მუხლის დარღვევას მე-2 მუხლთან მიმართებით მის არსებით ასპექტში.

## 2. პროცედურული ასპექტები: შეასრულა თუ არა მოპასუხე სახელმწიფომ თავისი ვალდებულება შესაძლო რასისტული მოტივის გამოძიებისას

### (ა) ზოგადი პრინციპები

160. დიდი პალატა იზიარებს პალატის ანალიზს, წინამდებარე საქმეში ხელშემკვრელი სახელმწიფოს პროცედურულ ვალდებულებასთან დაკავშირებით, გამოიძიოს ძალადობრივი აქტების შესაძლო რასისტული მოტივი. კერძოდ, პალატამ განაცხადა, რომ (§§ 156-159):

„სახელმწიფოებს გააჩნიათ ზოგადი ვალდებულება კონვენციის მე-2 მუხლით, განახორციელონ სიცოცხლის ხელყოფის საქმეთა ეფექტური გამოძიება...“

... ეს ვალდებულება უნდა შესრულდეს დისკრიმინაციის გარეშე, როგორც ამას მოითხოვს კონვენციის მე-14 მუხლი... იქ, სადაც არსებობს ეჭვი, რომ რასობრივმა განწყობამ გამოიწვია ძალადობრივი აქტი, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ოფიციალური გამოძიება წარიმართოს ყურადღებითა და მიუკერძოებლობით იმის დასადასტურებლად, რომ საზოგადოება მუდმივად გმობს რასიზმსა და ეთნიკურ შუღლს, ამასთან, უზრუნველყოფს უმცირესობათა რწმენას იმასთან დაკავშირებით, რომ ხელისუფლება დაიცავს მათ რასისტული ძალადობისაგან. სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებების შესაბამისად, კონვენციის მე-2 მუხლი მოითხოვს, ქვეყნის შიდასამართლებრივმა სისტემამ გამოიყენოს სისხლის სამართალი იმ პირის მიმართ, ვინც სხვისი სიცოცხლე უკანონოდ ხელყო, მიუხედავად მსხვერპლის რასობრივი თუ ეთნიკური წარმომავლობისა ( იხ. მენსონი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (დეკ.), no. 47916/99, ECHR 2003-V)...

... ძალადობრივი ინციდენტების, განსაკუთრებით კი, სახელმწიფოს წარმომადგენელთა მიერ ჩადენილი მკვლელობების გამოძიებისას, სახელმწიფოს ეკისრება დამატებითი ვალდებულება, გადადგას ყველა გონივრული ნაბიჯი ნებისმიერი რასისტული მოტივის გამოსავლენად და იმის დასადგენად, ითამაშა თუ არა გადამწყვეტი როლი რასისტულმა თუ ეთნიკური სიძულვილმა ან განწყობამ. ამ ვალდებულების შეუსრულებლობა და რასობრივად მოტივირებული

ძალადობის და სისასტიკის იმ დანაშაულების მსგავსად გამოძიება, სადაც სახეზე არ არის რასობრივი მოტივები, თვალის დახუჭვა იქნებოდა იმაზე, რომ ასეთი ქმედებები განსაკუთრებულად ლახავს ფუნდამენტურ უფლებებს და არ ეთავსება კონვენციის მე-14 მუხლს (იხ. *mutatis mutandis*, სლიმენოსი საბერძნეთის წინააღმდეგ [GC], no. 34369/97, § 44, ECHR 2000-IV). იმისათვის, რომ შენარჩუნდეს საზოგადოების რწმენა სამართალდამცავი ორგანოების მიმართ, ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოებმა, ძალის გამოყენების შემთხვევების გამოძიებისას, უნდა უზრუნველყონ ზღვრის გავლება ძალის გადაჭარბებით გამოყენების შემთხვევებსა და რასისტულ მკვლევლობებს შორის, სამართლის დონეზეც და პრაქტიკულადაც.

რასობრივი მოტივაციის დამტკიცება ხშირად პრაქტიკაში ძალიან რთულია. მოპასუხე მთავრობის ვალდებულება, გამოიძიოს შესაძლო რასისტული მოტივები ძალადობრივ აქტებში, გულისხმობს იმას, რომ მიიღოს ყველა აუცილებელი და არა აბსოლუტურად ყველა ზომა (იხ. *mutatis mutandis*, შანაგანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, no. 37715/97, § 90, ECHR 2001-III, რომელიც ადგენს იმავე სტანდარტს გამოძიების ზოგად ვალდებულებასთან დაკავშირებით). ხელისუფლების წარმომადგენლებმა უნდა მოიმოქმედონ ყველაფერი, რაც გონივრულია შექმნილ ვითარებაში, რათა შეაგროვონ და დაამაგრონ მტკიცებულებანი, გამოიყენონ ყველა პრაქტიკული საშუალება ჭეშმარიტების დადგენის მიზნით და მიიღონ დასაბუთებული, მიუკერძოებელი და ობიექტური გადაწყვეტილებები იმ საეჭვო ფაქტების იგნორირების გარეშე, რომლებიც შეიძლება მიუთითებდნენ რასობრივად მოტივირებულ ძალადობაზე.“

161. დიდი პალატა, თავის მხრივ, ამატებს, რომ ხელისუფლების წარმომადგენელთა ვალდებულება, გამოიძიონ შესაძლო კავშირი რასობრივ აქტსა და ძალადობრივ აქტს შორის, წარმოადგენს კონვენციის მე-2 მუხლით გათვალისწინებული მათი პროცედურული ვალდებულების ასპექტს, მაგრამ შეიძლება მიჩნეული იყოს კონვენციის მე-14 მუხლით მე-2 მუხლთან მიმართებით წარმოშობილ ვალდებულებად სიცოცხლის უფლების დისკრიმინაციის გარეშე დაცვის შესახებ. ორი დებულების ურთიერთკავშირის გათვალისწინებით, წინამდებარე საქმეში წარმოშობილი დარღვევის საკითხი შეიძლება განიხილოს მხოლოდ ერთ მუხლთან ანორივესთან მიმართებით. ეს საკითხი უნდა გადაწყდეს ყოველი საქმის ფაქტებისა და ბრალდების ბუნების გათვალისწინებით.

**(ბ) ამ პრინციპების გამოყენება წინამდებარე საქმეში**

162. სასამართლომ უკვე დაადგინა, რომ ბულგარეთის ხელისუფლების წარმომადგენლებმა დაარღვიეს კონვენციის მე-2 მუხლი, ვინაიდან არ განახორციელეს მნიშვნელოვანი გამოძიება ბატონების ანგელოვისა და პეტკოვის სიკვდილის მიზეზების გამოსავლენად (იხ. ზემოთ პუნქტები 114-119). ის ადგენს, რომ წინამდებარე საქმეში ცალკე გამოკვლევის საგანი უნდა გახდეს ბრალდება მიზეზობრივ კავშირზე რასისტულ განწყობასა და ორი ადამიანის მკვლელობის ფაქტს შორის.

163. ხელისუფლების წარმომადგენლებმა გამოიძიეს ბატონების ანგელოვისა და პეტკოვის მკვლელობა ისე, რომ ჰქონდათ ბატონ მ.მ.-ს ჩვენება, მსხვერპლთა მეზობლისა, რომელსაც მაიორმა „გ“-მ, მიუშვირა რა იარაღი, შეჰყვირა „თქვე ნყეულო ბოშებო“ (იხ. ზემოთ პუნქტი 35). აღნიშნული ჩვენება, ბულგარეთში არსებული ანტი-ბოშური დამოკიდებულების გათვალისწინებით, გადამოწმებას მოითხოვდა.

164. დიდი პალატა ადგენს, რომ ნებისმიერი ვერბალური რასის ტყუილი შეურაცხყოფა, გამოთქმული სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენელთა მიერ, ოპერაციის დროს ეთნიკური ან სხვა უმცირესობათა წარმომადგენლების წინააღმდეგ ძალის გამოყენებისას, ძალიან ახლოსაა კითხვასთან, ჰქონდა თუ არა ადგილი უკანონო, სიძულვილით მოტივირებულ ძალადობას. იქ, სადაც გამოძიების შედეგად მსგავსი მტკიცებულების უტყუარობა დადასტურდება, უნდა მოხდეს ყველა ფაქტის ზედმინუვით შემოწმება, რათა გამოვლინდეს რასის ტყუილი მოტივი, რომელსაც შესაძლოა ადგილი ჰქონოდა.

165. უფრო მეტიც, ის ფაქტი, რომ მაიორმა „გ“-მ გამოიყენა მეტისმეტად გადაჭარბებული ძალა ორი შეუიარაღებელი და არამოძალადე ადამიანის წინააღმდეგ, ასევე მოითხოვდა ყურადღებით გამოძიებას.

166. ამრიგად, გამოძიებელსა და პროკურორებს, რომლებიც ჩართული იყვნენ წინამდებარე საქმეში, გააჩნდათ საკმარისი საფუძველი შეშფოთებისათვის, რასაც უნდა მოჰყოლოდა თავდაპირველი მოკვლევის ჩატარება; და თუ მისი შედეგები მისცემდა ამის საფუძველს, შემდგომი გამოძიება ძალადობის აქტსა და რასის ტყუილ მოტივებს შორის შესაძლო კავშირის თაობაზე.

167. თუმცა, ხელისუფლების წარმომადგენლებმა არაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ გადაემოწმებინათ ბატონ მ.მ.-ს ჩვენება. მათ, ამასთან დაკავშირებით, არ დაკითხეს მოწმეები. მაიორ „გ“-ს არ ჰკითხეს, თუ რატომ ჩათვალა აუცილებლად ამგვარი ინტენსივობის ძალის გამოყენება. არ შემოწმებულა მაიორ „გ“-ს წარსული იმის გასარკვევად, იყო თუ არა იგი ადრე მსგავს ინციდენტებში ჩართული, ან გამოავლინა თუ არა წარსულში ანტი-ბოშური დამოკიდებულება. ეს შეცდომები დამძიმებული იყო გამოძიებლისა და პროკურორის ქმედებით, რომლებმაც, როგორც სასამართლომ ზემოთ აღნიშნა, ყურადღება არ მიაქციეს შესაბამის ფაქტებს და შეწყვიტეს გამოძიება, რითაც მაიორ „გ“-ს მისცეს შესაძლებლობა, თავი აერიდებინა პასუხისმგებლობისათვის (იხ. პუნქტები 36-54 და 115-117).

168. ამრიგად, სასამართლო ადგენს, რომ ხელისუფლების წარმომადგენლებმა არ შეასრულეს კონვენციის მე-14 მუხლით ამავე კონვენციის მე-2 მუხლთან ერთობლიობით დაკისრებული ვალდებულება, მიეღოთ ყველა ზომა იმის დასადგენად, იქონია თუ არა დისკრიმინაციამ გავლენა ინციდენტის შედეგებზე. შესაბამისად, შედეგად, ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-14 მუხლის დარღვევას მე-2 მუხლთან ერთობლიობაში პროცედურულ ასპექტებთან მიმართებით.

## V. კონვენციის 41-ე მუხლის გამოყენება

### ზიანი

170. დიდი პალატის წინაშე განმცხადებლებმა წარადგინეს იგივე მოთხოვნა, მატერიალური და არამატერიალური ზიანის ანაზღაურების მიზნით კომპენსაციის მიღების თაობაზე, როგორც ეს გააკეთეს პალატის მიერ საქმის განხილვისას. მთავრობას ამაზე კომენტარი არ გაუკეთებია.

171. პალატის გადანყვეტილების შესაბამისი ნაწილის თანახმად (§§ 177-184):

„ქ-ნი ნაჩოვა, ბატონი ანგელოვის ქალიშვილი და ქალბატონი ჰრისტოვა, მისი პარტნიორი და ქალბატონ ნაჩოვას დედა ერთობლივად ითხოვდნენ 25,000 ევროს ბატონი ანგელოვის მკვლელობის მიმართ კონვენციის შესაბამისი მუხლების დარღვევის საფუძველზე. ეს თანხა მოიცავდა 20,000 ევროს არამატერიალური ზიანის ნაწილში და 5000 ევროს მატერიალური ზიანის სახით. ქ-ნი რანგელოვა და ბ-ნი რანგელოვი ერთობლივად ითხოვდნენ იგივე ოდენობის თანხას მათი

შვილის ბ-ნ კირილ პეტკოვის სიკვდილის და საქმეში არსებული კონვენციის სხვა დარღვევის გამო.

არამატერიალურ ზიანთან დაკავშირებით, სასამართლო სრულად აკმაყოფილებს მოსარჩელეთა მოთხოვნას.

მატერიალურ ზიანთან დაკავშირებით, განმცხადებლები მოითხოვდნენ დაკარგულ შემოსავალს, რაც მოჰყვა მსხვერპლთა სიკვდილს. განმცხადებლებმა ვერ წარმოადგინეს დოკუმენტური მტკიცებულებები ამის თაობაზე, მაგრამ განაცხადეს, რომ თითოეული მსხვერპლი უზრუნველყოფდა ოჯახს ფინანსურად და ასევე გააგრძელებდა, ცოცხალი რომ დარჩენილიყო. მათ ითხოვეს თითოეულისათვის 5000 ევროს მინიჭება. მთავრობამ განაცხადა, რომ მოთხოვნა იყო გაზვიადებული ბუღალრეთში ცხოვრების სტანდარტის თვალსაზრისით.

სასამართლო ადგენს, რომ მთავრობას არ უდავია მოსარჩელეთა დასაბუთებასთან დაკავშირებით. შესაბამისად, სასამართლო ვერ ხედავს რაიმე საფუძველს სხვაგვარი დასკვნის გაკეთებისათვის.

რაც შეეხება მატერიალური ზარალისათვის გამოსაყოფი თანხის ზუსტ ოდენობას, აღნიშნული აუცილებელია იმისათვის, რომ მოხდეს სრული რეპარაცია (*restitutio in integrum*). მატერიალურ დანაკარგთან დაკავშირებით, განმცხადებლებს მაინც შეიძლება მიეცეთ კომპენსაცია მიუხედავად სიძნელეებისა, ზუსტად განისაზღვროს მიუღებელი შემოსავლის ოდენობა. სასამართლო ამ შემთხვევაში იმოქმედებს ისე, როგორც ეს სხვა მსგავს საქმეებში გააკეთა (იხ. ზეტი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ [GC], no. 29392/95, § 120, ECHR 2001-V).

წინამდებარე საქმეში მხარეთა დასაბუთებისა და შესაბამისი ფაქტორების – მსხვერპლთა და განმცხადებელთა ასაკის და გარდაცვლილებთან სიახლოვის – გათვალისწინებით, სასამართლო ადგენს, მიეკუთვნოს 5,000 ევრო ქ-ნ ნაჩოვასა და ქ-ნ ჰრისტოვას ერთობლივად, ბ-ნი ანგელოვის სიკვდილით გამოწვეული მიუღებელი შემოსავლის სახით და 2,000 ევრო ერთობლივად ქ-ნ და ბ-ნ რანგელოვებს ბ-ნი პეტკოვის სიკვდილით გამოწვეული დაკარგული შემოსავლისათვის.“

172. დიდი პალატა ადასტურებს პალატის ანალიზს. ის ადგენს, რომ მართებულია განმცხადებელთა საჩივარი მატერიალურ და არამატერიალურ ზიანთან დაკავშირებით, რაც მოჰყვა კონვენციის მე-2 და მე-14 მუხლების დარღვევას და რომ არ არსებობს დაკისრებული კომპენსაციის შემცირების მიზეზი მიუხედავად იმისა, რომ დიდმა პალატამ არ დაადგინა მე-2 მუხლის დარღვევა კონვენციის მე-14 მუხლთან მიმართებით. შესაბამისად, სასამართლო ქ-ნ ნაჩოვასა და ქ-ნ ჰრისტოვას ერთობლივად ანიჭებს 25,000 ევროს მატერიალური და არამატერიალური ზიანისათვის და ქ-ნ რანგელოვასა და ბ-ნ რანგელოვს ერთობლივად – 22,000 ევროს მატერიალური და არამატერიალური ზიანისათვის.

კონვენციის 45,2 მუხლისა და სასამართლოს წესების 74,2 წესის თანახმად, განსხვავებული მოსაზრებები თან ერთვის ამ გადაწყვეტილებას:

- (ა) მოსამართლე სერ ნიკოლას ბრაცას განსხვავებული მოსაზრება;
- (ბ) მოსამართლეების კასადევალის, ჰედიგანის, მულარონის, ფურა-სანდოსტრომის, გიუმიანის და შპლიმანის ერთობლივი, ნაწილობრივ განსხვავებული მოსაზრება.



## 5. გული თურქეთის წინააღმდეგ

(განაცხადი no. 22676/93)

### პროცედურა

საქმისწარმოება დაიწყო განაცხადით (no. 22676/93), რომელიც 1993 წლის 25 აგვისტოს ადამიანის უფლებათა ევროპულ კომისიაში („კომისია“), ადამიანის უფლებათა და ფუნდამენტურ თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის („კონვენცია“) 25-ე მუხლის საფუძველზე, თურქეთის წინააღმდეგ შემოიტანა თურქეთის მოქალაქე მეჰმეტ გულიმ („განმცხადებელი“).

### საქმის ფაქტობრივი მხარე (მოკლე არაოფიციალური ვერსია)

განმცხადებლის ვაჟი, ასევე მეჰმეტ გული დაიღუპა პოლიციის მიერ მისი სახლის კართან ცეცხლის გახსნის შედეგად, ბოზოვანში ჩატარებული ოპერაციის დროს. მკვლელობასთან დაკავშირებული გარემოებების შესახებ მხარეები ვერ შეთანხმდნენ, შესაბამისად, კონვენციის ყოფილი 28-ე მუხლის თანახმად, გამოძიება ჩაატარა კომისიამ.

1993 წლის მარტამდე არ არსებობდა რაიმე მტკიცებულება, რომ მეჰმეტ გული რამენაირად დაკავშირებული იყო PKK-ს საქმიანობასთან. პოლიციის მიერ მიღებული ანონიმური ინფორმაცია არ ასახელებდა მეჰმეტ გულის, როგორც ტერორისტს და არ არსებობდა ახსნა, თუ რატომ მოხვდა მისი ბინა გასაჩხრეკთა სიაში.

როგორც კომისიამ დაადგინა, ბინის გაჩხრეკამდე კაკუნი კარზე არ ყოფილა ხანგრძლივი, არც სიტყვიერი გაფრთხილება მიუციათ ბინაში მყოფებისთვის. კარზე მსუბუქი კაკუნის პასუხად მეჰმეტ გული მივიდა კარებთან. პოლიციელებმა, როგორც ირკვევა, ცეცხლი კარის მიმართულებით გახსნეს მაშინ, როდესაც იგი კარს აღებდა. შესაძლოა, გასაღების ჩხაკუნი აღიქვეს, როგორც იარაღის გადატენის ხმა და ამას მოჰყვა პოლიციელთა მხრიდან რეაქცია. მეჰმეტ გულის შებრუნების დროს მოხვდა ტყვია ზურგის არეში, რაც ფატალური აღმოჩნდა სხვა ჭრილობებისგან განსხვავებით. განმცხადებელმა და მისი ვაჟის ცოლმა, კარის გახსნის შემდეგ, დაჭრილი მეჰმეტ გული წაიყვანეს ახლოს მდებარე ჯანმრთელობის ცენტრში. ცენტრიდან საავადმყოფოში გადაყვანისას მეჰმეტ გული გარდაიცვალა. მიუხედავად ოფიცრების მტკიცებისა, რომ ჩხრეკის დროს მეჰმეტ გულის სახლში აღმოჩენილი იქნა ორი თოფი და 9 მმ ცარიელი ვაზნა, კომისიამ არ მიიჩნია ეს ფაქტი დადგენილად იმის გამო, რომ ეს მტკიცებულება არ იყო სათანადოდ გამაგრებული და ამ საკითხზე პოლიციელთა ჩვენებებში ბევრი წინააღმდეგობა აღმოჩნდა.

### სამართლებრივი მხარე

#### I. მთავრობის წინასწარი შეპასუხება

53. მოპასუხე მთავრობამ სასამართლოსადმი წარდგენილ შეპასუხებაში აღნიშნა, რომ განმცხადებელს არ ჰქონდა ამონაწერი ქვეყნის შიდასამართლებრივი საშუალებები კონვენციის 35-ე მუხლის შესაბამისად, რათა მიეღო ხელმისაწვდომი სამართლებრივი რეპარაცია სისხლის სამართლის საქმის წამოწყებით ან სამოქალაქო ან ადმინისტრაციულ სასამართლოებში გასაჩივრებით. მთავრობამ აპელირება მოახდინა აიტეკინის საქმეზე, სადაც სასამართლომ მხარი დაუჭირა

სახელმწიფოს შეპასუხებას სარჩელის დასაშვებობასთან დაკავშირებით (აიტეკინი თურქეთის წინააღმდეგ, 1998 წლის 23 სექტემბრის გადაწყვეტილება, ანგარიშები 1998-VI, პ. 2807).

55. სასამართლო იმეორებს, რომ ქვეყნის შიდასამართლებრივი საშუალების ამონურვა, რომელიც გათვალისწინებულია კონვენციის 35-ე მუხლის § 1-ლი პუნქტით, ავალდებულებს განმცხადებელს, უპირველესად, ამონუროს ადგილობრივ დონეზე ხელმისაწვდომი სამართლებრივი საშუალებები იმისათვის, რომ მიიღოს სამართლებრივი რეპარაცია ყველა დარღვევისათვის, რომელსაც ადგილი ჰქონდა. მსგავსი საშუალების არსებობა უნდა იყოს საკმარისად განსაზღვრული როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ დონეზე; სხვაგვარად, არ შეიძლება, რომ ეს საშუალება ჩაითვალოს ხელმისაწვდომად და ეფექტურად. 35 § 1 მუხლი ასევე ითხოვს, რომ საჩივრები, რომელთა ევროსასამართლოში გაგზავნაცაა გამიზნული, გაგზავნამდე უნდა იყოს შეტანილი შესაბამის შიდასახელმწიფოებრივ ორგანოებში შიდა სამართლის ფორმალური და შინაარსობრივი მოთხოვნების შესაბამისად. მაგრამ აქ არ იგულისხმება მიმართვის ვალდებულება ისეთი ორგანოებისადმი, რომლებიც არაა დეკლარირებული და არაეფექტურია (იხ. აქსოი თურქეთის წინააღმდეგ, 1996 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილება, ანგარიშები, 1996-VI, გვ. 2275-76, §§ 51-52 და გადაწყვეტილება აკვიდარი თურქეთის წინააღმდეგ, ანგარიშები, 1996-IV, გვ. 1210, §§ 65-67).

56. სასამართლო შენიშნავს, რომ თურქული სამართალი იძლევა ადმინისტრაციული, სამოქალაქო და სისხლის სამართლებრივი საშუალებების გამოყენების შესაძლებლობას სახელმწიფოს წარმომადგენელთა მიერ ჩადენილი უკანონო და დანაშაულებრივი ქმედებების საპასუხოდ (იხ. ზემოთ პუნქტები 44-52).

57. მართალია, თურქეთის კონსტიტუციის 125-ე მუხლით უზრუნველყოფილი ადმინისტრაციული დაცვის საშუალება ითვალისწინებს თანამდებობის პირთა მკაცრ პასუხისმგებლობას (იხ. ზემოთ პარაგრაფი 50), თუმცა, ყურადსაღებია ის გარემოება, რომ კონვენციის მე-2 და მე-13 მუხლები ითხოვს ისეთი გამოძიების ჩატარებას, რომელსაც შეეძლება სასიკვდილო დაზიანების მიმყენებელ დამნაშავეთა გამოაშკარავება. შესაბამისად, განმცხადებლისთვის ხელმისაწვდომი ეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი საშუალება შეიძლება ჩაითვალოს ილუზორული დაცვის საშუალებად, ვინაიდან მაქსიმუმ, რაც დაზარალებულს შეეძლო მიეღო, იყო ფულადი კომპენსაცია მიყენებული ზიანის გამო (იხ. იასა თურქეთის წინააღმდეგ, 1998 წლის 2 სექტემბრის გადაწყვეტილება, ანგარიშები 1998-VI, გვ. 2431, § 74).

შესაბამისად, განმცხადებელი არ იყო ვალდებული, გამოეყენებინა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ზომები და მთავრობის წინასწარი შეპასუხება ამ საკითხთან მიმართებით არ მიიჩნევა საფუძვლიანად.

59. სასამართლო ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ქვეყნის შიდა სამართლებრივი საშუალებების ამონურვის ნების გამოყენებისას, ის განიხილება ადამიანის უფლებათა დაცვის ადგილობრივი მექანიზმის კონტექსტში, რომელთა დაფუძნებასაც მაღალი ხელშემკვრელი სახელმწიფო დათანხმდა. შესაბამისად, კონვენციის 35 § 1 მუხლის გამოყენება უნდა მოხდეს გარკვეული მოქნილობითა და გადაჭარბებული ფორმალიზმის გარეშე. ასევე, მნიშვნელოვან ყურადღებას იმსახურებს თავად ინდივიდუალური საქმის სპეციფიკაც. სასამართლო არ ეთანხმება მდგომარეობას, რომ განმცხადებელს ან მის წარმომადგენელს ეკისრება ვალდებულება, გაარკვიოს, მოხდა თუ არა დევნის შეწყვეტის თაობაზე გადაწყვეტილების გაუქმება უზენაესი ადმინისტრაციული სასამართლოს მიერ. განმცხადებლის, როგორც მოსარჩელის ვინაობა, კარგად იყო ცნობილი სახელმწიფოს წამომადგენელთათვის და, შესაბამისად, არსებობდა

მოსარჩელისათვის შეტყობინების ვალდებულება იმის თაობაზე, რომ დევნა დაიწყო და რომ მას შეეძლო ამ პროცესში ჩართულიყო, როგორც სამოქალაქო მოსარჩელე.

60. რაც შეეხება სამოქალაქო სამართალწარმოებას სახელმწიფოს წარმომადგენელთა უკანონო ქმედების ან უკანონო აქტების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის თაობაზე (იხ. ზემოთ პარაგრაფი 52), სასამართლო შენიშნავს, რომ განმცხადებელს თეორიულად ჰქონდა შესაძლებლობა, დაეწყო შესაბამისი სამართალწარმოება, მაგალითად, პოლიციის სამი თანამშრომლის წინააღმდეგ. თუმცა, განმცხადებელი ამტკიცებს, რომ ინციდენტის გამოძიების თვისობრივი ნაკლოვანება და პროცესის წარმოების მანერა მას ეფექტურად ართმევდა საკუთარ უფლებათა დაცვის პერსპექტივას პოლიციის ოფიცერთა ბრალის დადგენით მომხდარ ქმედებებთან მიმართებით.

61. სასამართლო მიიჩნევს, რომ სახელმწიფო შეპასუხების ის ნაწილი, რომელიც ეხება სისხლისსამართლებრივ და სამოქალაქოსამართლებრივ დაცვის საშუალებებს, წინა პლანზე სწევს სისხლის სამართლის გამოძიებისა და პროცედურების ეფექტურობის საკითხს, რაც მჭიდრო კავშირშია განმცხადებლის საჩივართან კონვენციის მე-2 და მე-13 მუხლებთან დაკავშირებით. სასამართლო აღნიშნავს, რომ წინამდებარე საქმე განსხვავდება აიტეკინის საქმისაგან, რომელსაც მოპასუხე მთავრობა თავის შეპასუხებაში ეყრდნობა, რადგან ამ უკანასკნელში სისხლის სამართლის სამხედრო სასამართლომ ჯარისკაცს, რომელმაც მოკლა განმცხადებლის ქმარი, მსჯავრი გამოუტანა გაუფრთხილებლობით ჩადენილი მკვლელობისათვის. საკასაციო სასამართლოში შეტანილი ორივე საჩივარი, ერთი მხრივ, განმცხადებლის და, მეორე მხრივ, გენერალური პროკურატურის წარმომადგენლისა, ითხოვდა მსჯავრდებულის დამნაშავედ ცნობას მკვლელობის უფრო მძიმე შემადგენლობის ჩადენაში. ამ გარემოებებში არ შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფოს მიერ წარმოებულმა გამოძიებამ არ მისცა განმცხადებელს გონივრული შესაძლებლობა, გაეკეთებინა ყველაფერი მისი მეუღლის მკვლელის გასამართლებისთვის (იხ. ზემოთ ციტირებული აიტეკინის გადაწყვეტილება, გვ. 2827, § 83).

62. შესაბამისად, სასამართლო მხედველობაში არ იღებს სახელმწიფოს წინასწარ შეპასუხებას, რომელიც ეხება დაცვის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი საშუალებების გამოყენებას (იხ. ზემოთ პუნქტები 49-51). ის აერთიანებს სამოქალაქოსამართლებრივ და სისხლისსამართლებრივ დაცვის საშუალებებთან მიმართებით დასაშვებობასთან დაკავშირებულ წინასწარი შეპასუხების ნაწილს საქმის არსებით მხარესთან (იხ. ქვევით პუნქტები 102-107).

### III. კონვენციის მე-2 მუხლის სავარაუდო დარღვევის თაობაზე

65. განმცხადებელი ამტკიცებს, რომ მისი შვილი მეჰმეტ გული ყოველგვარი გამართლების გარეშე მოკლეს პოლიციის თანამშრომლებმა, როდესაც გარდაცვლილის ბინის კარებთან გახსნეს ცეცხლი. ის ასევე აცხადებს, რომ ეფექტური გამოძიება არ ჩატარებულა მკვლელობის გარემოებათა სრული გამოკვლევის მიზნით.

66. მთავრობა არ დაეთანხმა განმცხადებლის ბრალდებებს. კომისიამ გამოხატა მოსაზრება, რომ მე-2 მუხლი დაირღვა, ვინაიდან პოლიციის თანამშრომელთა მიერ ძალის გამოყენება იყო აბსოლუტურად არაპროპორციული და ასევე იმიტიომ, რომ სახელმწიფოს წარმომადგენლებმა არ ჩაატარეს ადეკვატური სისხლის სამართლის გამოძიება მეჰმეტ გულის მკვლელობის ფაქტთან დაკავშირებით.

## A. მხარეთა დასაბუთება

### 1. განმცხადებელი

67. განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ მისი შვილი ყოვლად გაუმართლებლად მოკლეს პოლიციის თანამშრომლებმა მისი სახლის კარებთან ცეცხლის გახსნის შედეგად. მართალია, განმცხადებელი იზიარებს კომისიის მიერ დადგენილ ფაქტებს და დასკვნებს იმასთან დაკავშირებით, რომ სროლა წარმოადგენდა პოლიციის ოფიცრების მიერ ძალის არაპროპორციული გამოყენების შედეგს, თუმცა, მიიჩნევს, რომ კომისიის დასკვნები შეიცავს ინციდენტის სხვა ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების გამართლებას.

68. უპირველეს ყოვლისა, განმცხადებელმა გაიზიარა, რომ ოპერაციის დაგეგმვის თაობაზე მცირე ოდენობის ინფორმაციის ხელმისაწვდომობა არ იძლევა დასკვნის გაკეთების საშუალებას იმასთან დაკავშირებით, რომ მისი შვილის მკვლელობა ხელისუფლების მიერ დაგეგმილი ექსტრა-იურიდიული ხასიათის მკვლელობა იყო. თუმცა, კომისიის მიერ დადგენილი ფაქტები ამყარებს მოსაზრებას, რომ ოპერაცია იმდენად არამართებულად დაიგეგმა და წარიმართა, თავად დაგეგმარების პროცედურით დაირღვა სიცოცხლის უფლების დაცვის ვალდებულება. ის *inter alia* მიუთითებს მკაცრ ინსტრუქციაზე, რომელიც პოლიციის ოფიცრებს მისცეს იმასთან დაკავშირებით, რომ ბინაში იმყოფებოდა ტერორისტი მაშინ, როცა იქ მსგავსი არავინ იყო. გარდა ამისა, კონვენციის მე-2 მუხლს არღვევს შემდეგი საკითხები: პოლიციის ოფიცრებისთვის ინსტრუქციის არმიცემა იმის შესახებ, თუ როდის უნდა გამოეყენებინათ იარაღი; გეგმის არარსებობა, თუ რა გზით უნდა შეეღწიათ ბინაში; ინფორმაციის არმიწოდება იმასთან დაკავშირებით, რომ შენობაში ასევე იმყოფებოდნენ ქალები და ბავშვები. განმცხადებლის მტკიცებით, აღნიშნულ ოპერაციას აკლდა სტრატეგიული და ტაქტიკური დაგეგმვა, კერძოდ, არ განხილულა ოპერაციის სხვაგვარი მსვლელობის შესაძლებლობა. მაგალითად, იმის გათვალისწინებით, რომ ოპერაციას აკლდა დაგეგმვა, საჭირო იყო, სიფრთხილით განეხორციელებინათ ჩხრეკა, რათა თავიდან აეცილებინათ სასიკვდილო ძალის გამოყენება

69. მეორე, მტკიცებულებებით გამტკიცებული ფაქტის თანახმად, პოლიციის ოფიცრებს განზრახული ჰქონდათ განმცხადებლის შვილის მოკვლა, შესასვლელი კარისთვის ცეცხლის გახსნის გზით. განათება მიზანმიმართულად იქნა გამორთული სახლის გარეთ. არანაირი გაფრთხილება იმის თაობაზე, რომ კართან იყო პოლიცია, არ გაკეთებულა და ოფიცრებმა გაისროლეს მაშინ, როდესაც მეჭმეტ გული კარის გაღებას ცდილობდა. სროლა გაგრძელდა გარკვეული პერიოდის განმავლობაში. იგი წარმოადგენდა კონცენტრირებულ ქმედებას და არა პანიკით გამოწვეულ რეაქციას. მოვლენათა ამგვარი მსვლელობა დადგინდა ზეპირი თუ წერილობითი მტკიცებულებით, რამდენადაც ზოგიერთი პოლიციის თანამშრომლის განცხადებით, ოპერაციის მიზანი იყო იმ პირების განეიტრალება, რომლებიც მოქმედებდნენ სახელმწიფოს ინტერესების საწინააღმდეგოდ.

70. მესამე, პოლიციის ოფიცრებმა არ აღმოუჩინეს დროული და ეფექტური სამედიცინო დახმარება განმცხადებლის მძიმედ დაჭრილ შვილს, რაც წარმოშობს კონვენციის მე-2 მუხლით დაცული სიცოცხლის უფლების კიდევ ერთ მძიმე დარღვევას. განმცხადებლის შვილის ჰოსპიტალიზაციის შეფერხება რომ არა (ის გზაში დაიღუპა), ის შეიძლება გადაარჩენილიყო.

71. და ბოლოს, იზიარებს რა კომისიის დასკვნას, რომ მეჭმეტ გულის მკვლელობის საქმესთან მიმართებით გამოიძევა არაეფექტური და არაადეკვატური იყო, განმცხადებელი უთითებს შემთხვევის ადგილის გამოკვლევის ხარვეზებზეც. ასევე, გარდაცვლილის გაკვეთის პროცედურას აკლდა დეტალურობა, რითაც

ხელი შეეშალა სათანადო ანალიზის ჩატარებას მიყენებული ჭრილობების სიმძიმის დასადგენად. არ იქნა გამოკვლეული დარტყმის ნიშნები, ანუ არ იქნა მოძიებული ტყვია იმის შესამოწმებლად, რამდენად საფუძვლიანი იყო პოლიციის ოფიცრების მიერ მიცემული ჩვენება ცეცხლის გახსნასთან დაკავშირებით; პოლიციის თანამშრომელთაგან ჩვენების მიღება მოხდა შეყოვნებით; არ გამოიკვლიეს ოპერაციის დაგეგმვის დეტალები და იარაღის გამოყენების საკითხი; ასევე, არ დადგინდა გასროლილ ტყვიათა რაოდენობა.

## 2. მთავრობა

72. მთავრობა ამტკიცებს, რომ პოლიციის თანამშრომლების მიერ განმცხადებლის შვილის მოკვლა მოხდა შემთხვევით. ისინი მოქმედებდნენ ყოველგვარი დაუდევრობის გარეშე, მისცეს რა ნათელი გაფრთხილება ბინის კარზე დაკაკუნებით. მათ გაისროლეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც გაისროლა თავად ბინაში მყოფმა. შესაბამისად, პოლიციელების რეაქცია არ შეიძლება ჩაითვალოს არაპროპორციულად ისევე, როგორც ეს მოხდა ანდრონიკუსა და კონსტანტინუს საქმეში კვიპროსის წინააღმდეგ (1997 წლის 9 ოქტომბრის გადაწყვეტილება, ანგარიშები 1997-VI, გვ. 2059). მათ ცეცხლი გახსნეს მხოლოდ მაშინ, როცა გულწრფელად ირწმუნეს, რომ ეს აუცილებელი იყო საკუთარი სიცოცხლის დასაცავად. ნებისმიერ შემთხვევაში, ადგილი ჰქონდა მხოლოდ რამდენიმე საპასუხო გასროლას. კარის მიმართულებით განხორციელებული სროლის მიზანი დიდწილად იყო მისი გახსნა და იმ ადამიანების დახმარება, რომლებიც ბინის შიგნიდან შველას ითხოვდნენ.

73. მთავრობა უარყოფს, რომ ადგილი ჰქონდა ოპერაციის რაიმე წინასწარ დაგეგმვას და იმასაც, რომ მეჭმეტ გულის სახლის ჩხრეკა განხორციელდა სხვა მსგავსი საქმეებისგან განსხვავებულ პირობებში. იარაღის გამოყენება მოხდა ისე, როგორც ეს მოხდებოდა სხვა მსგავსი შეიარაღებული კონფრონტაციისას და ამ დროს საერთო წესები იქნა გამოყენებული. მთავრობა არ ეთანხმება კომისიის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ იარაღის მეშვეობით რკინის კარის გაღება ხორციელდებოდა გაუფრთხილებლად და საწინააღმდეგო შედეგი გამოიღო, რაც არ შეესაბამება იმ მეთოდებს, რომლებითაც კარგად მომზადებული ანტი-ტერორისტული ძალები უნდა მოქმედებდნენ. ეს ქმედება ასევე არ შეესაბამებოდა დაზვერვის მიერ მონოდეზულ ინფორმაციას, რომლის თანახმადაც, ბინაში იმყოფებოდნენ ტერორისტები.

74. უფრო მეტიც, მთავრობამ უსაფუძვლოდ მიიჩნია განმცხადებლის მტკიცება იმასთან დაკავშირებით, თითქოს სროლის შემდეგ პოლიციამ უარი თქვა დახმარების განევაზე მაშინ, როცა განმცხადებლის ვაჟი შემთხვევის ადგილიდან სწორედ პოლიციის დახმარებით და პოლიციის მანქანით გადაჰყავდათ.

75. რაც შეეხება გამოძიებას, გენერალურმა პროკურორმა გადადგა ყველა აუცილებელი ნაბიჯი აღნიშნული ფაქტის გამოსაძიებლად. მოხდა შემთხვევის ადგილის ფოტოგრაფირება და სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარება, ასევე, საკეტის ბალისტიკური კვლევა. გარდაცვლილის სხეული სათანადოდ იყო გამოკვლეული, თუმცა, კლასიკური გაკვეთის პროცედურის ჩატარება არ გახდა აუცილებელი, ვინაიდან სიკვდილი აშკარად გამოწვეული იყო ცეცხლსასროლი ჭრილობის შედეგად, რომელმაც მოკლულის ლუმბოსაკრალურ ზონაში შეაღწია. ყველა ჩვენება, რომელიც საჭირო იყო საქმის გარემოებათა დასადგენად, მიღებულ იქნა ოჯახის წევრთაგან, მეზობლებისა და პოლიციის თანამშრომლებისგან. ამასთან, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას დაექვემდებარნენ პოლიციის თანამშრომლები, რომლებმაც ცეცხლი გახსნეს.



სისხლის სამართლის სასამართლომ აგრეთვე მოიპოვა ექსპერტთა დასკვნები, რომლებიც ეყრდნობოდა ფაქტებსა და საქმეში არსებულ მტკიცებულებებს. სასამართლოს კომპეტენციაში შედიოდა აღნიშნული დასკვნების შეფასება და მას შეეძლო, თუკი საჭიროდ ჩათვლიდა, კიდევ მოეპოვებინა სხვა ექსპერტთა დამატებითი დასკვნები. თუმცა, სასამართლომ დაადგინა, რომ პოლიციის თანამშრომლები არ მოქმედებდნენ გაუფრთხილებლად. გამომდინარე აქედან, ადგილი არ ჰქონდა რაიმე ნაკლოვანებას და გამოძიება ჩატარდა კონვენციის მე-2 მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად.

## ბ. სასამართლოს შეფასება

1. სასიკვდილო ძალის გამოყენება პოლიციის თანამშრომელთა მიერ

76. მე-2 მუხლი, რომელიც იცავს სიცოცხლის უფლებას და განსაზღვრავს, თუ რა შემთხვევაშია სიცოცხლის წართმევა გამართლებული, კონვენციის ერთ-ერთ ყველაზე ფუნდამენტურ ნორმას წარმოადგენს, რომლისგან გადახვევა არ დაიშვება. ის ადგენს გარემოებებს, როდესაც ამ უფლებისაგან გადახვევა შეიძლება გამართლებულად ჩაითვალოს. კონვენციის მე-3 მუხლთან ერთად ის წარმოადგენს დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთ უმთავრეს ღირებულებას, რომელიც აერთიანებს ევროპის საბჭოში შემავალ დემოკრატიულ საზოგადოებებს. გარემოებები, რომლის დროსაც სიცოცხლის წართმევა შეიძლება გამართლებულად ჩაითვალოს, ვინაობა უნდა განიმარტოს. კონვენციის, როგორც ინდივიდთა დამცველი ინსტრუმენტის, მიზანია, ასევე, მე-2 მუხლი ისე იქნეს გამოყენებული და განმარტებული, რომ მისი დაცვის მექანიზმები იყოს მაქსიმალურად ეფექტური და პრაქტიკული (იხ. მაკქენი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, 1995 წლის 27 სექტემბრის გადაწყვეტილება, სერია A no. 324, გვ. 45-46, §§ 146-147).

78. მე-2 მუხლით მინიჭებული უფლებების მნიშვნელობის გათვალისწინებით, სასამართლო სიცოცხლის წართმევის შემთხვევებს უქვემდებარებს ყველაზე ფრთხილ შემოწმებას, იღებს რა მხედველობაში არამართო სახელმწიფოს წარმომადგენელთა ქმედებებს, არამედ საქმესთან დაკავშირებულ ყველა გარემოებას. სახელმწიფოს წარმომადგენელთა მიერ ძალის გამოყენება კონვენციის მე-2 მუხლის მეორე პარაგრაფში ჩამოყალიბებული მიზნების მისაღწევად შეიძლება გამართლებულად ჩაითვალოს მაშინ, როდესაც ის ემყარება გულწრფელ რწმენას, რომელიც ხელშესახები მიზეზების გამო რაღაც მომენტში საფუძვლიანად აღიქმება და გარკვეული დროის შემდეგ აღმოჩნდება, რომ მცდარი იყო (იხ. ზემოთ ციტირებული მაკქენისა და სხვების გადაწყვეტილება გვ. 58-59, § 200).

79. წინამდებარე საქმეში საეჭვო არ გამხდარა ფაქტი, რომ მეჭმეტ გული გარდაიცვალა ცეცხლსასროლი ჭრილობის შედეგად, რომელიც მან მიიღო კარის მიმართული დაწინაურების ჯგუფის პოლიციის თანამშრომლების მიერ. სასამართლო ეთანხმება კომისიის დასკვნას იმასთან დაკავშირებით, რომ არ არსებობდა შესაბამისი მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა, რომ ამ ოპერაციის განმხორციელებლებს მიღებული ჰქონდათ ინსტრუქცია სასიკვდილო ძალის გამოყენების შესახებ, ან რომ ეს იყო ოპერაციის წინასწარ დადგენილი მიზანი. თუმცა, განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ ცეცხლის გახსნა ამჟღავნებდა პოლიციის ოფიცრების განზრახვას, მოეკლათ კარს უკან მდგომი პირი.

80. სასამართლო აუცილებლად არ მიიჩნევს, იმსჯელოს – პოლიციის წარმომადგენლები მოქმედებდნენ განზრახვით, მოეკლათ განმცხადებლის

შვილი, თუ მათ დაუდევრობის გამო ვერ გაითვალისწინეს საფრთხე კარს უკან მდგომი ადამიანის სიცოცხლისთვის. სასამართლოს არ აქვს სისხლის სამართლის სასამართლოს ფუნქცია, განსაზღვროს კონკრეტული დამნაშავეს ბრალეულობის ხარისხი. ის მიიჩნევს, რომ პოლიციის ოფიცრებმა ამ სიტუაციაში გამოიყენეს არაპროპორციული ძალა შემდეგ გარემოებათა გამო.

81. სასამართლო ეყრდნობა კომისიის დასკვნებს, რომლის თანახმადაც, მეჰმეტ გული, რომელიც ბინაში ცხოვრობდა მის ცოლთან და შვილებთან ერთად, კართან მივიდა დაახლოებით 1:00 საათზე კაკუნის საპასუხოდ. მაშინ, როდესაც კარს აღებდა, სამმა პოლიციელმა გახსნა ცეცხლი ერთი მიმართულებით. ის სასიკვდილოდ დაიჭრა ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლილი ტყვიების შედეგად. სროლის სიძლიერემ სრულიად გაუნადგურა მარჯვენა ხელის თითები. პოლიციის თანამშრომელთა მტკიცება იმასთან დაკავშირებით, რომ მეჰმეტ გულმა მათი მიმართულებით გაისროლა, არ მიიჩნევა სარწმუნოდ და არც რაიმე დამაკმაყოფილებელი მტკიცებულებით იყო გამყარებული. მტკიცებამ, თითქოს ბინაში აღმოჩენილი იქნა ორი თოფი და ცარიელი ვაზნა, ინციდენტის შემდეგ დაკარგა სარწმუნოება საქმის მასალებში მისი არასათანადო აღწერის გამო და, შესაბამისად, პოლიციელთა ჩვენებები ამ საკითხზე არ არის სარწმუნო.

82. ასეთ გარემოებებში 50-55 ტყვიის გასროლა კარის მიმართულებით არ იყო გამართლებული რაიმე გონივრული რწმენით, რომ მათ სიცოცხლეს ბინაში მყოფი პირისაგან საფრთხე ემუქრებოდა. აღნიშნული გასროლა ვერ ჩაითვლება გამართლებულად იმ მოსაზრებიდან გამომდინარე, რომ გასროლა გამიზნული იყო ბინაში უსაფრთხოდ შესაღწევად, ვინაიდან მსგავსი ქმედება საფრთხის ქვეშ აყენებდა კარებთან ახლო მანძილზე მყოფ პირებს. როგორც სასამართლო მიუთითებს, კომისია, თავისი დელეგატების მოსაზრებათა საფუძველზე, მიიჩნევდა, რომ ოფიცრებმა შესაძლებელია ცეცხლი გახსნეს კარის საკეტის გადანევის ხმის პასუხად, რადგან ეგონათ, რომ ტერორისტები მათთვის ცეცხლის გახსნას აპირებდნენ. მიუხედავად ამისა, არაიდენტიფიცირებული ობიექტის მიმართულებით ავტომატური იარაღიდან ცეცხლის გახსნა უდანაშაულო სამოქალაქო პირებით, ბავშვებითა და ქალებით დასახლებულ საცხოვრებელ კორპუსში კომისიამ აბსოლუტურად არაპროპორციულად მიიჩნია. შესაბამისად, ეს საქმე განსხვავდება საქმისაგან ანდრონიკუ და კონსტანტინუ კვიპროსის წინააღმდეგ (ზემოთ ციტირებული, გვ. 2106, §§ 191-192), სადაც ცეცხლი გაუხსნეს მძევლის ამყვანს, რომლის მიერ იარაღის ტარების ფაქტი დამტკიცებული იყო, ვინაიდან მან ორჯერ ისროლა და გასროლის შედეგად დაიჭრა პოლიციის ერთ-ერთი თანამშრომელი და მძევალი.

83. სასამართლო ადგენს, რომ პოლიციის თანამშრომელთა მხრიდან იარაღის გამოყენება არ შეიძლება ჩაითვალოს, როგორც „აბსოლუტურად აუცილებელი“, სიცოცხლის დაცვის მიზნებიდან გამომდინარე. შესაბამისად, სახეზეა კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა ზემოაღნიშნულ საკითხებთან მიმართებით.

## 2. ოპერაციის დაგეგმვასა და კონტროლირებაში სიფრთხილის სავარაუდო არარსებობის თაობაზე

84. [. . .] ანტიტერორისტული ოპერაციები უნდა დაიგეგმოს და გაკონტროლდეს სახელმწიფოს წარმომადგენლების მხრიდან ისე, რომ მაქსიმალურად შემცირდეს სასიკვდილო იარაღის გამოყენების შესაძლებლობა (იხ. ზემოთ ციტირებული მაქქენის გადანყვეტილება, გვ. 57, § 194; და 1998 წლის 28 ივლისის გადანყვეტილება, ერგი თურქეთის წინააღმდეგ, ანგარიშები 1998-IV, გვ. 1776, § 79).

85. განმცხადებელმა არაერთ ეპიზოდთან დაკავშირებით მიუთითა განხორციელებული ოპერაციის არასაკმარის დაგეგმარებასა და კონტროლზე, მაგალითად, სპეციალური ჯგუფისათვის გაკეთებული მოკლე და ნაკლებად დეტალური ბრიფინგი და არასაკმარისის სტრატეგიული და ტაქტიკური დაგეგმარება მოქმედების ალტერნატიული ვერსიების განვითარების თვალსაზრისით, თუ ბინაში შეღწევისას ისინი წინააღმდეგობას ნააწყდებოდნენ.

86. სასამართლო მიუთითებს, რომ კომისიამ ვერ შეძლო, ოპერაციის დაგეგმვასთან დაკავშირებით დაედგინა რაიმე ფაქტი, რამდენადაც არ არსებობდა დაგეგმვის ან ბრიფინგის შესახებ იმდროინდელი ჩანაწერები. ამასთან, მონმეთა არსებული ჩვენებებიც, შემთხვევიდან რამდენიმე წლის გასვლის შემდეგ, იყო არაზუსტი და ბუნდოვანი. მან არ მიიჩნია სარწმუნოდ, რომ ამ ოპერაციის ნებისმიერი ცალკეული ასპექტი ექვემდებარებოდა იდენტიფიცირებას. შეიძლება ვიმსჯელოთ, რომ ოფიცრები სათანადოდ მომზადებულები რომ ყოფილიყვნენ, უფრო მეტ სიფრთხილეს გამოიჩინდნენ. ნებისმიერ შემთხვევაში, დარღვევის არსი მდგომარეობდა სახლის კართან ოფიცრების არაპროპორციულ რეაქციაში. საქმის აღნიშნულ ასპექტთან დაკავშირებით, სასამართლო არ ადგენს დამოუკიდებელ დარღვევას.

### 3. მეჭმეტ გულისთვის სათანადო სამედიცინო დახმარების სავარაუდო აღმოჩენლობის შესახებ

87. განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ პოლიციის უმოქმედობა, დახმარება აღმოეჩინა მისთვის შემთხვევის ადგილზე, წარმოადგენდა სიცოცხლის უფლების დამოუკიდებელ დარღვევას. განცხადება იმის შესახებ, რომ მეჭმეტ გული გადარჩებოდა პოლიციის დახმარების შემთხვევაში, სასამართლოს აზრით, სრულიად არ არის გამყარებული რაიმე სამედიცინო მტკიცებულებით და დიდწილად სპეკულაციურია. თუმცა, სამწუხაროა, რომ პოლიციამ გამოიჩინა გულგრილობა და მეჭმეტ გულის საავადმყოფოში გადაყვანა ოჯახს მიანდო. ამის მიუხედავად, სასამართლო მართებულად არ მიიჩნევს ამ საქმის ფაქტებზე დაყრდნობით ცალკე დარღვევა დაადგინოს.

### 4. სავარაუდო არაადეკვატური გამოძიების თაობაზე

88. სასამართლო იმეორებს, რომ კონვენციის მე-2 მუხლიდან გამომდინარე, სახელმწიფოს ვალდებულება, დაიცვას სიცოცხლის უფლება, იკითხება ამავე კონვენციის პირველ მუხლთან ერთიანობაში „[მისი] იურისდიქციის ფარგლებში ყველასთვის უზრუნველყოფენ ამ კონვენციის პირველ ნაწილში განსაზღვრულ უფლებებსა და თავისუფლებებს.“ აღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ სახელმწიფოში უნდა არსებობდეს ეფექტური ოფიციალური გამოძიება, როდესაც ვიღაც კვდება ძალის გამოყენების შედეგად (იხ. მაკქენი და სხვები, ზემოთ ციტირებული, გვ. 49, § 161-63; კაია თურქეთის წინააღმდეგ, გადაწყვეტილება, 19 თებერვალი, 1998წ. გადაწყვეტილებათა ანგარიშები და გადაწყვეტილებები 1998-ი, გვ. 329, § 105).

89. სასამართლო შენიშნავს, რომ აღნიშნული ინციდენტთან დაკავშირებით გამოძიება აწარმოვა საჯარო ბრალმდებელმა. მიუხედავად ინციდენტის სერიოზულობისა და აუცილებლობისა, მომხდარიყო ყველა მტკიცებულების შეგროვება და აღწერა იმის დასადგენად, თუ რა მოხდა, გამოძიებისას შეიმჩნეოდა მთელი რიგი ხარვეზები. არავის უცდია, მოენახა ტყვიის გულა, რომელიც, პოლიციის თანამშრომელთა მტკიცებით, მეჭმეტ გულიმ გაისროლა მათი მიმართულებით და რომელიც მათ მიერ ცეცხლის გახსნის მთავარი გამართლება იყო. არ მომხდარა ბინაში ნაპოვნი იმ ორი

იარაღისა და ცარიელი პატრონის სათანადო დამაგრება და აღწერა, რომლებსაც პოლიცია ასევე ცეცხლის გახსნის გასამართლებლად მოიხმობდა. ამ საკითხზე საუბრისას პოლიციელთა განცხადებები იყო ბუნდოვანი და არათანმიმდევრული, რაც შეუძლებელს ხდიდა იმის დადგენას, თუ რომელმა თანამშრომელმა რომელი იარაღი იპოვნა. არ მომხდარა იარაღების ფოტოგრაფირება მათი აღმოჩენის ადგილზე. თუმცა, ექსპერტიზა ჩაუტარდა ბრაუნინგის ტიპის იარაღს, რომლითაც დადგინდა, რომ ამ იარაღიდან გასროლა მოხდა. მაგრამ არ ჩატარებულა მეჭმეტ გულის ხელების შემოწმება, რაც შესაძლებელს გახდიდა ხელზე კვალის აღმოჩენას და დაადასტურებდა პიროვნების კავშირს იარაღთან. არ მომხდარა ასევე თითის ანაბეჭდების აღება აღნიშნული იარაღიდან. გაკვეთაზე უარის თქმის გამო, ვერ დადგინდა მის სხეულზე არსებული ჭრილობების სრული აღწერა, რამაც შეაფერხა შეფასება, თუ რამდენად შეეხო მას გახსნილი ცეცხლი და როგორი იყო მისი პოზიცია და დაშორება კარებიდან, რაც ნათელს მოჰყენდა გარემოებებს, რომლებშიც მეჭმეტ გული იქნა მოკლული. მთავრობის მტკიცებით, მსგავსი გამოკვლევა საჭიროებას არ წარმოადგენდა, ვინაიდან ისედაც ნათელი იყო მეჭმეტ გულის გარდაცვალების მიზეზი. თუმცა, *post mortem* გამოკვლევის მიზანია, ნათელი მოეფინოს სიკვდილთან დაკავშირებულ ყველა გარემოებას, ამასთან, მოხდეს შესაძლო არაადამიანური მოპყრობის, ჭრილობათა ნიშნების სრული და აკურატული აღწერა და კლინიკური დასკვნების ობიექტური ანალიზი (იხ. ამ კუთხით სანიშუშო გაკვეთის ოქმი, რომელიც თან ერთვის უკანონო დასჯისა და ექსტრა-იურიდიული გამოძიების ეფექტური პრევენციის სახელმძღვანელოს, მიღებულს 1992 წელს გაეროს მიერ, სადაც ხაზგასმულია პოტენციურად წინააღმდეგობრივ საქმეებში სისტემატური და სრული გამოკვლევის და ანგარიშგების აუცილებლობა მნიშვნელოვანი მტკიცებულებების მიღებისა და ხარვეზების თავიდან აცილების მიზნით. აღნიშნულის ციტირება მოხდა 2000 წლის 27 ივნისის სალმანი თურქეთის წინააღმდეგ გადაწყვეტილებაში § 73, რომელიც გამოქვეყნდა 2000 წლის ანგარიშებში. . .).

90. უფრო მეტიც, მიუხედავად იმისა, რომ იმ ოპერაციაში მონაწილე პოლიციის თანამშრომელთა იმ ქმედებების გამოკვლევა, რომლებსაც შედეგად ადამიანის სიკვდილი მოჰყვა, განსაკუთრებული სიფრთხილითა და ყურადღებით უნდა მომხდარიყო, საჯარო ბრალმდებელმა მათ საერთოდ არ ჩამოართვა ჩვენებები. პოლიციის თანამშრომელთა მიერ იარაღის და ტყვია-წამლის გამოყენების გამო მათი პასუხისმგებლობის საკითხი არ დამდგარა, რაც კიდევ ერთი ხარვეზია ინციდენტის შემდგომ გატარებული პროცედურებისა. არც მათ ხელმძღვანელს და არც საჯარო ბრალმდებელს არ მოუთხოვია მათი იარაღის შემოწმება და ტყვია-წამლის რაოდენობის დადგენა.

91. აღნიშნულ თანამშრომლებს ჩვენება ჩამოერთვათ მხოლოდ ორი თვის შემდეგ ადმინისტრაციული საბჭოს მიერ დანიშნული ინსპექტორის მიერ. სასამართლომ უკვე დაადგინა, რომ უსაფრთხოების სამსახურების მიერ განხორციელებული მკვლელობის შემთხვევაში, ადმინისტრაციული საბჭოების მიერ წარმოებული გამოძიება არ ჩაითვლება დამოუკიდებელ გამოძიებად, კერძოდ, იმ მიზეზით, რომ საბჭოც და ოპერაციაში მონაწილე ოფიცრებიც იერარქიულად გამგებელს ექვემდებარებოდნენ (იხ. 1998 წლის 27 ივლისის გიულეჯი თურქეთის წინააღმდეგ გადაწყვეტილება, ანგარიშები, 1998-IV, გვ.1732-1733, §§ 80-82 ). მაშინ, როცა საბჭოს მიერ დანიშნულმა ინსპექტორმა არაერთ მნიშვნელოვან მოწმეს ჩამოართვა ჩვენებები, მას არ გადაუდგამს ნაბიჯები იმისათვის, რათა გამოეკვლია საერთო ფონი, თუ რა ინფორმაციის საფუძველზე დაიგეგმა და ჩატარდა ოპერაცია. ამას შეიძლებოდა გამოევიდინა, პირველ რიგში, რატომ შეიტანეს მეჭმეტ გულის ბინა ოპერაციის განხორციელების სფეროში და, მეორე, რამდენად გამართლებული იყო სპეციალური ჯგუფის წევრების მოლოდინი, რომ ადგილი ექნებოდა შეიარაღებულ



წინააღმდეგობას. კერძოდ, ჩვენება არ ჩამოურთმევიათ იმ ჟანდარმებისთვის, რომლებიც ჩართულნი იყვნენ აღნიშნული ოპერაციის დაგეგმვასა და მიზნის განსაზღვრაში.

92. ადმინისტრაციული საბჭოს გადაწყვეტილება დევნის შეწყვეტის თაობაზე გაუქმდა 1995 წლის თურქეთის უმაღლესი ადმინისტრაციული სასამართლოს გადაწყვეტილებით, რომელმაც მოითხოვა პოლიციის იმ სამი თანამშრომლის მიმართ დევნის დაწყება, რომლებმაც ესროლეს მეჰმეტ გულს. სასამართლომ იმსჯელა, თუ რამდენად გამოსასწორა აღნიშნულმა სისხლისსამართლებრივმა პროცესმა გამოძიებაში იმ მომენტამდე არსებული ხარვეზები.

93. სისხლის სამართლის სასამართლომ დაკითხა პოლიციის სამი თანამშრომელი, რომელთაც არაფერი არსებითი არ დაუმატებიათ მათ მიერ მიცემული წერილობითი ჩვენებისათვის. სხვა მოწმეები არ დაკითხულან. განმცხადებელი და მისი ოჯახის წევრები არ იყვნენ ინფორმირებულნი ამ პროცესის მიმდინარეობის შესახებ და არ მიეცათ შესაძლებლობა, სასამართლოსთვის წარმოედგინათ მათი რადიკალურად განსხვავებული ვერსია ხსენებულ მოვლენებთან დაკავშირებით. სასამართლომ მოითხოვა ორი ექსპერტის დასკვნა: პირველი – ჟანდარმერიის ლეიტენანტისაგან და მეორე – პოლიციის ექსპერტისაგან. აღნიშნულ დასკვნებში მოცემული მოვლენათა შეფასება ყოველგვარი განმარტების გარეშე ეფუძნებოდა მოსაზრებას, რომ პოლიციელებისგან მიღებული მოვლენათა აღწერა სწორი იყო. ორივე მიდიოდა იქამდე, რომ სახეზე არ იყო პოლიციის თანამშრომელთა ბრალეულობა, თუმცა, ამგვარი დასკვნა წარმოადგენდა ზოგადი შეფასების შედეგს და არ ეყრდნობოდა ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნას.

94. სასამართლო ადგენს, რომ გადაწყვეტილება პოლიციის სამი ოფიცრის გათავისუფლების შესახებ სრულად ეყრდნობოდა მეორე დასკვნას, რომლის თანახმად, სახეზე არ იყო ბრალი. ასევე, არ მომხდარა იმის განმარტება, თუ რატომ მიენიჭა პოლიციის ჩვენებებს უპირატესობა გარდაცვლილის ოჯახის წევრების ჩვენებებთან შედარებით. სასამართლო არ ხდის საეჭვოს იმ ფაქტს, რომ ადგილობრივი სასამართლო ბრალის ან ფაქტების შეფასებისას შეიძლება დაეყრდნოს კომპეტენტური ექსპერტის მოსაზრებას. თუმცა, წინამდებარე საქმეში ნათელი არ არის, რომ ექსპერტები შეფასებისას დაეყრდნენ ტექნიკური ექსპერტიზის რაიმე მონაცემს. როდესაც საკუთარ მოსაზრებას აფუძნებდა რაიმე განმარტების გარეშე ოფიცერთა ქმედებების ექსპერტისეულ სამართლებრივ კლასიფიკაციაზე, სასამართლომ ეფექტურად ჩამოართვა საკუთარ თავს იურისდიქცია, გადაეწყვიტა ამ საქმის ფაქტობრივი და სამართლებრივი საკითხები (იხ. მაგალითად, 1996 წლის 17 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე ტერა უონიგენ ბი. ვი. ნედერლანდების წინააღმდეგ, ანგარიშებიდან 1996-VI, გვ. 2123, § 54).

95. შესაბამისად, სასამართლო ადგენს, რომ სახელმწიფოს წარმომადგენლებმა ვერ ჩაატარეს ადეკვატური და ეფექტური გამოძიებამეჰმეტ გულის სიკვდილის ფაქტთან დაკავშირებით. ამის გათვალისწინებით, სამოქალაქო და სისხლისსამართლებრივი საშუალებების გამოყენება ამ გარემოებებში თანაბრად არაა ეფექტური იქნებოდა. სასამართლო არ იზიარებს სახელმწიფოს წინასწარი შეპასუხების იმ ნაწილს, რომელიც ეხებოდა სამოქალაქო და სისხლისსამართლებრივი პროცედურების გამოყენებას და ადგენს, რომ ამ მიმართებითაც დაირღვა მე-2 მუხლი.

**A. ფინანსური ზარალი**

106. რაც შეეხება განმცხადებლის მოთხოვნას შემოსავლის დაკარგვასთან დაკავშირებით, სასამართლო აღნიშნავს, რომ დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, სასამართლომ უნდა დაადგინოს მიზეზობრივი კავშირი მიყენებულ



ზარალსა და კონვენციით დაცული უფლების დარღვევის ფაქტებს შორის და თუ მსგავს კავშირს დაადგენს, მას შეუძლია გაითვალისწინოს კომპენსაციის ნაწილში დაკარგული შემოსავლის საკითხიც (იხ. 1994 წლის 13 ივნისის გადაწყვეტილება ბარბერა, მესაჟი და გადაწყვეტილება ჰაბარდო ესპანეთის წინააღმდეგ (50-ე მუხლი), სერია A no. 285-C, გვ. 57-58, §§ 16-20; და 1999 წლის 8 ივლისის გადაწყვეტილება ჩაკიჩი თურქეთის წინააღმდეგ, რომელიც გამოქვეყნდება 1999 წლის ანგარიშებში, § 127). აღნიშნული ასევე მისაღებია მაშინ, როდესაც ვერ ხერხდება იმ ზარალის ზედმიწევნით დათვლა, რომელიც გათვალისწინებული უნდა იყოს ფინანსური ზარალის გამო სამართლიანი ანაზღაურების ნაწილში (იხ. 2000 წლის 25 ივლისის გადაწყვეტილება ლიუსტიგ-პრენი და ბეკეტი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, მუხლი 41, გამოქვეყნდა 2000 წლის ანგარიშებში-R, § 22).

107. სასამართლომ დაადგინა (იხ. ზემოთ პარაგრაფი 83), რომ მეჰმეტ გული მოკლეს კონვენციის მე-2 მუხლის საწინააღმდეგოდ, ცეცხლსასროლი იარაღის გაუმართლებელი გამოყენების შედეგად. შესაბამისად, სახეზეა აშკარა მიზეზობრივი კავშირი მის მიმართ კონვენციით გარანტირებულ მე-2 მუხლის დარღვევასა და ფინანსურ ზარალს შორის, რომელიც განიცადეს მისმა ქვრივმა და შვილებმა ოჯახის ფინანსურად უზრუნველმყოფი წევრის დაკარგვით. სასამართლო შენიშნავს, რომ განმცხადებელს არ წარმოუდგენია დაკარგული შემოსავლის სრული დაანგარიშება დაბეგვრისა და ინფლაციის გათვალისწინებით, ამიტომაც სასამართლომ გადაწყვიტა (იხ. იქვე, როგორც ამ ტიპის სხვა საქმეებზე), ფინანსური კომპენსაციის სახით განმცხადებელს მიანიჭოს 35,000 გირვანქა სტერლინგი მისი ქვრივისა და მშობლებისთვის გადასაცემად, თურქულ ლირაში კონვერტირებული სახით.

## B. მორალური ზარალი

108. განმცხადებელმა, დარღვევათა სიმძიმის გათვალისწინებით, მოითხოვა 50.000 გირვანქა მისი შვილისათვის, 15.000 გირვანქა ცალ-ცალკე თავისთვის, გარდაცვლილის ქვრივისა და შვილებისათვის, რაც ერთობლივად შეადგენს 140.000 გირვანქა სტერლინგს, კონვერტირებულს თურქულ ლირაში გადახდის დღისათვის დადგენილი კურსით.

109. სასამართლო კვლავ იმეორებს, რომ მეჰმეტ გულის მკვლელობის ფაქტზე პასუხისმგებელია მთავრობა. ის ასევე შენიშნავს, რომ სახელმწიფოს წარმომადგენლებმა არ განახორციელეს მეჰმეტ გულის მკვლელობის ფაქტის ეფექტური გამოძიება კონვენციის მე-2 და მე-13 მუხლების შესაბამისად. ზემოაღნიშნულისა და მსგავს საქმეებში გაცემული კომპენსაციის რაოდენობის გათვალისწინებით, სასამართლო აკისრებს მთავრობას 20.000 გირვანქა სტერლინგს, გადასახდელს მეჰმეტ გულისათვის მე-2 მუხლის დარღვევის გამო, დაზარალებული ქვრივისა და შვილებისათვის და 10.000 გირვანქა სტერლინგს, გადასახდელს განმცხადებლისათვის, როგორც არამატერიალური ზიანის სამართლიან ანაზღაურებას. აღნიშნული თანხების გადახდა მოხდეს თურქულ ლირაში კონვერტირებული სახით.

ვინსენტ ბერგერ გეორგ რესსი

რეგისტრატურის პრეზიდენტი

კონვენციის 45-ე მუხლის § 2-სა და სასამართლოს წესების 74-ე წესის შესაბამისად, მოსამართლე გოლჩუკლუს ნაწილობრივ განსხვავებული მოსაზრება დაერთვება გადაწყვეტილების ტექსტს.

**6. გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის ცნობა**

**№449/1991: დომინიკის რესპუბლიკა**

10/08/94

**CCPR/C/51/D/449/1991**

(სამართალი)

**დანართი**

**ორმოცდამეთხუთმეტე სესია**

**ცნობა №. 449/1991**

**წარმოდგენილია:** ბარბარინ მოჯიკას მიერ

**დაზარალებული:** მისი ვაჟი რაფაელ მოჯიკა

**მხარე სახელმწიფო:** დომინიკის რესპუბლიკა

**ინფორმაციის წარმოდგენის თარიღი:** 1990 წლის 22 ივლისი

**ადამიანის უფლებათა კომიტეტი,** შექმნილი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების პაქტის 28-ე მუხლის საფუძველზე

1994 წლის 15 ივლისის **სხდომაზე**

**აჯამებს მის მოსაზრებებს** ბატონ ბარბარინ მოჯიკას მიერ, მისი ვაჟის რაფაელ მოჯიკას სახელით წარმოდგენილ ცნობასთან დაკავშირებით, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის ფაკულტატური ოქმის საფუძველზე

**ითვალისწინებს** მისთვის ხელმისაწვდომ, ავტორის და მონაწილე სახელმწიფოს მიერ წარმოდგენილ ყველა წერილობით ინფორმაციას

**იღებს** მოსაზრებებს ფაკულტატური ოქმის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე

1. ცნობის ავტორია ბარბარინ მოჯიკა, დომინიკის რესპუბლიკის მოქალაქე და სანტო დომინგოში მცხოვრები მუშათა ლიდერი. მან ცნობა წარმოადგინა თავისი ვაჟის – დომინიკის მოქალაქის, 1959 წელს დაბადებული რაფაელ მოჯიკას სახელით, რომელიც 1990 წლის მაისში გაუჩინარდა. ავტორი ჩივის, რომ მონაწილე სახელმწიფომ მისი ვაჟის მიმართ დაარღვია პაქტის მე-6, მე-7 და მე-9 მუხლები და მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტი.

**ავტორის მიერ წარმოდგენილი ფაქტები**

2.1. ავტორი საყოველთაოდ ცნობილი მუშათა ლიდერია. მისი ვაჟი რაფაელ მოჯიკა სანტო დომინგოს პორტის დოკის მუშაკია, რომელიც ბოლოს მისმა ოჯახმა 1990 წლის 5 მაისის საღამოს ნახა. საღამოს 8 საათიდან ღამის პირველ საათამდე იგი სხვებმა ნახეს რესტორან „ელ აპლოსოში“, რომელიც მდებარეობს არიმო პორტუარის კავშირის უბანში. იგი სწორედ ამ კავშირის წევრი იყო. მოწმეები ადასტურებენ, რომ ამის შემდეგ იგი ჩაჯდა ტაქსიში, რომლითაც სხვა უცნობი პირი მგზავრობდა.

---

---

2.2. ავტორი ამტკიცებს, რომ მისი ვაჟის გაუჩინარებამდე ერთი კვირით ადრე რაფაელ მოჯიკას სიკვდილით დაემუქრნენ დირექსიონ დე ბიენეს ნაციონალეს (Dirección de Bienes Nacionales) სამხედრო ოფიცრები, კერძოდ, კაპიტანი მანუელ დე იესუს მორელი და ამ უკანასკნელის ორი თანაშემწე, რომლებიც ცნობილი არიან მეტსახელებით — „მარტინი“ და „ბრუნკვიტო“. ავტორის ვარაუდით ისინი მას ემუქრებოდნენ კომუნისტური შეხედულებების გამო.

2.3. 1990 წლის 31 მაისს ავტორმა, მისმა ოჯახმა და მეგობრებმა მოითხოვეს გამოძიების დაწყება რაფაელ მოჯიკას გაუჩინარების საქმეზე. ამ მიზნით, ამერიკელ იურისტთა ასოციაციის დომინიკელმა წარმომადგენელმა წერილი მისწერა პრეზიდენტ ბალაგუერს; როგორც ჩანს, ავტორს პასუხი არ მიუღია. რაფაელ მოჯიკას გაუჩინარებიდან ერთი თვის შემდეგ დედაქალაქის სხვა უბანში, კერძოდ, ჰაინას ინდუსტრიულ ზონასა და ჰაინას სანაპიროზე ნაპოვნი იქნა თავმოჭრილი და დასახინრებული ორი გვამი. იმის შიშით, რომ ერთ-ერთი შეიძლებოდა მისი ვაჟი ყოფილიყო, ავტორმა სამედიცინო ექსპერტიზა მოითხოვა, რომელიც 1990 წლის 22 ივნისს ჩატარდა. აუტოფსიური გამოკვლევის შედეგად მსხვერპლთა იდენტიფიკაცია ვერ მოხდა, თუმცა, აშკარა იყო, რომ არც ერთი მათგანი რაფაელ მოჯიკა არ გახლდათ, რამეთუ მას, ორივე მსხვერპლისაგან განსხვავებით, მუქი ფერის კანი ჰქონდა (“no se trata del Sr. Rafael Mojica Melenciano, ya que éste según sus familiares es de tez oscura”). 1990 წლის 6 ივლისს გენერალური პროკურატურის მუშაკმა ავტორს გადასცა აუტოფსიური შემონმების დასკვნის ასლი.

2.4. 1990 წლის 16 ივლისს ავტორმა, ადვოკატის მეშვეობით, სანტო დომინგოს მთავარ სახალხო პროკურორს მოსთხოვა, გამოეძიებინა მისი ვაჟის გაუჩინარების საქმეში კაპიტან მორელის და მისი თანაშემწეების სავარაუდო მონაწილეობის საკითხი. ავტორი არ აზუსტებს, მოჰყვა თუ არა რაიმე გამოხმაურება მის მოთხოვნას 1990 წლის 23 ივლისიდან (როდესაც ინფორმაცია მიიღო ადამიანის უფლებათა კომიტეტმა) 1994 წლის დასაწყისამდე.

2.5. ავტორი ამტკიცებს, რომ, დომინიკის რესპუბლიკის კანონით, არ არსებობს რაიმე კონკრეტული სამართლებრივი საშუალება საქმეებისთვის, რომლებიც დაკავშირებულია პირის ძალადობით ან არანებაყოფლობით გაუჩინარებასთან.

## საჩივარი

3. წარმოდგენილია, რომ ზემოაღნიშნული ფაქტები ნათელს ხდის მონაწილე სახელმწიფოს მიერ პაქტის მე-6, მე-7, მე-9 მუხლების და მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევებს.

## კომიტეტის გადაწყვეტილება დაშვებადოგასთან დაკავშირებით

4.1 კომიტეტმა, მისი 47-ე სესიის განმავლობაში განიხილა ცნობის დაშვებადობის საკითხი. მან წუხილი გამოთქვა მონაწილე სახელმწიფოს მხრიდან თანამშრომლობაზე უარის თქმის გამო და დაადგინა შემდეგი: დავას არ ინვევდა ავტორის განცხადება იმასთან დაკავშირებით, რომ არ არსებობდა შიდასახელმწიფოებრივი დაცვის საშუალებები ინდივიდუალურ პირთა გაუჩინარების საქმეების ამოსაწურად. ამ გარემოებებში კომიტეტი დაკმაყოფილდა იმით, რომ შესრულდა ფაკულტატური ოქმის მე-5 მუხლის 2(ბ) პუნქტის მოთხოვნები.

4.2 რაც შეეხება პაქტის მე-10 მუხლის 1-ლ პუნქტს, კომიტეტმა მიიჩნია, რომ იგი დასაბუთებული არ იყო და უკავშირდებოდა ვარაუდს, თუ რა შეიძლებოდა მოსვლოდა რაფაელ მოჯიკას 1990 წლის 5 მაისს მისი გაუჩინარების შემდეგ; ამრიგად, კომიტეტმა დაასკვნა, რომ ამ მიმართულებით ავტორის პრეტენზია არ შეესაბამებოდა ფაკულტატური ოქმის მე-2 მუხლს.

4.3 მე-6, მე-7 და მე-9 მუხლის 1-ლი პუნქტის საფუძველზე ავტორის საჩივრები კომიტეტმა დასაბუთებულად მიიჩნია დაშვებადობის მიზნებისათვის. აქედან გამომდინარე, 1993 წლის 18 მარტს კომიტეტმა ინფორმაცია დაშვებულად გამოაცხადა, რამდენადაც ისინი წამოჭრიდნენ საკითხებს, რომლებიც შეესაბამებოდა პაქტის მე-6, მე-7 და მე-9 მუხლებს. მონაწილე სახელმწიფოს გაეგზავნა თხოვნა, წარმოედგინა ინფორმაცია ბატონი მოჯიკას გაუჩინარების გამოძიების შესახებ და გადმოეცა საქმესთან დაკავშირებული ყველა სათანადო დოკუმენტის ასლი.

### არსებითი მხარის გამოკვლევა

5.1. ფაკულტატური ოქმის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, მონაწილე სახელმწიფოს ვადა 1993 წლის 10 ნოემბერს ამოენურა. 1994 წლის 2 მაისს გაგზავნილი შესვენების მიუხედავად, მონაწილე სახელმწიფოს რაიმე მასალა საქმის არსებით მხარესთან დაკავშირებით არ წარმოუდგენია.

5.2. კომიტეტი ნუხილს და შეშფოთებას გამოხატავს იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ მონაწილე სახელმწიფომ არ ითანამშრომლა ცნობის არც დასაშვებობის და არც მისი არსებითი განხილვის საკითხებში. ფაკულტატური ოქმის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტში და, ასევე, პროცედურული წესების 91-ე წესში მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული, რომ მონაწილე სახელმწიფომ გულდასმით, კეთილსინდისიერად და მოცემულ ვადებში უნდა აწარმოოს ყველა განცხადების გამოძიება, სადაც, სავარაუდოდ, სახელმწიფოს მიერ პაქტის დარღვევებზეა მითითებული და კომიტეტს მიაწოდოს მის ხელთ არსებული ყველა ინფორმაცია. მონაწილე სახელმწიფომ ამის გაკეთება ვერ შეძლო. შესაბამისად, სათანადო მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ავტორის განცხადებებს იმ ფარგლებში, რომელშიც იგი დასაბუთებული იქნება.

5.3. ავტორი მიუთითებს პაქტის მე-9 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევაზე. მიუხედავად იმისა, რომ 1990 წლის 5 მაისს ან მის შემდგომ პერიოდში რაფაელ მოჯიკას დაკავების ან დაპატიმრების ფაქტის მტკიცებულება არ არსებობს, კომიტეტი მიუთითებს, რომ დასაშვებობის შესახებ მიღებული გადანყვეტილების პირობების შესაბამისად, მონაწილე სახელმწიფოს მოეთხოვებოდა საქმის განმარტება; მან ეს არ გააკეთა. კომიტეტი აგრეთვე მიანიშნებს განცხადებაზე, რომ რაფაელ მოჯიკას მის გაუჩინარებამდე ერთი კვირით ადრე სიკვდილით დაემუქრნენ დირექსიონ დე ბიენეს ნაციონალეს ოფიცრები; მონაწილე სახელმწიფოს ეს ინფორმაციაც არ უარუყვია.

5.4. მე-9 მუხლის 1-ლი პუნქტის პირველი წინადადებით, ყოველი ადამიანი უზრუნველყოფილია თავისუფლებისა და პირადი უსაფრთხოების უფლებით. თავის წინა სამართალწარმოებაში კომიტეტმა დაადგინა, რომ ამ უფლებაზე მითითება შეიძლება გაკეთდეს არა მხოლოდ დაკავების ან დაპატიმრების კონტექსტში. ამასთან, განმარტება, რომელიც მონაწილე სახელმწიფოს უფლებას მისცემს, შეეგუოს, დაუშვას ან უგულებელყოს ოფიციალურ პირთა მიერ მონაწილე სახელმწიფოს იურისდიქციაში მყოფ არადაკავებულ პირთა თავისუფლებისა და უსაფრთხოებისადმი საფრთხის შექმნა, არაეფექტურს ხდის პაქტის გარანტიებს. საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, კომიტეტი ასკვნის, რომ პაქტის მე-9

მუხლის 1-ლი პუნქტის საფუძველზე, მონაწილე სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო რაფაელ მოჯიკას თავისუფლებისა და პირადი უსაფრთხოების უფლება.

5.5. მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის სავარაუდო დარღვევასთან დაკავშირებით, კომიტეტი მიუთითებს მე-6 მუხლზე გაკეთებულ მის ზოგად კომენტარზე 6(16), სადაც იგი, *inter alia*, აღნიშნავს, რომ მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა განახორციელონ კონკრეტული და ეფექტური ღონისძიებები, რათა თავიდან აიცილონ ინდივიდუალური პირების გაუჩინარება და შექმნან ეფექტური საშუალებები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს სიცოცხლის უფლების შესაძლო დარღვევის გარემოებებში პირთა დაკარგვისა და გაუჩინარების საქმეების საგულდაგულო გამოძიებას სათანადო მიუკერძოებელი ორგანოს მიერ.

5.6. კომიტეტს მიაჩნია, რომ მონაწილე სახელმწიფოს არ უარუყვია, რომ (ა) რაფაელ მოჯიკა ფაქტობრივად გაუჩინარდა და მის შესახებ არაფერია ცნობილი 1990 წლის 5 მაისის შემდეგ; და (ბ) რომ მის გაუჩინარებაში ბრალი მიუძღვით პირებს, რომლებიც სახელმწიფო უშიშროების ძალებს ეკუთვნიან. ამ გარემოებების გათვალისწინებით კომიტეტი ადგენს, რომ დომინიკის რესპუბლიკამ ეფექტურად ვერ დაიცვა მე-6 მუხლით აღიარებული სიცოცხლის უფლება, მითუმეტეს იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ეს არის საქმე, სადაც დაზარალებულის სიცოცხლეს მანამდე სამხედრო ოფიცრები ემუქრებოდნენ.

5.7. რაფაელ მოჯიკას გაუჩინარების გარემოებები, მის მიმართ განხორციელებული მუქარის ჩათვლით, საშუალებას იძლევა, დაბეჯითებით დავასკვნათ, რომ იგი აწამეს ან მას არაადამიანურად და დამამცირებლად მოეპყრნენ. მონაწილე სახელმწიფოს არაფერი წარმოუდგენია, რაც ამგვარ დასკვნას გააქარწყლებდა ან შეენინა აღმდგებოდა. კომიტეტი, დარწმუნებულია რა, რომ მრავალ ქვეყანაში გაუჩინარება ძალადობრივი ან არანებაყოფლობითი ხასიათისაა, ასკვნის, რომ ინდივიდუალურ პირთა გაუჩინარება განუყოფლად არის დაკავშირებული მოპყრობასთან, რომელიც მე-7 მუხლის დარღვევის ტოლფასია.

6. ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტს, მოქმედებს რა სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის ფაკულტატური ოქმის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, მიაჩნია, რომ კომიტეტის მიერ დადგენილი ფაქტები ავლენს მონაწილე სახელმწიფოს მიერ პაქტის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის, მე-7 მუხლის და მე-9 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევას.

7. პაქტის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, მონაწილე სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება, ავტორი უზრუნველყოს ეფექტური დაცვის საშუალებებით. კომიტეტი დაბეჯითებით სთხოვს მონაწილე სახელმწიფოს, გულდასმით გამოიძიოს რაფაელ მოჯიკას გაუჩინარების საქმე, მართლმსაჯულება განახორციელოს მის გაუჩინარებაზე პასუხისმგებელი პირების მიმართ და სათანადო კომპენსაცია გადაუხადოს მის ოჯახს.

8. კომიტეტს სურს, მონაწილე სახელმწიფოსაგან 90 დღის ვადაში მიიღოს ინფორმაცია კომიტეტის დასკვნებთან დაკავშირებით გატარებული ღონისძიებების შესახებ.

[მიღებულია ინგლისურ, ფრანგულ და ესპანურ ენებზე; ინგლისური ტექსტი არის ორიგინალური ვერსია]



# III

## ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებასთან დაკავშირებით, დაიცვას სიცოცხლე, როცა ადამიანი იღუპება ოფიციალურ დანახულებებში და გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის ცნობა 888/1999

### 1. სალმანი თურქეთის წინააღმდეგ

(განაცხადი 21986/93)

გადაწყვეტილება

სტრასბურგი

2000 წლის 27 ივნისი

#### პროცედურა

საქმისწარმოება დაიწყო კონვენციის ძველი რედაქციის მე-19 მუხლის საფუძველზე, ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ კომისიაში („კომისია“) 1999 წლის 7 ივნისს, 3 თვიანი პერიოდის განმავლობაში, როგორც ეს დადგენილი იყო კონვენციის ძველი რედაქციის 32 § 1 და 47-ე მუხლებით. წარმოება დაიწყო განაცხადით (no. 21986/93), რომელიც 1993 წლის 20 მაისს თურქეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ კონვენციის ძველი რედაქციის 25-ე მუხლის საფუძველზე თურქეთის მოქალაქე ქალბატონმა ბეჰია სალმანმა შემოიტანა.

#### საქმის ფაქტობრივი მხარე

**(კომისიის მიერ დადგენილი ფაქტების მოკლე, არაოფიციალური ვერსია)**

რამდენადაც განმცხადებლის მეუღლის აგიტ სალმანის დაკავებასა და შემდგომ სიკვდილთან დაკავშირებული ფაქტები დაუდგენელი იყო, კომისიამ მხარეთა დახმარებით ჩაატარა გამოძიება.

აგიტ სალმანი, 45 წლის მძღოლი, ქურთმშრომელთა პარტიასთან თანამშრომლობის ბრალდებით მეორედ დააკავეს 1992 წლის 28 აპრილს. მას ბრალდებოდა ნავროზის დღესასწაულში მონაწილეობა და ცეცხლის გახსნა უშიშროების ძალებისთვის, რის შედეგადაც დაიღუპა ერთი კაცი და დაიჭრა რამდენიმე. 29 აპრილს, ლამის პირველი საათისთვის ზედამხედველმა ოფიცრებმა შეატყობინა, რომ აგიტ სალმანი ცუდად გრძნობდა თავს. ის გადაიყვანეს საავადმყოფოში, მაგრამ, ექიმის დასკვნით, საავადმყოფოში მიყვანამდე დაახლოებით 15 წუთით ადრე ის გარდაცვლილი იყო.

გაკვეთის შედეგების თანახმად, კოჭზე რამდენიმე ახალი მცირე სისხლჩაქცევის და მკერდზე ძველი, მონითალო სისხლჩაქცევის გარდა, გარდაცვლილს დაზიანება არ აღენიშნებოდა. სასამართლომ მის სიკვდილში ბრალდებული ოფიცრები გაამართლა, ვინაიდან მიიჩნია, რომ იგი დაიღუპა გულის დაავადებისგან და არ

დგინდებოდა, რომ ბრალდებულმა პირებმა მის მიმართ წამების ან იძულების რაიმე მეთოდი გამოიყენეს.

კომისიამ დაადგინა, რომ გარდაცვლილს აღენიშნებოდა ჩაქცევები და ნაჭდევები მარცხენა კოჭზე, ასევე, ჩაქცევა და გასივება მარცხენა ფეხის ტერფზე, რაც არ შეიძლებოდა შემთხვევით ყოფილიყო გამოწვეული. აღნიშნული ნიშნები დამახასიათებელია „ფალაკას“ მეთოდისთვის (ფეხის გულელებში ცემა). მკერდზე არსებული სისხლჩაქცევის ასაკი არ განსაზღვრულა რაიმე აკურატული ჰისტოპათოლოგიური საშუალებით და არ შეიძლება იმის მტკიცება, რომ ის არ იყო დაკავშირებული გატენილ მკერდის ძვალთან. კომისია არ მიიჩნევს, რომ ეს დაზიანებები გაჩნდა გულის მასაჟის შედეგად, ვინაიდან პირველად კარდიალური მასაჟის ვერსია საქმეში გაჩნდა ოთხი წლის მერე, კომისიის დელეგატებისთვის მიცემულ ჩვენებებში. ზემოთქმულის გათვალისწინებით, კომისიამ დაასკვნა, რომ აგიტ საღმანი დაკითხვის დროს დაექვემდებარა წამებას, რამაც გამოიწვია გულის შეტევა, რის შედეგადაც იგი გარდაიცვალა.

## სასამართლოსადმი წარღვნილი საპოლო დასაბუთება

77. თავის წარდგინებაში განმცხადებელი სასამართლოს სთხოვდა, დაედგინა მოპასუხე მთავრობის მიერ კონვენციის მე-2, მე-3, მე-13 მუხლების და ძველი რედაქციის 25 § 1 მუხლის დარღვევა. მან ასევე სასამართლოს სთხოვა კონვენციის 41-ე მუხლით გათვალისწინებული სამართლიანი დაკმაყოფილება.

18. მთავრობამ სასამართლოს სთხოვა საქმის შეწყვეტა დაუშვებლობის მოტივით, ვინაიდან განმცხადებელმა არ ამოწურა ქვეყნის შიდა სამართლებრივი დაცვის საშუალებები. ისინი ამტკიცებდნენ, რომ განმცხადებლის საჩივარი არ იყო გამყარებული მტკიცებულებით.

## II. ფაქტების სასამართლო შეფასება

90. მხარეთა შორის სადავო ფაქტები მჭიდროდაა დაკავშირებული სახელმწიფოს ვალდებულებასთან აგიტ საღმანის პოლიციაში დაკავებისას მოპყრობისა და სიკვდილის საკითხებთან დაკავშირებით. სასამართლო იკვლევს ერთობლივად ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებს, ვინაიდან ისინი შეესაბამება განმცხადებლის საჩივარს კონვენციის მე-2, მე-3 და მე-13 მუხლებით.

## III. კონვენციის მე-2 მუხლის სავარაუდო დარღვევის შესახებ

91. განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ მისი ქმარი აგიტ საღმანი დაიღუპა პოლიციის ოფიცერთა ცუდი მოპყრობის შედეგად ადანის უშიშროების დირექტორატში. იგი ასევე ჩიოდა, რომ არ მომხდარა სიკვდილის გარემოებათა ეფექტური გამოძიება და ამტკიცებდა, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევას.

92. მთავრობა სადავოდ ხდიდა ამ მტკიცებას. კომისიის მოსაზრებით, მე-2 მუხლი დაირღვა იმ საფუძვლით, რომ აგიტ საღმანის სიკვდილი გამოიწვია პოლიციაში ყოფნისას მისმა წამებამ და ასევე იმან, რომ ხელისუფლების წარმომადგენლებმა არ განახორციელეს ადეკვატური სისხლისსამართლებრივი გამოძიება მისი სიკვდილის გარემოებებთან დაკავშირებით.

## სასამართლოს წინაშე გამოსულ პირთა განცხადებები

### 1. განმცხადებელი

93. განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ მისი ქმარი დაკავების პერიოდში მოკლეს. სამედიცინო მტკიცებულების თანახმად, ის გახდა ძალის გამოყენების მსხვერპლი, რამაც გამოიწვია გულის გაჩერება. ხელისუფლების წარმომადგენლებმა ვერ წარმოადგინეს რაიმე დამაკმაყოფილებელი განმარტება აგიტსალმანის სიკვდილის მიზეზთან დაკავშირებით. ნაცვლად ამისა, მათ შეთხზეს ისტორია, რომლითაც სიმართლის დამალვას ცდილობდნენ. ქვრივი ამტკიცებდა, რომ როდესაც პირი დააკავეს ჯანმრთელი და შემდეგ გარდაიცვალა, სიკვდილის ფაქტზე პასუხისმგებლობა, გონივრული განმარტების წარმოდგენლობის შემთხვევაში, უნდა დაეკისროს ხელისუფლების წარმომადგენლებს. მსგავსი განმარტება არ გაკეთებულა გარდაცვლილის მკერდზე არსებული სისხლნაჟღენთის, მკერდის ძვლის მოტეხილობის და მარცხენა ფეხის დაღურჯების, მარცხენა ხელისგულსა და ილიაში არსებული ჭრილობების გამო.

94. განმცხადებელმა ასევე სთხოვა სასამართლოს, დაედასტურებინა კომისიის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევას, ვინაიდან მისი ქმრის სიკვდილის ფაქტის გამოძიება იყო იმდენად არაადეკვატური და არაეფექტური, რომ ეწინააღმდეგებოდა სიცოცხლის უფლების დაცვის გარანტიებს. კერძოდ, გამოძიება არაეფექტური იყო აგიტსალმანთან დაკავშირებით საჭირო სამედიცინო მტკიცებულების წარმოდგენისას. მაგალითად, არ არსებობდა სისხლნაჟღენთების ჰისტოპათოლოგიური ანალიზი და რაიმე სასამართლო-სამედიცინო ფოტო, როგორც ეს დადგენილია გაეროს სამოძრაო გვამის გამოკვლევის ოქმის რეკომენდაციებით (იხ. 73-74 პუნქტები). ორივე ექიმმა, დოქტორმა შენმა და სტამბულის სასამართლო-სამედიცინო კვლევის ინსტიტუტმა წარმოადგინეს სუბიექტური დასკვნა ისე, რომ არ მიაჩნოთ საკმარისი ყურადღება შესაძლო მიზეზებს, რაც უარყოფითად იმოქმედებდა ხელისუფლების წარმომადგენლების რეპუტაციაზე. პროკურორებმა ასევე არაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ გადაემოწმებინათ პოლიციის ოფიცერთა ჩვენებები და მოეპოვებინათ აუცილებელი მტკიცებულებები სისხლისსამართლებრივი გამოძიებისათვის.

### 2. მთავრობა

95. მთავრობა აცხადებდა, რომ განმცხადებლის მტკიცებები უსაფუძვლო იყო. გვამის გაკვეთამ და სტამბულის სასამართლო-სამედიცინო ინსტიტუტის დასკვნამ აჩვენა, რომ აგიტსალმანის სიკვდილის მიზეზი გულის გაჩერება გახდა, რაც გამოიწვია მღელვარებამ მისი აყვანისა და დაკავების გამო. საკანში ის უჭაერობას უჩიოდა და პოლიციის ოფიცრებმა საავადმყოფოში გადაიყვანეს. ისინი მისთვის ხელოვნური სუნთქვის ჩატარებას ცდილობდნენ, რამაც გულის ფიცრის მოტეხილობა გამოიწვია. მტკიცება, რომ ის წამების მსხვერპლი იყო, დაუსაბუთებელია და ეყრდნობა არასარწმუნო ფოტოებსა და ექიმთა სპეკულაციას, რომელთაც არც კი გამოუკვლევიათ სხეული. მთავრობა აცხადებდა, რომ სტამბულის სასამართლო-სამედიცინო ინსტიტუტი უმაღლესი პროფესიული დონის ორგანიზაცია იყო და მისი დასკვნა არ შეიძლებოდა სადავო გამხდარიყო.

96. მთავრობა ამტკიცებდა, რომ გამოძიება იყო ადეკვატური და ეფექტური. ჩვენებები ყველა შესაბამის მონმესა და ხელისუფლების წარმომადგენელს ჩამოართვეს და ყველა აუცილებელი სამედიცინო და სასამართლო-სამედიცინო გამოკვლევა ჩატარდა. მათ შორის, გადამოწმდა სიკვდილის მიზეზი საექსპერტო დასკვნის საფუძველზე, რომელიც გასცა სტამბულის სასამართლო-სამედიცინო

ინსტიტუტმა. იუსტიციის სამინისტრომ საქმე საკასაციო სასამართლოში გადაგზავნა, რომელმაც გააუქმა გადაწყვეტილება პოლიციის ოფიცერთა მსჯავრდებისგან გათავისუფლების შესახებ და საქმე ხელახალი განხილვისათვის დააბრუნა. საქმე განიხილა სასამართლომ, რომელმაც გაამართლა პოლიციის ოფიცრები. ამრიგად, განხორციელდა ყველა აუცილებელი ქმედება ინციდენტის გამოსაძიებლად.

## B. სასამართლოს შეფასება

### 1. აგიტ სალმანის სიკვდილი

97. მე-2 მუხლი, რომელიც იცავს სიცოცხლის უფლებას და ადგენს გარემოებებს, როდესაც სიცოცხლის ხელყოფა შეიძლება გამართლებულად ჩაითვალოს, წარმოადგენს კონვენციის ერთ-ერთ ყველაზე ფუნდამენტურ დებულებას, რომლისგან გადახვევაც დაუშვებელია. მე-3 მუხლთან ერთად, ის ასევე ადგენს ევროსაბჭოს ქვეყნების დემოკრატიული საზოგადოების ძირითად ფასეულობებს. ამრიგად, გარემოებები, როდესაც სიცოცხლის ხელყოფა შეიძლება გამართლებულად ჩაითვალოს, მეტისმეტად მკაცრად შეზღუდული. კონვენციის, როგორც კერძო პირთა დაცვის ინსტრუმენტის, მიზანი და ამოცანა მოითხოვს, მე-2 მუხლი განიმარტოს და გამოყენებულ იქნეს იმგვარად, რომ იყოს პრაქტიკული და ეფექტური (იხ. მაკკენი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, 1995 წლის 27 სექტემბრის გადაწყვეტილება Series A no. 324, გვ. 45-46, §§ 146-47).

98. მთლიანობაში წაკითხული მე-2 მუხლის ტექსტი ადასტურებს, რომ იგი მოიცავს არა მხოლოდ განზრახ მკვლელობას, არამედ გარემოებებს, როდესაც ნებადართულია „ძალის გამოყენება“, რასაც შეიძლება მოჰყვეს გაუფრთხილებელი შედეგი სიცოცხლის ხელყოფის სახით. სასიკვდილო ძალის განზრახ გამოყენება არის ერთი ფაქტორი, რომელიც უნდა გავითვალისწინოთ აუცილებლობის შეფასებისას. ძალის ნებისმიერი გამოყენება უნდა იყოს „აბსოლუტურად აუცილებელი“ ერთი ან მეტი მიზნის მისაღწევად, რაც ჩამოთვლილია აღნიშნული მუხლის „ა“-„გ“ პუნქტებში. აღნიშნული განმარტების თანახმად, აუცილებლობის უფრო მეტად მკაცრი და ზუსტი ტესტი უნდა იყოს გამოყენებული იმის განსასაზღვრავად, თუ რამდენად იყო სახელმწიფოს ქმედება „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“ კონვენციის 8-11 მუხლების I პარაგრაფის შესაბამისად. გამომდინარე აქედან, გამოყენებული ძალა უნდა იყოს მკაცრად პროპორციული ნებადართული მიზნის მისაღწევად (იხ. მაკკენი და სხვების გადაწყვეტილება, გვ. 46, §§ 148-49).

99. მე-2 მუხლის დაცვის მნიშვნელობის ფონზე, სასამართლომ უნდა განახორციელოს სიცოცხლის აღკვეთასთან დაკავშირებულ გარემოებათა ძალიან დეტალური განხილვა. მხედველობაში მიიღოს არა მარტო სახელმწიფოს წარმომადგენელთა ქმედებანი, არამედ, ასევე, საქმესთან დაკავშირებული ყველა გარემოება. დაკავებული პირები უმწეო მდგომარეობაში არიან და ხელისუფლების წარმომადგენლებს ეკისრებათ ვალდებულება, დაიცვან ისინი. ამრიგად, თუკი პირი პოლიციაში დააკავეს ჯანმრთელ მდგომარეობაში და ის აღმოჩნდა დაზიანებული გათავისუფლებისას, სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება, წარმოადგინოს გონივრული განმარტება, თუ რის გამო მიაღდა მას ეს დაზიანებები (იხ. სელმუნი საფრანგეთის წინააღმდეგ [GC], no. 25803/94, § 87, ECHR 1999-V). ხელისუფლების წარმომადგენლებზე დაკისრებული ვალდებულება, პასუხი აგონ დაკავებული პირის მოპყრობაზე, განსაკუთრებით მკაცრია პირის გარდაცვალების შემთხვევაში.

100. მტკიცებულებების შეფასებისას, სასამართლო, ზოგადად, იყენებს მტკიცების ზოგად სტანდარტს „გონივრული ეჭვის მიღმა“ (იხ. ირლანდია გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, 1978 წლის 18 იანვარი, Series A no. 25, გვ. 64-65, § 161). თუმცა, ასეთად შეიძლება ჩაითვალოს ცხადი, თანმიმდევრული და უდავო მტკიცებულებათა ერთობლიობა ან მისი პრეზუმფცია. იქ, სადაც სადავო მოვლენები სრულად ან დიდწილად ხვდება ექსკლუზიურად ხელისუფლების წარმომადგენელთა (კონდის სფეროში, როგორც ეს ხდება საქმეში, სადაც პირები იყვნენ პატიმრობაში, ფაქტების მკაცრი პრეზუმფცია იწყებს მოქმედებას დაშავებულთა ან მათი ნათესავების სასარგებლოდ. მართლაც, მტკიცების ტვირთი ეკისრება ხელისუფლების წარმომადგენლებს, რათა მათ წარმოადგინონ დამაკმაყოფილებელი და სარწმუნო განმარტება მომხდართან დაკავშირებით.

101. სასამართლოს დადგენილებით, კომისიის მიერ ფაქტების შეფასება ნათელს ხდის, რომ აღნიშნული საქმე შეესაბამება ზემოაღნიშნულ პრინციპებს.

102. აგიტ სალმანი დააკავეს აშკარად ჯანმრთელ მდგომარეობაში, ყოველგვარი წინასწარი დაზიანების ან ავადმყოფობის გარეშე. არ ყოფილა წარმოდგენილი გონივრული განმარტებები მარცხენა ხელისგულზე არსებული დაზიანების, სისხლნაჟღენთების, მარცხენა ფეხზე გადატყავების, მკერდზე ნაჭდევის და მოტეხილი მკერდის ძვლის გამო. არავითარი მტკიცებულება არ ამყარებს მთავრობის დასაბუთებას, რომ გარდაცვლილს შესაძლოა დაზიანებები მიეღო დაკავების პერიოდში, ანდა თითქოს გატეხილი მკერდის ძვალი იყო გულის მასაჟის შედეგი. ექიმ კირანგელის დასკვნა იმასთან დაკავშირებით, რომ მკერდზე სისხლნაჟღენთი გაჩნდა დაკავებამდე და რომ აგიტ სალმანი მოკვდა გულის შეტევით, რაც გამონეუული იყო დაკავების სტრესითა და ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში უპაერობით, უარყოფილ იქნა პროფესორების პაუნდერის და კორდნერის მტკიცებულებით. ეთანხმებოდნენ რა მტკიცებულებას უეცარი სიკვდილის, სისხლნაჟღენთებისა და გატეხილი გულის ფიცრის წარმოშობასთან დაკავშირებით, რაც შეიძლებოდა ასევე გამოენვია მკერდზე დარტყმას, კომისიამ საკმაოდ დიდი ინტერესი გამოიჩინა ექიმ კირანგელის მტკიცების მიმართ, ისევე, როგორც უყურადღებობა არ გამოუჩენია პროფესორების კორდნერისა და პაუნდერის მტკიცებულებათა მნიშვნელობისადმი. საყურადღებოაის გარემოებაც, რომ ექიმმა კირანგელიმ ხელი მოაწერა სტამბულის სასამართლო-სამედიცინო მედიცინის ინსტიტუტის დასკვნას, რომელიც განიხილებოდა კომისიის მიერ და, ამის გამო, ვერ ჩაითვლება ვერც ობიექტურად და ვერც დამოუკიდებელ დასკვნად. მტკიცება ორი პროფესორის წინასწარი შეთანხმების თაობაზე, რომელიც გაკეთდა მთავრობის წარმომადგენლის მიერ, უსაფუძვლოა.

103. სასამართლო ადგენს, რომ მთავრობამ ანგარიში არ გაუწია აგიტ სალმანის სიკვდილს, რაც გამონეუული იყო გულის გაჩერებით მისი დაკავების პერიოდში, უშიშროების დირექტორატში და, ამის გამო, მოპასუხე მთავრობას პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს მისი სიკვდილისათვის.

შესაბამისად, ადგილი ჰქონდა მე-2 მუხლის დარღვევას.

## 2. სავარაუდო არაადეკვატური გამოძიება

104. სასამართლო აღნიშნავს, რომ კონვენციის მე-2 მუხლით გათვალისწინებული სახელმწიფოს ვალდებულება, დაიცვას სიცოცხლის უფლება, იკითხება ამავე კონვენციის პირველ მუხლთან ერთობლიობაში – „დაიცვას ყველას უფლება და კონვენციის განსაზღვრული თავისუფლებანი საკუთარი იურისდიქციის ფარგლებში“ – და გულისხმობს, რომ ძალის გამოყენების შემთხვევაში, პიროვნების გარდაცვალების დროს უნდა განხორციელდეს საქმის ეფექტური



გამოძიება (იხილეთ: *mutatis mutandis*, მაკქენი და სხვების ზემოთ ციტირებული გადაწყვეტილება, გვ. 49, § 161, და კაია თურქეთის წინააღმდეგ, 1998 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილება, ანგარიშები 1998-I, გვ. 329, § 105).

105. ამასთან დაკავშირებით, სასამართლო შენიშნავს, რომ ზემოაღნიშნული ვალდებულება გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც ცხადია, რომ მკვლელობა მოხდა სახელმწიფოს წარმომადგენელთა მიერ. განმცხადებელმა და გარდაცვლილის მამამ ფორმალური საჩივარი შეიტანეს კომპეტენტური საგამოძიებო ორგანოების წინაშე და ამტკიცებდნენ, რომ ეს იყო წამების შედეგი. უფრო მეტიც, თავად ფაქტი იმის თაობაზე, რომ ხელისუფლების წარმომადგენლები ინფორმირებულნი იყვნენ დაკავების დროს აგიტ სალმანის სიკვდილის თაობაზე, *ipso facto* წარმოშობდა მე-2 მუხლით აღიარებულ ვალდებულებას მკვლელობის გარემოებათა ეფექტური გამოძიების თაობაზე (იხ. *mutatis mutandis*, ერგი თურქეთის წინააღმდეგ, 1998 წლის 28 ივლისი გადაწყვეტილება, ანგარიშები 1998-IV, გვ. 1778, § 82; და იაშას გადაწყვეტილება, გვ. 2438, § 100). ეს მოიცავს შემთხვევებს, როდესაც აუცილებელია გვამის გაკვეთა, სადაც გამოვლინდება ცუდი მოპყრობის სრული და დეტალური ნიშნები, მოხდება დაზიანებათა კლინიკური და სიკვდილის მიზეზის ობიექტური ანალიზი.

106. თუკი განვიხილავთ საქმის ცალკეულ გარემოებებს, სასამართლო მიიჩნევს, რომ გვამის გაკვეთა უკიდურესად მნიშვნელოვანი იყო აგიტ სალმანის სიკვდილის ფაქტის გამოსაკვლევად. სირთულე, რომელსაც კომისია წააწყდა ამ ფაქტების დადგენისას და ელემენტები, რომლებზეც მხარეები ჯერ კიდევ სასამართლოს წინაშე კამათობდნენ, ძირითადად სიკვდილის შემდგომ არასრული სამედიცინო გამოკვლევის შედეგია. კერძოდ, სხეულის შესაბამისი სასამართლო-სამედიცინო ფოტოების, ასევე, გაკვეთისა და დაზიანებათა ჰისტოპათოლოგიური ანალიზის არარსებობა და სხეულზე აღმოჩენილი ნიშნები ხელს უშლიდა წარმოშობის მიზეზის გარკვევასა და დროის ზუსტი ანალიზის ჩატარებას, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა იმის დასადგენად, გამოიწვია თუ არა აგიტ სალმანის სიკვდილი ცუდმა მოპყრობამ და მოხდა თუ არა ეს მის სიკვდილამდე ოცდაოთხი საათის განმავლობაში. დოქტორ შენის არაკვალიფიციური დასკვნა იმის თაობაზე, რომ გატეხილი გულმკერდის ძვალი გულის მასაჟმა გამოიწვია, წარმოდგენილი იყო ყოველგვარი გადამონშების გარეშე და შექმნილ ვითარებაში ბუნდოვანს ხდიდა საკითხს. დასკვნაში აღნიშნული იყო, რომ გაკვეთამ დაადასტურა აგიტ სალმანის სიკვდილი გულის შეტევით, რაც გამოიწვია უკვე არსებულმა გულის დაავადებამ და მღელვარებამ დაკავების დროს.

107. არასაკმარისი სამედიცინო მტკიცებულებები განმცხადებლის წამების თაობაზე გახდა საფუძველი 1992 წლის პროკურატურის დასკვნისა, რომლის თანახმადაც, პასუხისმგებლობა არ მიეცნენ ოფიცრები და ადანას ასიზთა სასამართლოს 1994 წლის 2 დეკემბრის გადაწყვეტილებისა, რომლითაც პოლიციის ოფიცრები გაამართლეს. სასამართლო ადგენს, რომ, გაკვეთის გამოკვლევის დეფექტებს გამო, ნებისმიერი მცდელობა, დამდგარიყო პოლიციის პასუხისმგებლობის საკითხი, იყო ფუჭი. უფრო მეტიც, ცნობილი იყო, რომ ყველა ოფიცერი, მათ შორის სამი მორიგე ოფიცერი, იმყოფებოდა კონტაქტში აგიტ სალმანთან მისი დაკავებიდან სიკვდილის მომენტამდე. არანაირი მტკიცებულება არ წარმოდგენილა ოფიცერთა ზუსტი ვინაობის დასადგენად, რომლებიც შესაძლოა უდიერად მოეპყრნენ მას.

108. ამ გარემოებებში, საკასაციო სასამართლოს საჩივარი, რომელსაც შეეძლო, მხოლოდ ხელახლა განსახილველად გადაეცა საქმე პირველი ინსტანციის სასამართლოსათვის, არ იყო ეფექტური აღნიშნულის გასარკვევად ან მტკიცებულების მოსაპოვებლად. შესაბამისად, სასამართლო ვერ დარწმუნდა, რომ

საჩივარი, რომელიც შეეძლო შეეტანა განმცხადებელს სისხლისსამართლებრივი პროცესის გასაგრძელებლად, რაიმე სახით არსებითად ასახავდა ჩატარებული გამოძიების სურათს. ამგვარად, განმცხადებელი უნდა ჩაითვალოს პირად, რომელმაც ამონურა შესაბამისი სისხლისსამართლებრივი დაცვის მექანიზმები.

109. სასამართლო ადგენს, რომ ხელისუფლებამ აგიტ სალმანის სიკვდილის გარემოებებთან დაკავშირებით ვერ უზრუნველყო ეფექტური გამოძიება. არაეფექტური აღმოჩნდა სამოქალაქო სამართლებრივი დაცვის საშუალებებიც. სასამართლო, შესაბამისად, არ იღებს სახელმწიფოს მიერ წარმოდგენილი შეპასუხების სისხლის და სამოქალაქო სამართლებრივ ნაწილს და ადგენს მეორე მუხლის დარღვევას.

## V. კონვენციის მე-13 მუხლის სავარაუდო დარღვევა

118. განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ მას არ გააჩნდა ეფექტური სამართლებრივი დაცვის საშუალება, რომელიც კონვენციის მე-13 მუხლის საფუძველზე უზრუნველყოფს, რომ:

„ყველას, ვისაც დაერღვა ამ კონვენციით გათვალისწინებული უფლებები და თავისუფლებები, უნდა ჰქონდეს სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალება ეროვნული ხელისუფლებისაგან, თუნდაც ეს დარღვევა ჩაიდინოს პირმა, რომელიც სამსახურებრივ უფლებამოსილებას ახორციელებდა.“

119. მთავრობა ამტკიცებდა, რომ ინციდენტის გამოძიება და სასამართლო განხილვა წარმოადგენდა ეფექტური სამართლებრივი დაცვის საშუალებას განმცხადებლის საჩივრისათვის. უფრო მეტიც, მან პოლიციის ოფიცერთა გამამართლებელი გადაწყვეტილების არგასაჩივრებით თავადვე მოაკლო საკუთარ თავს შესაძლებლობა და, შესაბამისად, არ გამოიყენა ეფექტური სამართლებრივი დაცვის საშუალება.

120. კომისია, რომელსაც განმცხადებელი დაეთანხმა, მიიჩნევდა, რომ გამოძიება და სისხლის სამართლის სასამართლო განხილვა იყო არაეფექტური, არაადეკვატური სასამართლო-სამედიცინო გამოძიებიდან გამომდინარე. განმცხადებელი ასევე ამტკიცებდა, რომ ხელისუფლების წარმომადგენელთა მცდელობა, შეეთხზათ ამბავი იმის შესახებ, თუ რა მოხდა, აღძრავდა სერიოზულ ეჭვებს მე-13 მუხლის დარღვევის თვალსაზრისითაც.

121. სასამართლო აღნიშნავს, რომ კონვენციის მე-13 მუხლი უზრუნველყოფს ქვეყნის შიდა სამართლებრივი დაცვის საშუალების არსებობას, რათა დაცული იყოს კონვენციით უზრუნველყოფილი უფლებები და თავისუფლებები ნებისმიერი ფორმით, ქვეყნის შიდა სამართლებრივი სისტემის მეშვეობით. მიუხედავად იმისა, რომ ხელშემკვრელ სახელმწიფოებს გააჩნიათ გარკვეული დისკრეცია, თუ რა წესითა და ფორმით განახორციელებენ კონვენციის მე-13 მუხლით ნაკისრ ვალდებულებებს, უდავოა, რომ სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ქვეყნის შიდა სამართლებრივი დაცვის საშუალების არსებობა, რომელიც შეძლებს „სადავო საჩივარი“ არსებითად გადაწყვიტოს და მიანიჭოს შესაბამისი კომპენსაცია. მე-13 მუხლის ვალდებულებათა ფარგლები იცვლება როგორც პრაქტიკის, ისე კანონის ბუნების მიხედვით. კერძოდ, მე-13 მუხლით მოთხოვნილი დაცვის საშუალება უნდა იყოს ეფექტური როგორც პრაქტიკაში, ისე კანონით, განსაკუთრებით, თუკი გავითვალისწინებთ, რომ მის განხორციელებას არ უნდა შეექმნეს გაუმართლებელი საფრთხე ხელისუფლების წარმომადგენელთა ქმედებით ან უმოქმედობით (იხ. ზემოთ ციტირებული აკსოი, გვ. 2286, § 95; 1997 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილება აიდინი თურქეთის წინააღმდეგ, ანგარიშები 1997-VI,

გვ. 1895-96, § 103; და კაიას ზემოთ ციტირებული გადაწყვეტილება, გვ. 329-30, § 106).

მე-13 მუხლის ფუნდამენტური მნიშვნელობის გათვალისწინებით სიცოცხლის უფლება კომპენსაციის გადახდასთან ერთად მოითხოვს დეტალური და ეფექტური გამოძიების ჩატარებას, რომელიც უზრუნველყოფს დამნაშავეთა დადგენასა და დასჯას სიცოცხლის ხელყოფისათვის და მოიცავს მომჩივნის მიერ გამოძიების პროცედურის ეფექტურ ხელმისაწვდომობას (იხ. კაია თურქეთის წინააღმდეგ, გვ. 330-31, § 107).

122. წინამდებარე საქმეში არსებული მტკიცებულებების საფუძველზე, სასამართლო ადგენს, რომ მოპასუხე მთავრობა პასუხისმგებელია კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლების დარღვევისათვის, განმცხადებლის ქმრის წამებისა და პატიმრობაში სიკვდილისათვის. განმცხადებლის საჩივარი, ამ თვალსაზრისით, „სადავო“ მე-13 მუხლთან მიმართებით (იხ. ბოილი და რაისი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, 1988 წლის 27 აპრილის გადაწყვეტილება, სერიები A no. 131, გვ. 23, § 52; და კაია და იაშას გადაწყვეტილებები, გვ. 330-31, § 107 და გვ. 2442, § 113).

123. ხელისუფლების წარმომადგენლებს ეკისრებოდათ ვალდებულება, ეწარმოებინათ ეფექტური გამოძიება განმცხადებლის ქმრის სიკვდილის ფაქტთან დაკავშირებით. ზემოაღნიშნული მიზეზების გამო (იხ. 104-109 პუნქტები), არავითარი სისხლისსამართლებრივი გამოძიება არ ჩაითვლება სრულყოფილად მე-13 მუხლის მიხედვით, რომლის მოთხოვნები შეიძლება უფრო ფართო იყოს, ვიდრე გამოძიების ვალდებულება მე-2 მუხლით (ზემოთ ციტირებული კაიას გადაწყვეტილება, გვ. 330-31, § 107). სასამართლო ადგენს, რომ განმცხადებელს უარი ეთქვა ეფექტური დაცვის საშუალებაზე მისი ქმრის სიკვდილის საქმეზე და, შესაბამისად, სხვა შესაძლო დაცვის საშუალებებზეც, კომპენსაციის მოთხოვნის ჩათვლით.

შესაბამისად, ადგილი აქვს კონვენციის მე-13 მუხლის დარღვევას.

## **VI. კონვენციის მე-2, მე-3 და მე-13 მუხლების დარღვევის სავარაუდო პრაქტიკა**

124. განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ თურქეთში არსებობდა კონვენციის მე-2, მე-3 და მე-13 მუხლების დარღვევის წამახალისებელი პრაქტიკა, რომელიც ამძიმებდა მისი და მისი ქმრის, როგორც მსხვერპლების, მდგომარეობას. მიუთითებდა რა სამხრეთ-აღმოსავლეთ თურქეთის ტერიტორიაზე სხვა საქმეებზე, სადაც კომისიამ და სასამართლომ ასევე დაადგინეს ამ მუხლების დარღვევა, განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ ის ავლენდა ხელისუფლების წარმომადგენელთა მხრიდან ადამიანის უფლებათა მძიმე დარღვევებისა და სამართლებრივი მისაგებლის არარსებობის მაგალითს.

## **VIII. კონვენციის 41-ე მუხლის გამოყენება**

134. კონვენციის 41-ე მუხლის თანახმად:

„თუ სასამართლო დაასკვნის, რომ დაირღვა კონვენციით ან მისი ოქმებით გათვალისწინებული უფლება, ხოლო შესაბამისი მაღალი ხელშემკვრელი მხარის შიდასახელმწიფოებრივი სამართალი დარღვევის მხოლოდ ნაწილობრივ გამოსწორების შესაძლებლობას იძლევა, საჭიროების შემთხვევაში, სასამართლო დაზარალებულ მხარეს სამართლიან დაკმაყოფილებას მიაკუთვნებს.“

## A. მატერიალური ზიანი

135. განმცხადებელი კომპენსაციის სახით მოითხოვდა 39,320,64 გირვანქა სტერლინგს, როგორც დაკარგულ შემოსავალს. ის ამტკიცებდა, რომ მისი ქმარი, რომელიც მუშაობდა ტაქსის მძღოლად და იყო 45 წლის, თვეში იღებდა 242,72 გირვანქა სტერლინგის ეკვივალენტს. აღნიშნული ციფრი მიღებულია თურქეთში საშუალო სიცოცხლის ხანგრძლივობის გათვალისწინებით.

136. მთავრობამ არ წარმოადგინა არანაირი დასაბუთება ამასთან დაკავშირებით, უარყო რა ნებისმიერი დარღვევა, რომელიც სამართლიან დაკმაყოფილებას იმსახურებდა.

137. განმცხადებლის საჩივრის იმ ნაწილთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა დაკარგულ შემოსავალს, სასამართლოს პრეცედენტული სამართალი ადგენს, რომ უნდა არსებობდეს ცხადი მიზეზობრივი კავშირი მოთხოვნილ ზიანსა და კონვენციის დარღვევას შორის და, ასეთის შემთხვევაში, შეიძლება გაიცეს შესაბამისი კომპენსაცია (იხ. სხვა გადაწყვეტილებებს შორის, ბარბერია, ნესაჟი და ჰაბარდო ესპანეთის წინააღმდეგ, 1994 წლის 13 ივნისის გადაწყვეტილება (50-ე მუხლი), სერიები A no. 285-C, გვ. 57-58, §§ 16-20; და ჯაკიჩი თურქეთის წინააღმდეგ [GC], no. 23657/94, § 127, ECHR 1999-IV). სასამართლო ადგენს (იხ. პუნქტი 103), რომ ხელისუფლების წარმომადგენლები პასუხისმგებლები იყვნენ აგიტ სალმანის სიკვდილის გამო. ამ გარემოებებში არსებობდა პირდაპირი მიზეზობრივი კავშირი მე-2 მუხლის დარღვევასა და მისი ქვრივისა და შვილების მიერ ფინანსური წყაროს დაკარგვას შორის, რომლებიც მის კმაყოფაზე იყვნენ. სასამართლო აღნიშნავს, რომ მთავრობას არ უდავია განმცხადებლის მიერ მოთხოვნილი თანხის გამო. შესაბამისად, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი დეტალური დასაბუთების გათვალისწინებით, რომელიც შეეხებოდა თანხის ოდენობას, სასამართლო ანიჭებს განმცხადებელს მატერიალური ზიანისათვის 39,320,64 გირვანქა სტერლინგს, გადაყვანილს თურქულ ლირებში გადახდის თარიღის მიხედვით.

## B. მორალური ზიანი

138. დარღვევათა სისასტიკისა და რაოდენობის გათვალისწინებით, განმცხადებელი არამატერიალური ზიანის საკომპენსაციოდ ითხოვდა 60,000 გირვანქა სტერლინგს მისი ქმრისათვის, ხოლო 10,000 გირვანქა სტერლინგს – თავისთვის.

139. მთავრობას არ წარმოუდგენია არავითარი დასაბუთება გასაჩივრებულ თანხებთან დაკავშირებით. მათ უარყვეს დარღვევების არსებობა, რომლებიც სამართლებრივ დაკმაყოფილებას იმსახურებდა.

140. სასამართლო აღნიშნავს, რომ მან დაადგინა ხელისუფლების წარმომადგენელთა პასუხისმგებლობა განმცხადებლის ქმრის სიკვდილისათვის და ასევე ის, რომ სიკვდილამდე იგი პოლიციაში აწამეს. მე-2 და მე-3 მუხლების დარღვევების გარდა, სასამართლომ აგრეთვე დაადგინა, რომ ხელისუფლებამ ვერ უზრუნველყო ეფექტური გამოძიება და სამართლებრივი დაცვის საშუალება, რაც ეწინააღმდეგებოდა კონვენციის მე-2 მუხლის პროცედურულ და მე-13 მუხლით ნაკისრ ვალდებულებებს. გარდა ამისა, განმცხადებელი გახდა შეურაცხყოფის მსხვერპლი, როცა ცდილობდა გასაჩივრებას. ამ გარემოებებისა და შესაბამის საქმეებში მინიჭებული კომპენსაციის ოდენობის გათვალისწინებით, სასამართლო, ობიექტურობის საფუძველზე, არამატერიალური ზიანისათვის ანიჭებს 25,000 გირვანქა სტერლინგს აგიტ სალმანს, რათა აღნიშნული თანხა გადაეცეს მის მეუღლეს, როგორც განმცხადებელს, ხოლო 10,000 გირვანქა სტერლინგს – თვით განმცხადებელს. ამ თანხის კონვერტირება უნდა მოხდეს თურქულ ლირაში, გადახდის მომენტისათვის არსებული კურსის შესაბამისად.

კონვენციის 45,2 მუხლის და სასამართლოს წესების 74,2 წესის შესაბამისად, გადაწყვეტილებას თან ერთვის შემდეგი განსხვავებული მოსაზრებები:

ა. ქალბატონი გრივის განსხვავებული მოსაზრება, რომელსაც შეუერთდა ბატონი ბონელო.

ბ. გიუჯუკლუს განსხვავებული მოსაზრება.



## 2. ანგელოვა ბულგარეთის წინააღმდეგ

(განაცხადი N 38361/97)

გადაწყვეტილება

სტრასბურგი

13 ივნისი 2002 წელი

საბოლოო

### პროცედურა

საქმის წარმოება დაიწყო განაცხადით (N. 38361/97), რომელიც 1997 წლის 2 სექტემბერს ადამიანის უფლებათა ევროპულ კომისიაში („კომისია“), ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის („კონვენცია“) 25-ე მუხლის შესაბამისად, შემოიტანა ბულგარეთის მოქალაქე ასია ანგელოვამ („განმცხადებელი“).

### ფაქტობრივი მხარე

#### (მოკლე, არაოფიციალური ვერსია)

საქმე ეხება განმცხადებლის ვაჟის, 17 წლის ანგელ ზაბჩეკოვის გარდაცვალებას 1996 წლის 29 იანვარს რაზგრადის (ბულგარეთი) პოლიციის განყოფილებაში, მისი ქურდობის ბრალდებით დაკავების შემდეგ.

1996 წლის 28 იანვარს, გვიან ღამით, ბატონი ზაბჩეკოვი ოჯახის წევრებთან და მეგობრებთან ერთად სვამდა ბარში. ახლობლები ამტკიცებდნენ, რომ ის კარგად გრძნობდა თავს და არანაირი დაზიანება არ ჰქონდა, როცა იგი უკანასკნელად ნახეს 11-ის ნახევრიდან 12-ის ნახევრამდე.

შუალამის შემდეგ ახლომდებარე სახლში მცხოვრებმა ქალბატონებმა დაინახეს, როგორ მოძრაობდა ბატონი ზაბჩეკოვი მანქანების გარშემო და რაღაცას აკეთებდა. მათი შეფოთების გამო საქმეში ჩაერთო სერჟანტი მუსტაფოვი, რომელიც იმ მომენტში არ ასრულებდა სამსახურებრივ მოვალეობას. სერჟანტი დაედგინა ზაბჩეკოვს. მოგვიანებით იგი ამტკიცებდა, რომ ზაბჩეკოვი რამდენჯერმე დაეცა სახით, როდესაც მისგან თავის დაღწევას ცდილობდა. ღამის პირველ საათამდე ბატონი ზაბჩეკოვი დააკავეს და წაიყვანეს პოლიციის განყოფილებაში. ღამის 3 საათის შემდეგ განყოფილებაში მყოფმა პირებმა დაკავებაზე პასუხისმგებელ პოლიციელებს, რომლებიც ამ დროს პატრულირებას ახორციელებდნენ, აცნობეს, რომ ბატონი ზაბჩეკოვის ჯანმრთელობის მდგომარეობა უარესდებოდა. ისინი დაბრუნდნენ პოლიციის განყოფილებაში, რათა ენახათ, რა ხდებოდა. შემდეგ წავიდნენ საავადმყოფოში და დაბრუნდნენ სასწრაფო დახმარების მანქანასთან ერთად. ბატონი ზაბჩეკოვი გადაიყვანეს საავადმყოფოში, სადაც, დაახლოებით 5 საათზე, იგი გარდაიცვალა.

სისხლის სამართალწარმოება დაიწყო სიკვდილის ფაქტის გამოსაძიებლად. გაკვეთის შედეგად დადგინდა, რომ სიკვდილი გამოიწვია თავის ქალის დაზიანებამ, რომელიც მან მიიღო სიკვდილამდე დაახლოებით 4 ან 6 საათით ადრე. მეორე სამედიცინო დასკვნის მიხედვით, დაზიანება ზაბჩეკოვმა მიიღო სიკვდილამდე დაახლოებით 10 საათით ადრე, თუმცა, ეს დასკვნა ეყრდნობოდა მხოლოდ დოკუმენტურ მტკიცებულებებს. ამ დასკვნის საფუძველზე, გამოძიება შეწყდა,

რადგანაც დადგინდა, რომ არ არსებობდა რაიმე მიზეზობრივი კავშირი პოლიციის მოქმედებებსა და ზაბჩეკოვის სიკვდილს შორის. განმცხადებლის მიერ წარმოების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების გასაჩივრებას წარმატება არ მოჰყოლია.

## სამართლებრივი მხარა

### I. კონვენციის მე-2 მუხლის სავარაუდო დარღვევის თაობაზე

102. განმცხადებელი ამტკიცებს, რომ მისი შვილი გახდა არაადამიანური და ღირსების დამამცირებელი მოპყრობის მსხვერპლი და გარდაცვალა პოლიციის თანამშრომლების მიერ მიყენებული ჭრილობების შედეგად, ვინაიდან საპყრობილეში ყოფნისას ის არ უზრუნველყვეს დროული სამედიცინო დახმარებით, ხოლო სახელმწიფოს წარმომადგენლებმა არ გამოიძიეს აღნიშნული ფაქტი სრულად და ეფექტურად.

### A. იყო თუ არა ბ-ნი ზაბჩეკოვის სიკვდილი მის მიმართ პოლიციის განყოფილებაში არაადამიანური მოპყრობის შედეგი

#### 1. მხარეთა პოზიციები

##### (ა) განმცხადებელი

103. განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ სახელმწიფოს მიერ წარმოდგენილი ახსნა-განმარტება ორ ძირითად არგუმენტთან დაკავშირებით, თითქოს ბ-ნმა ზაბჩეკოვმა თავის ქალის მომაკვდინებელი დაზიანება მიიღო მის დაკავებამდე დიდი ხნით ადრე და რომ სხეულზე არსებული ჭრილობები მიყენებულია მისი დაკავების ოპერაციის მიმდინარეობისას, არ იყო სარწმუნო, ვინაიდან ეს ვერსია ეწინააღმდეგებოდა საქმეში არსებულ მტკიცებულებებს.

104. რაც შეეხება თავის ქალის დაზიანებას, განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის მეორე დასკვნა იყო საკმაოდ არასარწმუნო, ვინაიდან ამ დასკვნით, ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე, შეიცვალა პირველ დასკვნაში მოცემული შეფასებანი. ხელისუფლების წარმომადგენლები ეფექტურად დაეყრდნენ მეორე დასკვნას და უგულებელყვეს დასკვნებს შორის არსებითი ურთიერთწინააღმდეგობის ფაქტი. მეორე დასკვნა, მომაკვდინებელი დაზიანების მიყენების დროის დადგენისას, დაეყრდნო მხოლოდ სისხლის შედედების შეფასებას, რომელიც დაფიქსირებულია გარდაცვალებიდან 6 საათში გადაღებულ ფოტოებზე.

ვარაუდი იმასთან დაკავშირებით, რომ ბ-ნი ზაბჩეკოვს თავის ქალის დაზიანება მიაღვა 1996 წლის 28 იანვარს, დაკავებამდე 10 საათით ადრე, დაახლოებით საღამოს 6:45სთ-ზე, განმცხადებლის მტკიცებით, იყო შეუსაბამო და საკმაოდ არარეალისტური. მსგავსი სიმძიმის დაზიანება, რომელმაც, სავარაუდოდ, გამოიწვია ბ-ნი ზაბჩეკოვის სიკვდილი, ალბათ ვერ დარჩებოდა სრულიად შეუმჩნეველი ყველა იმ ადამიანისათვის, რომლებიც მას ესაუბრნენ და თვალყურს ადევნებდნენ მთელი ამ პერიოდის განმავლობაში. უფრო მეტიც, მთავრობას არ წარმოუდგენია რაიმე სერიოზული მტკიცებულება იმ მოსაზრების გასამყარებლად, თითქოს ბ-ნი ზაბჩეკოვი იმყოფებოდა „მუდმივ ქრონიკულ, ნერვულ მდგომარეობაში“, რაც ზრდიდა იმის შესაძლებლობას, რომ მას მომაკვდინებელი დაზიანება მიეღო „ფართო, სწორ ზედაპირზე დაცემის“ შედეგად.

მთავრობის განმარტება სხვა დაზიანებებთან დაკავშირებით, რომლებიც აღმოჩნდა ბ-ნი ზაბჩეკოვის სხეულზე - მკერდზე, სახესა და მარჯვენა ხელის მტევანზე - განმცხადებლის აზრით, იყო სრულიად არასარწმუნო. მსგავსი დაზიანებები არ შეიძლება წარმოშობილიყო გაქცევისას, მინის ზედაპირზე დაცემის ან ხელბორკილების ნორმალური გამოყენების შედეგად. სინამდვილეში, აღნიშნული დაზიანებების წარმომავლობა არასდროს გამოძიებულა და მთავრობამ თვითნებურად შეიმუშავა თეორია ამ საქმეში საკუთარი ინტერესების გათვალისწინებით. რეალურად კი, ნათელი იყო, რომ დაზიანებები წარმოიშვა არაადამიანური მოპყრობის შედეგად და რამდენადაც არ არსებობს აღნიშნული მოსაზრების რაიმე გამაბათილებელი მტკიცებულება, შეიძლება იმის განცხადება, რომ ისინი მიყენებულ იქნა თავის ქალის მომაკვდინებელ დაზიანებასთან ერთად.

105. განმცხადებელი ასევე ამტკიცებს, რომ არანაირი განმარტება არ წარმოდგენილა პოლიციის თანამშრომლების საექვო საქციელთან და მათ აშკარა მცდელობასთან დაკავშირებით – გაეყალბებინათ დაკავების სარეგისტრაციო მონაცემები.

(ბ) მთავრობა

106. მთავრობამ მეორე სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნაზე მითითებით განაცხადა, რომ მომაკვდინებელი დაზიანება ბ-ნ ზაბჩეკოვს მიაღება მის გარდაცვალებამდე 10 საათით ადრე და, შესაბამისად მანამ, სანამ ადგილი ექნებოდა მის დაპატიმრებას.

უდავო იყო, რომ ბ-ნმა ზაბჩეკოვმა მის დაკავებამდე საკმაოდ დიდი რაოდენობით ალკოჰოლი მიიღო. ის იყო ნასვამ მდგომარეობაში და ფეხზე მყარად დგომას ვერ ახერხებდა. უფრო მეტიც, არსებობდა უდავო მტკიცებულება, რომ სირბილისას ის რამდენიმეჯერ დაეცა.

მთავრობის მოსაზრებით წარმოდგენილი მტკიცებულება ნათელს ხდის, რომ დაპატიმრებისა და დაკავებისას მისი საქციელი შეესაბამებოდა „გონების დროებითი განათების“ ტიპიურ სიმპტომებს თავის ქალის დაზიანების შემდეგ, რაც ადასტურებს სამედიცინო ექსპერტების ვარაუდს მომაკვდინებელი დაზიანების მიღების დროსთან დაკავშირებით.

107. მთავრობამ მიუთითა, რომ მოწმეთა ჩვენებები ბ-ნი ზაბჩეკოვის ადგილმდებარეობასთან დაკავშირებით ურთიერთგამომრიცხველი იყო.

უფრო მეტიც, განმცხადებელმა აღნიშნა, რომ 1995 წელს მისი შვილი იყო ავად, რამდენჯერმე დაკარგა გონება და იხრჩობოდა. 1995 წელს ბ-ნმა ზაბჩეკოვმა თავად დაადასტურა, რომ მას ანუხებდა თავის ტკივილები და გულყრები. ამ საფუძველზე, მთავრობამ დაასკვნა, რომ ექსპერტიზის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ბ-ნმა ზაბჩეკოვმა მომაკვდინებელი დაზიანება მიიღო მინის მკვრივ ზედაპირზე დაცემის შედეგად, იყო სავსებით სარწმუნო.

108. მთავრობამ ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ არ არსებობდა რაიმე მტკიცებულება ზემოაღნიშნული პირის მიმართ პოლიციის განყოფილებაში არაადამიანური მოპყრობის თაობაზე. მათი მოსაზრებით, ბ-ნი ზაბჩეკოვის მკერდზე და სახეზე არსებული დაზიანებების წარმოშობის მიზეზი იყო ისევ და ისევ მინის მკვრივ ზედაპირზე დაცემა, ხოლო მის მარჯვენა მარჯაზე არსებული დაზიანება გამოწვეული იყო ხელბორკილების ჩვეულებრივი გამოყენებით.

## 2. სასამართლოს შეფასებები

### (ა) ზოგადი პრინციპები

110. კონვენციის მე-2 მუხლით უზრუნველყოფილი სიცოცხლის უფლების დაცვის მნიშვნელობის გათვალისწინებით, სასამართლო სიცოცხლის უფლების დარღვევასთან დაკავშირებულ საქმეებს მომეტებული სიფრთხილით განიხილავს, იღებს რა მხედველობაში ყველა შესაბამის გარემოებას.

თავისუფლებააღკვეთილი ადამიანები იმყოფებიან ყველაზე მონყვლად მდგომარეობაში და ხელისუფლების წარმომადგენლები ვალდებული არიან, პასუხი აგონ მათ მიმართ ნებისმიერ მოპყრობაზე. შესაბამისად, იქ, სადაც ინდივიდი მოთავსებულია პოლიციის განყოფილებაში ჯანმრთელ მდგომარეობაში, მაგრამ მოგვიანებით იღუპება, მტკიცების ტვირთი გადადის სახელმწიფოზე – წარმოადგინოს სარწმუნო განმარტება სიკვდილის გამომწვევ მიზეზებთან დაკავშირებით (იხ. *mutatis mutandis*, სელმუინი საფრანგეთის წინააღმდეგ [GC], no. 25803/94, § 87, ECHR 1999-V და ზემოთ ციტირებული სალმანი და ველიკოვა).

111. მტკიცებულების შეფასებისას, სასამართლო ადგენს მტკიცების სტანდარტს „გონივრული ეჭვის მიღმა“ (იხ. ირლანდია გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, 1978 წლის 18 იანვრის გადაწყვეტილება, სერიები A no.25, გვ.64-65, §161). თუმცა, მსგავსი მტკიცება შეიძლება წარმოდგენილი იყოს საკმარისად ძლიერი, ნათელი და თანმიმდევრული დასკვნების ერთობლიობით ან იმგვარი ფაქტების პრეზუმფციით, რომლის შემთხვევაშიც, საწინააღმდეგოს დამტკიცება არ ხერხდება. მაშინ, როდესაც განსახილველი მოვლენები სრულად ან უმეტესად ხვდება სახელმწიფოს წარმომადგენლების ექსკლუზიური ცოდნის ფარგლებში, როგორც თავისუფლებააღკვეთილი პირის მათი კონტროლის ქვეშ ყოფნისას, ძალიან სერიოზული ვარაუდი წარმოიშობა იმასთან დაკავშირებით, რომ დაზიანება ან სიკვდილი დადგა დაკავების პერიოდში. სინამდვილეში, შეიძლება ჩათვალოს, რომ მტკიცების ტვირთი ეკისრება ხელისუფლებას – წარმოადგინოს დამაკმაყოფილებელი და სარწმუნო განმარტება (იხ. ზემოთ ციტირებული სალმანი, § 100).

### (ბ) აღნიშნული პრინციპების მისადაგება წინამდებარე საქმესთან

112. სასამართლო ადგენს, რომ ბ-ნი ზაბჩეკოვი დაიღუპა მისი დაკავებიდან რამდენიმე საათში რაზგრადის პოლიციის განყოფილებაში, სადაც მისი მიიყვანეს მას შემდეგ, რაც ოფიცერმა, რომელიც იმ მომენტში არ ასრულებდა სამსახურებრივ მოვალეობას, ხანმოკლე დევნის შემდეგ დააპატიმრა იგი. მტკიცების ტვირთი ეკისრება მთავრობას და, შესაბამისად, მან უნდა წარმოადგინოს გონივრული განმარტება ბ-ნი ზაბჩეკოვის სიკვდილთან დაკავშირებით.

113. მთავრობის განმარტებით, ბ-ნი ზაბჩეკოვის სიკვდილი არ შეიძლება იქნეს ნავარაუდები, როგორც მის მიმართ პოლიციის განყოფილებაში არაადამიანური მოპყრობის შედეგი, რადგან სასამართლო-სამედიცინო დასკვნის საფუძველზე, მომაკვდინებელი თავის ქალის დაზიანება მას მიადგა გარდაცვალებამდე სულ ცოტა 10 საათით ადრე. აქედან გამომდინარე, თავის ქალის დაზიანება წარმოიშვა 1996 წლის 28 იანვარს საღამოს 7 საათამდე, მაშინ, როცა პირველი შეხლა-შემოხლა ბ-ნი ზაბჩეკოსა და პოლიციის წარმომადგენლებს შორის მოხდა 5 საათის შემდეგ.

114. სასამართლო ადგენს, რომ მეორე დასკვნაში გარდაცვალების დროის დადგენა მოხდა ფოტოებზე ასახული სისხლის შედედების ვიზუალური დათვლიერების შედეგად, რაც ფიქსირდება ბ-ნი ზაბჩეკოვის გარდაცვალებიდან 6 საათის შემდეგ გადაღებულ ფოტოებზე. ექსპერტებმა არც კი აღნიშნეს, თუ როგორ დაასკვნეს,

რომ სისხლის შედეგებულ ნაწილებს ცვლილება არ განუცდიათ ბ-ნი ზაბჩეკოვის გარდაცვალების შემდეგ. განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი სამედიცინო შეფასების თანახმად, რომელიც არ გაბათილებულა მთავრობის მიერ, მსგავს ცვლილებებს ჰქონდა ადგილი და ისინი მხედველობაში უნდა მიეღოთ.

უფრო მეტიც, მეორე სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა, რომელიც დაეყრდნო მხოლოდ დოკუმენტურ მასალებს, არსობრივად განსხვავებოდა პირველი სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნისაგან, თუმცა, სახელმწიფოს წარმომადგენლებს არ უმსჯელიათ და, შესაბამისად, არც დაუდგენიათ, თუ რატომ იყო არასწორი პირველ დასკვნაში მოცემული მონაცემები დარტყმის სიძლიერისა და თავის ქალის დაზიანების დროსთან დაკავშირებით. პირველი სამედიცინო დასკვნა, განსხვავებით მეორესაგან, ეყრდნობოდა თავად გარდაცვლილის სხეულის გამოკვლევას (იხ. ზემოთ პარ. 53-59, 70 და 72-77).

სასამართლო მიიჩნევს, რომ ყოველივე ზემოაღნიშნული ამცირებს მეორე სამედიცინო დასკვნის სარწმუნეობის ალბათობას.

115. ნათელია, რომ წინამდებარე საქმის გარკვეული ფაქტები შეიძლება აიხსნას ორაზროვნად: ბ-ნი ზაბჩეკოვის გაუაზრებელი საუბარი და მყარად დგომის შეუძლებლობა შეიძლება გახდეს საფუძველი დასკვნისათვის, რომ მას უკვე ჰქონდა მიყენებული დაზიანებები, თუმცა, იგივე არგუმენტი შეიძლება მივიჩნიოთ მისი ალკოჰოლური ინტოქსიკაციის დამადასტურებელ მტკიცებულებად (იხ. ზემოთ პარ. 11, 22, 28, 59, 60, 74, 76 და 95).

116. თუ ბ-ნი ზაბჩეკოვს ნამდვილად ჰქონდა მიყენებული დაზიანება 1996 წლის 28 იანვრის საღამოს 7 საათამდე, როგორც ეს ნავარაუდევია იყო მეორე სამედიცინო დასკვნაში, ეს უნდა ნიშნავდეს იმას, რომ იგი თავდაპირველად მოსალხენად გავიდა მეგობრებთან, გარკვეული პერიოდი დაჰყო ბარში და უკვე შემდგომ გადანყვიტა მანქანის ნაწილების მოპარვა, თუმცა, ამ დროს უკვე მიღებული ჰქონდა თავის ქალის დაზიანება. ეს ალბათ შეუძლებელია, თუნდაც მისი „გონების დროებით განათების“ გათვალისწინებით, დაზიანების მიღებისა და გარდაცვალების დადგომამდე მიმდინარე პერიოდში. კერძოდ, საეჭვო არ გამხდარა, რომ ბ-ნი ზაბჩეკოვს ჰქონდა სირბილის შესაძლებლობა, როდესაც „ც“-მ სცადა მისი დაპატიმრება და დადიოდა ჩვეულებრივად, როდესაც მიიყვანეს პოლიციის განყოფილებაში (იხ. ზემოთ პარ. 12-14, 16 და 29).

117. სასამართლო შენიშნავს, რომ პირველ სამედიცინო დასკვნაში თავის ქალის დაზიანების მიღების ყველაზე სავარაუდო დროდ მითითებულია პერიოდი გარდაცვალებამდე 4-სა და 6 საათებს შორის – შესაბამისად, პერიოდი, როდესაც ის იყო დაკავებული პოლიციის მიერ, პოლიციაში მის მიყვანამდე ან მიყვანის შემდგომ (იხ. ზემოთ პარ. 59).

უფრო მეტიც, ბ-ნი ზაბჩეკოვის სხეულზე აღინიშნებოდა სხვა დაზიანებებიც, რომელთა წარმოშობის მიზეზი შეიძლება ყოფილიყო იგივე მოვლენები, რომლებმაც გამოიწვიეს მისი თავის ქალის დაზიანება (იხ. ზემოთ პარ. 55, 56, 58, 77 და 92-94).

118. მთავრობამ განაცხადა, რომ ბ-ნი ზაბჩეკოვს შეიძლება მიეღო დაზიანებები მიწის მკვრივ ზედაპირზე დაცემის შედეგად — მანამ, სანამ ის შენიშნეს ან იდენებოდა პოლიციის მიერ – ვინაიდან იყო ნასვამ მდგომარეობაში და ჰქონდა ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები. ხოლო რაც შეეხება ანაბეჭდებს მაჯაზე, ისინი გახლდათ ხელბორკილების ნორმალური გამოყენების შედეგი.

119. ეს ვარაუდი არის გამყარებული სასამართლო-სამედიცინო მტკიცებულებით, ვინაიდან დაცემის საწინააღმდეგო მხარეს მიღებული დაზიანებების შესახებ,



რომლებიც ზოგადად დამახასიათებელია დაცემისთვის, არაფერია ნათქვამი აუტოპსიის შესახებ დოკუმენტში (იხ. ზემოთ პარ. 73 და 95).

უფრო მეტიც, სასამართლო მნიშვნელოვნად მიიჩნევს, რომ არც ერთი მონმე, რომლებსაც კავშირი ჰქონდათ განმცხადებლის შვილთან მანამ, სანამ იგი მიყვანილი იქნებოდა პოლიციის განყოფილებაში, არ აღნიშნავს, რომ გარდაცვლილის მხრიდან ადგილი ჰქონდა რაიმე ჩივილს ჯანმრთელობასთან დაკავშირებით.

რაც შეეხება ხელბორკილების გამოყენების ფაქტს, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი სასამართლო დასკვნის საფუძველზე, ხელბორკილებმა შეიძლება დატოვონ კვალი, თუ ისინი დადებულია ძალიან მჭიდროდ, ან ადგილი აქვს პიროვნების მხრიდან შეწინააღმდეგებას, ანდა ხდება მისი გათრევა ხელბორკილების მეშვეობით. გაკვეთისას აღმოაჩინეს ძალიან მცირე კვალი ბ-ნი ზაბჩეკოვის მარცხენა მარჯვნივ, ხოლო მარჯვენაზე – რამდენიმე ღრმა ნაჭდევი (იხ. ზემოთ პარ. 55, 56, 58 და 95). ამავე დასკვნაში მითითებულია, რომ გარკვეული პერიოდის განმავლობაში გარდაცვლილი ხეზე იყო მიმაგრებული. შესაბამისად, არასარწმუნოა ვარაუდი, რომ გარდაცვლილის ხელზე არსებული დაზიანებანი იყო წარმოშობილი ხელბორკილის ნორმალური გამოყენების შედეგად. გამომდინარე აქედან, თუ ვივარაუდებთ, რომ ადგილი ჰქონდა დანარჩენ ორ ფაქტს, ანუ, ბ-ნმა ზაბჩეკოვმა გამოხატა წინააღმდეგობა ან იგი გაათრიეს, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ იგი არააღამიანურ მოპყრობას დაექვემდებარა.

საბოლოოდ, სასამართლო არასარწმუნოდ და არამნიშვნელოვნად მიიჩნევს ინფორმაციას ბ-ნი ზაბჩეკოვის ავადმყოფობის შესახებ. განცხადებები ამის შესახებ გააკეთეს თავად ბ-ნმა ზაბჩეკოვმა და დედამისმა სისხლისსამართლებრივ ბრალდებასთან დაკავშირებით დაკითხვის დროს და ეს განცხადებები მაინც არაფერს ხსნის თავის ქალის ან სხვა დაზიანებების წარმოშობის მიზეზის თაობაზე (იხ. ზემოთ პარ. 96-98).

მთავრობის მიერ წარმოდგენილი მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ბ-ნმა ზაბჩეკოვმა თავის ქალა თავად დაიზიანა მინის მკვრივ ზედაპირზე დაცემის შედეგად, არასარწმუნოა, თუ ამ მტკიცებას განვიხილავთ ინციდენტთან დაკავშირებულ ყველა საკითხთან ერთობლიობაში.

120. წარმოდგენილ საქმეში მტკიცებულებათა შეფასებისას, სასამართლო განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ინფორმაციას პოლიციის თანამშრომელთა საეჭვო საქციელის თაობაზე და იმ ფაქტს, რომ სახელმწიფოს წარმომადგენლებმა სარწმუნოდ მიიჩნიეს მათ ხელთ არსებული მტკიცებულებანი მიუხედავად სერიოზული დამაეჭვებელი გარემოებებისა, რომლებიც განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებდნენ.

პოლიციის თანამშრომელთა საეჭვო საქციელის მაგალითებია: 1996 წლის 29 იანვრის დილის 3-დან 5 საათამდე, მათი მხრიდან ექიმისა და ბ-ნი ზაბჩეკოვის შეხვედრის შეფერხება და მათი მცდელობა, საკუთარი შეხედულებით შეერჩიათ ექიმი, რომელიც მას გაუწევდა დახმარებას (იხ. ზემოთ პარ. 32-40); მათი ამკარად ცრუ შეპასუხება ექიმ მიჰაილოვის კითხვაზე, რომ ბ-ნი ზაბჩეკოვი პოლიციის განყოფილებაში მიყვანილი იყო იმავე მდგომარეობაში, რომელშიც ის იმყოფებოდა დილის 5 საათზე (იხ. ზემოთ პარ. 39); და დაკავების ჩანაწერების გაყალბება (იხ. ზემოთ პარ. 41-46), რომლითაც მათ პოსტ ფაქტუმ სცადეს, ბ-ნი ზაბჩეკოვი გაეფორმებინათ, როგორც „დაუდგენელი პირი“ მიუხედავად იმისა, რომ ის კარგად იყო ნაცნობი პოლიციის თანამშრომლებისათვის მანქანის ქურდობის ბრალდების გამო და იგი იდენტიფიცირებული იქნა მათ მიერ დაკავების ოპერაციის პირველივე მომენტიდან (იხ. ზემოთ პარ. 25, 42 და 96-98).

121. ყველა შესაბამისი გარემოების გათვალისწინებით, სასამართლო არასარწმუნოდ მიიჩნევს სახელმწიფოს განმარტებას ბ-ნი ზაბჩეკოვის სიკვდილთან დაკავშირებით, რომელიც ემყარებოდა მეორე სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნას დაზიანების მიყენების დროის შესახებ და ამ დასკვნაში მოცემულ ვარაუდს, რომ ბიჭმა თავად მიიღო დაზიანება დაცემის შედეგად. მთავრობას არ წარმოუდგენია სხვა რაიმე მტკიცებულება.

122. შესაბამისად, ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევას.

## **(ბ) სამედიცინო დახმარების დროულად არ აღმოჩენის ვარაუდთან დაკავშირებით**

### **1. მხარეთა პოზიციები**

123. განმცხადებელი ამტკიცებდა – მართალია, პოლიციის თანამშრომლებმა შეამჩნიეს, რომ ბ-ნი ზაბჩეკოვი კანკალებდა, თუმცა, მათ მნიშვნელოვნად შეაფერხეს სამედიცინო ჩარევის შესაძლებლობა დილის 3-იდან და 5 საათამდე ჩადენილი მთელი რიგი საექვო ქმედებების განხორციელებით. განმცხადებლის მოსაზრებით, სავარაუდოდ, მათ სცადეს, თავიდან აეცილებინათ ნებისმიერი კონტაქტის შესაძლებლობა ბ-ნი ზაბჩეკოსა და დამოუკიდებელ ექიმს შორის, რომელსაც შეეძლო დაედგინა არაადამიანური მოპყრობის ფაქტი. მეორე მხრივ, ეს შეიძლება იყოს, უბრალოდ, დაკავებულის კეთილდღეობაზე ზრუნვის მოვალეობის დაუდევარი უგულვებლყოფის შედეგი, თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში, შეფერხება ფატალური აღმოჩნდა.

124. მთავრობის მტკიცებით, პოლიციის თანამშრომლები არ შეიძლება მიჩნეულ იქნენ პასუხისმგებლებად იმის გამო, რომ მათ ვერ გაიაზრეს დაზარალებულისთვის გადაუდებელი სამედიცინო დახმარების საჭიროება. პოლიციის თანამშრომლებმა ის პირველად სიბნელეში ნახეს. უფრო მეტიც, იგი იყო ნასვამ მდგომარეობაში, ტალახში ამოსვრილი, ხოლო მარჯვენა თვალის ზემოთ არსებულ ჩაღურჯებას თმა უფარავდა. მის მოქმედებაში აშკარა იყო ალკოჰოლური თრობის სიმპტომები. ის არ უჩიოდა ცუდად ყოფნას. ფაქტია, რომ არანაირი ნიშანი პრობლემისა არ ყოფილა შემჩნეული „გონების დროებითი განათების“ პერიოდში, რაც ასევე ფიქსირდება სამედიცინო ექსპერტის დასკვნაში.

### **2. სასამართლოს შეფასება**

125. სასამართლო ეხმიანება რა პოლიციის თანამშრომელთა საექვო ქმედების ფაქტს (იხ. ზემოთ პარ. 120), ადგენს, რომ მათ შეაყოვნეს ბ-ნი ზაბჩეკოვისთვის სამედიცინო დახმარების აღმოჩენა, რამაც ფატალური შედეგის დადგომაში გადამწყვეტი როლი ითამაშა.

126. ამასთან დაკავშირებით, მთავრობა აცხადებს, რომ პოლიციის თანამშრომლები არ იყვნენ პროფესიონალი ექიმები და, შესაბამისად, არ შეიძლება გახდნენ კრიტიკის საგანი იმის გამო, რომ ვერ დაადგინეს, რამდენად საგანგაშო იყო გარდაცვლილის ჯანმრთელობის მდგომარეობა.

127. ეს არგუმენტი მიუღებელია, რადგან აშკარაა, და ეს ფაქტი არავის უარუყვია, რომ დილის 3 საათზე ბ-ნი ზაბჩეკოვის ჯანმრთელობის მდგომარეობამ დაიწყო საგრძნობი გაუარესება. თუმცა, ამ დროს პოლიციის თანამშრომლები, სასწრაფო სამედიცინო სამსახურის გამოძახების ნაცვლად, დაუკავშირდნენ მათ კოლეგებს, რომლებმაც იმ დღეს ბიჭი დააკავეს. ამ პირებმა, რომლებიც ტერიტორიის პატრულირებას ახორციელებდნენ, საჭიროდ მიიჩნიეს, მიეტოვებინათ

მორიგეობა და პოლიციის განყოფილებაში მდგომარეობის შესამოწმებლად დაბრუნებულიყვნენ. შეიტყვეს რა ბ-ნი ზაბჩეკოვის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, იმის ნაცვლად, რომ სასწრაფო სამედიცინო დახმარება ტელეფონით გამოეძახებინათ, თავად გაემგზავრნენ ჰოსპიტალში და იქიდან სასწრაფო სამედიცინო დახმარების მანქანით დაბრუნდნენ, რამაც, ცხადია, გაცილებით დიდი დრო წაიღო (იხ. ზემოთ პარ. 32-40).

128. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ საქმის მასალებში საერთოდ არაა გამოთქმული კრიტიკა პოლიციელთა მიერ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემის ამგვარი მოგვარების გამო.

129. პირველ სამედიცინო დასკვნაში, რომელიც წარმოადგინა განმცხადებელმა, აღნიშნულია, რომ სამედიცინო დახმარების დაგვიანებამ გამოიწვია ფატალური შედეგი ბ-ნი ზაბჩეკოვისათვის (იხ. ზემოთ პარ. 59 და 95).

130. შესაბამისად, სასამართლო ადგენს, რომ პოლიციელთა საეჭვო საქციელი 1996 წლის 29 იანვარს, დილის 3-სა და 5 საათებს შორის და სახელმწიფოს მხრიდან ამ საკითხთან დაკავშირებით სრული ურეაქციოება არღვევს სახელმწიფოს ვალდებულებას, დაიცვას პირთა სიცოცხლე თავისუფლების აღკვეთის ადგილებში.

131. შესაბამისად, ადგილი ჰქონდა კონვენციის 2 § 1 მუხლის დარღვევას.

### **(გ) გამოძიების სავარაუდო არაეფექტურობასთან დაკავშირებით**

#### **1. მხარეთა პოზიციები**

132. განმცხადებელი ამტკიცებს, რომ გამოძიება მისი შვილის სიკვდილთან დაკავშირებით იყო არაადეკვატური, ვინაიდან სახელმწიფოს წარმომადგენლებმა არ გამოიძიეს, *inter alia*, მცდელობა დაკავების ჩანაწერთა გაყალბების საკითხთან დაკავშირებით; უგულვებლყოფეს სხვა დაზიანებების არსებობა; უგულვებლყოფეს პოლიციის თანამშრომელთა საეჭვო საქციელის ფაქტი დილის 3-ს და 5 საათს შორის შუალედში; არ გამოიძიეს მიზეზები, რატომ ჩხუბობდნენ პოლიციის განყოფილებაში დილის 5 საათზე ექიმები; ასევე, ფაქტი, თუ რატომ არ იქნა ნახსენები ბ-ნი ზაბჩეკოვის ოჯახის წევრებისათვის, მისი სიკვდილის შესახებ ინფორმაციის მიწოდებისას, რომ ის იყო დაკავებული.

133. განმცხადებელი ამტკიცებს, რომ საგამოძიებო სამსახურებს, პროკურატურას და პოლიციას შორის ტრადიციული კავშირების გამო, აგრეთვე, იმის გამო, რომ მოცემულ პერიოდში ბრალმდებლის გადაწყვეტილება დევნის არდანყების შესახებ სასამართლო გადასინჯვას არ ექვემდებარებოდა, მიჩნეულ უნდა იქნეს, რომ გადაწყვეტილების მიმღები ორგანოები არ იყვნენ საკმარისად დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი არაადამიანური მოპყრობის ფაქტის გამოძიებისათვის.

უფრო მეტიც, აღნიშნული ხარვეზის თაობაზე არაერთხელ აღინიშნა საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან. განმცხადებელმა მიუთითა წამების საკითხებზე გაეროს ადამიანის უფლებათა კომისიის სპეციალური მომხსენებლის ანგარიშზე (1997 წლის 10 იანვრის დოკუმენტი E/CN.4/1997/7), რომლის მე-9 პარაგრაფში აღნიშნულია:

*„სპეციალური წარმომადგენელი შეშფოთებულია წამების და არაადამიანური მოპყრობის შემთხვევების სიმრავლით, რომლებიც ზოგჯერ პოლიციის განყოფილებაში დაკავებული პირების სიკვდილითაც სრულდება [ბულგარეთში]. რაიმე დისციპლინური ღონისძიების გამოყენების ან გამოძიების ჩატარების იშვიათობა, რომელიც სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებით*

დასრულდებოდა, ასევე, პასუხისმგებელ პირთა დევნის წარმატებით დასრულების შემთხვევების პრაქტიკულად არარსებობა ქმნის დაუსჯელობის სინდრომის მატარებელ კლიმატს. მას სჯერა, რომ სახელმწიფომ უნდა ჩამოაყალიბოს სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი სამართალდამცავი ორგანოების მიერ განხორციელებული დაკავების, დაპატიმრების ან დაკითხვის პროცესის დამოუკიდებელ მონიტორინგს...”

134. განმცხადებლის თქმით მას სახელმწიფოს წარმომადგენლების მხრიდან ასევე მიეწოდა არასწორი ინფორმაცია გამოძიების მსვლელობის თაობაზე – მისთვის 1997 წლის თებერვლამდე არ იყო ხელმისაწვდომი მისი შვილის სიკვდილის ფაქტთან დაკავშირებით წარმოებული გამოძიების სრული მასალები.

135. მთავრობამ განაცხადა, რომ გამოძიება იყო სწრაფი და სრული, რაზეც მიუთითებდა უამრავი დაკითხვა, ექსპერტთა დასკვნები და სხვა საგამოძიებო ღონისძიებები. განმცხადებელს მიეცა შესაძლებლობა, გასცნობოდა საქმის მასალებს და გაესაჩივრებინა ან წერილობით მოეთხოვა დამატებითი ღონისძიებების განხორციელება. მისი მოთხოვნა ექსპრუმაციასთან დაკავშირებით არ დაკმაყოფილდა, ვინაიდან დადგენილი იყო, რომ გარდაცვლილის ნეკნები არ იყო დაზიანებული.

## 2. სასამართლოს შეფასება

(ა) ძირითადი პრინციპები

136. სასამართლო იმეორებს, რომ, კონვენციის მე-2 მუხლიდან გამომდინარე სახელმწიფოს ვალდებულება, დაიცვას სიცოცხლის უფლება, იკითხება ამავე კონვენციის პირველ მუხლთან ერთიანობაში: „დაიცვას ყველას უფლება და კონვენციით განსაზღვრული თავისუფლებანი საკუთარი იურისდიქციის ფარგლებში.“ აღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ სახელმწიფოში უნდა არსებობდეს ეფექტური ოფიციალური გამოძიება, როდესაც ვიღაცა კვდება ძალის გამოყენების შედეგად. გამოძიება უნდა იყოს, *inter alia*, სრული, მიუკერძოებელი და ზედმინევენიითი (იხ. მაკქენი და სხვები, ზემოთ ციტირებული, §§ 161-63; კაია თურქეთის წინააღმდეგ, 1998 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილება, გადაწყვეტილებათა ანგარიშები და გადაწყვეტილებები 1998-ი, § 105; და ჯაკიჩი თურქეთის წინააღმდეგ [GC], no. 23657/94, § 86, ECHR 1999-IV).

137. მსგავსი გამოძიების უმთავრესი მიზანია, მოხდეს ადგილობრივი კანონმდებლობის გამოყენება სიცოცხლის უფლების დაცვის მიზნით და უზრუნველყოფილ იქნეს იმ სახელმწიფოს წარმომადგენელთა პასუხისმგებლობა, რომლებიც ჩაბმული იყვნენ მსგავს უკანონო ქმედებაში (იხ. მაგალითად, *mutatis mutandis*, ილჰანი თურქეთის წინააღმდეგ [GC], no. 22277/93, § 63, ECHR 2000-VII).

138. იმისათვის, რომ სავარაუდო უკანონო მკვლელობის ფაქტის გამოძიება, რომელშიც მონაწილეობდნენ სახელმწიფოს წარმომადგენლები, იყოს ეფექტური, აუცილებელია, რომ ის პირები, რომლებიც აწარმოებენ მას, იყვნენ დამოუკიდებელნი იმ პირებისგან, რომლებიც გარეუღნი არიან მკვლელობის ფაქტთან დაკავშირებულ მოვლენებში (იხ. მაგალითად, გიულენჩი თურქეთის წინააღმდეგ, 1998 წლის 27 ივნისის გადაწყვეტილება, ანგარიშები 1998-IV, გვ. 1733, §§ 81-82; და ოგური თურქეთის წინააღმდეგ [GC], no. 21594/93, §§ 91-92, ECHR 1999-III). ეს მოიცავს არამარტო იერარქიული ან ინსტიტუციური გავლენის არქონას, არამედ პრაქტიკულ დამოუკიდებლობასაც (იხ. მაგალითად, ერჯი თურქეთის წინააღმდეგ, 1998 წლის 28 ივლისის გადაწყვეტილება, ანგარიშები 1998-IV, გვ. 1778-79, §§ 83-84, სადაც გენერალური პროკურორი, რომელიც იძიებდა

გოგონას გარდაცვალების ფაქტს, მიიჩნის არასაკმარისი დამოუკიდებლობის მქონე პირად, ვინაიდან ის უმთავრესად ეყრდნობოდა მხოლოდ ჟანდარმერიისგან მიწოდებულ ინფორმაციას და მათ მიერვე განვითარებულ ვერსიას).

139. გამოძიება იქნება ეფექტური, თუ ის, გარკვეულწილად, შეძლებს, გამოავლინოს და დასაჯოს პასუხისმგებელი პირები. ეს ვალდებულება არ გულისხმობს, რომ ამგვარი შედეგი უნდა დადგეს, არამედ გულისხმობს, რომ ამისთვის ყველა საშუალება უნდა იყოს გამოყენებული. სახელმწიფოს წარმომადგენლებმა უნდა მიიღონ ყველაგონივრული ზომები მისათვის, რომ დაიცვან მათთვის ხელმისაწვდომი და კონკრეტულ შემთხვევასთან დაკავშირებული ყველა მტკიცებულება, რაც, *inter alia*, მოიცავს თვითმხილველთა ჩვენებებს, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნებს და, სადაც საჭიროა, გვამის გაკვეთის შედეგებს, რომელიც ახდენს დაზიანებების სრულ და ზუსტ აღწერას და კლინიკური გამოკვლევის ობიექტურ ანალიზს, რომელიც ასევე ადგენს სიკვდილის მიზეზს (გაკვეთასთან დაკავშირებით იხ. ზემოთ ციტი. სალმანი, § 106; მოწმესთან დაკავშირებით იხ. ტანრიკული თურქეთის წინააღმდეგ [GC], no. 23763/94, § 109, ECHR 1999-IV; სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზასთან დაკავშირებით იხ. გული თურქეთის წინააღმდეგ, no. 22676/93, § 89, 2000 წლის 14 დეკემბერი).

ნებისმიერი გადაცდომა, რომელიც აფერხებს გამოძიების შესაძლებლობას, დაადგინოს სიკვდილის მიზეზი ან დამნაშავე პირები, შეიძლება გახდეს მისი ამ სტანდარტებთან შეუსაბამოდ ცნობის საფუძველი.

140. ნებისმიერი გამოძიება ან მისი შედეგები, გარკვეული დოზით, უნდა ექვემდებარებოდეს საზოგადოებრივ ზედამხედველობას, რათა უზრუნველყოფილ იქნეს პასუხისმგებლობის დადგომა, როგორც თეორიულად, ისე პრაქტიკულად; შენარჩუნებულ იქნეს საზოგადოების ნდობა, რომ ხელისუფლება იცავს კანონის უზენაესობის პრინციპს და ახერხებს რაიმე უკანონო შეთანხმების თუ უკანონო ქმედებათა მიმართ შემრიგებლური დამოკიდებულების აღკვეთას. საზოგადოებრივი ზედამხედველობის ინტენსივობა შეიძლება განსხვავდებოდეს საქმეების სპეციფიკიდან გამომდინარე. თუმცა, ყველა საქმეში დაზარალებულის ახლო ნათესავი ან დაინტერესებული პირი ჩართული უნდა იყოს დაზარალებულის კანონიერი ინტერესების დაცვის მიზნით (გიულეჯი, იხ. ზემოთ პარ. 1733, § 82, სადაც მსხვერპლის მამას შეატყობინეს გადანყვეტილება ბრალდების შეწყვეტის თაობაზე; ოლური, ზემოთ ციტირებული, § 92, სადაც მსხვერპლის მამისთვის ხელმიუწვდომელი იყო როგორც გამოძიების, ისე სასამართლო მასალები; და გული, ციტირებული ზემოთ, § 93; მსგავსი საქმეების სრული გაცნობისათვის ასევე იხილეთ მაკკერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, no. 28883/95, §§ 111-15, ECHR 2001-III).

(ბ) აღნიშნული პრინციპების მისადაგება წინამდებარე საქმესთან

141. სასამართლო ეთანხმება მთავრობას, რომ მართლაც განხორციელდა არაერთი საგამოძიებო ქმედება ამ საქმესთან მიმართებით. გამოძიება დაიწყო სწორად და სახელმწიფოს წარმომადგენლები აქტიურად მუშაობდნენ აღნიშნულ საქმეზე. გვამის გაკვეთა ჩატარდა, მოწმეთა უმრავლესობა დაიკითხა არაერთხელ, ორი ურთიერთგანსხვავებული საქმის ვერსიაც შემუშავდა და მოხდა სხვა შესაბამისი მტკიცებულებების მოპოვება და გაანალიზება.

142. თუმცა, სასამართლო შენიშნავს, რომ გვამის გაკვეთისას მორფოლოგიური მონაცემების დაუფიქსირებლობამ და დაცემის სანინაალმდეგო მხარის დაზიანებების მოუხსენებლობამ შეუძლებელი გახადა იმის დადგენა, რა საგანმა გამოიწვია თავის ქალის დაზიანება



უფრო მეტიც, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ პოლიციის თანამშრომელთათვის არასდროს უთხოვიათ, აეხსნათ, თუ რატომ მოხდა დაკავების ჩანაწერების შეცვლა, რატომ არ გამოიძახეს სასწრაფო სამედიცინო დახმარება და რატომ მიაწოდეს ამკარად მცდარი ინფორმაცია ექიმ მიხაილოვს. იყო არაერთი უმნიშვნელოვანესი კითხვა, რომლებზეც გამოძიებას პასუხი უნდა გაეცა.

1996 წლის 20 მარტს განხორციელებულ ქმედებათა რეკონსტრუქცია, უცნობი მიზეზების გამო, ყურადღებას ამახვილებდა მხოლოდ იმაზე, თუ რამდენჯერ და სად დაეცა ბატონი ზაბჩეკოვი მინაზე, როცა ის გაქცევას ცდილობდა, ამასთან, აბსოლუტურ იგნორირებას ახდენდა იმ მოვლენებისა, რომლებსაც ადგილი ჰქონდა პოლიციის განყოფილებაში; აგრეთვე არაფერი იყო ნათქვამი დროის იმ მონაკვეთზე – ბიჭის დაკავებიდან მის პოლიციის განყოფილებაში მოყვანამდე შუალედში – როცა ის მინაზე იწვა ხელბორკილით ხეზე მიჯაჭვული და მარტო იყო დატოვებული სერჟანტ მუტაფოვთან (C) და მის მეგობარ D-სთან ერთად (იხ. პარაგრაფი 21, 26, 29 - 40 და 68).

უფრო მეტიც, არ არსებობს ჩანაწერი ბ-ნი ზაბჩეკოვის დაკავების ადგილის ბელი ლომის ქუჩის დროულ დათვალიერებასთან დაკავშირებით. შემთხვევის ადგილი დაათვალიერეს 1996 წლის 29 იანვარს დაახლოებით 11 საათზე იმავე პოლიციის განყოფილების თანამშრომლებმა, რომლებიც ჩართული იყვნენ ბ-ნი ზაბჩეკოვის დაკავებაში.

და ბოლოს, გამოძიება ძირითადად კონცენტრირებული იყო თავის ქალის დაზიანების წარმოშობის დროისა და მიზეზის გამოკვლევა-დადგენაზე მაშინ, როდესაც ძალიან მცირედ იყო გამახვილებული ყურადღება სხვა დაზიანებებზე, რომლებიც გარდაცვლილს სხეულზე აღმოაჩნდა.

მთავრობას არ განუმარტავს ზემოაღნიშნული უმოქმედობის ფაქტი.

143. სასამართლო ასევე მიუთითებს, რომ პოლიციის თანამშრომელთა ჩვენებები გამოძიებამ სრულად გაითვალისწინა მათი საეჭვო ქმედებების მიუხედავად. გარდა ამისა, მართალია, არსებობდა ამკარა წინააღმდეგობა ორ სამედიცინო დასკვნას შორის, მათ მისაღებად სწორედ მეორე დასკვნა მიიჩნეოს ისე, რომ არც კი უცდიათ, დაედგინათ, თუ რა იყო მათ შორის განსხვავების მიზეზი (იხ. ზემოთ პარაგრაფი 120). სინამდვილეში, გამოძიების შეწყვეტის საფუძველი გახდა მეორე სამედიცინო დასკვნა, რომელიც საკმაოდ საეჭვო ფორმით ადგენდა დაზიანების მიყენების დროის საკითხს (იხ. პარაგრაფები 79, 81, 84 და 88-90).

144. სასამართლო ადგენს, რომ გამოძიებას ამკარად აკლდა სისრულისა და მიუკერძოებლობის ნიშნები, კერძოდ, ბ-ნი ზაბჩეკოვის სიკვდილის მიზეზის დადგენისა და პასუხისმგებელ პირთა გამოაშკარავების ნაწილში. შესაბამისად, ის ეფექტურად ვერ ჩაითვლება მხოლოდ გარკვეული რაოდენობის დასკვნების, მონმეთა ჩვენებებისა და სხვა საგამოძიებო ქმედებების განხორციელების საფუძველზე.

145. განმცხადებელი ამტკიცებს, რომ გამოძიების არაეფექტურობა გამონვეული იყო, ზოგადად, გამოძიების არადამოუკიდებლობის, მიკერძოებულობის და პასუხისმგებლობის დაბალი დონის მიზეზით, იმ სახელმწიფო წარმომადგენელთა მხრიდან, რომლებიც აწარმოებდნენ გამოძიებას პოლიციის მიერ არაადამიანური მოპყრობის ფაქტთან დაკავშირებით.

ამ კონკრეტულ ვითარებაში, როდესაც დადგენილია, რომ გამოძიება განმცხადებლის შვილის გარდაცვალების ფაქტთან დაკავშირებით იყო არასრული და მიკერძოებული, სასამართლო საჭიროდ არ მიიჩნევს, ყურადღება შეაჩეროს სხვა წარმოდგენილ მტკიცებულებებზე.

146. სასამართლო ადგენს, რომ მოპასუხე სახელმწიფოს მხრიდან ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-2 მუხლის პირველი პარაგრაფის დარღვევას ბ-ნი ზაბჩეკოვის სიკვდილის ფაქტის არაეფექტური გამოძიების გამო.

#### IV. კონვენციის მე-13 მუხლის სავარაუდო დარღვევის თაობაზე

158. განმცხადებელი ამტკიცებს, რომ, დაცვის ეფექტური შიდასაშუალებების არარსებობის გამო, დაირღვა კონვენციის მე-13 მუხლი ამავე კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლებთან მიმართებით. კონვენციის მე-13 მუხლის თანახმად:

„1. ყველას, ვისაც დაერღვა ამ კონვენციით გათვალისწინებული უფლებები და თავისუფლებები, წარმოემოხაეფექტურისაშუალებების მიღების უფლება ეროვნული ხელისუფლების წინაშე, იმისდა მიუხედავად, ეს დარღვევა ჩადენილი იქნა თუ არა იმ პირების მიერ, რომლებიც მოქმედებენ ოფიციალური უფლებამოსილებით.“

159. განმცხადებელი უთითებს რა მის საჩივრებს კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლებთან დაკავშირებით, აცხადებს, რომ ჩატარებული გამოძიება არ იყო ეფექტური. მან დაამატა, რომ შესაბამისი პერიოდის განმავლობაში საერთოდ არ არსებობდა გამოძიების შეწყვეტის თაობაზე პროკურორის გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობა.

160. მოპასუხე მთავრობა განმცხადებლის კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლების შესაბამისი საჩივრების მითითებით აცხადებს, რომ ამ უკანასკნელს შეეძლო, საგამოძიებო მოქმედებაში ჩართულიყო, როგორც კერძო ბრალმდებელი ან სამოქალაქო მოსარჩელე.

161. კონვენციის მე-13 მუხლი უზრუნველყოფს ეროვნულ დონეზე ისეთი საშუალებების არსებობას, რომლებიც არსობრივად დაიცავენ კონვენციით უზრუნველყოფილ უფლებებსა და თავისუფლებებს, რა ფორმითაც არ უნდა იყოს ისინი ინკორპორირებული ეროვნულ სამართალში. კონვენციის მე-13 მუხლი ითხოვს ისეთი საშუალებების არსებობას, რომლითაც შესაძლებელი იქნება, კონვენციის თვალსაზრისით, „საფუძვლიანი საჩივრის“ შინაარსობრივი განხილვა და სათანადო ზომების გატარება. ამასთან, მაღალ ხელშემკვრელ სახელმწიფოებს ეძლევათ გარკვეული დისკრეცია დაცვის საშუალებების ფორმის განსაზღვრასთან დაკავშირებით. მე-13 მუხლით დადგენილი ვალდებულებები დამოკიდებულია კონვენციის თანახმად წარმოდგენილი საჩივრის ბუნებაზე. მიუხედავად ამისა, დაცვის საშუალება უნდა იყო „ეფექტური“ მისი მე-13 მუხლთან შესაბამისობისათვის.

მამინ, როდესაც დაყენებულია კონვენციით უზრუნველყოფილი ერთი ან რამდენიმე მუხლის დარღვევის საკითხი, უნდა არსებობდეს შესაბამისი მექანიზმი, რომელიც დაადგენს დარღვევაში მონაწილე სახელმწიფო წარმომადგენლის ან წარმომადგენლების პასუხისმგებლობის საკითხს. უფრო მეტიც, შესაბამის შემთხვევებში, ხელმისაწვდომი უნდა იყოს კომპენსაცია დარღვევით გამოწვეული მორალური თუ მატერიალური ზიანისათვის, როგორც უფლებრივი აღდგენის პროცესის ერთ-ერთი ნაწილი (იხ. თი. პი. და ქეი. ემ. გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ [GC], no. 28945/95, §107, ECHR 2001-V).

საეჭვო გარდაცვალების საქმეებში, სიცოცხლის უფლების ფუნდამენტური მნიშვნელობის გათვალისწინებით, მე-13 მუხლი, კომპენსაციის გადახდის გარდა, დამატებით ითხოვს სრული და ეფექტური გამოძიების ჩატარებას, რომელსაც შეეძლება დაამნაშავეთა გამოაშკარავება და მათი დასჯა, რაც საგამოძიებო პროცესში მოსარჩელის აქტიურ ჩართვას გულისხმობს (იხ. კაია, ზემოთ

ციტირებული, გვ. 330, § 107; ერგი. გვ. 1782, § 98; სალმან, ზემოთ ციტირებული, § 123; და ველიკოვა, ზემოთ ციტ. § 89).

162. სასამართლო მიიჩნევს, რომ განმცხადებელს ჰქონდა საფუძვლიანი მოთხოვნა, კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლების შესაბამისად, მისი შვილის სიკვდილისა და მის მიმართ არაადამიანური მოპყრობის ფაქტების გამო. ამიტომ, კონვენციის მე-13 მუხლის მიზნებისათვის, მას უნდა ჰქონოდა შესაძლებლობა, გამოეყენებინა ეფექტური შიდასახელმწიფოებრივი საშუალებები, თუმცა – ისევე, როგორც ზემოთ ციტირებულ ველიკოვას საქმეში – გამოძიება იყო არასრული და მიკერძოებული (იხ. პარაგრაფები 144-146). რაც შეეხება სხვა საშუალებებს, მთავრობის მტკიცების მიუხედავად, ისინი არ იყო ეფექტური (განმცხადებელს არ მიეცა შესაძლებლობა, ჩართულიყო საქმეში, როგორც სამოქალაქო მოსარჩელე). გამომდინარე აქედან, სასამართლო მიიჩნევს, რომ მთავრობამ ვერ შეასრულა მე-13 მუხლით მასზე დაკისრებული ვალდებულებები.

შესაბამისად, ადგილი ჰქონდა ამ მუხლის დარღვევას.

## V. კონვენციის მე-14 მუხლის სავარაუდო დარღვევასთან დაკავშირებით

163. მოსარჩელემ დააყენა კონვენციის მე-14 მუხლის დარღვევის საკითხი ამავე კონვენციის მე-2, მე-3 და მე-13 მუხლებთან მიმართებით, ვინაიდან, მისი აზრით, მისი შვილის ეთნიკურმა - ბოშა - წარმომავლობამ გამოიწვია განსხვავებული მოპყრობა.

კონვენციის მე-14 მუხლის თანახმად:

ამ კონვენციაში მოცემული უფლებებისა და თავისუფლებების გამოყენება უზრუნველყოფილი იქნება ყველასთვის, ნებისმიერ საფუძველზე დისკრიმინაციის გარეშე, როგორცაა სქესი, რასა, კანის ფერი, ენა, რელიგია ან სხვაგვარი აზრი, ეროვნული თუ სოციალური წარმომავლობა, გაერთიანება ეროვნულ უმცირესობასთან, ქონება, დაბადება და სხვა სტატუსი.

164. განმცხადებლის თქმით, ზოგიერთმა პოლიციელმა თავი ვერ შეიკავა, ბ-ნი ზაბჩეკოვი, თუნდაც ოფიციალურ განცხადებებში, არ მოეხსენებინა, როგორც „ბოშა“. იგი მიიჩნევს, რომ მისი შვილის წარმომავლობაზე ხაზგასმა უნდა შეფასდეს სისტემატური რასიზმის გამოვლენად ამ ცნების ფართო გაგებით, რაც არაერთხელ აღინიშნა ბულგარეთის სამართალდამცავ ორგანოებთან მიმართებით. ეს დამოკიდებულება არაერთხელ აღინერა მთავრობათამორისი თუ ადამიანის უფლებათა დაცვის ორგანიზაციების მიერ.

165. მთავრობამ განაცხადა, რომ სახელმწიფოს წარმომადგენელთა მხრიდან ადგილი არ ჰქონია რასობრივი მოტივებით ქმედებებს. ის, რომ ბ-ნი ზაბჩეკოვი ოფიციალურ განცხადებებში მოხსენიებულია, როგორც „ბოშა“ არ წარმოადგენს მსგავს მტკიცებულებას.

166. სასამართლო კვლავ იმეორებს, რომ „გონივრული ეჭვის მიღმა“ მტკიცების სტანდარტის დასაცავად წარმოდგენილი უნდა იქნეს საკმარისად ძლიერი, ნათელი და თანმიმდევრული დასკვნათა ერთობლიობა ან ფაქტობრივი პრეზუმფციები, რომელთა საწინააღმდეგოს დამტკიცება არ ხერხდება (იხ. ზემოთ ციტირებული 111-ე პარაგრაფი და მასში მითითებული საქმეები).

სასამართლომ უნდა შეაფასოს განმცხადებლის მიერ მოყვანილი ყველა ფაქტი, მათ შორის ის დასკვნები, რომლებიც გამომდინარეობენ ზოგადი ინფორმაციიდან და რომლებიც, განმცხადებლის აზრით, მიაჩნებენ დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტზე.

167. სასამართლო იხსენებს, რომ ველიკოვას საქმეში (94-ე პარაგრაფი) მან განიხილა მსგავსი ფაქტები და დაადგინა:

„სასამართლო აღნიშნავს, რომ განმცხადებლის საჩივარი, მე-14 მუხლის დარღვევასთან დაკავშირებით, ეფუძნება რამდენიმე სერიოზულ არგუმენტს – მოპასუხე მთავრობამ ვერ შეძლო, სასამართლოსთვის მიეწოდებინა სარწმუნო ახსნა-განმარტება ბ-ნი ტსონჩევის სიკვდილის გარემოებებთან დაკავშირებით და, ასევე, იმ მიზეზებზე, თუ რატომ არ მიიღო გამოძიებამ მთელი რიგი ზომები, რომელთა გამოყენებაც ნათელს მოჰფენდა საქმის ვითარებას...“

სასამართლო კვლავ მიმართავს კონვენციით დადგენილ სტანდარტს, რომ მტკიცება უნდა იყოს „გონივრული ეჭვის მიღმა“. თუმცა, საქმეში მოცემული მასალები არ არის საკმარისი, სასამართლო დარწმუნდეს, რომ ბ-ნი ტსონჩევის მკვლელობა და ამ ფაქტის არასრულფასოვანი გამოძიება გამოწვეული იყო მისი რასობრივი წარმომავლობით.

შესაბამისად, ის ადგენს, რომ ადგილი არ ჰქონია კონვენციის მე-14 მუხლის დარღვევას.“

168. სასამართლო ადგენს, რომ წინამდებარე საქმეში მოსარჩელის ბრალდება ემყარება სერიოზულ არგუმენტებს, თუმცა, ისინი ვერ აღწევენ სასამართლოს მიერ დადგენილი მტკიცების სტანდარტის ზღვარს.

შესაბამისად, სასამართლო ადგენს, რომ ადგილი არ ჰქონია კონვენციის მე-14 მუხლის დარღვევას.

## VI. კონვენციის 41-ე მუხლის გამოყენების შესახებ

169. კონვენციის 41-ე მუხლის თანახმად:

„თუ სასამართლო დაასკვნის, რომ დაირღვა კონვენციით ან მისი ოქმებით გათვალისწინებული უფლება, ხოლო შესაბამისი მაღალი ხელშემკვრელი მხარის შიდა სამართალი დარღვევის მხოლოდ ნაწილობრივ გამოსწორების შესაძლებლობას იძლევა, საჭიროების შემთხვევაში, სასამართლო დაზარალებულ მხარეს სამართლიან დაკმაყოფილებას მიაკუთვნებს“.

### ა. ზარალი

170. განმცხადებელმა მოითხოვა 19,050 ევრო მორალური ზიანისათვის. 15,250 ევრო იმ ტკივილისათვის, რომელიც მან განიცადა მისი შვილის კონვენციით უზრუნველყოფილი უფლების დარღვევის გამო და 3,800 ევრო იმ ტკივილისათვის, რომელიც განიცადა მისი შვილის არაადამიანური მოპყრობისა და სიკვდილის ფაქტთან დაკავშირებით სახელმწიფოს წარმომადგენელთა არაშესაფერისი რეაქციის გამო.

172. ... კონვენციის 41-ე მუხლი არ ითხოვს განმცხადებლისაგან ადგილობრივი საშუალებების ამონურვას სამართლიანი მისაგებლის მიღების მიზნით, თუ ამან ვერ გამოიღო შედეგი აღნიშნულ მოთხოვნასთან დაკავშირებული არსებითი ნაწილის გასაჩივრებისას. ამ მუხლის მნიშვნელობა – სადაც ის ეხება რეპარაციის შესაძლებლობას ადგილობრივ დონეზე – ადგენს წესს, რომელიც უკავშირდება არსებითი დარღვევების თაობაზე წარდგენილ საჩივრებს სამართლიანი მისაგებლის თაობაზე (იხ. *De Wilde, Ooms and Versyp v. Belgium* (მუხლი 50), 10 მარტი 1972 წ, სერია A no. 14, გვ. 8-9, § 16).

ამასთან დაკავშირებით სასამართლო ადგენს, რომ ჰიპოთეტური შესაძლებლობა, რომ გამოძიებას შეუძლია, სიკვდილიდან მრავალი წლის მერე დაადგინოს განმცხადებლის შვილის დაღუპვის ფაქტი პოლიციის განყოფილებაში და ეს მხოლოდ პირველი არაეფექტური გამოძიების შემდგომ და რომ ამის შემდეგ განმცხადებელს მიეცემა შესაძლებლობა, გამოვიდეს, როგორც სამოქალაქო მოსარჩელე, რაც წარმატებული იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ახალი გამოძიება მიაღწევს ახალ შედეგებს, არ შეიძლება გონივრულად განიმარტოს როგორც *restitutio in integrum* ადგილობრივი კანონმდებლობის გათვალისწინებით.

173. იზიარებს რა მის გამოცდილებას მსგავს საქმეებში (ველიკოვას საქმე, ციტირებული ზემოთ) და იზიარებს რა 17 წლის ახალგაზრდა ბიჭის დაღუპვის ფაქტს, სასამართლო სრულად აკმაყოფილებს მოსარჩელის მოთხოვნას მორალურ ზიანთან დაკავშირებით.

კონვენციის 45 § 2 მუხლისა და სასამართლოს წესების 74 § 2 წესის შესაბამისად, მოსამართლე ბონელლოს ნაწილობრივ განსხვავებული მოსაზრება მიმაგრებულია აღნიშნული გადაწყვეტილების ტექსტთან.



### 3. გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის ცნობა

№888/1999: რუსეთის ფედერაცია

29/04/2004

CCPR/C/80/D/888/1999 (სამართალი)

ცნობა No. 888/1999

წარმოდგენილია: იულია ვასილის ასული ტელესტინას მიერ (წარმოადგინა საერთაშორისო დაცვის დახმარების ცენტრმა)

სავარაუდო დაზარალებული: ბატონი ვლადიმერ ნიკოლოზის ძე ტელესტინი

მხარე სახელმწიფო: რუსეთის ფედერაცია

ცნობის მიღების თარიღი: 1997 წლის 24 ოქტომბერი (თავდაპირველი წარდგენა)

**ადამიანის უფლებათა კომიტეტი** – შექმნილი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების პაქტის 28-ე მუხლის საფუძველზე

2004 წლის 29 მარტის სხდომაზე

**აჯამებს მოსაზრებებს** ქალბატონ იულია ვასილის ასული ტელესტინას მიერ მისი ვაჟის – ვლადიმერ ნიკოლოზის ძე ტელესტინის სახელით წარმოდგენილ No. 888/1999 ცნობასთან დაკავშირებით, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის ფაკულტატური ოქმის საფუძველზე

**ითვალისწინებს** მისთვის ხელმისაწვდომ, ავტორის და მონაწილე სახელმწიფოს მიერ წარმოდგენილ ყველა წერილობით ინფორმაციას,

**იღებს** შემდეგ მოსაზრებებს:

#### **მოსაზრებაზე ფაკულტატური ოქმის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტთან მიმართებით**

1. ავტორი – ქ-ნი იულია ვასილის ასული ტელესტინა – მოქმედებს თავისი ვაჟის, ვლადიმერ ნიკოლოზის ძე ტელესტინის სახელით, რომელიც დაიბადა 1959 წელს, იყო რუსეთის მოქალაქე და გარდაიცვალა 1994 წლის 13 თებერვალს შრომა-გასწორების კოლონიაში. ავტორი ჩივის, რომ რუსეთის ფედერაციამ დაარღვია სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი, მე-7 მუხლი და მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტი. ავტორის წარმომადგენელია საერთაშორისო დაცვის დახმარების ცენტრი.

#### **ავტორის მიერ წარმოდგენილი ფაქტები**

2.1. 1994 წლის 13 თებერვალს ვლადიმერ ნიკოლოზის ძე ტელესტინი გარდაიცვალა ძალადობრივი ქმედებების შედეგად, როდესაც იგი სასჯელს იხდიდა შრომა-გასწორების No. 349/5 კოლონიაში, ქალაქ ნიჟნი ტაგილში (ურალის რეგიონი).

2.2. ავტორი აცხადებს, რომ მისი ვაჟი სასტიკად იყო ნაცემი, თოკზე ჩამოკიდებული და ამგვარად დატოვებული კოლონიის შენობაში. იგი არ ეთანხმება შრომა-გასწორების კოლონიის ხელმძღვანელთა და ნიჟნი ტაგილის პროკურატურის დასკვნას, რომ მისმა ვაჟმა თავი ჩამოიხრჩო. იგი აგრეთვე ამბობს, რომ ამ ორგანიზებმა შეგნებულად შეაღამაზეს ექსპერტის დასკვნა მისი

ვაჟის მიმართ განხორციელებული ძალადობრივი აქტის შესახებ. ის აცხადებს, რომ დაკრძალვისას პირადად ნახა, თუ როგორ იყო დასახიჩრებული მისი ვაჟის სხეული — გატეხილი ჰქონდა ცხვირი, ნიკაპის მარჯვენა მხარეს ამოგლეჯილი ჰქონდა რბილი ქსოვილი, დასიებული ჰქონდა მარჯვენა წარბი, სისხლი მოსდიოდა მარჯვენა ყურიდან, გადაგლეჯილი ჰქონდა მარჯვენა ხელისგული და მუქი მენამული ფერი ედო, ამასთან, დაზიანებული ჰქონდა ხერხემალი, ზურგი და გარდაცვლილს არ ჰქონდა ენა. ავტორმა წარმოადგინა პეტიცია, რომელსაც ხელს აწერდა 11 ადამიანი, რომლებიც დაკრძალვას დაესწრნენ და ადასტურებდნენ, რომ გარდაცვლილის გვამი სწორედ ისეთ მდგომარეობაში იყო, როგორც ზემოთაა აღწერილი.

2.3. ავტორმა ნიჟნი ტაგილის მუნიციპალურ პროკურატურას მისი ვაჟის გარდაცვალების საქმის გამოძიება მოსთხოვა. 1994 წლის 13 აპრილს პროკურატურამ ავტორს შეატყობინა, რომ არ არსებობდა რაიმე მტკიცებულება, რომელიც გაამყარებდა მის საჩივრებს იმასთან დაკავშირებით, რომ მისი ვაჟი ძალადობრივი აქტის შედეგად დაიღუპა, და რომ, აქედან გამომდინარე, პროკურატურამ გადაწყვიტა, არ დაენყო სისხლისსამართლებრივი დევნა. ავტორმა ამ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით სამჯერ შეიტანა სარჩელი (1994 წლის 26 აპრილს; 1994 წლის 20 ივნისს და 1994 წლის 1 აგვისტოს), მაგრამ ეს სარჩელები სვერდლოვსკის რეგიონულმა პროკურატურამ არ დააკმაყოფილა თავისი გადაწყვეტილებების საფუძველზე, რომლებიც, შესაბამისად, მიიღო 1994 წლის 25 მაისს, 1994 წლის 30 ივნისს და 1994 წლის 31 აგვისტოს.

2.4. ავტორმა აგრეთვე მოითხოვა, მოეხდინათ გვამის ექსპერტიზა მეორე ექსპერტიზის მიზნით, რამეთუ, ქალბატონ ტელესტინას განცხადებით, პირველი ექსპერტიზის დასკვნაში მითითებული არ იყო გვამზე არსებული დაზიანებების შესახებ. 1994 წლის 27 ოქტომბერს ნიჟნი ტაგილის პროკურატურამ ავტორს აცნობა, რომ რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის შესაბამისად, ექსპერტიზა სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებას ექვემდებარება. პროკურატურის განცხადებით, ავტორის მოთხოვნა ვერ დაკმაყოფილდებოდა, რადგან იმ დროისათვის ნიჟნი ტაგილის პროკურატურის 1994 წლის 13 აპრილის დადგენილებას, ქალბატონ ტელესტინას საჩივრის საფუძველზე, რუსეთის ფედერაციის გენერალური პროკურატურა იხილავდა.

2.5. 1994 წლის 11 ოქტომბერს რუსეთის ფედერაციის გენერალურმა პროკურორმა გააუქმა დადგენილება დევნის არდაწყების თაობაზე იმის საფუძველზე, რომ ბ-ნ ტელესტინის გარდაცვალების საქმე სრულად არ იყო შესწავლილი. მან აგრეთვე გასცა განკარგულება, რომ საქმესთან დაკავშირებული ყველა მტკიცებულება გადაეგზავნათ სვერდლოვსკის რეგიონული პროკურატურისათვის, რათა იქ დამატებითი გამოკვლევა ჩაეტარებინათ.

2.6. 1994 წლის 14 ნოემბერს, ამ ექსპერტიზის დასრულების შემდეგ, სვერდლოვსკის პროკურატურამ გადაწყვიტა, არ დაენყო სისხლისსამართლებრივი დევნა და, აქედან გამომდინარე, არ მოეხდინა გარდაცვლილის გვამის ექსპერტიზა. 1995 წლის 7 აგვისტოს და 1995 წლის 10 ნოემბერს სვერდლოვსკის პროკურატურამ ქ-ნ ტელესტინას აცნობა, რომ მისი ვაჟის გარდაცვალების მიზეზი იყო თვითმკვლელობა, რაც გამოიწვია „ფსიქიკური ხასიათის გადახრამ“ და რომ გვამზე ვერ იპოვეს დაზიანებები, რომლებზეც ავტორი მიუთითებდა.

2.7. ავტორის შემდგომ საჩივრებზე, რომელიც მან 1995 წლის 21 სექტემბერს და 1996 წლის 27 თებერვალს შეიტანა, რუსეთის ფედერაციის გენერალურმა პროკურორმა უპასუხა, რომ ჩატარდა სრულყოფილი გამოძიება მისი ვაჟის გარდაცვალების გარემოებების დასადგენად, გარდაცვლილის სხეულზე ხილული დაზიანებების არსებობა უარყოფილია სამედიცინო ექსპერტიზის მოხსენებასა

და ციხის თანამშრომელთა და პატიმართა ჩვენებებში, და რომ სიკვდილის მიზეზი თვითმკვლელობა გახდა.

2.8. ავტორის თქმით, ჩატარებული გამოკვლევა იყო ზედაპირული, რადგან არ მომხდარა გვამის ექსპუმაცია; ამრიგად, ხელისუფლების მიერ შემოთავაზებული თვითმკვლელობის თეორია უსაფუძვლო იყო.

## საჩივარი

3.1. ავტორი ამტკიცებს, რომ ზემოაღნიშნული ფაქტები ავლენენ რუსეთის ფედერაციის მხრიდან სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის, მე-7 მუხლის და მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევას.

3.2. ავტორი აგრეთვე ამტკიცებს, რომ მან, როგორც ზემოთაა ახსნილი, ამონურა დაცვის ყველა საშუალება მისი ვაჟის გარდაცვალების და სათანადო ექსპერტიზის დასკვნის მიღების საქმეზე სისხლისსამართლებრივი დევნის დასაწყებად.

## მონანილე სახელმწიფოს მოსაზრებები

4.1 2000 წლის 10 აგვისტოს წარმოდგენილ მოსაზრებებში მონანილე სახელმწიფო განმარტავს, რომ რუსეთის ფედერაციის გენერალურმა პროკურატურამ ჩაატარა ცნობასთან დაკავშირებული მოვლენების მოკვლევა.

4.2. მოკვლევის მასალები უჩვენებს, რომ სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, ბ-ნი ტელესტინის სიკვდილი გამოიწვია მექანიკურმა გაგუდვამ, რაც მისი კისრის გარშემო შემოხვეული მარყუჟის შედეგია. ინციდენტის ადგილისა და გარდაცვლილის სხეულის შემოწმებით, ბრძოლის რაიმე ნიშანი არ დადასტურდა. მოკვლევის ჩატარებისას, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც გენერალური პროკურატურა საქმესთან დაკავშირებულ მტკიცებულებებს სწავლობდა, განსაკუთრებული ყურადღება მიექცა გარდაცვლილის ფოტოებს, სადაც აგრეთვე არ აღინიშნებოდა ფიზიკური დაზიანებების რაიმე კვალი. ნიკაპის არეში ზედაპირული დაზიანება შესაძლოა გამოწვეული იყოს ბასრი საგნით - სიკვდილამდე ან აგონიის დროს. ამ დაზიანებას არ აქვს რაიმე შედეგობრივი კავშირისიკვდილის დადგომასთან. მოხსენების საგამოძიებო ნაწილში სამედიცინო ექსპერტი მიუთითებს, რომ ფორნიკალური რეფლუქსის ძვლები ან თავის ქალის ფუძეზე დაზიანებები არ შეინიშნებოდა. მონანილე სახელმწიფოს მიაჩნია, რომ ამ დასკვნის ეჭვქვეშ დაყენების მიზეზი არ არსებობს.

4.3. გარდა ამისა, სამედიცინო ექსპერტი მიუთითებს, რომ ინციდენტის ადგილამდე მიმავალი, თოვლზე დატოვებული ნაფეხურის კვალი ერთ ადამიანს ეკუთვნის. მონანილე სახელმწიფოს განცხადების შესაბამისად, გარდაცვლილს სხვა პატიმრებთან ან საპატიმროს მუშაკებთან კონფლიქტი არ ჰქონია. ამრიგად, მოკვლევამ მხარი დაუჭირა დასკვნას თვითმკვლელობასთან დაკავშირებით. მონანილე სახელმწიფო მიუთითებს, რომ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მოთხოვნა უარყოფილ იქნა დანაშაულის ნიშნების (corpus delicti) არარსებობის საფუძველზე და რომ ამ გადანყვეტილებას დაეთანხმა რუსეთის ფედერაციის გენერალური პროკურატურა.

**ავტორის კომენტარები მონაწილე სახელმწიფოს მიერ წარმოდგენილ მოსაზრებებზე**

5.1. 2002 წლის 25 ოქტომბერს გაკეთებულ კომენტარებში ავტორი ამბობს, რომ მონაწილე სახელმწიფომ ყურად არ იღო მისი განცხადებები (რომელიც არც უარუყვიათ და არც დაუდასტურებიათ) იმის თაობაზე, რომ მისი შვილის სხეულზე აღინიშნებოდა მრავალი ჭრილობა, როგორც ეს 11-მა მოწმემ დაადასტურა დაკრძალვის დღეს (იხ. პუნქტი 2.2). ავტორს აინტერესებს — მიუთითებს თუ არა გვამის ექსპუმაციასა და ფოტოების გამოკვლევის ჩატარებაზე უარი იმ ფაქტზე, რომ გენერალური პროკურატურა მისი შვილის მკვლელობას მალავს. იგი დასძინს, რომ ხელისუფლებას არ აქვს ინციდენტის ადგილის ფოტო და, ასევე, მისი შვილის ფოტო ჩამოხრჩობილ მდგომარეობაში, სადაც იგი სისხლში ამოსვრილი და დასახიჩრებული იქნებოდა გამოსახული. ამის ნაცვლად, არსებობს მხოლოდ ფანქრით გაკეთებული არაზუსტი ჩანახატი. და ბოლოს, იგი აცხადებს, რომ მისი ვაჟის საქმეში არის ვილაცის ფოტოსურათი, რომლის სახეც არ არის ვლადიმერ ტელესტინის.

5.2. 2001 წლის 6 ივლისს გაკეთებულ კომენტარში ავტორი კიდევ ერთხელ უარყოფს თვითმკვლელობის თეორიას და აცხადებს, რომ მისი ვაჟი შრომა-გასწორების კოლონიის მცველებმა მოკლეს. იგი აგრეთვე ამბობს, რომ ზემოაღნიშნული ფოტოები არის მონტაჟი, რომელიც მის მიერ საჩივრების წარდგენის შემდეგ გაკეთდა, ვინაიდან ისინი დაზიანებას უჩვენებენ ნიკაპის მარცხენა მხარეს მაშინ, როცა ეს დაზიანება გარდაცვლილს მარჯვენა მხარეს ჰქონდა, როგორც ეს ზემოთ იყო აღწერილი და დადასტურებული მოწმეების მიერ. ავტორი კვლავ იმეორებს მოთხოვნას ფოტოების ანალიზის ჩატარებასთან დაკავშირებით. დაბოლოს, ქალბატონი ტელესტინა აცხადებს, რომ მას უფლება არ მისცეს, წაეკითხა სამედიცინო ექსპერტის დასკვნა.

**საკითხები და საქმისწარმოება კომიტეტის წინაშე**

6.1. ცნობაში მოცემული ნებისმიერი საჩივრის დაწყებამდე ადამიანის უფლებათა კომიტეტი, პროცედურული წესების 87-ე წესის შესაბამისად, ვალდებულია, გადანყვიტოს, არის თუ არა დასაშვები ცნობა პაქტის ფაკულტატური ოქმის საფუძველზე.

6.2. კომიტეტი აღნიშნავს, რომ მონაწილე სახელმწიფოს რაიმე პროტესტი, ცნობის დაშვებადობასა და ავტორის მიერ შიდასახელმწიფო დაცვის საშუალებების ამონაწერსთან დაკავშირებით, არ გამოუთქვამს.

6.3. კომიტეტს აგრეთვე მიაჩნია, რომ ავტორის საჩივარი, რომ მის მიერ აღწერილი მოვლენები შეიცავს პაქტის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის, მე-7 მუხლის და მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევას, საკმარისად არის დასაბუთებული დაშვებადობის მიზნებისათვის და იგი იმსახურებს არსებით განხილვას.

**არსებითი განხილვა**

7.1. ადამიანის უფლებათა კომიტეტმა წინამდებარე ცნობა განიხილა მხარეების მიერ მისთვის მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, ფაკულტატური ოქმის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად.

7.2. კომიტეტმა გამოიკვლია ბ-ნი ტელესტინის სიკვდილის საქმეზე როგორც ავტორის, ისე მონაწილე სახელმწიფოს მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია.

7.3. იგი აღნიშნავს, რომ მონაწილე სახელმწიფო, სამედიცინო ექსპერტიზის მიერ გაკეთებული დასკვნის, ინციდენტის ადგილის შესწავლის, გარდაცვლილი პირის ფოტოების გამოკვლევის და ციხის თანამშრომლებისა და პატიმრების ჩვენებების საფუძველზე, მხარს უჭერს თვითმკვლელობის თეორიას. იგი აგრეთვე მხედველობაში იღებს ავტორის არგუმენტებს, რომელიც უარყოფს გარდაცვალების ფაქტის თვითმკვლელობით ახსნას, კერძოდ, ინციდენტის ადგილის ფოტოების არარსებობას და მისი ვაჟის თვითმკვლელობას ჩამოხრჩობით, აგრეთვე ხელისუფლების ორგანოების მიერ ფოტოების შექმნას, რომლებსაც ქ-ნი ტელესტინა მონტაჟად მიიჩნევს.

7.4. კომიტეტს მიაჩნია, რომ მონაწილე სახელმწიფომ პასუხი არ გასცა ავტორის მიერ ცნობაში წამოჭრილ ყველა არგუმენტს. კერძოდ, მონაწილე სახელმწიფოს კომენტარი არ გაუკეთებია 11 მონმის ჩვენებაზე, რომლებიც ბ-ნი ტელესტინის დაკრძალვას ესწრებოდნენ (პუნქტი 2.2.). ავტორის მიერ მისი შვილის სხეულის დაზიანებებთან დაკავშირებით გაკეთებული განცხადებების მიუხედავად, მონაწილე სახელმწიფოს არ წარმოუდგენია რაიმე დოკუმენტი მისი დასკვნის გასამყარებლად, რომ გარდაცვლილის ფოტოზე რაიმე ფიზიკური ძალადობის კვალი არ შეინიშნებოდა, გარდა ნიკაპზე არსებული ნაჭდევისა (პუნქტი 4.2.). და ბოლოს, კომიტეტი ითვალისწინებს ავტორის საჩივარს იმასთან დაკავშირებით, რომ მას არ მისცეს სამედიცინო დასკვნის წაკითხვის უფლება და უარი უთხრეს გვამის ექსპუნიციანზე.

7.5. კომიტეტი წუხილით აღნიშნავს, რომ მონაწილე სახელმწიფომ არ უპასუხა და არ განმარტა ავტორის მიერ წამოჭრილი ყველა არგუმენტი. კომიტეტს, მტკიცების ტვირთთან დაკავშირებით, მისი სამართალწარმოების შესაბამისად, მიაჩნია, რომ მტკიცების ტვირთი არ შეიძლება დაანვეს მხოლოდ ცნობის ავტორს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ავტორს და მონაწილე სახელმწიფოს თანაბარი ხელმისაწვდომობა არ აქვთ მტკიცებულებებზე და როდესაც სათანადო ინფორმაციას ხშირად მხოლოდ მონაწილე სახელმწიფო ფლობს, როგორცაა სამედიცინო დასკვნა წინამდებარე საქმეში.

7.6. შესაბამისად, კომიტეტი სხვაგვარად ვერ მოიქცევა, თუ არა, სათანადო წონა მიანიჭოს ავტორის არგუმენტებს მისი შვილის სხეულთან მიმართებით, რამაც კითხვები წარმოშვა მის სიკვდილთან დაკავშირებით. კომიტეტი აღნიშნავს, რომ ხელისუფლების ორგანოებს არ ჩაუტარებიათ სათანადო გამოძიება ბ-ნი ტელესტინის გარდაცვალების გარემოებებზე, რაც პაქტის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევას წარმოადგენს.

7.7. პაქტის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის გათვალისწინებით, კომიტეტი ადგენს, რომ ადგილი ჰქონდა პაქტის მე-7 მუხლის, აგრეთვე, მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტის დებულებების დარღვევას.

8. ადამიანის უფლებათა კომიტეტი, მოქმედებს რა სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის ფაკულტატური ოქმის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, ადგენს, რომ მონაწილე სახელმწიფომ დაარღვია პაქტის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი, მე-7 მუხლი და მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტი.

9. პაქტის მე-2 მუხლის მე-3(ა) პუნქტის შესაბამისად, კომიტეტს მიაჩნია, რომ ავტორს, რომელმაც ვაჟი დაკარგა, უფლება აქვს ეფექტური დაცვის საშუალებაზე. კომიტეტი სთხოვს მონაწილე სახელმწიფოს, განახორციელოს ეფექტური ზომები: (ა) ჩაატაროს სათანადო, სრული და გამჭვირვალე მოკვლევა ბატონი ვლადიმერ ნიკოლოზის ძე ტელესტინის სიკვდილის გარემოებების დასადგენად და (ბ) უზრუნველყოს ავტორი სათანადო კომპენსაციით. გარდა ამისა,



მონაწილე სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება, ეფექტური ღონისძიებები განახორციელოს მომავალში მსგავსი დარღვევების თავიდან ასაცილებლად.

10. კომიტეტი მიუთითებს, რომ ფაკულტატურ ოქმზე მიერთებით რუსეთის ფედერაციამ აღიარა კომიტეტის კომპეტენცია, დაადგინოს, ჰქონდა თუ არა ადგილი პაქტის დარღვევას; პაქტის მე-2 მუხლის საფუძველზე, მონაწილე სახელმწიფო ვალდებულებას კისრულობს, უზრუნველყოს მის ტერიტორიაზე მისი იურისდიქციის ქვეშ მყოფი ყველა ინდივიდისათვის პაქტით აღიარებული უფლებები და ეფექტური და ქმედითი დაცვის საშუალებები, როდესაც ადგილი აქვს დარღვევას. შესაბამისად, კომიტეტს სურს, ამ მოსაზრებების გადაცემიდან 90 დღის ვადაში, მონაწილე სახელმწიფოსაგან მიიღოს ინფორმაცია კომიტეტის დასკვნებთან დაკავშირებით გატარებული ღონისძიებების შესახებ. მონაწილე სახელმწიფოს აგრეთვე სთხოვენ, გამოაქვეყნოს კომიტეტის წინამდებარე მოსაზრებები.

[მიღებულია ინგლისურ, ფრანგულ და ესპანურ ენებზე; ფრანგული ტექსტი არის ორიგინალური ვერსია. შემდგომში გამოიცეს აგრეთვე არაბულ, ჩინურ და რუსულ ენებზე, როგორც კომიტეტის ყოველწლიური ანგარიშის ნაწილი გენერალური ასამბლეისათვის]

\* წინამდებარე ცნობის გამოკვლევაში მონაწილეობდნენ კომიტეტის შემდეგი წევრები: ბ-ნი აბდელფატა ამორი, ბ-ნი ნუსიკე ანდო, ბ-ნი პრაფულაჩანდრა ნატვარალ ბჰაგვატი, ბ-ნი ალფრედო კასტილერო ჰოიოსი, ქ-ნი ქრისტინე ჩანეტი, ბ-ნი ფრანკო დეპასკუალე, ბ-ნი მორის გლელე აჰანჰანზო, ბ-ნი ვოლტერ კალინი, ბ-ნი აჰმედ ტავფუკ ხალილი, ბ-ნი რაფაელ რივას პოსანდა, სერ ნიგელ როდლი, ბ-ნი მარტინ შენინი, ბ-ნი ივან შეარერი, ბ-ნი ჰიპოლიტო სოლარი ირიგოიენი, ბ-ნი რომან ვერუჟევსკი და ბ-ნი მაქსველ იალდენი..

# IV

## ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება პირის გაუჩინარების შემთხვევაში სიცოცხლის უფლებასთან დაკავშირებით:

### ტიმურტაში თურქეთის წინააღმდეგ

(განაცხადი no. 23531/94)

გადაწყვეტილება

სტრასბურგი

2000 წლის 13 ივნისი

#### პროცედურა

1. განაცხადი შემოვიდა ადამიანის უფლებათა კომისიაში („კომისია“) 1999 წლის 8 მარტს ადამიანის უფლებათა და ფუნდამენტურ თავისუფლებათა კონვენციის („კონვენცია“) 32 §, 1-ლი და 47-ე მუხლების საფუძველზე. საქმე კი დაიწყო განაცხადით (no. 23531/94) თურქეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ, რომელიც 1994 წლის 9 თებერვალს შემოიტანა თურქეთის მოქალაქე მეჰმედ ტიმურტაშმა კონვენციის ძველი რედაქციის 25-ე მუხლის საფუძველზე.

#### საქმის ფაქტობრივი მხარე

##### (არაოფიციალური შემოკლებული ვერსია)

განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ მისი ვაჟი, აბდულვაჰაპ ტიმურტაში, დააკავეს სილოპის რაიონის ცენტრალური ჟანდარმერიის სამხედრო პირებმა სირიელ მეგობართან ერთად. ამის შემდეგ განმცხადებელმა სხვადასხვა არაოფიციალური წყაროდან შეიტყო რომ მისი შვილი გადაყვანილი იქნა შირნაკის საპატიმროში, სადაც ცდილობდნენ, მისგან მიეღოთ აღიარებითი ჩვენება. მთავრობა უარყოფდა ფაქტს, რომ აბდულვაჰაპ ტიმურტაში დაკავებულ იქნა ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ და რომ ის იმყოფებოდა პატიმრობაში გარკვეული პერიოდის განმავლობაში.

ამ გაურკვეველობის გამო, კომისიამ განახორციელა საკუთარი ძიება კონვენციის ძველი რედაქციის 28-ე მუხლის საფუძველზე. კომისიამ შეამოწმა ორივე მხარის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები და კომისიის სამმა დელეგატმა ანკარაში მოისმინა მონმეთა ჩვენებები. სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო, კომისიის დელეგატების წინაშე წარედგინა ნიმეტ ნასი და სადიკ ერდოგანი, რომლებიც კომისიის მიერ წარმომებული გამოძიების დროს დიარბაკირის ციხეში იმყოფებოდნენ. ამ პირებმა, განმცხადებლის მტკიცებით, მისი ვაჟი ცოცხალი ნახეს სირნაკის საპყრობილეში. კომისიას აგრეთვე არ წარუდგინეს ეზენლის და იენიქოის მუჰტარები, რომლებმაც, განმცხადებლის ინფორმაციით, ნახეს დაპატიმრებული აბდულვაჰაპ ტიმურტაში.

განმცხადებლის წარმომადგენლებმა კომისიის დელეგატებს წარუდგინეს დოკუმენტი, რომელიც, მათი მტკიცებით, იყო დაკავების ოპერაციის ანგარიშის ფოტოასლი; ეს ანგარიში შედგენილი იყო სილოპის რაიონის ჟანდარმერიის

ხელმძღვანელის ჰუსამ დურმუმის მიერ, დათარიღებული იყო 1993 წლის 14 აგვისტოთი და აღწერდა აბდულვაჰაბ ტიმურტაშის და მისი სირიელი მეგობრის დაკავებას იენიკოის სოფლის მახლობლად.

განმცხადებლის წარმომადგენელთა მტკიცებით დოკუმენტი წარმოადგენდა სიზრეს პროკურატურაში არსებული დედნის ასლს, რომელიც შემდეგ ამოღებულ იქნა მასალებიდან. სახელმწიფოს მიერ წარმოდგენილი ციხეებისა და საპყრობილებების სააღრიცხვო ჟურნალებში აბდულვაჰაბ ტიმურტაში არსად იყო ნახსენები. ამ ჟურნალების ასლებში აღმოჩენილი იქნა ბევრი ანონიმური და უზუსტობა. სამხრეთ-აღმოსავლეთ თურქეთში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით, მანამდეც იქნა აღმოჩენილი უზუსტობები თავისუფლების აღკვეთის ადგილების სააღრიცხვო ჟურნალებში. ამის გათვალისწინებით, კომისიამ დაასკვნა: ჟურნალების ასლები არ გამოდგებოდა იმის უარსაყოფად, რომ აბდულვაჰაბ ტიმურტაში დაკავებული იქნა.

რამდენადაც წარმოდგენილი მტკიცებულებები, გარკვეულწილად, ადასტურებდა განმცხადებლის ჩვენებას და წარმოდგენილი ფოტოასლი უნდა ყოფილიყო ავთენტურად მიჩნეული, კომისიამ გადაწყვიტა, რომ აბდულვაჰაბ ტიმურტაში ნამდვილად იქნა დაკავებული იენიკოის სოფლის მახლობლად 1993 წლის 14 აგვისტოს სილოპის რაიონის ჟანდარმერიის მიერ.

### სასამართლოსადმი წარდგენილი საბოლოო დასაბუთება

60. მოსარჩელემ სასამართლოს თავის არგუმენტაციაში სთხოვა, დაედგინა კონვენციის მე-2, მე-5, მე-13 და მე-18 მუხლების დარღვევა მისი შვილის „გაუჩინარების“ ფაქტის გამო და მე-3 მუხლის დარღვევა მისი, როგორც მსხვერპლის მიმართ. განმცხადებელი ასევე ამტკიცებდა, რომ მთავრობამ ვერ შეასრულა მასზე კონვენციის ძველი რედაქციის 25-ე და 28-ე § 1 (ა) მუხლებით დაკისრებული ვალდებულებები და სასამართლოს სთხოვა, კონვენციის 41-ე მუხლის საფუძველზე, თავის სასარგებლოდ დააკისროს სამართლიანი დაკმაყოფილება.

61. მოპასუხე მთავრობამ, თავის მხრივ, მის მიერ წარმოდგენილ არგუმენტაციაში განაცხადა, რომ განმცხადებელმა ვერ მოახერხა მისი ბრალდებების არსებითი მტკიცებულებებით განმტკიცება. მათ აღნიშნეს, რომ განაცხადის მიზანი იყო უშიშროების იმ სამსახურების დისკრედიტაცია, რომლებიც იბრძოდნენ სეპარატისტულ-ტერორისტული ძალადობის წინააღმდეგ.

## კანონი

### I. საქმის ფარგლები

62. კომისიისადმი წარდგენილ საჩივარში განმცხადებელმა *inter alia* დააყენა მისი შვილის მიმართ კონვენციის მე-3 და მე-14 მუხლების დარღვევის საკითხი ამავე კონვენციის მე-2, მე-3 და მე-5 მუხლებთან ერთობლიობაში. განმცხადებელმა აღნიშნული მოთხოვნები არ წარადგინა სასამართლოს წინაშე და ამ უკანასკნელმა მიზანშეწონილად არ მიიჩნია, ემსჯელა ხსენებულ საკითხებზე საკუთარი ინიციატივით (იხ. *mutatis mutandis*, თურქეთის გაერთიანებული კომუნისტური პარტია და სხვები თურქეთის წინააღმდეგ, 1998 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილება, ანგარიშები 1998 - I, გვ. 28, § 62). შესაბამისად, სასამართლო იმსჯელებს იმ ბრალდების საკითხებზე, რომლებიც წარმოდგენილია კონვენციის მე-2, მე-3 (განმცხადებელთან დაკავშირებით), მე-5, მე-13, მე-18 და 34-ე მუხლებთან მიმართებით.

## II. ფაქტების შეფასება სასამართლოს მიერ

64. წინამდებარე საქმეში სასამართლო შენიშნავს, რომ კომისიის დასკვნები საქმის ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით მიღებულია ანკარაში ჩატარებული მტკიცებულებების გამოკვლევის პროცედურის შედეგად (იხ. ზემოთ, პუნქტები 14 და 39). ის შენიშნავს – განმცხადებლის მტკიცება იმის თაობაზე, რომ მისი შვილი და სირიის მოქალაქე დაპატიმრებულნი იქნენ 1993 წლის 14 აგვისტოს სოფელ იენიქოიში, დასტურდება განმცხადებლის მიერ კომისიის წარმომადგენლებისათვის წარდგენილი მტკიცებულებით. (იხ. ზემოთ, პუნქტი 28). ვინაიდან კომისიის წინაშე არ გამოსულა დაპატიმრების ფაქტის არც ერთი თვითმხილველი, საკითხს, არის თუ არა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტი დაკავების ოპერაციის ავთენტური ანგარიშის ფოტოასლი, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ფაქტების დასადგენად და შესაფასებლად.

65. კომისიამ დაადგინა, რომ განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტი იყო დაკავების ანგარიშის ფოტოასლი (იხ. ზემოთ, პუნქტი 41). მიუხედავად ამისა, მთავრობამ საეჭვოდ მიიჩნია ეს დოკუმენტი. თავიანთ არგუმენტაციაში მთავრობის წარმომადგენლები აცხადებდნენ, რომ მსგავსი დოკუმენტი არ შეიძლებოდა მოეპოვებინათ ქალაქ სიზრეს პროკურატურის ოფისში მაშინ, როდესაც, განმცხადებლის თქმით, სწორედ იქ ნახა დოკუმენტის ორიგინალი, რომლიდანაც მოხდა აღნიშნული ასლის ფოტოკოპირება. პირველ რიგში, დოკუმენტი წმინდად სამხედრო მიზნებისათვის შეიქმნა და, თავისი ბუნებიდან გამომდინარე, არ უნდა გადაგზავნილიყო პროკურატურაში. მეორე, აბდულვაჰად ტიმურტაშის დაკავების თაობაზე არანაირი ანგარიში არ მოიპოვება სიზრეს პროკურატურაში. მეტიც, პროკურატურის საქმის მასალებში ჩაკერებულ მტკიცებულებას უნდა ჰქონოდა არა მხოლოდ მინანერი “*dosyasına*” („ამ საქმისათვის“), არამედ საჯარო ბრალმდებლის ხელმოწერა, რომელიც ასევე არ იყო აღნიშნული დოკუმენტზე.

უფრო მეტიც, დოკუმენტის ავთენტურობა ვერ დადგინდება ფოტოასლის მეშვეობით. იმისათვის, რომ დოკუმენტის ასლს თურქეთში ჰქონდეს იურიდიული ძალა, აუცილებელია, მოხდეს დამოწმება, რომ ის დედნის ნამდვილი ასლია. სადავო დოკუმენტი არ იყო მსგავსი წესით დამოწმებული. ამასთან, შესაძლებელია კოპირებული დოკუმენტის ელექტრონული ან ქიმიური მანიპულაცია, ხოლო ამ მანიპულაციის კვალის დადგენა შეუძლებელია. ამისილუსტრირებამოახდინა კიდევ მთავრობის წარმომადგენელმა, რომელმაც საქმის მოსმენისას, კომპიუტერის, ქსეროქსის მანქანის და სკანერის მეშვეობით მცირედი ცვლილებები შეიტანა დოკუმენტებში: მინანერის – “*dosyasına*” – გვერდის ბოლოდან თავში გადატანითა და სირიელი დაკავებულის სახელისა და გვარის საკუთრით ჩანაცვლებით.

ბოლოს, სარეგისტრაციო ნომერი, რომელიც მინიჭებული ჰქონდა დოკუმენტს, ეკუთვნოდა სამხედრო საიდუმლოების შემცველი დოკუმენტების სერიას და, შესაბამისად, ამ დოკუმენტს ვერ წარუდგენდნენ კონვენციით დაფუძნებულ ორგანოებს [იგულისხმება ევროპის ადამიანის უფლებათა კომისია].

66. სასამართლო, როგორც ეს კომისიამ გააკეთა, ადგენს, რომ დოკუმენტი უნდა გახდეს ზედმინევნით შესწავლის საგანი, სანამ მიჩნეულ იქნება ორიგინალთან სრულ შესაბამისობაში მყოფ ასლად, ვინაიდან, მართლაც ნათელია, რომ თანამედროვე ტექნოლოგიურ პირობებში ადვილია დოკუმენტის გაყალბება. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ კომისიის ხელთ არსებული საშუალებები, რომელთა მეშვეობითაც გამოვლინდებოდა გაყალბების კვალი, თუნდაც ამ გაყალბების გამოვლენა ტექნიკურად ყოფილიყო შესაძლებელი, იყო საგრძობლად შეზღუდული.

სასამართლო ხაზს უსვამს იმ გარემოებებს, რომ საქმეებზე მსჯელობისას, სასამართლო ყოველთვის არ ახდენს *affirmanti incumbit probatio* (ის, ვინც რაიმეს საეჭვოსხდის, თავადუნდაამტკიცოს სიმართლე) პრინციპების მკაცრ გამოყენებას. უნინ განხილულ საქმეებში სასამართლომ აღნიშნა, რომ ძველი რედაქციით 25-ე მუხლის (ამჟამად 34-ე მუხლი) თანახმად, ეფექტური ინდივიდუალური განაცხადის მექანიზმის ეფექტური ფუნქციონირებისთვის სახელმწიფოები ვალდებული არიან, უზრუნველყონ ეფექტური და აუცილებელი პირობები საქმის ეფექტური განხილვისათვის (იხ. მაგალითისთვის, ტარნიკულუ თურქეთის წინააღმდეგ [GC], no. 23763/94, § 70, ECHR 1999-IV). აღნიშნული განუყოფელია მსგავსი სახის საქმეებისაგან, სადაც ინდივიდუალური მოსარჩელე ბრალს სდებს სახელმწიფოს წარმომადგენლებს მისი კონვენციით გარანტირებული უფლებების დარღვევის გამო და, გარკვეულ შემთხვევებში, მხოლოდ სახელმწიფოს წარმომადგენლებს მიუწვდებათ ხელი გარკვეული ტიპის დოკუმენტებზე, რომელთაც ძალუძთ ბრალდების უარყოფა ან დამტკიცება. სახელმწიფოს მხრიდან ყოველგვარი გონივრული ახსნის გარეშე უარი, წარადგინოს მსგავსი ინფორმაცია, არა მარტო ცუდად აისახება მის მიერ კონვენციის 38 § 1 (ა) (ყოფილი 28 § 1 (ა)) მუხლით ნაკისრ ვალდებულებებზე, არამედ, ასევე, შეიძლება გახდეს განმცხადებლის მიერ წამოყენებული ბრალდებების საფუძვლიანად მიჩნევის მიზეზი. ამ მიმართებით, სასამართლო აღნიშნავს, რომ მტკიცებულებათა შეკრების პროცესში მხარეთა საქციელი მიიღება მხედველობაში (იხ. ირლანდია გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, 1978 წლის 18 იანვრის გადაწყვეტილება, სერია A no. 25, გვ. 64-65, § 161).

67. სწორედ ზემოაღნიშნული მიზნისათვის და წინამდებარე საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლოს მიაჩნია, რომ მოპასუხე მთავრობას შეეძლო, დახმარებოდა კომისიას კონვენციის 28 § 1 (ა) მუხლის გათვალისწინებით და ხელმისაწვდომი გაეხადა ნამდვილი დოკუმენტი, რომელიც ატარებდა იმავე სარეგისტრაციო ნომერს, რომელიც აღნიშნული იყო განმცხადებლის მიერ წარდგენილ ფოტოასლზე. მთავრობის მხრიდან დოკუმენტის ორიგინალის წარუდგენლობა იმ მიზეზით, რომ იგი სამხედრო საიდუმლოება იყო, გამართლებად არ გამოდგება. სასამართლოს აზრით, ამას ხელი არ უნდა შეეშალა კომისიისთვის დოკუმენტის წარდგენაში, რამდენადაც კომისიის არც ერთი წევრი არ იყო თურქი და ისინი ორი დოკუმენტის მხოლოდ გარეგნულ შედარებას მოახდენდნენ შინაარსის გაგების გარეშე. შესაბამისად, სასამართლო ასკვნის, რომ სახელმწიფოს არ გააჩნია დამაკმაყოფილებელი განმარტება დოკუმენტის წარუდგენლობის გასამართლებლად.

68. შემდეგ სასამართლო შენიშნავს, რომ კომისიამ ფოტოასლის შეფასებისას აგრეთვე გაითვალისწინა, განმცხადებლის მტკიცებით, დოკუმენტის ავტორის ჰუსამ დურმუშის ჩვენება, სადაც მან აღიარა, რომ ხელმოწერა ჰგავდა მისას და დოკუმენტის სტილი და ფორმატი შეესაბამებოდა ოპერაციის სტანდარტული ანგარიშის ფორმატს. ზემოთქმულიდან გამომდინარე სასამართლო ეთანხმება კომისიის დასკვნას, რომ წარმოდგენილი დოკუმენტი ოპერაციის ავთენტური ანგარიშის ფოტოასლია.

69. სასამართლო მიიჩნევს, რომ კომისიამ საჭირო სიფრთხილით და დეტალურად შეაფასა ის ფაქტები, რომლებიც ამტკიცებდნენ მომხდარის შესახებ განმცხადებლის მიერ წარმოდგენილ ვერსიას და, ასევე, ის ელემენტებიც, რომლებიც მოვლენების მისეულ ვერსიაში დაეჭვების საფუძველს იძლევა. ამდენად, სასამართლო იზიარებს კომისიის მიერ დადგენილ ფაქტებს.

72. სასამართლო შენიშნავს, რომ მოპასუხე მთავრობას არ განუმარტავს დოკუმენტური მტკიცებულებების და რამდენიმე მოწმის წარმოდგენლობა.



კონვენციით გათვალისწინებული პროცედურების განხორციელებისას, მოპასუხე მთავრობის თანამშრომლობის მნიშვნელობის გათვალისწინებით, როგორც ეს ზემოთ აღინიშნა (პუნქტი 66), სასამართლო დადასტურებულად მიიჩნევს კომისიის დასკვნას, რომ წინამდებარე საქმეში მოპასუხე მთავრობამ არ შეასრულა კონვენციის 28 § 1 (ა) მუხლით ნაკისრი ვალდებულება, კომისიისათვის შეექმნა ყველა პირობა ფაქტების დადგენის პროცესში.

სასამართლო, ისევე როგორც კომისია, ვერ ხედავს ვერანაირ საფუძველს, რომ ჰუსეინ დურმუშის ჩვენება მოითხოვდეს კონვენციის ძველი რედაქციის 28 § 1 (ა) მუხლის გამოყენების აუცილებლობას.

### III. კონვენციის მე-2 მუხლის სავარაუდო დარღვევასთან დაკავშირებით

73. განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ მისი შვილი დაიღუპა ფარული დაპატიმრებისას, რის გამოც, მოპასუხე მთავრობამ დაარღვია კონვენციის მე-2 მუხლით ნაკისრი ვალდებულება, დაეცვა მისი შვილის სიცოცხლის უფლება.

#### A. სასამართლოს წინაშე წარდგენილი არგუმენტები

##### 1. განმცხადებელი

74. განმცხადებლის აზრით, ის, რომ დაკავების შემდეგ საკუთარი ვაჟის შესახებ არაფერი შეუტყვია, ეს თავისთავად არ ამტკიცებს გონივრული ეჭვის გარეშე აბდულვაჰაპის სიკვდილს. მიუხედავად ამისა, თუ აბდულვაჰაპის შესახებ ინფორმაციის არარსებობა არ გახდებოდა მისი გარდაცვლილად მიჩნევის საფუძველი, ამით ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო წაახალისებდა სახელმწიფოს მხრიდან ახსნა-განმარტების წარუდგენლობის პოზიციას. ამასთან, მისი აზრით, მხედველობაში უნდა მიეღოთ არა მხოლოდ ის კონკრეტული გარემოებები, რომლებიც თან ახლდა მისი შვილის გაუჩინარებას, არამედ უფრო ვრცელი კონტექსტი 1993 წელს სამხრეთ-აღმოსავლეთ თურქეთში მრავალრიცხოვანი გაუჩინარებებისა.

75. განმცხადებელი, მიუთითა რა სასამართლოს განმარტებებზე, რომელიც გაკეთდა საქმეზე ტომასი საფრანგეთის წინააღმდეგ (1992 წლის 27 აგვისტოს გადაწყვეტილება, სერია A no. 241-A) და რიბიჩი ავსტრიის წინააღმდეგ (1995 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილება სერია A no. 336), ამტკიცებდა, რომ ანალოგიური მიდგომის გამოყენება დააკისრებდა სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას, ყოფილიყო პასუხისმგებელი თავისუფლების აღკვეთის ადგილებში მყოფ ყოველ პირზე. იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო ვერ წარმოადგენს სარწმუნო ახსნას, თუ რატომ ვერ მოხდა დაკავებულის სიცოცხლის უზრუნველყოფა, სასამართლო მიიჩნევს, რომ სახელმწიფომ ვერ შეასრულა მე-2 მუხლით გათვალისწინებული დაკავებულის სიცოცხლის დაცვის ვალდებულება.

76. ბოლოს, განმცხადებლის მტკიცებით, მისი შვილის სიკვდილთან დაკავშირებით გამოძიება იმდენად არაადეკვატური იყო, რომ სახელმწიფომ დაარღვია კონვენციის მე-2 მუხლით გარანტირებული სიცოცხლის უფლების დაცვის პროცედურული ვალდებულებები.

##### 2. მთავრობა

77. მთავრობას ამ საკითხზე განსაკუთრებული ყურადღება არ გაუმახვილებია, განაცხადა რა, რომ გამოძიებისას მოიპოვეს ყველა ხელმისაწვდომი მტკიცებულება

და ეს მტკიცებულებები არ ამყარებდა განმცხადებლის ბრალდებას მისი შვილის დაპატიმრებასთან დაკავშირებით.

### 3. კომისია

78. კომისიამ უმრავლესობით დაადგინა, რომ არსებობდა სერიოზული ალბათობა იმისა, რომ აბდულვაჰაპ ტიმურტაში დაილუპა მისი ფარული დაკავების შედეგად. მიუხედავად ამისა, კომისიამ აღნიშნა, რომ, კონკრეტული მტკიცებულებების არარსებობის პირობებში, ზემოხსენებული ალბათობა არ იყო საკმარისი იმისთვის, რომ საკითხი განხილულიყო მე-2 მუხლის ფარგლებში.

### 4. სამართლიანობისა და საერთაშორისო სამართლის ცენტრი (CEJIL)

79. წერილობით კომენტარებში **CEJIL**-მა წარმოადგინა ინტერ-ამერიკული კომისიისა და სასამართლო პრაქტიკის ანალიზი იძულებითი გაუჩინარების საქმეებზე, *inter alia*, სიცოცხლის უფლებასთან კავშირში.

80. ინტერ-ამერიკულმა სასამართლომ არაერთხელ დაადგინა, რომ იძულებითი გაუჩინარების საქმეები, ხშირ შემთხვევაში, მოიცავს სიცოცხლის უფლების დარღვევას. ინტერ-ამერიკულ სისტემაში სიცოცხლის უფლების დარღვევა ძალისმიერი გაუჩინარების დროს შეიძლება დამტკიცდეს შემდეგი ორი გზით: უპირველესად, თუ მოცემული საქმის გარემოებები შეესაბამება გაუჩინარებების ზოგად სცენარს, რომლის დროსაც მსხვერპლს, ჩვეულებრივ, კლავენ; მეორე, საბედისწერო იძულებითი გაუჩინარების ფაქტები შეიძლება განხილულ იქნეს ინდივიდუალურად, ოფიციალური გაუჩინარებების ჩვეული კონტექსტიდან დამოუკიდებლად. ორივე მეთოდი გამოიყენება იმის დასადგენად, ახორციელებდა თუ არა სახელმწიფო პიროვნების ბედზე კონტროლს; და თუ ამას თან ერთვის ხანგრძლივი დროის გასვლა, ეს გარემოებები ერთობლიობაში განაპირობებს დასკვნას, რომ ადგილი ჰქონდა სიცოცხლის უფლების დარღვევას.

## B. სასამართლოს შეფასება

### 1. უნდა ჩაითვალოს თუ არა აბდულვაჰაპ ტიმურტაში გარდაცვლილად

81. სასამართლო აღნიშნავს, რომ მან საქმის განხილვის დასაწყისში სარწმუნოდ მიიჩნია კომისიის მიერ დადგენილი ფაქტები, კერძოდ ის, რომ აბდულვაჰაპ ტიმურტაში დაპატიმრებული იქნა 1993 წლის 14 აგვისტოს სილოპის ჟანდარმერიის თანამშრომლების მიერ, რის შემდეგაც ის გადაიყვანეს შირნაკში. ექვს წელზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც არაფერი გამხდარა ცნობილი მისი ადგილმდებარეობისა თუ ბედის შესახებ. წარმოიშობა კითხვა, დაარღვია თუ არა, როგორც ამას განმცხადებელი ამტკიცებდა, მთავრობამ პოზიტიური ვალდებულებები, დაეცვა მისი ვაჟის სიცოცხლის უფლება კონვენციის მე-2 მუხლიდან გამომდინარე.

82. როგორც სასამართლომ ადრე აღნიშნა, თუკი ჯანსაღ მდგომარეობაში მყოფი პირი იქნა დაკავებული, მაგრამ გათავისუფლებისას მას აღმოაჩნდა დაზიანებები, სახელმწიფო ვალდებულია, წარმოადგინოს სარწმუნო განმარტება, თუ რითი იყო გამოწვეული დაზიანებები. ამ ვალდებულებასთან შეუსაბამობა ინვესტის კონვენციის მე-3 მუხლის ამოქმედებას (იხ. ზემოთ ციტ. ტომასი საფრანგეთის წინააღმდეგ, გვ. 40-41, § 108-11; ასევე, ზემოთ ციტ. რიბიჩი ავსტრიის წინააღმდეგ, გვ. 25-26, § 34; და სელმუნი საფრანგეთის წინააღმდეგ [GC], no. 25803/94, § 87, ECHR 1999-V). ამავე ფორმით, კონვენციის მე-5 მუხლი აკისრებს

სახელმწიფოს ვალდებულებას, ჰქონდეს ინფორმაცია იმ დაკავებული პირის ადგილმდებარეობის შესახებ, რომელიც დაკავების გამო ხვდება სახელმწიფოს კონტროლის ქვეშ (იხ. კურტის გადაწყვეტილება, გვ. 1186, § 124). სახელმწიფოს მხრიდან დაკავებულის ბედ-ილბალთან დაკავშირებით სარწმუნო განმარტების წარმოუდგენლობის შემთხვევაში და გვამის აღმოუჩენლობის პირობებში მე-2 მუხლის გამოყენება დამოკიდებული იქნება საქმის ყველა გარემოებაზე, კერძოდ, საკმარისი მტკიცებულებების არსებობაზე, რომლებიც დამყარებულია კონკრეტულ ელემენტებზე, საიდანაც შესაბამის მტკიცების სტანდარტზე დაყრდნობით შეიძლება დავასკვნათ, რომ დაკავებული მკვდარია (იხ. ჩაჯიკი თურქეთის წინააღმდეგ [GC], no. 23657/94, § 85, ECHR 1999-IV; და ერტაკი თურქეთის წინააღმდეგ, no. 20764/92, § 131, ECHR 2000-V).

83. ამის გათვალისწინებით, დრო, რომელიც გავიდა პირის დაკავების შემდეგ, თავისთავად გადამწყვეტი არ არის, მაგრამ მხედველობაში მისაღებია. ჩვეულებრივ, მიიჩნევა, რომ რაც მეტი დრო გადის პირის დაკავების შემდეგ, ისე, რომ მის შესახებ არაფერია ცნობილი, უფრო დიდია მისი სიკვდილის ალბათობა. დროის გასვლა, გარკვეულწილად, ცვლის სხვა მტკიცებულებების ღირებულებას დასკვნის გასაკეთებლად, რომ პირი გარდაცვლილად უნდა იქნეს მიჩნეული. ამასთან დაკავშირებით, სასამართლო ადგენს, რომ აღნიშნული პირობები სცდება მე-5 მუხლით დადგენილ ფარგლებს. მსგავსი განმარტება მჭიდროდაა დაკავშირებული მე-2 მუხლით გარანტირებული სიცოცხლის უფლების ეფექტური დაცვასთან, რომელიც კონვენციის ერთ-ერთი ყველაზე ფუნდამენტური დებულებაა (იხ. სხვათა შორის, ზემოთ ციტ. ჩაკიცი თურქეთის წინააღმდეგ § 86).

84. უბრუნდება რასასამართლო საქმის კონკრეტულ გარემოებებს, მხედველობაში იღებს განმცხადებლის მიერ გაკეთებულ განცხადებებს, რომლებიც კომისიის წარმომადგენლებმა მიიჩნიეს სარწმუნოდ და საფუძვლიანად. განმცხადებლის მტკიცებით, ის თავიდან იღებდა გარკვეულ ინფორმაციას მისი შვილის შესახებ მისი ნათესავის ბაჰატინ აკტუვისაგან. თუმცა, აბდულვაჰაპის დაჰატიმრებიდან 45 დღის შემდეგ ბაჰატინ აკტუგს აეკრძალა რაიმე ინფორმაციის მოძიება (იხ. ზემოთ პუნქტი 19). განმცხადებლის მიერ ინფორმაციის ოფიციალური მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა. აქედან გამომდინარე და დაკავების ანგარიშის არარსებობის ფაქტის გათვალისწინებით, შეიძლება დავასკვნათ, რომ ადგილი ჰქონდა აბდულვაჰაპ ტიმურტაშის დაკავების მიჩქმალვის მცდელობას.

85. არსებობს ასევე სხვა ელემენტებიც, რომლებიც განასხვავებენ წინამდებარე საქმეს კურტის საქმისაგან, რომელშიც სასამართლომ დაადგინა, რომ არ არსებობდა სარწმუნო მტკიცებულებები განმცხადებლის შვილის პატიმრობაში გარდაცვალებასთან დაკავშირებით (ციტ. გვ. 1182, § 108). უპირველესად, ექვს წელიწადნახევარი გავიდა აბდულვაჰაპ ტიმურტაშის დაკავებისა და დაჰატიმრებიდან, რაც მნიშვნელოვნად უფრო ხანგრძლივი დროა, ვიდრე ოთხ წელიწადნახევარი, რამდენიც კურტის საქმეში იყო გასული განმცხადებლის შვილის დაკავებიდან სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანამდე. უფრო მეტიც, მაშინ, როცა იუზეიტ კურტი ბოლოს ნახეს სამხედრო პირებით გარემოცულ მის სოფელში, წინამდებარე საქმეში დადგენილია, რომ აბდულვაჰაპ ტიმურტაში თავდაპირველად ნაიყვანეს სილოპის საჰაერო ძალებში, შემდეგ კი, სახელმწიფოს წარმომადგენლებმა გადაიყვანეს შირნაკში. ბოლოს, კურტის საქმის მასალებში მცირე ოდენობით ფაქტები მოიპოვებოდა ვარაუდისთვის, რომ იუზეირ კურტი ხელისუფლებისთვის საეჭვო სუბიექტს წარმოადგენდა მაშინ, როდესაც მოცემული საქმის ფაქტები ეჭვს არ ტოვებს იმასთან დაკავშირებით, რომ აბდულვაჰაპ ტიმურტაში იძებნებოდა ხელისუფლების მიერ ქურთ მშრომელთა პარტიასთან დაკავშირებული საქმიანობის გამო (იხ. ზემოთ პუნქტი 38). სამხრეთ თურქეთში 1993 წელს არსებული გაუჩინარების პრაქტიკის გათვალისწინებით,

არ შეიძლება გამოირიცხოს, რომ მისი დაკავება შეიძლებოდა ყოფილიყო სიცოცხლისთვის სახიფათო. სასამართლომ მანამდე განხილულ ორ საქმეში აღნიშნა, რომ ამ საქმისთვის რელევანტურ პერიოდში სამხრეთ-აღმოსავლეთ რეგიონში სისხლისსამართლებრივი დაცვის არაეფექტურობამ ხელი შეუწყო უსაფრთხოების სამსახურების წევრთა უპასუხისმგებლობას საკუთარ ქმედებებზე (იხ. კილიჯი თურქეთის წინააღმდეგ no. 22492/93, § 75 და მაჰმუდ კაია თურქეთის წინააღმდეგ no. 22535/93, § 98, ECHR 2000-II).

86. ზემოაღნიშნული მოსაზრებებით, სასამართლო საკმარისად მიიჩნევს არსებულ გარემოებებს აბდულვაჰაპ ტიმურტაშის გარდაცვალების ფაქტის დასადგენად, უშიშროების ძალების მიერ მისი ფარული დაპატიმრების შემდეგ. შესაბამისად, მოპასუხე მთავრობა პასუხისმგებელია მისი სიკვდილის ფაქტის გამო იმის გათვალისწინებით, რომ მოპასუხე მთავრობას არ წარმოუდგენია რაიმე გონივრული განმარტება აბდულვაჰაპ ტიმურტაშის დაპატიმრებასთან დაკავშირებით და არც მტკიცებულება, რომელიც გაამართლებდა სახელმწიფოს წარმომადგენლების მხრიდან სასიკვდილო ძალის გამოყენების ფაქტს. ამრიგად, მთავრობა პასუხისმგებელია მისი სიკვდილის ფაქტის გამო (იხ. ჩაკირი, ციტ. § 87). შესაბამისად, ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევას.

## 2. გამოძიების სავარაუდო არაადეკვატურობასთან დაკავშირებით

87. სასამართლო კვლავ იმეორებს, რომ კონვენციის მე-2 მუხლიდან გამომდინარე, სახელმწიფოს ვალდებულება, დაიცვას სიცოცხლის უფლება, იკითხება ამავე კონვენციის პირველ მუხლთან კავშირში: „მათი იურიდიქციის ფარგლებში ყველასთვის უზრუნველყონ ამ კონვენციის პირველ ნაწილში განსაზღვრული უფლებები და თავისუფლებები.“ აღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ სახელმწიფოში უნდა არსებობდეს ოფიციალური ეფექტური გამოძიება, როდესაც ვიღაცა კვდება ძალის გამოყენების შედეგად (იხ. *mutatis mutandis* მაკქანი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, 1995 წლის 27 სექტემბრის გადაწყვეტილება, სერია A no. 324, გვ. 49, § 161; და კაია თურქეთის წინააღმდეგ, 1998 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილება, გადაწყვეტილებათა ანგარიშები, განაჩენები და გადაწყვეტილებები, 1998-ს, გვ. 329, § 105).

88. მთავრობა ამტკიცებდა, რომ შეკრებილი იყო ყველა ხელმისაწვდომი მტკიცებულება და ეს მტკიცებულებები არ ადასტურებდნენ განმცხადებლის ბრალდებებს; არამედ, უფრო მიუთითებდნენ ალტერნატიული შესაძლებლობის სარწმუნოებაზე, რომ აბდულვაჰაპ ტიმურტაში შეიძლებოდა ყოფილიყო სირიაში ან ქურთთა შრომითი პარტიის რიგებში. კომისიამ კი თავის მოხსენებაში გამოძიება შეაფასა, როგორც გაჭიანურებული, დაუდევარი, ზედაპირული და არასერიოზული მცდელობა იმის გასარკვევად, თუ რა შეემთხვა განმცხადებლის ვაჟს (იხ. პუნქტი 264 კომისიის ანგარიშიდან). კომისიის დასკვნები თავმოყრილია ზემოთ მოცემულ 47-ე პუნქტში.

89. სასამართლო ვერ ხედავს რაიმე მიზეზს, კომისიისაგან განსხვავებულად შეაფასოს გამოძიება. სასამართლო მიუთითებს იმხანგრძლივი დროის მონაკვეთზე, რაც დასჭირდა ოფიციალური გამოძიების დაწყებასა და მოწმეთაგან ჩვენებების მიღებას, რაც ითვალისწინებს მოწმეთა მიმართ დასმულ არაადეკვატურ კითხვებს და, ასევე, რელევანტური ინფორმაციის იგნორირების და შემდგომში უარყოფის ფაქტს გამოძიების მწარმოებელი ხელისუფლების ორგანოთა მხრიდან. სასამართლოზე განსაკუთრებული გავლენა მოახდინა იმ ფაქტმა, რომ შირნაკის ჟანდარმერიაში მოკვლევა განმცხადებლის ვაჟის გაუჩინარებიდან მხოლოდ ორის წლის შემდეგ დაიწყო. თუმცა, უდავოა, რომ განმცხადებელმა მისი შვილის

თაობაზე კარგა ხნით ადრე შეატყობინა სახელმწიფოს წარმომადგენლებს, მას შემდეგ, რაც ბაჰატინ აკტიუგისაგან მიიღო ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, მისი შვილი შირნაკში გადაიყვანეს და იქ ის ნახეს სადიკ ერდოგანმა და ნიმეტ ნასისმა. უფრო მეტიც, არ არსებობს მტკიცებულება, რომელიც მიუთითებდა, რომ გენერალურმა პროკურორმა გამოიკვლია თავისუფლების აღკვეთის ადგილებში არსებული დაკავებულთა აღრიცხვის ყურნალები ან თავად თავისუფლების აღკვეთის ადგილები, ან ის, რომ სილოპის ჟანდარმერიის წარმომადგენლებს პასუხი მოეთხოვათ მათ მიერ 1993 წლის 4 აგვისტოს განხორციელებულ ქმედებებზე.

გულგრილობა, გამოხატული სახელმწიფოს წარმომადგენელთა მხრიდან, მწვავედ უსვამს ხაზს კონვენციის მე-5 § 3 და 4 პუნქტებით დადგენილი დროული სასამართლო ჩარევის საჭიროებას, რასაც, როგორც სასამართლომ კურტის საქმეში აღნიშნა, შეუძლია, დაადგინოს ან თავიდან აიცილოს სიცოცხლისთვის საშიში პირობები, რომელიც მე-2 მუხლით გათვალისწინებული გარანტიების დარღვევას წარმოადგენს (ციტ. გვ. 1185, § 123).

90. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, სასამართლო ადგენს, რომ გამოძიება, ჩატარებული განმცხადებლის შვილის გაუჩინარების ფაქტთან დაკავშირებით, იყო არაადეკვატური და, შესაბამისად, სახელმწიფომ დაარღვია სიცოცხლისუფლების დაცვისათვის დადგენილი პროცედურული ვალდებულებები. გამომდინარე აქედან, ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევას ამ მიმართებითაც.

## VI. კონვენციის მე-13 მუხლის სავარაუდო დარღვევის თაობაზე

107. განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ მას არ მიეცა ქვეყნის შიდა ეფექტური სამართლიანი მისაგებლის გამოყენების უფლება კონვენციის მე-13 მუხლის საწინააღმდეგოდ: ყველას, ვისაც დაერღვა ამ კონვენციით გათვალისწინებული უფლებები და თავისუფლებები, ექნება ეფექტური ზომის მიღების უფლება ეროვნული ხელისუფლების წინაშე, იმისდა მიუხედავად, ეს დარღვევა ჩადენილი იქნა თუ არა იმ პირების მიერ, რომლებიც მოქმედებენ ოფიციალური უფლებამოსილებით.

108. განმცხადებელი ამტკიცებს, რომ ადგილი ჰქონდა მცდელობას, მისგან დაემალათ მისი შვილის დაპატიმრების ფაქტი. გამოძიება, რომელიც ჩატარდა მის ბრალდებებთან დაკავშირებით, მისი თქმით, იყო ზედაპირული და არ ისახავდა მიზნად ფაქტების გამოაშკარავებას.

109. მთავრობამ განაცხადა, რომ ჩაატარა ყველა აუცილებელი მოკვლევა და დაჰკითხა განმცხადებლის მიერ დასახელებული ყველა მონმე, მაგრამ განმცხადებლის მიერ წარმოდგენილმა მტკიცებულებებმა ვერ დაასაბუთა მისი ბრალდებები.

110. ეყრდნობა რა საკუთარ დასკვნას იმასთან დაკავშირებით, რომ გამოძიება იყო ზედაპირული, დაუდევარი და გაჭიანურებული, კომისია ვერ დარწმუნდა, რომ განმცხადებლის პრობლემას სერიოზული ყურადღება დაეთმო სახელმწიფოს წარმომადგენლების მიერ. მან, შესაბამისად, დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-13 მუხლის დარღვევას.

111. სასამართლო კვლავ აღნიშნავს, რომ კონვენციის მე-13 მუხლი მოითხოვს ეროვნულ დონეზე სამართლებრივი საშუალების არსებობას კონვენციით უზრუნველყოფილი უფლებებისა და თავისუფლებების არსის დასაცავად, რა ფორმითაც არ უნდა იყოს დაცული უფლებები შიდა სამართალში. მე-13 მუხლი



ითხოვს ისეთი შიდასამართლებრივი საშუალებით უზრუნველყოფას, რომელიც ვარგისი იქნება, კონვენციის გაგებით, „საფუძვლიანი სარჩელის“ არსზე მსჯელობისა და შელახული უფლების აღსადგენად. თუმცა, წევრ სახელმწიფოებს გააჩნიათ გარკვეული დისკრეციამასთან დაკავშირებით, თუ როგორ შეასრულებენ კონვენციის ამ მუხლით განსაზღვრულ ვალდებულებას. მე-13 მუხლიდან გამომდინარე ვალდებულების მოქმედების სფერო განსხვავდება აგრეთვე განმცხადებლის სარჩელის ხასიათის გათვალისწინებით. ამის მიუხედავად, მე-13 მუხლით დადგენილი საშუალება უნდა იყოს „ეფექტური“ სამართლებრივადაც და პრაქტიკაშიც იმ გაგებით, რომ მისი რეალიზება გაუმართლებლად არ უნდა ბრკოლდებოდეს მოპასუხე სახელმწიფოს თანამდებობის პირთა ქმედებებით ან უმოქმედობით.

როგორც სასამართლომ წინამდებარე საქმეებში აღნიშნა, იმ შემთხვევაში, როდესაც ნათესავები წარმოადგენენ საფუძვლიან საჩივარს პირის გაუჩინარებასთან დაკავშირებით, ან როდესაც განხილვის საგანია ისეთი ფუნდამენტური ღირებულება, როგორც სიცოცხლის უფლება, მე-13 მუხლი მოითხოვს არა მხოლოდ სათანადო კომპენსაციას, არამედ, აგრეთვე, ეფექტური და ზედმინევიანი სისხლის სამართლის გამოძიების ჩატარებას, რომელსაც შეეძლება დამნაშავეთა გამოვლენა და მათი მიცემა პასუხისგებაში. ამასთან, გამოძიების მონაცემები სრულიად ხელმისაწვდომი იქნება დაზარალებული პირის ნათესავებისთვის (იხ. კურტის გადაწყვეტილება, ზემოთ ციტ. გვ. 1189, § 140; და იასა და სხვები თურქეთის წინააღმდეგ, 1998 წლის 2 სექტემბრის გადაწყვეტილება, ანგარიშები 1998-VI, გვ. 2442, § 114).

112. უზრუნდება რა საქმის გარემოებებს, სასამართლო ადგენს, რომ განმცხადებელს უდავოდ ჰქონდა საფუძვლიანი საჩივარი მისი შვილის დაპატიმრებასთან დაკავშირებით. განმცხადებელმა მიმართა ხელისუფლების ორგანოებს და მიაწოდა კონკრეტული ინფორმაცია მისი შვილის დაკავების ადგილის, დროის და მასთან ერთად დაკავებული პირის თაობაზე. ამის შემდგომ კი ხელისუფლების ორგანოებს ამცნო იმ პირთა სახელები, რომლებმაც მისი შვილი თავისუფლების აღკვეთის ადგილას ნახეს. სასამართლომ დაადგინა, რომ სახელმწიფომ ვერ დაიცვა სიცოცხლის უფლება. ამის გათვალისწინებით, მოსარჩელეს უნდა ჰქონოდა საკუთარი უფლების დაცვის ეფექტური საშუალება, ზემოთ განმარტებული გაგებით.

113. სახელმწიფოს წარმომადგენლები ვალდებული იყვნენ, ჩაეტარებინათ ეფექტური გამოძიება განმცხადებლის შვილის გაუჩინარების ფაქტთან დაკავშირებით. 89-ე პარაგრაფის გათვალისწინებით, სასამართლო ადგენს, რომ სახელმწიფომ არ შეასრულა ნაკისრი ვალდებულებები. შესაბამისად, დაირღვა კონვენციის მე-13 მუხლი.

## C. კონვენციის 41-ე მუხლის გამოყენება

### A. არამატერიალური ზიანი

125. განმცხადებელმა, დარღვევათა რაოდენობისა და სიმძიმის გათვალისწინებით, მოითხოვა 40,000 ფუნტი სტერლინგი – მისი შვილის და 10,000 ფუნტი სტერლინგი – მის მიმართ არამატერიალური ზარალის სამართლიანი დაკმაყოფილებისათვის.

126. მთავრობამ გაასაჩივრა განმცხადებლის მოთხოვნა და აღნიშნა, რომ ის ზედმეტად გაზვიადებული იყო და მის უსაფუძვლო გამდიდრებას გამოიწვევდა.

127. რაც შეეხება არამატერიალური ზარალის ანაზღაურების მოთხოვნას განმცხადებლის შვილთან მიმართებით, აღნიშნული თანხა გადაიცემოდა

დაზარალებულთა მემკვიდრეებზე მხოლოდ მაშინ, როდესაც ხდებოდა პირის დაკავება და ის წამების შედეგად იღუპებოდა ან იკარგებოდა (იხ. ზემოთ ციტი. კურტის გადაწყვეტილება, გვ. 1195, §§ 174-75; და ჯაკირი, ლოკ. ციტი. § 130 ). სასამართლო შენიშნავს, რომ დადგენილია კონვენციის მე-2, მე-5 და მე-13 მუხლების დარღვევა დაუდგენელი პატიმრობისას და, შესაბამისად, ის ადგენს, რომ მის მიმართ უნდა მოხდეს კომპენსაციის გადახდა. ის აჯილდოებს დაზარალებულს 20,000 გირვანქა სტერლინგით, რომელიც უნდა გადაეხადოს მის მემკვიდრეს, განმცხადებელს.

სასამართლო განმცხადებლის მიმართ ასევე ადგენს ანაზღაურებას კომპენსაციის სახით. შესაბამისად, ის აკმაყოფილებს მის მოთხოვნას 10,000 ფუნტი სტერლინგის ოდენობის კომპენსაციასთან დაკავშირებით.

მაიკლ ოკბოილი ელისაბედ პალმი

რეგისტრატურის პრეზიდენტი

კონვენციის 45 § 2 და სასამართლო წესების 74 § 2 წესის თანახმად, მოსამართლე გოლჯუკლუს ნაწილობრივ განსხვავებული მოსაზრება ერთვის გადაწყვეტილების ტექსტს.



## სიცოცხლის უფლება და ევთანაზია

### ფრითი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ

(განაცხადი no. 2346/02)

გადანყვეტილება

სტრასბურგი

2002 წლის 29 აპრილი

საბოლოო

#### პროცედურა

1. საქმე დაიწყო სასამართლოში განაცხადით (no. 2346/02), რომელიც დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფოსა და ჩრდილოეთ ირლანდიის წინააღმდეგ, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ ევროპული კონვენციის („კონვენცია“) 34-ე მუხლის საფუძველზე, 2001 წლის 21 დეკემბერს შემოიტანა დიდი ბრიტანეთის ქვეშევრდომმა ქ-ნმა დაიან ფრითიმ („განმცხადებელი“).

#### საქმის ფაქტობრივი მხარე

##### (არაოფიციალური ვერსია)

განმცხადებელი გახლავთ 43 წლის ქალბატონი. მას აქვს მამოძრავებელ ნერვთა დაავადება (MND). ეს არის ცენტრალური ნერვული სისტემის მამოძრავებელი უჯრედების პროგრესული ნერვო-დეგენერაციული დაავადება, რომელიც იწვევს ხელების და ფეხების კუნთების, აგრეთვე, სუნთქვის მაკონტროლებელი კუნთების განლევას. სიკვდილი, ჩვეულებრივ, დგება სუნთქვის მაკონტროლებელი კუნთების დასუსტების შედეგად, რასაც თან სდევს მეტყველების და ყლაპვის მაკონტროლებელი კუნთების დასუსტება და ამით განპირობებული სუნთქვის უკმარისობა და პნევმონია. არანაირ მკურნალობას არ შეუძლია დაავადების პროგრესირების შეჩერება.

განმცხადებლის მდგომარეობა სწრაფად უარესდება. იგი კისრიდან პარალიზებულია, აქვს რთულად გასარჩევი მეტყველება და იკვებება მილის საშუალებით. მისი სიცოცხლე შეიძლება გაგრძელდეს რამდენიმე კვირიდან რამდენიმე თვემდე. თუმცა, დაავადებას მისი ინტელექტი და გადანყვეტილების მიღების უნარი არ შეუღაბავს. მას არ სურს, განიცადოს ის ტანჯვა და დამაკნინებელი მდგომარეობა, რისი გადატანაც აუცილებლად მოუწევს, თუკი დაავადება თავის ყველა სტადიას გაივლის. ამიტომ მას სურს, თავად გადაწყვიტოს, როდის მოკვდება და აიცილოს დაავადების თანმდევი ტანჯვა და დაკნინება.

მიუხედავად იმისა, რომ, ინგლისური კანონმდებლობის თანახმად, თვითმკვლელობა დანაშაული არ არის, დაიან ფრითის არ შეეძლო

ამის განხორციელება სხვისი დახმარების გარეშე. დახმარების განწვევა თვითმკვლევლობის ჩასადენად დანაშაულია. საჯარო ბრალდების დირექტორმა, განსაკუთრებული გარემოებების გამო, უარი თქვა, არ დაენყო დევნა განმცხადებლის მეუღლის წინააღმდეგ, თუ ეს უკანასკნელი თავის მეუღლეს თვითმკვლევლობაში დაეხმარებოდა. პირველის ინსტანციის სასამართლომ არ დააკმაყოფილა განმცხადებლის სარჩელი იმასთან დაკავშირებით, რომ პროკურორის გადაწყვეტილება უკანონო იყო. ლორდთა პალატამ ეს გადაწყვეტილება ძალაში დატოვა და, ამასთან, 1961 წლის თვითმკვლევლობის აქტის 2(1) პუნქტი კონვენციის მე-2 მუხლთან შესაბამისად გამოაცხადა.

### III. შესაბამისი საერთაშორისო მასალები

24. ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა, რეკომენდაცია 1418 (1999), *inter alia*, რეკომენდაციას უწევს შემდეგს (პუნქტი 9):

„...მინისტრთა კომიტეტი მოუწოდებს ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებს, პატივი სცენ განუკურნებელ ან მომაკვდავ ავადმყოფებს ყველა მიმართებით;

...

გ. განუკურნებელი ავადმყოფებისა ან მომაკვდავი პირებისათვის სიცოცხლის განზრახ წართმევის აკრძალვის მხარდაჭერისას:

- i. აღიარებს, რომ სიცოცხლის უფლება, განსაკუთრებით კი განუკურნებელი ან მომაკვდავი ავადმყოფების მიმართ, დაცულია წევრი სახელმწიფოების მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის შესაბამისად, რომელიც აცხადებს, რომ „არ შეიძლება ვინმეს განზრახ მოკვდინება“;
- ii. განუკურნებელი ან მომაკვდავი ავადმყოფის სურვილი, მოკვდეს, არ წარმოადგენს სამართლებრივ საფუძველს სხვა პირისათვის;
- iii. განუკურნებელი ან მომაკვდავი ავადმყოფის აღიარებითი სურვილი, მოკვდეს, არასდროს წარმოადგენს სამართლებრივ საფუძველს სხვა პირისათვის, სისრულეში მოიყვანოს აღნიშნული სურვილი.“

### IV. მსამე მხარის ჩარევა

#### A. ნებაყოფლობითი ევთანაზიის საზოგადოება

25. ნებაყოფლობითი ევთანაზიის საზოგადოება დაარსდა 1935 წელს და გაერთიანებულ სამეფოში წარმოადგენდა წამყვან კვლევით ორგანიზაციას სიკვდილში დახმარების საკითხებზე იმ მიმართებით, რომ განუკურნებელ ან მომაკვდავ ავადმყოფს, მსგავსი სურვილის შემთხვევაში, მისცემოდა ღირსებით სიკვდილის უფლება. მოუქნელი სამართლებრივი სისტემა, რომელიც აიძულებს განუკურნებელ ავადმყოფს, იტანჯებოდეს უმძიმესი ტკივილისაგან და გაუძლოს გახანგრძლივებული სიკვდილის პროცესს საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ, არ შეესაბამება კონვენციის მე-3 მუხლს. მათ მოიყვანეს მიზეზები, თუ რატომ ითხოვდნენ პირები სიკვდილში დახმარების აღმოჩენას (მაგალითად, აუტანელი და სასტიკი ტკივილები, სიკვდილის პროცესის მოლოდინით გამოწვეული დაღლილობა, პირადი ავტონომიის დაკარგვა). მათი განცხადებით, გამაყუჩებელი მკურნალობა ვერ პასუხობდა ყველა პაციენტის მოთხოვნას და ვერ აგვარებდა ისეთ პრობლემებს, როგორცაა პირადი ავტონომიის ან ორგანოს ნაწილებზე ფუნქციური კონტროლის დაკარგვა.

26. ისინი ამტკიცებდნენ, რომ, ევროპის სხვა ქვეყნებთან შედარებით, ინგლისსა და უელსში არსებული სისტემა, რომელიც აბსოლუტური ფორმით კრძალავდა სიკვდილის დადგომაში დახმარებას, ევროპაში ყველაზე მოუქნელი და შემზღვეველი იყო. სხვა ქვეყნებმა (მაგალითად, ბელგია, შვეიცარია, გერმანია, საფრანგეთი, ფინეთი, შვეცია და ნიდერლანდები, სადაც დახმარება სიკვდილის დადგომისათვის უნდა გასწიოს სამედიცინო პრაქტიკის მქონე პირმა) გააუქმეს სპეციალური დანაშაული „თვითმკვლელობაში დახმარება“. ზოგიერთ ქვეყანაში მსგავსი ქმედებისათვის გათვალისწინებული სასჯელები შემცირდა – არც ერთ ქვეყანაში, ესპანეთის გამოკლებით, თავისუფლების აღკვეთა არ აღემატებოდა 5 წელს – და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა იშვიათად დგებოდა.

27. რაც შეეხება სახელმწიფო პოლიტიკას, როგორც არ უნდა ყოფილიყო სამართლებრივი სისტემა, ევთანაზიას, რაც გამოიხატებოდა სიკვდილის დადგომის ხელშეწყობაში, კვლავ ჰქონდა ადგილი. ცნობილია, რომ ინგლისსა და უელსში მსგავსი კატეგორიის პაციენტები ხშირად ითხოვდნენ სიკვდილს და მათი ნათესავები, სამედიცინო პრაქტიკოსების დახმარებით, მიუხედავად საკანონმდებლო ვაკუუმისა, ასრულებდნენ მომაკვდავთა თუ განუკურნებელ ავადმყოფთა სურვილს, თუმცა, იცოდნენ, რომ ამას შეეძლო გამოეწვია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. ცნობილია, რომ ნიდერლანდებში სისხლის სამართალი არ კრძალავდა ევთანაზიას ან სასიკვდილო შედეგის დადგომაში დახმარებას. კვლევამ აჩვენა, რომ ნიდერლანდებში 1%-ზე ნაკლები მაჩვენებლით აღირიცხებოდა ისეთი შემთხვევები, როდესაც პაციენტი კვებოდა ექიმის დახმარებით, მკვეთრად გამოუხატავი სურვილის პირობებში (არანებაყოფლობითი ევთანაზია). მსგავსმა კვლევამ იმავე საკითხზე აჩვენა შემდეგი მონაცემები: 3.1% – ბელგია და 3.5% – ავსტრია. ამგვარად, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ მსგავს შემთხვევებზე ნაკლები ყურადღება მახვილდებოდა ისეთ ქვეყნებში, სადაც ის იკრძალებოდა და გაცილებით მეტი ყურადღება ეთმობოდა იქ, სადაც ის დაშვებული იყო. ამავე დასკვნის მიხედვით, ქვეყნებში, სადაც მკაცრად იყო რეგულირებული ევთანაზიის სისრულეში მოყვანის პროცედურა, არსებობდა სათანადო კონსულტაციის მიღებისა და მკაცრი აღრიცხვის უფრო მეტი შესაძლებლობა, ვიდრე იმ ქვეყნებში, სადაც ის აკრძალული იყო, მაგრამ პრაქტიკულად არსებობდა.

## ინგლისისა და უელსის კათოლიკე ეპისკოპოსთა კონფერენცია

28. აღნიშნულმა ორგანიზაციამ წარმოადგინა პრინციპები და არგუმენტები, რომლებიც შეესაბამებოდა სხვა კათოლიკე ეპისკოპოსთა მიერ კონფერენციაზე გაკეთებულ განცხადებებს სხვადასხვა წევრ სახელმწიფოში.

29. ისინი ხაზგასმით აღნიშნავდნენ: მათი კათოლიკური რწმენის ფუნდამენტური მოძღვრება იყო, რომ ადამიანს სიცოცხლე მიენიჭა ღვთისგან. ნებისმიერი ქმედება, რომელიც მიზნად ისახავს, სიცოცხლეს გამოასაღმოს საკუთარი თავი ან სხვა ადამიანი, თუნდაც თანხმობის პირობებში, ასახავს ადამიანის ღირებულების დამაზიანებელ გაუგებრობას. თვითმკვლელობა და, შესაბამისად, ევთანაზია ადამიანის ტანჯვასა და სიკვდილთან ბრძოლის მიუღებელი ფორმა იყო. აღნიშნულ მოსაზრებას ასევე ითვალისწინებდა როგორც სხვა რელიგიური მოძღვრებანი, ისე თანამედროვე პლურალიზმი და სეკულარული საზოგადოებები, რასაც ნათელჰყოფს ადამიანის უფლებათა უნივერსალური დეკლარაცია (1948 წლის დეკემბერი) და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ ევროპული კონვენციის სხვადასხვა დებულება, მათ შორის მე-2 და მე-3 მუხლები.



30. აღნიშნული ორგანიზაცია თავის მოსაზრებებში აღნიშნავდა, რომ ისინი, ვინც ცდილობდნენ თვითმკვლევლობას, ხშირად იტანჯებოდნენ დეპრესიისა ან სხვა ფსიქიატრიული დაავადებებისაგან. ნიუ-იორკის 1994 წლის ანგარიშში, სახელმწიფოს ოპერატიული ძალისა და სამართლის შესახებ, ნათქვამია, რომ თვითმკვლევლობაში ხელშეწყობის ან ნებისმიერი ფორმის ევთანაზიის ლეგალიზება გამოიწვევდა კატასტროფული პროპორციის შეცდომას და ძალიან ცუდად აისახებოდა მონყვლადი ადამიანების ბედზე, რომლებიც ადვილად შეიძლებოდა გამხდარიყვნენ სამედიცინო პერსონალში არსებული კორუფციული მოსაზრებების მსხვერპლი. სხვა კვლევა მიუთითებდა, რომ ბევრი ადამიანი, რომლებმაც მოითხოვეს ექიმის მეშვეობით ევთანაზიის გაკეთება, უკან გამოითხოვეს აღნიშნული მოთხოვნა, როდესაც მათ დეპრესიას ან ტკივილებზე შესაბამისი რეაგირება მოხდა. გამოცდილებით, ტკივილგამაყუჩებელ მკურნალობას უნდა ჰქონდეს ისეთი შედეგი, რომელიც ამცირებს როგორც ფიზიკურ, ისე ფსიქოლოგიურ ტკივილს.

31. ლორდათაპალატის სამედიცინო ეთიკის კომიტეტის (1993-94) მტკიცებულებათა შეფასების შემდეგ გაჩნდა მნიშვნელოვანი საფუძვლები დასკვნისათვის, რომ თვითმკვლევლობაში მხარდაჭერის ნებისმიერი სამართლებრივი ნებართვა გამოიწვევდა მონყვლადი ადამიანების უფლებათა მასობრივ ეროზიას, წარმოშობილს სამართლებრივი ზენოლისა და სამედიცინო პრაქტიკის, ზოგადად კი, ჯანმრთელობის, ფსიქოლოგიური და ფინანსური პირობების შეცვლის შედეგად. მოყვანილი იყო სანინალმდეგო არგუმენტი, რომლის თანახმადაც, ევთანაზიის ლეგალიზაციის შემდეგ პრაქტიკულად შეუძლებელი გახდებოდა მისი მოქცევა ისეთ აუცილებელ ჩარჩოში, რომელიც უზრუნველყოფდა მონყვლადი პირების დაცვას (იხ. მაგალითად, ნიდერლანდების მთავრობის 1990 წლის სწავლება პაციენტთა გამოხატული სურვილის გარეშე ევთანაზიის გამოყენების შესახებ).

## სამართლებრივი მხარე

### I. საჩივრის დასაშვებობა

32. განმცხადებელი, რომელიც იტანჯება განუკურნებელი, დეგენერირებადი დაავადებით, ამტკიცებდა, რომ, მის შემთხვევაში, ადგილი ჰქონდა მისი ფუნდამენტური უფლების დარღვევას, რაც გამოიხატა საჯარო ბრალდების დირექტორის უარში, გაეცა თანხმობა განმცხადებლის მეუღლეზე, რათა ეს უკანასკნელი დახმარებოდა მას სიცოცხლის დასრულებაში. აღნიშნული საქციელი ინგლისურ კანონმდებლობაში ცნობილი იყო, როგორც თვითმკვლევლობაში დახმარება და დანაშაულად ითვლებოდა. მთავრობის მტკიცებით, საჩივარი არ იყო დასაშვები და სასამართლოს ის სრულიად დაუსაბუთებლად უნდა ეცნო, ვინაიდან მისი განაცხადი არ ემყარებოდა კონვენციით გარანტირებულ რომელიმე უფლებას; ან, თუ ასეთად მიიჩნეოდა, მაშინ ნებისმიერი ჩარევა სახელმწიფოს მხრიდან მიჩნეულ უნდა ყოფილიყო, კონვენციის თვალსაზრისით, დასაშვებად.

33. სასამართლომ დაადგინა, რომ საქმე იმდენად მნიშვნელოვან საკითხებს ეხებოდა, რომ მათი განსაზღვრა შესაძლებელი გახდებოდა მხოლოდ საქმის არსებითი ნაწილის განხილვის შემთხვევაში. რაიმე სხვა საფუძველი, საჩივრის დაუშვებლად ცნობისათვის, არ დადგენილა. შესაბამისად, საჩივარი დასაშვებია. კონვენციის 29 § 3 მუხლის თანახმად, სასამართლო არსებითად იმსჯელებს განმცხადებლის მოთხოვნებზე.

## II. კონვენციის მე-2 მუხლის სავარაუდო დარღვევის შესახებ

### A. მხარეთა დასაბუთება

#### 1. განმცხადებელი

35. განმცხადებლის მტკიცებით, მისთვის თვითმკვლელობაში დახმარება არ იყო წინააღმდეგობაში კონვენციის მე-2 მუხლთან, ვინაიდან, სხვაგვარად, ეს იმას ნიშნავს, რომ ყველა ის ქვეყანა, რომელიც ამას დასაშვებად მიიჩნევდა, არღვევდა აღნიშნულ დებულებას. უფრო მეტიც, კონვენცია იცავდა არა მარტო სიცოცხლის უფლებას, არამედ უფლებას – თავად გადანყვიტო, იცხოვრო თუ არა. ის იცავდა სიცოცხლის უფლებას და არა თავად სიცოცხლეს. თანაც, აკრძალვები ეხებოდა ისეთ მესამე პირებს, როგორცაა სახელმწიფო ან საჯარო ორგანოები და არა თავად პირს, რომლის სიცოცხლესაც ეხებოდა საქმე. შესაბამისად, კონვენციის მე-2 მუხლი უფლებას აძლევდა ინდივიდს, თავად გადაენყვიტა, ეცხოვრა თუ არა და დაცული ყოფილიყო მისი უფლება, დაესრულებინა საკუთარი სიცოცხლე იმ მიზნით, რათა თავიდან აეცილებინა აუტანელი ტკივილები და ღირსების დამცირება. კინანის საქმეში, მართალია, პატიმარს არ მისცეს უფლება, თავი მოეკლა, თუმცა, ამ შემთხვევაში, გადამწყვეტი აღმოჩნდა მისი პატიმრის სტატუსი და ის, რომ მას, ფსიქოლოგიური მდგომარეობიდან გამომდინარე, არ შეეძლო, მიეღო გააზრებული გადამწყვეტილება (იხ. კინანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, no. 27229/95, ECHR 2001 - III).

#### 2. მთავრობა

36. მთავრობა მიიჩნევდა, რომ განმცხადებლის მიერ მისი მოთხოვნის დამყარება კონვენციის მე-2 მუხლზე, იყო ამ მუხლის არსისა და ტექსტის არასწორი გაგების შედეგი. კონვენციის მე-2 მუხლი, რომელიც იცავს ერთ-ერთ ყველაზე ფუნდამენტურ უფლებას, უპირველესად, სწორედ ნეგატიურ ვალდებულებას აყალიბებდა. თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, აწესებს პოზიტიურ ვალდებულებას, მიიღონ აუცილებელი ზომები სიცოცხლის დასაცავად. სასამართლოს მიერ ადრე განხილულ საქმეში სახელმწიფო პასუხისმგებლობისაგან არ გაათავისუფლა მისმა უუნარობამ, დაეცვა იმ პატიმრის სიცოცხლის უფლება, რომელმაც თვითმკვლელობა ჩაიდინა (იხ. ზემოთ ციტი. კინანის საქმე). ამას გარდა, დადგინდა სახელმწიფოს უფლება, იძულებით გამოეკვება პატიმარი, რომელმაც შიმშილობა გამოაცხადა (ექსი გერმანიის წინააღმდეგ, no. 10565/83, 1984 წლის 9 მაისის კომისიის გადამწყვეტილება). კონვენციის მე-2 მუხლის ტექსტი, რომელიც აცხადებს, რომ არავის შეიძლება განზრახ ჩამოერთვას სიცოცხლე, გადანყვიტვის უფლებას იძლევა მხოლოდ მკაცრად შეზღუდული გარემოებებისას, რომელთაც წინამდებარე საქმე არ განეკუთვნება. სიკვდილის უფლება არათუ მისი ნაწილია, არამედ პირდაპირ წინააღმდეგობაშია სიცოცხლის უფლებასთან.

### B. სასამართლოს შეფასება

37. სასამართლოს პრეცედენტული სამართალი კონვენციის მე-2 მუხლს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს და მიიჩნევს კონვენციის ერთ-ერთ ყველაზე ფუნდამენტურ დებულებად (იხ. მაკქანი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ. 1995 წლის 27 სექტემბრის გადამწყვეტილება, სერიები A no. 324, გვ. 45-46, § 146-47). ის იცავს სიცოცხლის უფლებას, რომლის გარეშეც კონვენციით დაცული სხვა ნებისმიერი უფლება ან თავისუფლება აზრს კარგავს. კონვენციის მე-2 მუხლი ადგენს შეზღუდულ გარემოებებს, რომლის დროსაც,

სიცოცხლის უფლების შელახვა შეიძლება გამართლებულად ჩაითვალოს. სასამართლო მიმართავს ამ გარემოებების გამოკვლევას, როდესაც აღნიშნულ მოსაზრებას ემყარება მოპასუხე მთავრობა (იქვე, გვ. 46, § 149-50).

38. მე-2 მუხლის ტექსტი არეგულირებს სახელმწიფოს წარმომადგენელთა მიერ სასიკვდილო ძალის გამოყენების საკითხებს. თუმცა, იგი ვრცელდება არა მარტო განზრახ მკვლელობის შემთხვევებზე, არამედ ისეთ გარემოებებზეც, როდესაც „ძალის გამოყენება“ დასაშვებია, მაგრამ მან შეიძლება გამოიწვიოს სიცოცხლის უფლების ხელყოფა, როგორც გაუთვალისწინებელი შედეგი (იქვე, გვ. 46, § 148). უფრო მეტიც, სასამართლომ დაადგინა, რომ კონვენციის მე-2 § 1 მუხლის პირველი წინადადება მოიცავს არა მხოლოდ სიცოცხლის უფლების განზრახ შელახვის აკრძალვას, არამედ სახელმწიფოს ვალდებულებასაც, მიიღოს ყველა ზომა მისი იურისდიქციის ფარგლებში მყოფ პირთა სიცოცხლის დასაცავად (იხ. ელ.სი.ბი. გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, 1998 წლის 9 ივნისის გადაწყვეტილება, ანგარიშები, განაჩენები და გადაწყვეტილებები, 1998-III, გვ. 1403, § 36). აღნიშნული ვალდებულება სცდება პირველად ვალდებულებას, დაიცვას სიცოცხლის უფლება პიროვნების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების კრიმინალიზაციით, რაც გამყარებული იქნება ამ დებულებათა დარღვევის პრევენციისთვის სამართალდამცავი მექანიზმების ეფექტური ფუნქციონირებით. გარკვეულ გარემოებებში ის ასევე გულისხმობს ხელისუფლების პოზიტიურ ვალდებულებასაც, პრევენციული ოპერატიული ღონისძიებები განახორციელოს იმ ინდივიდის სიცოცხლის უფლების დასაცავად, რომლის სიცოცხლაც საფრთხეშია სხვა ინდივიდის მიერ დანაშაულის ჩადენის რისკის გამო. (იხ. ოსმანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, 1998 წლის 28 ოქტომბრის გადაწყვეტილება, ანგარიშები 1998-VIII, გვ. 3159, § 115, ასევე, კილიჩი თურქეთის წინააღმდეგ, no. 22492/93, § 62 და 76, ECHR 2000-III). უფრო მოგვიანებით, კინანის საქმეში, მე-2 მუხლმა მოიცვა ვალდებულება, თვითმკვლელობისაგან დაცული ყოფილიყო იმ პატიმრის სიცოცხლე, რომლის ფსიქოლოგიური მდგომარეობა უშვებდა მსგავს შესაძლებლობას (იხ. კინანი, ზემოთ ციტ. § 91).

39. მუდმივი შტრიხი, რომელიც თან სდევს სასამართლოს მიერ განხილულ საქმეებს, არის სახელმწიფოს ვალდებულება, დაიცვას სიცოცხლის უფლება. სასამართლო არ არის დარწმუნებული, რომ „სიცოცხლის უფლება“ შეიძლება განიმარტოს, როგორც ნეგატიური ასპექტის შემცველი. მაგალითად, კონვენციის მე-11 მუხლით გათვალისწინებული გაერთიანების თავისუფლება განიმარტა, როგორც არა მხოლოდ უფლება – იყო ასოციაციის წევრი, არამედ უფლება – არ გახდოიქნებოდა, იყო მისი წევრი. სასამართლომ აღნიშნა, რომ თავისუფლების ცნება გულისხმობს, პირს ჰქონდეს მისი განხორციელების ფორმის არჩევის გარკვეული საშუალება. მე-2 მუხლს სხვაგვარი კონსტრუქცია გააჩნია. ამ მუხლის ინტერესის სფეროში არ ხვდება თავად ცხოვრების ხარისხთან დაკავშირებული საკითხები და არც ის, ადამიანი რა არჩევანს გააკეთებს საკუთარ ცხოვრებასთან დაკავშირებით. როდესაც ეს ასპექტები იმდენად ფუნდამენტურია ადამიანური ყოფისთვის, რომ საჭიროებენ სახელმწიფო ჩარევისგან დაცვას, ისინი აისახება კონვენციის სხვა მუხლებში ან ადამიანის უფლებათა სხვა დოკუმენტებში. მე-2 მუხლის ტექსტის დამახინჯების გარეშე, შეუძლებელი იქნებოდა იმის თქმა, რომ ეს მუხლი ადამიანს ანიჭებს დიამეტრულად საპირისპირო – კერძოდ, სიკვდილის უფლებას; იგი ინდივიდს არც თვითგამორკვევის უფლებას აძლევს, რათა მან თავად გადაწყვიტოს – სიკვდილი ურჩევნია თუ სიცოცხლე.

40. შესაბამისად, სასამართლო ადგენს, რომ არანაირი სიკვდილის უფლება, რეალიზებული მესამე პირის ან სახელმწიფო ორგანოების დახმარებით, არ გამომდინარეობს მე-2 მუხლიდან. აღნიშნული მოსაზრება გამტკიცებულია

ევროკავშირის საპარლამენტო ასამბლეის ბოლო ხანს მიღებული რეკომენდაციითაც 1418 (1999) (იხ. ზემოთ პუნქტი 24).

41. განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ სიკვდილის უფლების არაღიარება, სახელმწიფოებს, რომლებიც უშვებენ თვითმკვლელობაში დახმარებას, ჩააყენებდა კონვენციასთან წინააღმდეგობრივ მდგომარეობაში. სასამართლოს უფლებამოსილებაში არ შედის იმის შეფასება, თუ რამდენად იცავს კონკრეტული სახელმწიფოს კანონმდებლობა სიცოცხლის უფლებას. როგორც კინანის საქმეში განიმარტა, გონივრული ღონისძიებები, რომლებიც გატარებული იქნება პირის თვითდაზიანებისგან დასაცავად, ექვემდებარება შეზღუდვას კონვენციის სხვა დებულებების, მაგალითად, მე-5 და მე-8 მუხლების და პიროვნული ავტონომიის უფრო ზოგადი პრინციპის პერსპექტივიდან (იხ. ზემოთ ციტ. კინანი, §92). ამგვარად, სახელმწიფოები ადგენენ, ან ცდილობენ დაადგინონ, რამდენად ვრცელი იქნება თავისუფლებაში მყოფი პირის შესაძლებლობა, საკუთარ თავს ზიანი მიაყენოს თავად ან სხვისი დახმარებით. არ არის გამორიცხული, ამან გამოიწვიოს ადამიანის პიროვნული თავისუფლებისა და საზოგადოებრივი ინტერესების საკითხებისადმი ურთიერთსაპირისპირო მიდგომა, რაც შეიძლება გადაწყდეს მხოლოდ კონკრეტული საქმის კონკრეტული გარემოებების გამოკვლევისას (იხ. *mutatis mutandis*, ლასკი, ჯაგარდი და ბრაუნი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, 1997 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილება, ანგარიშები 1997-I). თუმცა, თუნდაც ერთ სახელმწიფოში, პრევალირებადი გარემოებების გამო, სხვისი დახმარებით თვითმკვლელობის განხორციელების დაშვება არ არღვევდეს კონვენციის მე-2 მუხლს, ეს არ განამტკიცებს განმცხადებლის პოზიციას ამ საქმეში, რადგან მან ვერ მოახერხა სრულიად განსხვავებული არგუმენტის დასაბუთება — რომ გაერთიანებული სამეფო დაარღვევს მე-2 მუხლს, თუ არ დაუშვებს სხვისი დახმარებით თვითმკვლელობას.

42. სასამართლო ადგენს, რომ ადგილი არ ჰქონდა კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევას.